ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ემილ ავდალიანი

რომი და ბიზანტია ბარბაროსთა მიგრაციის წინაალმდეგ: დუნაის და პონტოს საზღვრების შედარებითი ანალიზი (IV-VII სს.)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თედო დუნდუა

თბილისი
2016

შესავალი..... 2
წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა 10
თავი I. ბიზანტიური სამყარო IV-VI საუკუნეებში..... 21
თავი II. ბიზანტიური სტრატეგია პრაქტიკაში: იუსტინიანე და მისი მემკვიდრეები..... 50
თავი III. ბარბაროსების ქვეყანაში 68
1. შიდა აზიის გეოგრაფია 68
2. შიდა აზიის კონცეფცია 78
3. რომაელები და გუთები. ვალენსის პირველი გუთური ომი (367-369 წწ.): პოლიტიკა, ეკონომიკა და იმპერიული იდეოლოგია 93
თავი IV. ბიზანტიის არაბული პოლიტიკა გვიან ანტიკურობაში..... 105
თავი V. ბიზანტიის იმპერიული მოწინააღმდეგე: სასანური ირანი 121
თავი VI. ბიზანტიის „ქრისტიანობის გეოპოლიტიკა“ 159
დასკვნა 174
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 185
დანართი 197

შესავალი

გვიანი ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა, ტენდენცია, რომელიც იკვეთება ამ პერიოდის შესწავლაში, არის ნაკლები ყურადღების დათმობა ამავე პერიოდის მახლობელ აღმოსავლეთში, ბიზანტიის ბალკანურ პროვინციებში, თუ ევრაზიის სტეპებში მიმდინარე მოვლენებისთვის. ბიზანტიის სამხრეთკავკასიური პოლიტიკა მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში, გადასასვლელების გამო, მაგრამ ამ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, თუ რელიგიური მოვლენები აუცილებელია განხილულ იქნას იმ საერთო პროცესებში, რომელიც ვითარდებოდა ბიზანტიის ყველა საზღვარზე. როგორც თანამედროვე პერიოდში, ისევე გვიან ანტიკურ ხანაში, მოვლენები ქვეყნის ერთ საზღვარზე დიდ გავლენას ახდენდა სხვა მიმართულებებზე. სხვა სიტყვებით, სანამ იუსტინიანე ჯარებს გააგზავნიდა ლაზიკაში ადგილობრივების დასახმარებლად სასანიანების შეკავებისთვის, მას უნდა გაეთვალისწინიბენა სამხედრო ვითარება აპენინის ნახევარკუნძულზე, თუ რამდენი საჯარისო შენაერთი ჰყავდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება.

იგივეს თქმა შეიძლება სასანურ ირანზეც. შესაბამისად, მე შევეცადე, რომ ეს ნაშრომი არა მხოლოდ გვიან ანტიკური პერიოდის იმპერიების (ბიზანტია და ირანი) პოლიტიკურ ურთიერთობებზე ყოფილიყო ფოკუსირებული, არამედ ამ იმპერიების პერიფერიებზე მიმდინარე სამხედრო, ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ პროცესებზეც. ვეცადე სამხრეთ კავკასია განმეხილა არა როგორც ცალკე მდგომი რეგიონი, არამედ როგორც ორ ჰეგემონს შორის მიმდინარე სამხედრო და ეკონომიკური ბრძოლის ერთერთი არენა, თანაბარი, თავისი მნიშვნელობით, დუნაისპირეთთან, ეთიოპიასთან, სირია-მესოპოტამიის საზღვართან და ჩრდილოეთ აფრიკასთან.

ამავდროულად, ეს ნაშრომი არ არის ბიზანტიისა და სასანური ირანის

ომების, თუ მათი მშვიდობიანი ურთიერთობების ისტორია. თუ, თავდაპირველად, მე ვცდილობდი, უშუალოდ, ბიზანტიაზე და მის სამეზობლოზე დამეწერა, ნაშრომის მომზადების ბოლოს, აღმოვაჩინე რამდენად ბევრი მქონდა დათმობილი სასანური ირანისთვის. ამის მიზეზი ის არის, რომ სასანური ირანი არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის იმპერიას (იმის საწინააღმდეგოთ, რასაც ამტკიცებს მკვლევართა უმრავლესობა დასავლეთში) იქნება სამხედრო, ეკონომიკურ, რელიგიურ, თუ რომელიმე სხვა სფეროში. უფრო მეტიც, როგორც ნაჩვენები იქნება, ხშირ შემთხვევაში, სასანიანები ბიზანტიელებზე უფრო მძლავრ სამხედრო კოალიციებს ქმნიდნენ, ახერხებდნენ კონსტანტინოპოლის ეკონომიკურ დასუსტებას და ერთდროულად რამოდენიმე ფრონტზე თავისი იმპერიის ეფექტიანად დაცვას.

ნაშრომში დასმული მთავარი კითხვა არის, თუ როგორ იცავდნენ საკუთარ საზღვრებს ბიზანტიის და სასანური ირანის იმპერიები გვიან ანტიკურ პერიოდში. რა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ხერხების გამოყენება ხდებოდა იმპერიების უსაფრთხოების მისაღწევად? როგორ ხდებოდა სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის მობილიზება სამხედრო კამპანიის საწარმოებლად? და რაც მთავარია: შეეძლოთ, თუ არა იმპერატორებსა და შაჰანშაჰებს სტრატეგიულად ემსჯელათ ომების და ზავების დადების დროს? როგორ ესმოდათ თავისი იმპერიების გეოგრაფია, არსებული საზღვრები და მათი გაფართოების საჭიროება? არსებობდა, თუ არა იმპერიებისთვის ტერიტორიული ექსპანსიის ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იმპერატორები და შაჰანშაჰები მშვიდობიანად მოახერხებდნენ თანაცხოვრებას?

ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხებზე ფაქტობრივად არ არსებებობს, ხოლო დასავლეთსა და რუსეთში კი, ყურადღება, ძირითადად, ბიზანტიის და სასანური ირანის პოლიტიკურ ისტორიას ეთმობა. აგრეთვე, კარგად არის შესწავლილი იმპერიებს შორის წარმოებული ომების ისტორია III საუკუნიდან მეშვიდეს 30-იან წლებამდე. თუმცა, მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს სტრატეგიულად აზროვნების ნიჭის არსებობას ბიზანტიელებში, ხოლო სასანიანების შემთხვევაში, ეს საკითხი, სამწუხაროდ, არც კი განხილულა. იმის მტკიცება, რომ ბიზანტიელი იმპერატორებისა და შაჰანშაჰების მიერ ყოველი მიღებული გადაწყვეტილება სტრატეგიულ ხასიათს ატარებდა არ იქნებოდა მთლიანად მართებული. თუმცა, მოსაზრება, რომ გეოგრაფიული მანძილისა და ზუსტი რუკების არარსებობის გამო, იუსტინიანეს და ჰერაკლე კეისარს, უმეტეს

შემთხვაში, არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მეორე მცდარ უკიდურესობას წარმოადგენს.

შესაბამისად, ამ ნაშრომში შევეცადე შემეხამებინა ეს ორი რადიკალურად განსხვავებული მიდგომა და გამომეთქვა მოსაზრება, რომ ბიზანტიის იმპერიამ, რათა შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა მრავალი საუკუნის განმავლობაში, შეიმუშავა საზღვრების დაცვის და საკუთარ სამეზობლოსთან ურთიერთობის საკუთარი კონცეფცია. ამ კონცეფციაში დიპლომატია, ფულისა და ტიტულების დარიგება, ვაჭრობის აღდგენა, თუ გაუქმება, რელიგია და სამოკავშირეო ალიანსები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ვიდრე სამხედრო ძალის გამოყენება, როგორც ეს ერთიანი რომის იმპერიის დროს იყო. მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა იქნება სასანურ ირანზე: ბიზანტიელების მსგავსად, ირანელებსაც გააჩნდათ თავისი სამეზობლოს მოწყობის საკუთარი ხედვა. უფრო მეტიც, იმპერიის გარშემო აშენებული სამხედრო ინფრასტრუქტურა, ქვეყნის შიგნით ჯარების განლაგება, არაბებთან, თუ სამხრეთ კავკასიის ხალხებთან სამხედრო ალიანსები, მეტყველებს შაჰანშაჰების „დიდ სტრატეგიაზე“ მსოფლიოს სხვაგვარად მოსაწყობად.

გადავიდეთ უშუალოდ ნაშრომის სტრუქტურაზე, რომელიც შვიდი ძირითადი თავისგან შედგება. რადგან შეუძლებელი იყო მიმომეხილა ყველა ის მეზობელი, რომელიც იმპერიას, დაახლოებით, ოთხი საუკუნის (IV-VII) განმავლობაში ესაზღვრებოდა, ამიტომაც, შევჩერდი კონსტანტინოპოლის ძირითად მეტოქეებზე და განვიხილე იმპერიის ოთხი მთავარი საზღვარი: დუნაისპირეთი – გუთები და მომდევნო პერიოდში მნიშვნელოვანი ნომადი ხალხები (ჰუნები; ავარები); ევფრატი – სასანური ირანი; სირია-პალესტინა – წინაისლამური ხანის არაბები; ჩრდილოეთ აფრიკა – ვანდალები და მათ წინააღმდეგ VI საუკუნის 30-იან წლებში მიმართული სამხედრო კამპანია.

პირველი თავი ეხება ბიზანტიის შიდა მდგომარეობას IV-VI საუკუნეებში. მკითხველი შენიშნავს, რომ აქცენტი ნაკლებად არის გაკეთებული ამ პერიოდის პოლიტიკურ ისტორიაზე, არამედ ისტორიული ფაქტები უფრო გამოყენებულია ისტორიული წყაროების და ისტორიოგრაფიული ნაშრომების სხაგვარი ინტერპრეტირებისთვის. 395 წელს, რომის იმპერატორი თეოდოსიუს I-ის გარდაცვალების შემდეგ, იმპერია მის ორ შვილს, არკადიუსსა (იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში) და ჰონორიუსს (იმპერიის დასავლეთ ნაწილში) შორის დაიყო. იმპერია აქამდეც იყოფოდა, მაგალითად, ტეტრარქების მმართველობაში

(III საუკუნის ბოლოსა და IV-ის დასაწყისში), ან მოგვიანებით, ძმებ ვალენსსა და ვალენტინიანეს შორის (360-370-იანი წწ.). თუმცა, 395 წლის დაყოფამ მეტად შეუწყო ხელი იმპერიის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვექტორებით განვითარებულიყო. ყოველ გასულ წელიწადთან ერთად, იმპერიის ორ ნაწილს შორის სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა სულ უფრო მცირდებოდა. ამასთან ერთად, რაც უფრო მეტი საგარეო საფრთხე ემატებოდა იმპერიის თითოეულ ნაწილს, ძირითადად, ჩრდილოეთიდან გერმანული ტომებისა და ნომადების სახით, მეხუთე საუკუნის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიას უკეთ შეეძლო საკუთარი საზღვრების დაცვა და ნომადური წნეხის შეკავება. უფრო მეტიც, აღმოსავლეთი ნაწილი, ნომადებთან ბრძოლების პარალელურად, ახერხებდა აღმოსავლეთში მძლავრი სასანიანთა იმპერიის შეკავებას.

მაგრამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, დასავლეთ ნაწილთან შედარებით, აღმოსავლეთ რომის იმპერია მნიშვნელოვნად არახელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებში იმყოფებოდა. შესაბამისად, ამ თავის მეორე ნაწილში საუბარი იქნება იმაზე, თუ როგორ ახერხებდა კონსტანტინოპოლი იმპერიის საზღვრების შენარჩუნებას საგრძნობლად გაუარესებული გეოგრაფიული, ეკონომიკური, თუ სამხედრო პირობების ფონზე. რა სამხედრო და დიპლომატიურ ხერხებს იყენებდნენ ბიზანტიელი იმპერატორები ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებიდან სამხედრო საფრთხის შესაკავებლად? სხვა სიტყვებით, ახსნილი იქნება V საუკუნეში ბიზანტიის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც იყო რეაქცია იმპერიის ისტორიაში ერთერთ უმძიმეს პერიოდზე: ატილას და სასანიანების პარალელურ შეტევებზე.

მეორე თავი ისევ ბიზანტიაზეა, თუმცა პირველი ნაწილისგან განსხვავებით, საუბარი იქნება ბიზანტიურ სტრატეგიაზე მის პრაქტიკაში გამოყენებისას. როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ბიზანტიელი მმართველები და რა რესურსებს ფლობენ ისინი მთელი იმპერიის მასშტაბით? სხვა სიტყვებით, რა პროცესები მიმდინარეობს იმპერიის შიგნით, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოება საფრთხეშია? ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, უდავოდ, იუსტინიანეს პერიოდია, როდესაც იმპერიას, ერთდროულად, უწევდა საკუთარი საზღვრების დაცვა ნომადებისგან დუნაისპირეთში, სასანიანებისგან აღმოსავლეთში და დამპყრობითი ომები ეწარმოებინა ჩრდილოეთ აფრიკასა და აპენინის

ნახევარკუნძულზე. ამის პარალელურად, კონსტანტინოპოლი ფინანსურად ეხმარებოდა ეთიოპელებს ეკონომიკური და სამხედრო გავლენა გაევრცელებინათ არაბეთის ნახევარკუნძულზე. იუსტინიანე აძლიერებდა ბიზანტიის არაბი მოკავშირეების დაფინანსებასაც და ცდილობდა, ინდოეთში საკუთარი სავაჭრო ფლოტის გაზრდით, სასანიანების მიერ დაწესებული ეკონომიკური ბლოკადიდან თავის დაღწევას. მაგრამ, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ პერიოდში წერილობითი წყაროების სიუხვის გამო, ჩვენ ისეთი დეტალებიც მოგვეპოვება, როგორიც არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ვანდალების წინააღმდეგ ომის გამოცხადებამდე, იუსტინიანეს დისკუსიები ჯარების მეთაურებთან და იმპერიის „ეკონომიკურ გუნდთან“ ჰქონდა. პროცესის გაანალიზების შემდეგ, ნათელი ხდება, რომ იუსტინიანე, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნდა ზუსტი გეოგრაფიული რუკები, კარგად იყო გარკვეული, თუ რა მიმართულებით იყო საჭირო იმპერიის რესურსების მიმართვა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, იუსტინიანეს სახით, ნათელი ხდება, თუ რამდენ ფაქტორს ითვალისწინებდნენ ბიზანტიელი იმპერატორები რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების წინ.

მომდევნო თავები, უშუალოდ, იმპერიის თითოეულ საღზვარს შეისწავლის. მესამე თავში, რომელიც, თავის მხრივ, სამ მცირე ნაწილად არის დაყოფილი, განხილულია იმპერიის ყველაზე პრობლემური საზღვარი – დუნაისპირეთი. იმპერიას, ადრეულ პერიოდში (I-IV სს.), ბრძოლები უწევდა მხოლოდ გერმანულ ტომებთან. III საუკუნეში, დუნაის გასწვრივ გამოჩენილი გუთები, მართალია, ქმნიდნენ პრობლემებს ჯერ კიდევ გაერთიანებული იმპერიის ბალკანური პროვინციებისთვის, მაგრამ, ჯამში, იმპერიული ჯარი შედარებით მარტივად ახერხებდა ბარბაროსთა შეკავებას. ვითარება შეიცვალა IV საუკუნის ბოლოს, ევრაზიული სტეპებიდან ნომადების (ჰუნების) გამოჩენით. ნომადები, ნახევრად დასახლებული ცხოვრების სტილის მატარებელ გერმანულ ტომებისგან განსხვავებით, უფრო მძლავრ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ამ თავში ყურადღება დათმობილი იქნება არა მხოლოდ იმპერიასა და ბარბაროსებს (გერმანული ტომები და ნომადები) შორის ურთიერთობებს, არამედ ევრაზიის გეოგრაფიისთვისაც. საჭიროა აიხსნას, თუ რატომ მომდინარეობდა იმპერიისთვის უმთავრესი საფრთხე, უშუალოდ, სტეპებიდან. რა აბრკოლებდა ტუნდრასა და ტაიგის მაცხოვრებლებს პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებულიყვნენ და, თავის მრივ, საფრთხე შეექმნათ მედიტერანიისთვის?

გეოგრაფიული ელემენტის ახსნა ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ნომადები საფრთხეს მხოლოდ რომის იმპერიას არ უქმნიდნენ, არამედ გვიანი ანტიკური პერიოდის კიდევ ერთ მძლავრ იმპერიას – სასანურ ირანს, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი, ბიზანტიის მსგავსად, ევრაზიის სტეპებს ესაზღვრებოდა.

რადგან ბიზანტიური პოლიტიკა ნომადების მიმართ საკმაოდ დიდი საკითხია და თავისუფლად შეიძლება ცალკე კვლევის საგანი იყოს, ვეცადე ერთი პატარა ომის (აღმოსავლეთ რომის იმპერატორის, ვალენსის, 367-369 წლების კონფლიქტი გუთებთან) მაგალითზე მეჩვენებინა, თუ როგორ მუშაობდა კონსტანტინოპოლის დიპლომატია, სამხედრო მანქანა და როგორ ხდებოდა ეკონომიკური, რელიგიური, სამხედრო და სხვა საკითხების გათვალისწინება ომის გამოცხადებამდე, თუ ზავის დადებისას. აგრეთვე, როგორ იყენებდნენ ბიზანტიელები თავისუფალ ვაჭრობას და საკუთარ სახელმწიფოებრივ სიმდიდრეს, მშვიდობიანობის ჟამს, ბარბაროსთა შესაკავებლად, ხოლო ომის დროს, მათი ეკონომიკის გასანადგურებლად. იმპერატორ ვალენსის მაგალითზე, გამოთქმული იქნება მოსაზრება, რომ ხშირ შემთხვევაში, ბარბაროსებთან ომის წამოწყების ინიციატორები ზუსტად ბიზანტიელი იმპერატორები იყვნენ.

არ იქნებოდა მართებული, რომ ამ ნაშრომში აქცენტი მხოლოდ ბიზანტიის დიდ და მნიშვნელოვან მეზობლებზე გამეკეთებინა. კონსტანტინოპოლის ურთიერთობები პატარა მეზობლებთან ხშირად უკეთესად ასახავს, თუ როგორ მუშაობდა იმპერიული ინსტიტუტები, ჯერ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და შემდეგ, მათი გაძლიერების მიზნით. წინაისლამური ხანის არაბები, როგორც ბიზანტიელების მოკავშირეები, საკმაოდ ცუდად შესწავლილი საკითხია. საქართველოში, ამ საკითხზე, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება მნიშვნელოვანი პუბლიკაცია. რუსულ ისტორიოგრაფიისგან განსხვავებით,[1] დასავლეთში, ამ საკითხით დაინტერესება მხოლოდ ბოლო დროს დაიწყო. ამ თავში ორი ახალი მოსაზრება იქნება გამოთქმული: 1. ბიზანტიის მიერ წინაისლამური ხანის არაბების აღზევება საჭირო იყო არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში იმპერიის სავაჭრო გზების დასაცავად; 2. სასანიანთა გავლენის შესაკავებლად სირია-მესოპოტამიის უდაბნოში.

შემდეგი ნაწილი სასანიანებს შეისწავლის. ბიზანტიის სამეზობლოში სასანური ირანი გამონაკლისს წარმოადგენდა. შაჰანშაჰების სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე მათ გუთებისგან, ჩრდილოელი ნომადებისგან,

[1] აღსანიშნავია, 1940-1960-იან წლებში ნინა პიგულევსკაიას მიერ გამოცემული ნაშრომები.

არაბებისგან, ლაზებისა და სომხებისგან განსხვავებით, ბიზანტიასთან თანაბარ დონეზე აყენებდა. თუმცა, საქართველოში სასანური ირანის ისტორიის კვლევა, სამწუხაროდ, მხოლოდ დაწყებით ეტაპზეა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ამ საკითხზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციების არსებობას. დასავლეთსა და რუსეთში, მდგომარეობა ამ კუთხით საგრძნობლად უკეთაა, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა (იშვიათი გამონაკლისების გარდა) შეისწავლის სასანური ირანის მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიას, სადაც ყურადღება მთლიანად რომთან/ბიზანტიასთან ომების ისტორიას ეთმობა. ამ თავში შევეცადე სასანური ირანი, ბიზანტიის თანაბარ (ზოგ შემთხვევაში კი, უფრო მძლავრ) ძალად წარმომეჩინა. ასევე, შევეცადე მეჩვენებინა, რომ სასანიანებს, ბიზანტიელების მსგავსად, გააჩნდათ იმდროინდელი მსოფლიოს მოწყობის საკუთარი ხედვა. ბიზანტიასთან შედარებით, უარეს გეოგრაფიულ პირობებში არსებობამ, კტესიფონში მსხდომი შაჰანშაჰები აიძულა სპეციფიური სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური ხედვები ჩამოეყალიბებინათ საკუთარი იმპერიის საზღვრების დასაცავად. შენდებოდა უზარმაზარი კედლები იმპერიის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით, მესოპოტამიის წინაისლამური არაბებისგან დასაცავად. სხვა სიტყვებით, ნაჩვენები იქნება, რომ სასანიანებს, მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისთვის, საკუთარი „დიდი სტრატეგია“ გააჩნდათ. რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითი იქნება მოყვანილი: 1. კოალიციების შექმნა წინაისლამურ არაბებთან; 2. ბიზანტიური *receptio*-ს სასანური ვერსია; 3. აქემენიანების დროს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნები, როგორც პრაგმატული საგარეო პოლტიკის ნაწილი.

ნაშრომის ბოლო თავში საუბარი იქნება ქრისტიანობაზე, უფრო სწორად კი, მის გავრცელებაზე ბიზანტიის სამეზობლოში. თუმცა, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის ნაცვლად, შევეცადე სხვაგვარად შემეხედა ამ საკითხისადმი და მეპასუხა შემდეგ კითხვაზე: რამდენად გამიზნულად ახორციელებდნენ ბიზანტიელი იმპერატორები ახალი რელიგიის გავრცელებას იმპერიის საზღვრების გაწვრივ მცხოვრებ მეზობელ ხალხებში. რამდენად შეიძლება იმის თქმა, რომ ბიზანტიელები ცდილობდნენ მეზობლების გაქრისტიანებას მათგან პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად. მართლაც, გუთების გაქრისტინების შემთხვევაში, ჩვენ პირდაპირი ცნობა გაგვაჩნია, რომ იმპერატორმა კონსტანციუს II-მ (337-361 წწ.) უშუალოდ გასცა სანქცია ამ წამოწყებისთვის. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, გეოგრაფიულად რა

მიმართულებებით ვრცელდებოდა ქრისტიანობა, VI საუკუნისთვის ბიზანტია გაქრისტინებული ხალხების რკალში იყო მოქცეული. სამხრეთით, ეთიოპიელები – მნიშვნელოვანი მოკავშირე ინდოეთში მიმავალი სავაჭრო გზების გასაკონტროლებლად; არაბები –– მნიშვნელოვანი მოკავშირე სირია-მესოპოტამიის უდაბნოში სხვა არაბი ტომების შესაჩერებლად და სასანიანთა გავლენის შესამცირებლად; ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ლაზები, და იბერიელები – მნიშვნელოვანი მოკავშირეები კავკასიონის გადასასვლელებში ევრაზიული სტეპებიდან მოსული ნომადების შესაკავებლად; აღმოსავლეთით, სომხები – მნიშვნელოვანი მოკავშირეები, რადგან სომხეთზე კონტროლი ბიზანტიელებს შესაძლებლობას აძლევდა გაეკონტროლებინათ ჩრდილოეთ მესოპოტამია და მარტივად მიეღწიათ სასანიანთა დედაქალაქამდე. სხვა სიტყვებით, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების გაკონტროლება კონსტანტინოპოლის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა, ხოლო ამ თავში გამოთქმული მოსაზრებით კი, ქრისტიანობის გავრცელება ეფექტიანი ხერხი იყო ამ მიზნის მისაღწევად.

ნაშრომი კომპლექსური კვლევის მეთოდს ეფუძნება, რომელიც ზემოთ დასახელებული ისტორიოგრაფიული პრობლემების დეტალურ განხილვას ითვალისწინებს. აგრეთვე, კვლევის აუცილებელ პირობას ისტორიულ-კომპარატივისტული მეთოდი წარმოადგენს, რის შედეგადაც, ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში გვიანი ანტიკური პერიოდის ბიზანტიის, სასანური ირანის, წინაისლამური ხანის არაბებისა და ნომადი ხალხების ისტორიის შესწავლისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სპეციალისტთა, თუ ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისაგან მიღებულ საქმიან შენიშვნებს მიიღებს და აუცილებლად გაითვალისწინებს ამ საკითხის კვლევის შემდგომ საქმიანობაში.

წყაროების და ლიტერატურას მიმოხილვა

გვიანი ანტიკური პერიოდის (IV-VII სს.) შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურა საკმაოდ ვრცელია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას, ძირითადად, რომის/ბიზანტიის იმპერიის ისტორიის შესწავლას აქცევს. ნაკლებად არის შესწავლილი, მაგალითად, ბიზანტიის მეზობლად მცხოვრები ეთიოპიელების, დუნაის გაღმა მცხოვრები ნომადი ხალხების, ან სირია-პალესტინაში, წინაისლამური ხანის არაბების ისტორია. მეტიც, ბიზანტიელების ყველაზე მძლავრი მოწინააღმდეგის სასანური ირანის ისტორიასაც კი ამ კვლევების საკმაოდ პატარა რაოდენობა ეთმობა. ამავე პერიოდის ისტორიული წყაროები შემონახული გვაქვს, ძირითადად, როგორც ბერძნულ, ასევე ლათინურ ენებზე. თვითმხილველი ისტორიკოსების გარდა, ბევრი ცნობა არის შემონახული ბიზანტიის ოფიციალური სახის დოკუმენტებში (საიმპერატორო ბრძანებებში თუ იმპერიის საკანონმდებლო კრებულებში). ბერძნულ-რომაული წყაროების პარალელურად არსებობს იმპერიის მეზობელ ხალხებში შექმნილი ნაშრომები, სადაც საკმაოდ საინტერესო მონაცემები არის შემონახული, იქნება ეს ბიზანტია-ირანის ომებზე და შემდეგ დადებულ ზავებზე, თუ ქრისტიანობის გავრცელებასა და ორივე იმპერიის შიდა ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ წყობილებაზე.

წყაროები

წერილობით წყაროებიდან ერთერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი IV საუკუნის ისტორიკოსს ამიანე მარცელინეს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ მისი XXXI ტომიანი ნაშრომის პირველი ცამეტი ნაწილი დაკარგულად ითვლება, *Res Gestae* (ამიანე მარცელინე, 1935), „ქმედებანი“, მოიცავს საინტერესო ცნობებს ჯერ კიდევ 350-იანი წლებიდან მოყოლებული ერთიანი რომის იმპერიის შესახებ, 378 წელს, ადრიანოპოლში დატრიალებულ კატასტროფამდე. მიუხედავად თავისი ბერძნულენოვანი განათლებისა, ამიანემ *Res Gestae* ლათინურ ენაზე შეასრულა.

მართალია ნაშრომში აღწერილია იმპერიის ისტორიის ხანმოკლე, 25-წლიანი პერიოდი, ამიანე ძვირფას ცნობებს გვაწვდის, როგორც იმპერიის შიგნით არსებულ მდგომარეობაზე, ასევე ქვეყნის საზღვრებზე არსებულ ვითარებაზე. მან დეტალურად აღწერა რომაულ-სპარსული კონფლიქტი (დაახლ. 330-360 წწ.) და იულიანე განდეგილის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში (361-363 წწ.) განხორციელებული წარუმატებელი აღმოსავლური ლაშქრობა.

ამიანე მარცელინეს ნაშრომი, აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრის – დუნაისპირეთის – შესწავლისთვის. მან დეტალურად აღწერა იმპერატორ ვალენსის (364-378 წწ.) პირველი გუთური ომი[2] და 376 წელს, გუთების მიერ დუნაის გადალახვა. ამიანეს ცნობები ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან მას პირველს ჰქონდა აღწერილი იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე ევრაზიული სტეპებიდან ნომადების გამოჩენა. გვიანდელი ისტორიკოსების ცნობებთან შედარებისას, გასაკვირია, თუ რაოდენ სწორ ინფორმაციას აწვდის ამიანე თავის მკითხველს, განსაკუთრებულად, როდესაც საუბრობს ჰუნების გამოჩენაზე – „ხალხთა დიდი გადასახლების“ დასაწყისზე.

მიუხედავად იმისა, რომ რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი ახ. წ. I-II სს. ცხოვრობდა, მისი ერთერთი ნაშრომი, *Germania*, შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს რომსა და ბარბაროსებს შორის ურთიერთობების შესწავლისთვის (ტაციტუსი, 2009). ისევე როგორც ამიანე მარცელინე, ტაციტუსის ნაშრომიდან ნათლად ჩანს, რომ ახ. წ. I-II სს. ბარბაროსული გერმანიის განვითარების მთავარი მახასიათებელი იყო მიგრაციები თანამედროვე ჩრდილოეთ ევროპიდან სამხრეთით, უშუალოდ, რომის იმპერიის საზღვრებისკენ.

ევსევი კესარიელის მიერ IV საუკუნეში დაწერილი „საეკლესიო ისტორია“ (ევსევი კესარიელი, 1975) მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის რომის იმპერიის ისტორიაში გარდამავალ პერიოდზე – კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) მმართველობაზე. საინტერესოა ევსევის ცნობები იმპერიაში და მის სამეზობლოში ქრისტიანობის გავრცელების დინამიკაზე, რაც მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემათ: რამდენად იყო წახალისებული ქრისტიანობის გავრცელება იმპერიის სამეზობლოში უშუალოდ საიმპერატორო კარით?

[2] ზუსტად, ამიანეს საინტერესო ცნობების გამო, გადავწყვიტე ამ ნაშრომში ვალენსის პირველი გუთური ომის ცალკე საკითხად განმეხილა.

IV საუკუნის კონსტანტინოპოლში მოღვაწე იმპერიული პროპაგანდისტის თემისტიუსის სიტყვები კიდევ ერთ საინტერესო წყაროს წარმოადგენს (თემისტიუსი, 2001). მის სიტყვებში კარგად ჩანს, თუ როგორ მუშაობდა იმპერიული პროპაგანდა ქვეყნის შიგნით, თუ გარეთ შექმნილი პოლიტიკური კრიზისების პერიოდში. ისტორიკოსები თემისტიუსს ხშირად განიხილავენ მხოლოდ როგორც ამა თუ იმ მმართველის პროპაგანდისტად, რომელიც ზრუნავდა, რომ კონსტანტინოპოლის მოსახლეობას იმპერატორის შესახებ პოზიტიური შეფასება ჰქონოდა. თუმცა, როგორც ამ ნაშრომში იქნება აღნიშნული, თემისტიუსის სიტყვებში, აგრეთვე, ვხდებით საინტერესო ისტორიულ ფაქტებს: ვალენსის გუთურ ომებზე და, ზოგადად, იმ მდგომარეობაზე, რომელიც სუფევდა დუნაისპირეთში 370-იანი წლების ბოლოს, ნომადი ჰუნების გამოჩენამდე.

მრავალი ფაქტობრივი შეცდომის მიუხედავად, V საუკუნის ისტორიკოსის ზოსიმეს ნაშრომი „ისტორია“ (ზოსიმე, 1982), რამოდენიმე საინტერესო ცნობას შეიცავს. ერთერთი მათგანი არის კონსტანტინე დიდის პოლიტიკაზე ბარ-ბაროსებისადმი დუნაისპირეთში. აგრეთვე, საინტერესოა ზოსიმეს ცნობები იმავე კონსტანტინეს სამხედრო სტრატეგიაზე და როგორ თქვა უარი იმპერატორმა III საუკუნის ბოლოს დიოკლეტიანეს დროს შემუშავებულ უკანა-ხაზზე-თავდაცვის სტრატეგიაზე. იქვე მოცემულია კონსტანტინეს მიერ შემოღებული ახალი მიდგომა იმპერიის საზღვრების დასაცავად. ზოსიმეს მიხედვით, ზუსტად კონსტანტინემ შემოიღო ცნობილი *comitatenses*-ი, რომელიც იმპერიის საზღვრების გასწვრივ დაყენების ნაცვლად, ქვეყნის შიდა რეგიონებში გაანაწილა. ზოსიმე, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ მომდევნო პერიოდში იმპერიის წარუმატებლობა ბარბაროსების შემოსევების შეჩერებაში, პირველ რიგში, კონსტანტინეს ამ გადაწყვეტილებით იყო განპირობებული.

მიუხედავად გუთების წარმოშობასთან დაკავშირებული ბევრი უზუსტობისა, VI საუკუნის ისტორიკოსის იორდანეს *Getica* (იორდანე, 1915) წარმოადგენს კიდევ ერთ საინტერესო წყაროს რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრის შესწავლისთვის. ლეგენდებით მოსილი ამბების გარდა, იორდანეს ცნობები გუთებისა და ჰუნების პირველ შეჯახებებზე 370-იან წლებში, საინტერესოა იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რატომ დამარცხდნენ გუთები ასე მარტივად ნომადებთან ბრძოლაში.

ამიანე მარცელინეს მსგავსად, გვიანი ანტიკური პერიოდის ისტორიკოსთა შორის, პროკოპი კესარიელის ნაშრომები გამოირჩევა ინფორმაციის სიზუსტით, რადგან ის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) კართან დაახლოებული პირი იყო. უფრო მეტიც, პროკოპის, იუსტინიანეს უნიჭიერესი გენერლის, ბელისარიუსის თანხმლებით, მოუწია ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალების, აპენინის ნახევარკუნძულზე გუთების და აღმოსავლეთში სასანური ირანის წინააღმდეგ გამართული ომების უშუალო თვითმხილველი ყოფილიყო. შესაბამისად, მას ხელი მიეწვდომოდა ოფიციალურ ინფორმაციამდე. მაგალითად, პროკოპისთან შემონახულია სასანური ჯარების ზუსტი რიცხვები. ამასთან ერთად, მას საინტერესო ცნობები აქვს სასანიანებსა და ევრაზიულ სტეპებში მცხოვრებ ბარბაროსებს შორის არსებულ ურთიერთობებზე. პროკოპი, ამიანეს მსგავსად, აღწერს ბიზანტიის დუნაის საზღვარს და ბალკანეთში ნომადების (მაგალითად, კუტრიღურების) შემოსევებს.

პროკოპი კესარიელმა ცალკე ნაშრომი, *De Aedificiis*, იუსტინიანეს აღმშენებლობას მიუძღვნა (პროკოპი კესარიელი, 1914-1940). პირველ რიგში, ეს ნაშრომი საინტერესოა იმპერატორის მიერ აღმოსავლეთ საზღვარზე სასანური ირანის წინააღმდეგ აშენებული ციხესიმაგრეების აღწერით. ვანდალებთან ომის აღწერისას, პროკოპი, როგორც ბელისარიუსთან და იმპერატორთან დაახლოებული პირი, აღწერს იმ დისკუსიას, რომელიც იუსტინიანესა და მის გენერლებსა და სახელმწიფო მინისტრებს შორის გაიმართა. ეს უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც ჩვენ ინფორმაცია მოგვეპოვება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების – ამ შემთხვევაში ომის გამოცხადება ვანდალების წინააღმდეგ (533 წ.) – მიღების პროცესის გასანაალიზებლად. ეს ცნობები ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ამ ნაშრომის ცენტრალური საკითხი იქნება: როგორ ხდებოდა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება ბიზანტიის იმპერიაში?

და ბოლოს, პროკოპის ნაშრომები, აგრეთვე, საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმპერიის მეზობელ ხალხებზეც. არაბი მოკავშირეების აღზევება[3] იუსტინიანეს მმართველობაში და მათსა და იმპერიას შორის სირია-პალესტინის საზღვრების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება. აგრეთვე, არაბების მონაწილეობა მესოპოტამიაში ბიზანტიელების მიერ მოწყობილ სამხედრო კამპანიებში. ასევე,

[3] მათვის, 530-540 წლებში, კონსტანტინოპოლიდან ფინანსური და სამხედრო დახმარების გაზრდა სასანიანთა გავლენის შესაჩერებლად და რეგიონში სავაჭრო გზების დასაცავად.

მნიშვნელოვანია ცნობები სამხრეთ კავკასიის ხალხების შესახებ, განსაკუთრებულად კი, დიდ ომიანობაზე (542-562 წწ.) ეგრისში, სადაც კონსტანტინოპოლის და სასანური ირანის ინტერესები ერთმანეთს ეკვეთებოდა შავ ზღვაზე გასასვლელის გასაკონტროლებლად.

შემდეგ გვაქვს, ეკლეზიასტიკური ხასიათის ნაშრომები:

1. ასე, იერონიმე სტრიდონელს (342-419/420 წწ.) ეპისტოლეებში (იერონიმე სტრიდონელი, 1996) საინტერესო ცნობები აქვს შემონახული იმ პროცესებზე, რომელიც ლოკალურ დონეზე, სირია-პალესტინის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. კერძოდ, როგორ ხდებოდა არაბი ტომების გადმობირება იმპერიის მესვეურების მიერ? როგორ მიმდინარეობდა არაბი ნომადების დასახლება უდაბნოსთან მოსაზღვრე ბიზანტიის სოფლებში, რაც შემდეგ ახლად-დასახლებულების გაქრისტიანებით სრულდებოდა;

2. კირილე სკიფოპოლელმა,[4] რომელიც 525-558 წლებში ცხოვრობდა, იერონიმეს მსგავსად, რელიგიური ხასიათის ნაშრომები შექმნა. მათ შორის „პალესტინის ბერების ცხოვრება“ (კირილე სკიფოპოლელი, 1991) გამო-ირჩევა ლოკალურ დონეზე იმპერიასა და არაბ ტომებს შორის პოლიტიკური და სამხედრო კავშირების შექმნის დეტალების გადმოცემით;

3. 386/393-457 წლებში მცხოვრები თეოდორეტი კიროსელი[5] იყო ანტიოქიაში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო ბერი. მისი „საეკლესიო ისტორია“ სავსეა იმპერიაში მიმდინარე რელიგიური პროცესების, სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნის და პოლიტიკური ისტორიის საინტერესო დეტალებით (თეოდორეტი, 1843). როგორც წინა ორი საეკლესიო ნაშრომი, თეოდორეტიც კარგად ასახავს არაბი ნომადების ბიზანტიის ტერიტორიაზე დასახლების და გაქრისტიანების პროცესს. ეს ყველა წყარო, პროკოპისა და ამიანე მარცელინეს მონუმენტური ნაშრომებისგან, ლოკალური ისტორიის გადმოცემით განსხვავდება – ანუ, რა ხდებოდა ბიზანტიის საზღვრების პირას არსებულ პატარა ქალაქებში და როგორ მოქმედებდა იმპერიული ადმინისტრაცია ამა თუ იმ სამხედრო, თუ პოლიტიკური კრიზისის დროს.

საისტორიო წყაროების გარდა, მნიშვნელოვანია სახელმწიფო დოკუმენტებიც. მათ შორის, აღსანიშნავია იმპერატორების თეოდოსიუს II-ის და იუსტინიანეს დროს გამოცემული საკანონმდებლო კრებულები (თეოდოსიუსის

[4] სკიფოპოლი – თანამედროვე ბეით-შეანი, ისრაელში მდებარეობს.
[5] კიროსი – ქალაქი თანამედროვე სირიაში.

კოდექსი, 1952; იუსტინიანეს კოდექსი, 1954). ჩვენთვის, განსაკუთრებულად, საინტერესოა იმპერატორების დადგენილებები იმპერიიდან მნიშვნელოვანი პროდუქციის გატანის აკრძალვის შესახებ. სხვა სიტყვებით, როგორ ზრუნავდა კონსტანტინოპოლი ქვეყნის შიგნით შექმნილი იარაღი, ან ძვირფასი პროდუქცია არ გასულიყო ჩრდილოეთში, ბარბაროსებში, ან აღმოსავლეთით, სასანურ ირანში. ამგვარად, ბიზანტიელი მმართველები ზრუნავდნენ სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში იმპერიის პირველობის შენარჩუნებაზე. შემდეგ, ბიზანტიელი სტრატეგოსების მიერ შექმნილი სამხედრო ტრაქტატები მოდის. მათ შორის, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა VII საუკუნის დასაწყისში, იმპერატორ მავრიკეს (582-602 წწ.) მიერ დაწერილი *Strategikon*-ი (მავრიკე, 2004). ავტორი, მიმოიხილავს იმპერიის ყველა მეზობელს და რჩევებს იძლევა, თუ როგორ უნდა დაიცვას იმპერიამ საზღვრები ამა თუ იმ მტრის წინააღმდეგ. *Strategikon*-ი, აგრეთვე, საინტერესოა იმპერიის ჯარის წყობილების შესასწავლად. ეს ყველაფერი კი, პირდაპირ მიუნიშნებს იმაზე, რომ იმპერიის მესვეურები მუდმივად ფიქრობდნენ იმპერიის საზღვრების დაცვის პრობლემატიკაზე.

ლიტერატურა

გვიანი ანტიკური პერიოდის (IV-VII სს.) შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი არის დაწერილი. ედვარდ გიბონის (გიბონი, 1998) და თეოდორ მომზენის (მომზენი, 1992) რომის ისტორიის მონუმენტური კვლევები ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს. რუსულენოვან ისტორიოგრაფიაში აღსანიშნავია ვასილიევის ორტომეული, История византийской Империи (ვასილიევი, 1925) და მსგავსი სათაურის მქონე, უსპენსკის История византийской Империи (უსპენსკი, 1929). კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი, История византийского государства, გიორგი ოსტროგორსკის ეკუთვნის, სადაც ავტორი მიმოიხილავს ბიზანტიის ისტორიას IV საუკუნიდან, 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემამდე (ოსტროგორსკი, 2011). თანამდეროვე პერიოდში, აღსანიშნავია კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული თორმეტი ტომისგან შემდგარი Cambridge Ancient History. ეს სერია მოიცავს რომის იმპერიის ყველა ძირითად საკითხს (ეკონომიკა, ჯარი, რელიგია, მეზობლები, დაპყრობითი ომები და სხვა) (კემბრიჯის ანტიკური..., 2005).

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია უშუალოდ რომის/ბიზანტიის ისტორიაზე. ნაკლები ყურადღება ეთმობა ბიზანტიის მეზობლების (ბარბაროსები ჩრდილოეთით, არაბები სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასანიანები აღმსავლეთით, ეთიოპიელები სამხრეთით, ქართველები და სომხები სამხრეთ კავკასიაში და მრავალი სხვა ხალხი იმპერიის პერიფერიაზე) ისტორიაზე. წინამდებარე ნაშრომი, დასავლურ ისტორიოგრაფიაში, ზუსტად, ამ მთავარი ხარვეზის შესწორებას შეეცდება. ხოლო, რაც შეეხება, ქართულ ისტორიოგრაფიას, ნაშრომი ერთერთი პირველი იქნება ამ პერიოდის ბიზანტიის და სასანური იმპერიების ისტორიის შესწავლაში.

დავიწყოთ იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრით. ბარბაროსებთან ურთიერთობის შესახებ საინტერესო ნაშრომია The Cambridge History of Early Inner Asia (შიდა აზიის[6]..., 1990). ამას უნდა დაემატოს ჰალფორდ მაკინდერის ნაშრომი ევრაზიის კონტინენტის გეოგრაფიაზე (მაკინდერი, 1942) და რა გავლენას ახდენდა ეს უკანასკნელი სტეპებში მცხოვრებ ბარბაროსებზე და მათ გარშემო პერიფერიაში არსებულ დიდ იმპერიებზე. ეს ორად-ორი ნაშრომია, სადაც ავტორები ბარბაროსების შემოსევების უკან, ეკონომიკური მიზეზების გარდა, აგრეთვე, ცდილობენ გეოგრაფიული მიზეზებიც დაინახონ. თომფსონის ნაშრომი, Romans and Barbarians: The Decline of the Western Empire, საინტერესოა იმპერიასა და ბარბაროსებს შორის ვაჭრობის მნიშვნელობის კარგი ანალიზით (თომფსონი, 1982).

ედვარდ ლუტვაკის ორი წიგნი The Grand Strategy of the Roman Empire (ლუტვაკი, 1976) და The Grand Strategy of the Byzantine Empire (ლუტვაკი, 2009) მკითხველს საინტერესო ხედვას სთავაზობს. ავტორი შენიშნავს, რომ ორივე იმპერიის შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. „დიდი გეგმის“ არსებობასთან, რომელსაც იმპერატორები იყენებდნენ ქვეყნის საზღვრების დასაცავად. ბევრი კრიტიკის შემდეგ, დასავლეთში, ლუტვაკის მოსაზრებები, ძირითადად, უარყოფილ იქნა, რადგან რომაელებს/ბიზანტიელებს არ გააჩნდათ ზუსტი გეოგრაფიული რუკები, რაც, შესაბამისად, გამორიცხავდა იმას, რომ იმპერატორებს რომიდან თუ კონსტანტინოპოლიდან შეეძლოთ წარმოესახათ, თუ სად მდებარეობდა ესა თუ ის მდინარე, მთების სისტემა, სავაჭრო გზა და ა. შ.

[6] სივრცე, რომელიც რუსულ ისტორიოგრაფიაში „ევრაზიის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

მიუხედავად ამისა, ლუტვაკის ბევრი არგუმენტი რომის იმპერიის დიდ სტრატეგიასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ფართოდ არის მიღებული. მათ შორის, დიოკლეტიანეს მიერ შემოღებული უკანა-ხაზზე-თავდაცვა. თუმცა, რაც შეეხება მის წიგნს ბიზანტიის დიდ სტრატეგიაზე, აქ ავტორს უკეთესი არგუმენტების მოყვანა შეეძლო საკუთარი კონცეფციის დასამტკიცებლად. ასე, ლუტვაკი, უგულვებელყოფს რელიგიის როლს და საკმაოდ ზოგადად განიხილავს ბიზანტიის ურთიერთობებს თითოეულ მეზობელთან. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მისი ნაშრომი კარგ საფუძველს წარმოადგენს ამ საკითხის მომავალში უკეთ შესწავლისთვის.

ლუტვაკის საპირისპიროდ, ისააკი, წიგნში, The Limits of Empire: The Roman Army in the East, ამტკიცებს, რომ იმპერიას არ შეეძლო ჰქონოდა რამე სახის „დიდი სტრატეგია“, რადგან სასანიანებთან თითოეული კონფლიქტისას, კონსტანტინოპოლი თავის დაცვას არა წინასწარ გათვლილი გეგმის მიხედვით ახორციელებდა, არამედ შექმნილი ვითარებებიდან გამომდინარე (ისააკი, 1991).

იმპერიასა და ბარბაროსებს შორის ურთიერთობების შესწავლაში ძალიან კარგ ნაშრომებს წარმოადგენს ჰევერის რამოდენიმე წიგნი (ჰევერი, 2006; ჰევერი, 2009). მას, აგრეთვე, ეკუთვნის წიგნი გუთების წარმოშობასა და ამ ხალხის დუნაისპირეთში გამოჩენის შესახებ (ჰევერი, 1991).

თომას ბარნსის წიგნი, Barbarians Within the Gates of Rome, მკითხველს საინტერესო მოსაზრებას სთავაზობს რომის იმპერიაში ბარბაროსების შემოსევების შესახებ. ავტორი ამტკიცებს, რომ იმპერიის მესვეურებს ე. წ. *receptio*-ს, „მიღების“ (ბარნსი, 1994), სისტემა ჰქონდათ შემუშავებული. სხვა სიტყვებით, რომაელები და შემდეგ ბიზანტიელებს კარგად ჰქონდათ შემუშავებული იმპერიაში ბარბაროსების შეშვების ტაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ახლადმოსულებს ეძლეოდათ მიწის ნაკვეთი, ჯარში მსახურის პერსპექტივით. ბიზანტია-ბარბაროსების ურთიერთობებზე, ასევე, საინტერესოა კულიკოვსკის წიგნი, Rome's Gothic Wars: From the Third Century to Alaric (კულიკოვსკი, 2007), სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ნომადების მიგრაციები არ წარმოადგენს სიმართლეს და ეს მხოლოდ ბერძენ-რომაელი ინსტორიკოსების მეერ შემუშავებული ნარატივია. ბიზანტიის ჩრდილოეთ საზღვრის შესწავლისას ერთერთი ფუნდამენტური ნაშრომი, Failure of the Empire, Valens and the Roman State in the Fourth Century A.D., ნოელ ლენსკის ეკუთვნის (ლენსკი, 2002).

ლენსკიმ დეტალურად შეისწავლა ვალენსის საშინაო პოლიტიკა და მისი გავლენა იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე, პირველ რიგში, გუთებთან ურთიერთობაზე. ამასთან ერთად, მას ჰევერისგან რადიკალურად განსხვავებული აზრები გააჩნია ბიზანტია-გუთების ურთიერთობების მთელ რიგ საკითხებზე.

ლის წიგნი, Information and Frontiers: Roman Foreign Relations in Late Antiquity, გვიან ანტიკურ პერიოდში რომის საზღვრებსა და მმართველი კლასის პოლიტიკურ ინფორმირებულობაზე, კარგ საფუძველს წარმოადგენს გვიან ანტიკურ ხანაში ბიზანტიასა და სასანურ ირანში რამე სახის სტრატეგიის არსებობის შესასწავლად (ლი, 1993). ლი ამტკიცებს, რომ გეოგრაფიამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა კონსტანტინოპოლის მიერ საზღვრების აღქმაში. ასე, ბიზანტიელები ნაკლებად იყვნენ გაცნობიერებულები, თუ რა ხდებოდა დუნაის გაღმა, ვიდრე იმაში, თუ რა ვითარება იყო სასანურ ირანში.

გვიან ანტიკურ ხანაში კონსტანტინოპოლის აღმოსავლურ პოლიტიკაზე, მნიშვნელოვანი ნაშრომი ბლოკლის Roman Foreign Policy: Formation and Conduct from Diocletian to Anastasius არის (ბლოკლი, 1992). ავტორი დეტალურად განიხილავს კონსტანტინოპოლის პოლიტიკას სასანური ირანისა და სხვა ხალხების მიმართ, III საუკუნიდან იმპერატორ ანასტასიუსის მმართველობამდე. ედველის წიგნი ევფრატზე, როგორც საზღვარზე ორ იმპერიას შორის, დიდ ყურადღებას აქცევს მესოპოტამიის გეოგრაფიას და ცდილობს მათ შორის არსებული მუდმივი კონფლიქტი არახელსაყრელი ბუნებრივი ბარიერების არსებობით ახსნას (ედველი, 2008).

კონსტანტინოპოლის ურთიერთობებზე არაბებთან აღსანიშნავია გრეგ ფიშერის ნაშრომი, Betweeen the Empire: Arabs, Romans and the Sasanians in Late Antiquity, სადაც ავტორი ზოგადი ისტორიის გარდა, აქცენტს აკეთებს წინაისლამური ხანის არაბებში ეთნიკური მახასიათებლების განვითარებაზე (ფიშერი, 2011). კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომია ელიზაბეთ ფოუდენის The Barbarian Plain (ფოუდენი, 1999). ავტორი სირია-მესოპოტამიის უდაბნოში წმიდა სერგიუსის ტაძრის გარშემო არსებულ ისტორიას იკვლევს და განიხილავს მას საერთო გეოპოლიტიკური ბრძოლის კონტექსტში, რომელიც სასანიანებსა და ბიზანტიელებს შორის მიმდინარეობდა არაბი ტომების გადმოსაბირებლად. რუსულ ისტორიოგრაფიაში, წინაისლამური ხანის არაბებზე აღსანიშნავია პიგულევსკაიას ორი საინტერესო წიგნი, Византия на путях в Индию

(პიგულევსკაია, 1951) და Арабы у границ Византии и Ирана в IV-VI вв. (პიგულევსკაია, 1964), სადაც ავტორი დეტალურად მიმოიხილავს არაბების აღზევებას და მათ როლს ბიზანტიის საზღვრების დაცვაში.

ჯეფრი გრეიტრექსის წიგნი, Rome and Persia at War, 502-532, გამონაკლისს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ ავტორი ბიზანტიასა და სასანურ ირანს შორის არსებული კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს შორის ასახელებს სასანური ირანის რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას (გრეიტრექსი, 1998).

სასანურ ირანზე ლიტერატურა ვრცელია. თუმცა, კვლევების უმეტესობა მხოლოდ იმპერიის პოლიტიკურ და სამხედრო ისტორიას განიხილავს. ცოტა არის დაწერილი იმპერიის შიდა ადმინისტრაციულ და სამხედრო წყობილებაზე (კაციტაძე, 2001). დასავლეთში, ისევე, როგორც საქართველოში, სამწუხაროდ არ გაგვაჩნია ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც შეისწავლიდა სასანური ირანის პოლიტიკას თავისი სამეზობლოსადმი. გარდა ამისა, იშვიათი გამონაკლისების გარდა (ჰოვარდ ჯონსტონი, 1995), სასანური ირანის ისტორიაზე არც ერთ კვლევაში (ქრისტენსენი, 1944) არ დაისვა შემდეგი კითხვები: გააჩნდათ, თუ არა სასანიანებს, ბიზანტიელების მსგავსად, საკუთარი „დიდი სტრატეგია“? როგორ იცავდნენ სასანიანები იმპერიის საზღვრებს და რა პრიორიტეტები ამოძრავებდათ მათ საგარეო პოლიტიკაში?

და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიაში და მის სამეზობლოში ქრისტიანობის გავრცელებაზე. ფლეტჩერი წიგნში, The Barbarian Conversion, ბარბაროსებში ქრისტიანობის გავრცელებაზე და იმ პრობლემებზე საუბრობს, რომელსაც ახალი რელიგია ქმნიდა იმპერიის საგარეო პოლიტიკისთვის (ფლეტჩერი, 1997). კრისტოფერ ჰაასის სტატია, Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia, საინტერესო პარალელებს ავლებს იბერიელებსა და ეთიოპიელებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ (ჰაასი, 2008). ფოუდენის კვლევა, Empire to Commonwealth, ქრისტიანობის ექსპანსიაზე იმპერიის, გარეთ საინტერესო მოსაზრებას იძლევა, რომ მეზობელ ქვეყნებში ახალი რელიგიის გავრცელება იყო მცდელობა შექმნილიყო ერთი ქრისტიანული სივრცე – „თანამეგობრობა“ (ფოუდენი, 1993). ჰევერისა და მეთიუს ავტორობით გამოცემული, The Goths in the Fourth Century, შეიცავს როგორც გუთებში ქრისტიანობის გამავრცელებლის ულფილას მოღვაწეობაზე შემორჩენილ წყაროებს, ასევე საკმაოდ კარგ ანალიზს იმ სოციალური პრობლემების, რომელიც ახალი რელიგიის თანმდევი იყო

(ჰევერი, 1991). თუმცა, ამ ნაშრომებში არ იყო მცდელობა მკვლევარების მიერ განეხილათ ქრისტიანობის გავრცელება ბიზანტიის სამეზობლოში, როგორც კონსტანტინოპოლის მიერ გამიზნულად გატარებული პოლიტიკის ნაწილი.

თავი I

ბიზანტიური სამყარო IV-VI საუკუნეებში

ახ. წ. 395 წელს თეოდოსიუსი I-ის გარდაცვალებისას კონსტანტინოპოლი (ძველად ბიზანტიონად წოდებული) უკვე 60 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში რომაული სამყაროს დედაქალაქს წარმოადგენდა. კონსტანტინოპოლი – „კონსტანტინეს ქალაქი“ – დაარსებულ იქნა კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) მიერ 320-იან წლებში, ხოლო სარეზიდენციო ქალაქად დაახლოებით 330 წლიდან გადაიქცა (იხ. რუკა 2). უფრო ხშირად, კონსტანტინოპოლს, ქალაქ რომის საპირისპიროდ, აღმოსავლურ დედაქალაქს უწოდებდნენ, თუმცა არ იქნება მართებული ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე 330 წლისთვის ახლადაშენებული ქალაქის მთელი იმპერიის დედაქალად გადაქცევას გეგმავდა (კემერონი, 1993: 12-15; დაგრონი, 1974: 21-35). მან კონსტანტინოპოლი დააარსა უფრო არსებული ტეტრარქიული დედაქალქების ნიკომედიისა და ტრიერის მაგალითზე.[7] უფრო მეტიც, წყაროებიდან ვიცით, რომ კონსტანტინე თავისი მეფობის ბოლოს გეგმავდა ტეტრარქიულ მმართველობას დაბრუნებოდა, რაც ავტომატურად იმპერიაში რამოდენიმე დედაქალაქის შემოღებას გამოიწვევდა, როგორც ეს დიოკლეტიანეს დროს (284-304 წწ.) იყო (კრაუტჰაიმერი, 1983: 41-67). დიოკლეტიანეს მსგავსად, კონსტანტინეს სურდა მისი მეფობის შემდეგ ხელისუფლება მის ვაჟებს შორის ტეტრარქიული პრინციპით – ორი ავგუსტუსი და ორი კეისარი – გადანაწილებულიყო. კონსტანტინეს გეგმები ტეტრარქიის აღდგენაზე 337 წელს, მისი გარდაცვალებისას ჩაიშალა. იმპერიაში მის შვილებს შორის ხელისუფლებისთვის დაწყებული ბრძოლა საბოლოოდ 350 წლისთვის კონსტანტინეს მესამე ვაჟის კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.)

[7] ტეტრარქების მმართველობის პერიოდში, როდესაც იმპერია ორ კეისარსა და ორი ავგუსტუსით იმართებოდა, რომის იმპერიას, ფაქტობრივად, რამოდენიმე დედაქალაქი გააჩნდა. პირველ რიგში, ეს განპირობებული იყო იმით, რომ იმპერატორები დიდ დროს იმპერიის საზღვრებზე ომების წარმოებას უთმობდნენ. ზუსტად ამ პერიოდში რომმა იმპერიის პოლიტიკური ცენტრის როლი დაკარგა.

გამარჯვებით დასრულდა, როდესაც ის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა (კემერონი, 1993: 15-20; ბარნსი, 1985: 126-130).

მიუხედავად იმისა, რომ იმპერია ისევ ერთპიროვნულად იმართებოდა, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ სამ კონტინენტზე (ევროპა, მახლობელი აღმოსავლეთი და აფრიკა) გადაჭიმული იმპერიის ერთი ცენტრიდან მართვა შეუძლებელი იყო. ამიტომაც, IV საუკუნის განმავლობაში, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც იმპერიას ერთდროულად ორი მმართველი გააჩნდა. ამის კარგი მაგალითია ძმები ვალენსის (364-378 წწ.) (აღმოსავლეთ რომის იმპერია) და ვალენტინიანეს (364-375 წწ.) (დასავლეთ რომის იმპერია) მმართველობა. შესაბამისად, 395 წელს თეოდოსიუსი I-ის მიერ იმპერიის ორ ნაწილად დაყოფა თავისი შვილებისთვის ჰონორიუსისთვის (დასავლეთ რომის იმპერია) და არკადიუსისთვის (აღმოსავლეთ რომის იმპერია) სიახლეს არ წარმოადგენდა (იხ. რუკა 1). მიზანი ამგვარი დაყოფის არა იმპერიის ერთიანობის მოშლა იყო, არამედ ქვეყნის საზღვრების ეფექტიანი თავდაცვის უზრუნველყოფა. თუმცა, ამჯერად (395 წლის შემდეგ) მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: ყოველ გასულ წელიწადთან ერთად სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა იმპერიის ორ ნაწილს შორის სულ უფრო მცირდებოდა (ლუტვაკი, 2009: 2-15).

ქრისტიანული იმპერია?

337 წელს, კონსტანტინეს გარდაცვალების პერიოდისთვის, მის მიერ დაარსებული ქალაქი კონსტანტინოპოლი არ იყო მთლიანად ქრისტიანული. იმდროინდელი წყაროების ნაწილის მიხედვით, ქალაქში წარმართობის ყველა ნიშანი განადგურებულ იქნა. თუმცა, მრავალი სხვა ცნობის მიხედვით, კონსტანტინეს დროს კონსტანტინოპოლში ორი წარმართული ტაძარიც კი აიგო. უფრო მეტიც, სავარაუდოდ, ეს იყო არა კონსტანტინე, არამედ მისი შვილი კონსტანციუს II (337-361 წწ.), რომელმაც ახალ დედაქალაქში წმინდა სოფიას ტაძარი ააშენა (დაგრონი, 1974: 39-55). კონსტანციუსი ღრმად რელიგიური პიროვნება იყო, თუმცა მის შემდეგ ტახტზე წარმართი იულიანე განდეგილის (361-363 წწ.) ასვლამ ცხადყო, რომ წარმართების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო არა მარტო იმპერიის რიგით მოსახლეობაში, არამედ საიმპერატორო კარისა და ქვეყნის ბიუროკრატიულ აპარატში. იულიანეს აღზევება აგრეთვე მიანიშნებდა იმაზეც, რომ ქრისტიანობის გამარჯვება ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო

გადაწყვეტილი, ხოლო იმპერიის ქალაქების ბიუროკრატიულ აპარატში მომსახურე წარმართული რელიგიის მიმდევრები (მაგალითად რომის სენატორები) წარმართობის აღორძინების უმთავრეს ბასტიონს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მთელი IV საუკუნე, განსაკუთრებით კი კონსტანტინე დიდის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი, შეიძლება დახასიათდეს როგორც ორ რელიგიას შორის მიმდინარე კონფლიქტი, რომელშიც ჯერ კიდევ არ იყო ნათელი თუ ვინ გაიმარჯვებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეკლესიების აგება მასშტაბურად მხოლოდ V საუკუნეში დაიწყო. IV-V საუკუნეებში ქრისტიანობა არ იყო თანაბრად გავრცელებული იმპერიის პროვინციებში და მას, ძირითადად, მეტი მიმდევარი იმპერიის ზღვისპირა ცენტრებში ჰყავდა. სოფლის მოსახლეობა კი, ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა წარმართული რელიგიის მიმდევარი (კემერონი, 1993: 20-26).

რაც არ უნდა ყოფილიყო იმპერატორ კონსტანტინეს გეგმებში, კონსტანტი-ნოპოლი IV საუკუნის განმავლობაში ნელნელა იმპერიის დედაქალაქად გადაიქ-ცა. რომის მსგავსად, ქალაქს საკუთარი სენატი და კონსულები გააჩნდა. უკვე IV საუკუნის მეორე ნახევარში მეტნაკლებად იდენტური ბიუროკრატიული აპარატები არსებობდა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ რომის იმპერიაში (კრაუტჰაიმერი, 1983: 55-65). თუმცა, რაც უფრო მეტი საგარეო საფრთხე უჩნდებოდა იმპერიის ორ ნაწილს ჩრდილოეთიდან გერმანული ხალხებისა და ნომადების სახით, V საუკუნის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიას უკეთ შეეძლო საკუთარი საზღვრების დაცვა და ნომადების შეკავება. უფრო მეტიც, აღმოსავლეთი ნაწილი, ნომადებთან ბრძოლების პარალელურად, ასევე ახერხებდა აღმოსავლეთში მძლავრი სასანური ირანის შეკავებას.

იმპერიის სტრატეგიული მდგომარეობა უარესდება

V საუკუნის დასაწყისისთვის, აღმოსავლეთ რომის იმპერია რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე იდგა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო დუნაის მიღმა მცხოვრები ბარბაროსებისგან მომდინარე საფრთხის განეიტრალება. ბარბაროსების საკითხთან აგრეთვე დაკავშირებული იყო ქრისტიანობის ერთერთი მიმდინარეობა – არიოზობა, რომელიც IV საუკუნეში ქალაქ ალექსანდრიაში მცხოვრები ბერის არიოზის სახელიდან მომდინარეობს. მისი სწავლების მიხედვით, ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის თანასწორი არ

იყო და მასში ადამიანური მხარე ჭარბობდა ღვთიურზე (კემერონი, 1993: 57-65). მიუხედავად იმისა, რომ 325 წელს ქალაქ ნიკეაში ჩატარებულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ ოფიციალურად დაგმო არიოზობა, IV საუკუნის განმავლობაში მას მრავალი მიმდევარი ჰყავდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე იმპერიის საზღვრებს გარეთაც. ასე, მაგალითად, გუთებში ქრისტიანობის არიოზული ვერსია გავრცელდა იმპერიიდან გაგზავნილი ბერი ულფილას მიერ IV საუკუნის შუა ხანებში (ჰევერი, 1991: 124-144). რაინისა და დუნაის მიღმა მცხოვრებ ბარბაროსებში ქრისტიანობის ორთოდოქსალური ვერსიის გავრცელება იყო ერთერთი საშუალება რითაც კონსტანტინოპოლს სურდა უზრუნველყო დუნაისპირეთის უსაფრთხოება. ზუსტად ამიტომ, არიოზობის გავრცელება გუთებში შეიძლება ნაწილობრივ იმპერიისთვის სტრატეგიულ მარცხადაც ჩაითვალოს.[8]

ამასთან ერთად, თეოდოსიუსის ვაჟები, ჰონორიუსი და არკადიუსი, 395 წლისთვის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ იმპერიის ნაწილების დამოუკიდებლად სამართავად და ადვილად ექცეოდნენ მათ გარშემო მყოფ ბარბაროსული წარმოშობის მქონე მინისტრების გავლენის ქვეშ. დასავლეთ ნაწილში ცნობილი იყო ვანდალი სტილიქო, ხოლო აღმოსავლეთში – რუფინუსი, ეუტროპიუსი და სხვები. არსებული რთული მდგომარეობის კარგი მაგალითია 400 წელს კონსტანტინოპოლში მომხდარი ამბავი, როდესაც გუთმა გაინასმა, რომელმაც აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარში მაღალ თანამდებობას მიაღწია, მოაწყო გადატრიალება და დროებით დედაქალაქიც კი დაიკავა (კემერონი, 1993: 33-40). საბოლოოდ, გაინასის დამარცხება მოხერხდა, მაგრამ ეს არ ცვლიდა არსებულ მდგომარეობას: იმპერიის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში, ბარბაროსთა წარმომავლობის მქონე პირებს მაღალი თანამდებობები ეკავათ იმპერიის ბიუროკრატიულ აპარატში. ამას ემატებოდა ისიც, რომ IV საუკუნის შუა პერიოდიდან იმპერიული ჯარი თითქმის მთლიანად ბარბაროსებისგან შედგებოდა (ტეინტერი, 1988: 128-152).

კონსტანტინოპოლში მმართველ კლასს ბარბაროს მეთაურებთან მიმართებაში ორი გამოსავალი ჰქონდა: 1. გაეგრძელებინა შემწყნარებლური

[8] თუმცა, როგორც ქვემოდ იმპერიის „ქრისტიანობის გეოპოლიტიკაზე“ საუბრისას იქნება ნაჩვენები უფრო ხშირად იმპერიის მმართველები არ ინტერესდებოდნენ თუ ქრისტიანობის რომელი ვერსია გავრცელდებოდა მეზობელ ხალხებში. შესაბამისად, გუთებთან მიმართებაში, არიოზობის გავრცელება კონსტანტინოპოლისთვის, გარკვეულწილად, ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ზოგადად, იმპერიისადმი ამ მტრულად განწყობილი ხალხის გაქრისტიანება საიმპერატორო კარისთვის საკმაოდ დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა.

პოლიტიკა ბიუროკრატულ აპარატში არსებული გერმანული ელემენტების მიმართ; 2. მთლიანად გაენადგურებინათ ისინი. არჩევანი ხშირად ბარბაროსთა განადგურებაზე კეთდებოდა. ასე, მაგალითად, 395 წელს ძლევამოსილი რუფინუსის, ხოლო 399 წელს კი, ეუტროპიუსის მოშორებით დასრულდა (კემერონი, 1993: 36-40).

ეხლა კი, რამოდენიმე ათწლეულით უკან დავბრუნდეთ. 376 წელს, ვალენსი შეეცადა მდინარე დუნაის გადაკვეთის შემდეგ იმპერიაში შემოსული ბარბაროსების პრობლემა გადაეწყვეტა მათი რომაულ მიწაზე როგორც ფედერატებად (*foederati* – ლათინურად მოკავშირეს ნიშნავს) დასახლებით. ამ პოლიტიკამ არ იმუშავა, რამაც იმპერია 378 წელს ქალაქ ადრიანოპოლთან დატრიალებულ კატასტროფამდე მიიყვანა (ლენსკი, 2002: 320-340).[9] ამის საპასუხოდ, რომაელები დაუბრუნდნენ ტრადიციულ პოლიტიკას – სუბსიდიების გადახდა ბარბაროსებისთვის მათი შემოსევების თავიდან ასაცილებლად. ასე, მაგალითად, გუთ ალარიხზე ამან მხოლოდ დროებითი შედეგი გამოიღო, რადგან მისი მეთაურობით ვესტგუთებმა 380-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ბალკანეთის დიდი ნაწილის დარბევა (ჰეევერი, 2006: 224-230). თუმცა, აღმოსავლეთ რომის იმპერიამ ამ კრიზისის დაძლევაც მოახერხა, როდესაც თეოდოსიუსმა 382 წელს ალარიხთან ვესთგუთების ბალკანეთიდან იტალიის მიმართულებით გასვლა შეათანხმა. სხვა სიტყვებით, ჩვენ მივადექით აღმოსავლეთ და დასავლეთ რომის იმპერიებს შორის არსებულ ფუნდამენტურ სხვაობას. კონსტანტინოპოლს უფრო დიდი ფინანსური რეზერვი გააჩნდა დასავლეთ რომის იმპერიასთან შედარებით და წარმატებულად მოახერხა ბარბაროს გენერლებისა და ჯარებისგან თავის დაღწევა (ლუტვაკი, 2009: 5-20).

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ IV საუკუნის ბოლოს რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე დაწყებული ბარბაროსთა შემოსევების ტალღა განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენდა კონსტანტინოპოლში მსხდომ მმართველებისთვის. რომაელი იმპერატორები, იქნებოდა ეს მარკუს ავრელიუსი II საუკუნეში, თუ აურელიანე 270-იან წლებში, მრავალი საუკუნის განმავლობაში ებრძოდნენ ჩრდილოელ ბარბაროსებს და შედარებით მარტივად ამარცხებდნენ მათ (ჰეევერი, 2009: 94-107). თუმცა, 370-იან წლებში დუნაისპირეთში ჰუნების გამოჩენამ თავდაყირა დააყენა არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა და

[9] ბრძოლაში რომაული ლაშქრის ძირითადი ნაწილები განადგურდა. დაღუპულებს შორის თვით იმპერატორი ვალენსიც იყო.

გუთები აიძულა 376 წელს ვალენსისთვის იმპერიის ბალკანურ ტერიტორიაზე დასახლების უფლება ეთხოვათ. 378 წელს ადრიანოპოლის ბრძოლამ და იმპერიული ჯარების მარცხმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა იმპერიის იმდროინდელ მაცხოვრებლებზე,[10] რომ თამამად შეიძლება ითქვას იმპერიასა და ბარბაროსთა შორის ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო. როგორც ზემოთ ითქვა, გუთებმა ადრიანოპოლის ბრძოლის შემდეგ დაიწყეს ბალკანური მიწების დარბევა და მხოლოდ 382 წელს მოხერხდა თეოდისი I მიერ გუთებთან ხელშეკრულების გაფორმება და მათვის დუნაის გასწვრივ და ბალკანეთის ნახელვარკუნძულზე ტერიტორიების საცხოვრებლად გადაცემა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰუნების გამოჩენამ ხელი შეუწყო დასავლეთ რომის იმპერიის დასუსტებას და 470-იან წლებში მის საბოლოო განადგურებას. ჰუნების შემოსევებმა გამოიწვია ე. წ. „დომინოს პრინციპი“, როდესაც 405 წელს მდინარე რაინის მიღმა არსებული ტერიტორიებიდან დასავლეთ იმპერიას ბარბაროსთა დიდი რაოდენობა შეესია. სტილიქომ თავდაპირველად მოახერხა მათი დამარცხება, თუმცა ამან ვერ შეცვალა საერთო მდგომარეობა. 406 წელს კი, ჩვენ მეორე დიდი შემოსევის მოწმენი გავხდით – ამჯერად ალანების და ვანდალების მეთაურობით რომაულ გალიაში (გოფარტი, 1980: 112-145).

ამ შემოსევების შედეგი იყო V საუკუნის განმავლობაში დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე ბარბაროსთა სამეფოების დაარსება. ვანდალები 430-იან წლებში ჩრდილოეთ აფრიკაში დასახლდნენ. თუმცა, სხვა ბარბაროსულ სამეფოებისგან განსხვავებით, ვანდალთა სახელმწიფოს არსებობა ერთ საუკუნეზე ცოტათი მეტ ხანს გაგრძელდა – V საუკუნის 30-იან წლებამდე (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BV.* III. I-XII). 530-იანი წლებიდან VII საუკუნის შუა ხანაში არაბების გამოჩენამდე, ჩრდილოეთ აფრიკა აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა (იხ. რუკა 2).

490 წელს, ოსტგუთებმა თეოდორიხის მეთაურობით აპენინის ნახევარკუნძული დაიკავეს, რითაც საფუძველი ჩაეყარა ოსტგუთთა სამეფოს (490-554 წწ.). ვანდალთა სამეფოს მსგავსად, ოსტგუთთა სახელმწიფოც, 554 წელს, დაახლოებით ოცწლიანი ომის შემდეგ, იუსტინიანეს ჯარების მიერ განადგურდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ აფრიკისგან განსხვავებით, 568 წელს, ლანგობარდების მიერ ჩრდილოეთ იტალიაში დაწყებულმა შემოსევებმა

[10] მაგალითად, IV საუკუნის ისტორიკოსი ამიანე მარცელინე თავის ნაშრომს *Res Gestae* 378 წელს დატრიალებული კატასტროფის აღწერით ასრულებს.

ბიზანტიას ამ რეგიონზე კონტროლი დააკარგვინა და ამიერიდან კონსტანტინოპოლის გავლენა მხოლოდ დედაქალაქ რავენის გარშემო არსებულ საეგზარქოზე ვრცელდებოდა (იხ. რუკა 2).[11]

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოსტგუთების სახელმწიფოს ბევრი მსგავსება გააჩნდა ძველ რომაულ საიმპერიო წარსულთან. ასე, მაგალითად, არისტოკრატული რომაული ოჯახების უმრავლესობამ შეინარჩუნა მაღალი თანამდებობები ახალი რეჟიმის არსებობის პირობებში. მიუხედავად რთული V საუკუნისა, სენატმა და კონსულებმა[12] მოახერხეს თავისი ფუნქციები შეენარ-ჩუნებინათ. რომაულმა ელიტამ მოახერხა ახლადჩამოყალიბებულ ოსტგუთურ ელიტასტან თანაცხოვრება (კემერონი, 1993: 176-186). ამ მხრივ, თვალსაჩინოა კასიოდორეს, სიმაქუსისა და ბოეტიუსის მაგალითები. სამივე პიროვნებას ოსტგუთების ბიუროკრატიულ აპარატში მაღალი თანამდებობები ეკავა და დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ბოეტიუსის ორი ვაჟი კონსულებად იყვნენ დანიშნულები, ხოლო თვითონ ბოეტიუსი კი თეოდორიხის *magister officiorum*-ი[13] იყო (ჰალდონი, 2006: 41). თუმცა, VI საუკუნის 20-იანი წლების და-საწყისში თეოდორიხს რომაულ ელიტასტან ურთიერთობა დაეძაბა, რაც 523-524 წლებში სიმაქუსისა და ბოეტიუსის სიკვდილით დასრულდა (კემერონი, 1993: 176-186).

პირობითად, შუა საუკუნეები დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე ბარბაროსული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით იწყება. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ახლადშექმნილ ბარბაროსულ სახელმწიფოებში ბევრი მსგავსება არსებობდა რომაულ პერიოდთან. მაგალითად, არქეოლოგიური მონაცემები, მეტყველებს იმაზე, რომ V-VI საუკუნეებში ვაჭრობა და მოგზაურობა არ შეწყვეტილა მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ასევე, ამ პერიოდში დასახლებების დაგეგმარებაში მიმდინარე ცვლილებები მხოლოდ დასავლეთ რომის იმპერიით არ იყო შემოფარგლული, არამედ აგრეთვე დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის აზიური პროვინციებისთვის. შესაბამისად, დასავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარე პროცესების აღმოსავლეთ ნაწილისაგან

---

[11] ზოგადად, ლანგობარდების შემოსევების შედეგად ვითარება მთელ იტალიაში საკმაოდ ქაოტური იყო. არ არის გასაკვირი, რომ ზუსტად ამ პერიოდში მოიპოვა პაპობამ უზარმზარი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა. ამ მხრივ აღსანიშნავია რომის პაპ გრეგორი დიდის მოღვაწეობა 590-604 წლებში (ლოზუნსკი, 1986: 36-55).

[12] კონსულობა ოსტგუთთა სამოფოში გაუქმებულ იქნა თვით იუსტინიანეს მიერ 541 წელს.

[13] უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა გვიან ანტიკური პერიოდის ბიზანტიურ იმპერიაში.

განცალკევებულად განხილვა არასწორი იქნება. ბარბაროსულმა სამეფოებმა შეინარჩუნეს მრავალი რომაული სახელმწიფო ინსტიტუტი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ კონსტანტინოპოლთან. იქ მსხდომ იმპერატორს აღიარებდნენ როგორც ერთადერთს (პოლი, 2006; 449), რის სანაცვლოდაც იმპერიულ აღიარებას და მნიშვნელოვან ტიტულებს იღებდნენ (ბერი, 1928: 322-350). რომაულ კანონმდებლობასთან პარალელურად არსებობდა ბარბაროსული კანონები. ასეთი ვითარება გვხვდება ვესტგუთებთან, ოსტგუთებთან, ფრანკებთან და ა. შ.[14]

დასავლეთ რომის იმპერიაში ცენტრალიზებული საგადახადო სისტემის განადგურებამ ხელი შეუწყო არსებული პოლიტიკური სისტემის რღვევას. ნაკლები შემოსავალი კი პირდაპირ გავლენას ახდენდა იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე ბარბაროსების მიმართ. ყოველთვიური თუ ყოველწლიური თანხების გადახდა მიღებული საგარეო პოლიტიკური ხერხი იყო ჩრდილოეთიდან მოსული მტრის მოსაგერიებლად. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ დასავლეთ ნაწილისგან განსხვავებით შეინარჩუნა საგადახადო სისტემა, რამაც გავლენა იქონია იმპერიის პოტენციალზე ბარბაროსებისთვის ფული გადაეხადა, მათთან ომის თავიდან ასარიდებლად (ჰალსალი, 2007: 115-155). გვიანი ანტიკური პერიოდის ისტორიკოსები მეზობელი ხალხებისთვის ფულის გადახდას უარყოფითად უყურებდნენ და ხშირად ამ ფაქტორს იყენებდნენ ამა თუ იმ მმართველის გასაკიცხად (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *Anecdota*. 19). რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო კრიტიკა, ფულის გადახდა უცხო ხალხებისთვის რომაელებში/ბიზანტიელებში საკმაოდ ფართოდ მიღებულ დიპლომატიურ ხრიკს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, 531 და 562 წლებში დადებული ზავების მიხედვით ბიზანტია დიდ თანხებს უხდიდა სასანურ ირანს.

და მაინც რჩება რამოდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა: სად იყო იმპერიული ჯარი და რა ბედი ეწია მას? რატომ ვერ მოხერხდა ბარბაროსების შეკავება რაინსა და დუნასპირეთში? გვიანი ანტიკური პერიოდის წყაროები ბარბაროსთა შემოსევების წარმატებას ერთი მთავარი მიზეზით ხსნიან: სასაზღვრო სისტემის გამიზნული დასუსტებით, რომელიც ისტორიკოსმა ზოსიმემ კონსტანინე დიდის მოღვაწეობას დაუკავშირა. ისტორიკოსი გვიამბობს, რომ კონსტანტინემ, ერთპი-

[14] საკუთრივ ის ფაქტი, რომ ბარბაროსთა სამოფოების ნაწილი არიოზული ქრისტიანობის მიმდევარი იყო. მოგვიანებით, VI საუკუნის შუა ხანაში იმპერიულმა პროპაგანდამ ორთოდოქსი იუსტინიანეს მეთაურობით მარჯვედ გამოიყენა ეს ფაქტი ვანდალთა და ოსტგუთთა სამეფოების წანააღმდეგ ომის დასაწყებათ (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BV*. 1.5.8-9).

როვნულ მმართველად გახდომის შემდეგ, უარი თქვა იმპერიის ჩრდილოეთით, რაინისა და დუნაის გასწვრივ დიოკლეტიანეს მიერ დაყენებული საჯარისო შენაერთების შენარჩუნებაზე და ისინი ქვეყნის შიდა რეგიონებში განალაგა.[15] ზუსტად ამ, იმპერიის შიდა ტერიტორიებში განლაგებულ საჯარისო შენაერთებს, ისტორიკოსები უწოდებენ როგორც *comitatenses*-ი. ამასთან ერთად, ბევრ იმდროინდელ ისტორიულ წაყროებში რომაელი ჯარისკაცები ხშირად არადისციპლინირებულობაში იყვნენ დადანაშაულებულნი. *Comitatenses*-თან ერთად საზღვრებზე განლაგებული იყვნენ ნახევრად გლეხებად გადაქცეული რომაელი ჯარისკაცები – *limitanei*-ები.[16] (კემერონი, 1993: 49-50).

მიუხედავად იმისა, რომ IV საუკუნის ბოლოსა და მთელი V საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბარბაროსული შემოსევების წარმატება უნდა აიხსნას მრავალი მიზეზით, იქნება ეს იმპერიის შიდა სოციალური თუ ეკონომიკური, სამხედრო პრობლემები – ამ პერიოდში რომაული ჯარის მდგომარეობა და მისი წარუმატებლობა მტრის შეკავებაში – წარმოადგენდეს უმთავრეს ფაქტორს დასავლეთ რომის იმპერიის დაცემაში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილის გადარჩენაში.

IV-V საუკუნეების რომაულმა ჯარმა, წინა იმპერიულ ხანასთან შედარებით, რამოდენიმე ფუნდამენტური ცვლილება განიცადა. მაგალითად, საჯარისო შენაერთები აღარ იყო განლაგებული უშუალოდ საზღვრების გასწვრივ, არამედ, შედარებით, იმპერიის შიგნით, დიდ ქალაქებთან ახლოს. ამისთვის კი მრავალი მიზეზი არსებობდა. ერთერთი ის არის, რომ IV საუკუნეში ბარბარიკუმში ახალი მტრები გამოჩნდნენ, რამაც კონსტანტინე დიდი სასაზღვრო თავდაცვითი სტრატეგიის გადახედვა აიძულა. თუმცა, არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებიც. ასე, მაგლითად, IV საუკუნის შუა პერიოდიდან დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს რეფორმების შედეგად იმპერიულ ჯარს უხდიდნენ როგორც ნატურალური, ასევე ფულადი სახით. შესაბამისად, იმპერიული ჯარის საზღვრებიდან ქვეყნის შიდა რეგიონებში, მსხვილ საცხოვრებელ ცენტრებთან გადატანა ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. მრავალი წყაროს მიხედვით, დიოკლეტიანეს ეკუთვნის სასაზღვრო სისტემების

[15] IV საუკუნის შუა ხანებში დაწერილი ანონიმური ნაშრომის *De Rebus Bellicis*-ის ავტორიც (მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკისთა უმეტესობა არ ენდობა მასში დაცულ ცნობებს) აგრეთვე მიუნიშნებს საზღვრების დავდაცვითუნარიანობის დაქვეითებაზე, პირველ რიგში ჯარების დუნაისა და რაინისპირეთიდან სამხრეთით, ქვეყნის შიგნით გადატანით (თომფსონი, 1979).

[16] *Limitanei*-ები წყაროებში ჩნდებიან IV საუკუნის ბოლოდან.

გაძლიერება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მის დროს უკანა-ხაზზე-თავდაცვის ჩამოყალიბებამ (ლუტვაკი, 1976: 127-155), თავის მხრივ, ხელი შეუწყო რომის ჯარის სტრუქტურულ ცვლილებას. კლასიკური რომაული ლეგიონის წევრთა რაოდენობა შემცირდა (ლუტვაკი, 1976: 127-155). თუმცა, უკეთესი იქნება განვიხილოთ ცვლილებები რომაულ ჯარში როგორც ევოლუცია, რომელიც მიესადაგებოდა იმპერიის შიგნით განვითარებულ პროცესებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იმპერიის საზღვრების გასწვრივ აღმოცენებულ ახალ საფრთხეებს – გერმანული ტომები, მომთაბარე ჰუნები და მძლავრი სასანური ირანი აღმოსავლეთიდან.

IV საუკუნის რომაული ჯარის მთავარი მახასიათებელი იყო მისი შემადგენლობა, რომელიც თითქმის მთლიანად ბარბაროსებისგან შედგებოდა. ბარბაროსები რომაულ ჯარში მსახურობდნენ როგორც ფედერატი *foederati* – მოკავშირე – მეომრები (იქნება ეს ტომობრივი გაერთიანების თუ ინდივიდუალური დაქირავებული მეომრის სახით). იმპერია ვალდებული იყო ფედერატებისთვის სპეციალური გადასახადი *annona* გადაეხადა ან გაეკეთებინა ყოველივე ეს ფულადი სახით. *Annona* წარმოადგენდა იმპერიული საგადახადო სისტემით ჯარისთვის მარცვლეულის გადანაწილებას (ლი, 2006; 116-125).

ადრე იმპერიულ ხანაშიც ბარბაროსი მოლაშქრეების რომის ჯარში ფედერატების სახით აყვანა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. მაგრამ, IV-V საუკუნეებში ფედერატების შენაერთები ძირითადად უკვე იმპერიის შიგნით მცხოვრები ბარბაროსებისგან მომდინარეობდნენ, რაც მოწმობს იმაზე თუ რაოდენ დიდი იყო ამ უკანასკნელების რაოდენობა უკვე იმპერიის საზღვრებს შიგნით. ამასთან ერთად, თუ I-II საუკუნეებში რომაულ ჯარში ფედერატების რიცხვი მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდა, IV საუკუნიდან იმპერიული ჯარი „გაბარბაროსდა“. თუმცა, ვარაუდი, რომ V საუკუნეში იმპერიის ჯარის წარუმატებლობა რაინსა და დუნაისპირას მტრის მოგერიებაში უნდა აიხსნას იმით, რომ რიგითი რომაელი კი აღარ იბრძოდა საკუთარი იმპერიისთვის, არამედ დაქირავებული უცხოელი, არ არის მართებული. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დაქირავებული ბარბაროსები იმ ტომებს წარმოადგენდნენ, რომელთაც იმპერია ებრძოდა რაინისა და დუნაისპირეთში. თუმცა, წერილობითი წყაროები ამ მოსაზრებას არა თუ არ ამტკიცებენ, არამედ პირიქით, ხშირია მონაცემები იმის შესახებ, რომ ფედერატი და დაქირავებული ბარბაროსი მეომრები უფრო მეტად გამოირჩეოდნენ საბრძოლო მოქმედებებში

ვიდრე რომაელები. მაგალითების მოყვანა ჯარის ქვედა ეშელონში მყოფ ჯარისკაცებზე წერილობითი წყაროების სიმწირის გამო შეუძლებელია, თუმცა IV საუკუნის ბოლოსა და თითქმის მთელი V საუკუნის განმავლობაში ჩვენ გვხვდება ისეთი პიროვნებები, როგორიც არის რიციმერი, სტილიქო, ოდოაკრი და მრავალი სხვა (კემერონი, 1993, 40-48). ამ ადამიანების ბიოგრაფიიდან, მათი წარმოშობიდან დაწყებული თუ მათი დასავლეთ თუ აღმოსავლეთ რომის იმპერიებში დაკავებული პოზიციებიდან გამომდინარე, რთულია იმის მტკიცება, რომ რომის ჯარში მომსახურე ბარბაროსები ნაკლებად ლოიალურნი იყვნენ რომაელებზე. რომის ჯარში ბარბაროსების სახელები ხშირად არის ნახსენები ამიანე მარცელინეს ნაშრომში *Res Gestae* (გრეიტრექსი, 2006: 99-109) და ავტორი არც ერთხელ არ მიუთითებს იმპერიულ ჯარში ბარბაროსი მეომრების არალოიალურობაზე. იმპერიულ ჯარში ბარბაროსები სხვადასხვა სტატუსის მატარებლები იყვნენ. ჩვენ უკვე ვახსენეთ ფედერატები. ამასთან ერთად, ხშირად გვხვდებიან *laeti* და *gentiles*. ორივე ტერმინი მიეკუთვნება იმპერიულ მიწაზე დასახლებულ ბარბაროსთა იმ ჯგუფებს, რომელთაც ევალებოდათ რომის ჯარში მსახური. იყო კიდევ ერთი სტატუსი – *dediticii* – ომის ტყვეები, იმპერიის საზღვრებს გარეთ შეპყრობილი ბარბაროსები (გრეიტრექსი, 2006: 99-109).

ბოლომდე გარკვეული არაა, თუ რატომ მოხდა იმპერიის თავდაცვისუნარიანობის გადაბმა ბარბაროსებზე. მრავალი სავარაუდო მიზეზი შეიძლება გამოითქვას, დაწყებული მოსახლეობის შემცირებიდან, დამთავრებული იმით, რომ ცალკე აღებული ბარბაროსის ბრძოლისუნარიანობა უფრო მაღალი იყო ვიდრე რიგითი რომაელი ჯარისკაცის. თუმცა, ბიზანტიის ჯარის „ბარბარიზაციის“ პროცესში ამ მიზეზების უმთავრეს ფაქტორებად განხილვა არ იქნება მთლიანად გამართლებული ცნობების სიმწირის გამო. ხოლო, რაც დანამდვილებით ცნობილია არის ის, რომ ბარბაროსები იმპერიაში სახლდებოდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობით და მათი გამოყენება ყველაზე ეფექტიანად ზუსტად იმპერიულ ჯარში იქნებოდა (ჰევერი, 2006: 145-150). ამასთან ერთად, რომაელ გლეხებთან შედარებით ბარბარსთა ჯარში გაწვევა უფრო მარტივი იყო. გლეხების გაწვევას ეწინააღმდეგდებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომელთა გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა V საუკუნეში.

ჩვენ განვიხილეთ ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომელიც არსებობდა იმპერიის შიგნით და რამაც, თავისმხრივ ხელი შეუწყო რომის

ჯარის წარუმატებლობას საგარეო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ, რჩება მთავარი კითხვა: რა რაოდენობის იყო რომაული ჯარი? *Notitia Dignitatum*-ის მიხედვით (ნოტიცია დიგნიტატუმი, 1962: 12-24), რომელიც მიმოიხილავს საჯარისო შენაერთებს მთელი იმპერიის მასშტაბით გვიან IV-სა და ადრეულ V საუკუნეში, რომის იმპერიული ჯარი 395 წლისთვის დაახლოებით 400,000 ადამიანი უნდა ყოფილიყო. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ლიდიელი ახსენებს 435,000 ადამიანს (იოანე ლიდიელი, 1898: I.27). მოგვიანებით, აგათია წერს 645,000-იანი იმპერიული ჯარის შესახებ (აგათია, 1975: V.13). როგორც აგათია თვითონ აღნიშნავს, ეს ბოლო რიცხვი გადაჭარბებული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ქაღალადზე არსებული 645,000-იანი ჯარისა, *Notitia Dignitatum*-ის მიხედვით, ბრძოლისუნარიან ნაწილს მხოლოდ 150 000 წარმოადგენდა (ნოტიცია დიგნიტატუმი, 1962: 12-24). ეს ბოლო რიცხვი, თავის მხრივ, მეორე უკიდურესობას წარმოადგენს და რთულია იმის წარმოდგენა, რომ ერთიანი იმპერიის პირობებში რამოდენიმე ათას კილომეტრზე გადაჭიმული საზღვრების თავდაცვას, შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, მხოლოდ 150,000 ადამიანი შეძლებდა. თუმცა, მომდევნო საუკუნეების ბიზანტიის ისტორიდან მრავალი მაგალითი მოგვეპოვება, როდესაც მცირე საჯარისო შენაერთები ახდენდნენ ვრცელი ტერიტორიების დაპყრობას. ასე, მაგალითად, ბელისარიუსს 15,000 ჯარისკაცი ჰყოფნიდა ჩრდილოეთ აფრიკის დასაპყრობათ, ხოლო ცოტათი მეტი – იტალიის დასალაშქრათ (ლი, 2006: 115-120).

მიუხედავად იმისა, რომ IV საუკუნეში იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრის შესახებ საკმაოდ მწირი წერილობითი მასალა მოგვეპოვება, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, იმპერიას ჩამოყალიბებული ჰქონდა უკანა-ხაზზე-თავდაცვა. ამ დავდაცვით სისტემაში იგულისხმება სამხედრო ინსტალაციების მთელი რიგი, რომელიც შედგებოდა სადარაჯო კოშკების, საწყობებისა და მნიშვნელოვან გზებზე მცირე და დიდი ზომის სიმაგრეებისაგან. დიოკლეტიანეს მმართელობიდან მოყოლებული, ეს სისტემა გალიის ჩრდილოეთიდან, რაინის და დუნაის გასწვრივ, შავ ზღვამდე აღწევდა და საკმაოდ ეფექტიანი იყო ჩრდილოეთიდან მოსული მტრის შეკავებაში (ლუტვაკი, 1976: 123-166). ვითარება კარდინალურად შეიცვალა 370-იანი წლების ბოლოს ჰუნების გამოჩენით. V საუკუნის დასაწყისიდან ნათელი გახდა, რომ ბარბაროსთა შეკავება შეუძლებელი იყო. ამიტომაც, თავდაცვითი ზომები განსხვავდებოდა და მიესადაგებოდა ცალკეულ მტერს მისი საბრძოლო შესაძლებლობების და

ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. ასე, თავდაცვითი ხაზი გალიაში არაეფექტიანი გამოდგა ისევე, როგორც ე. წ. *fossatum Africae* ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალთა შემოსევებისგან (ლუტვაკი, 2009: 3-15). აღმოსავლეთით, სადაც შავი ზღვიდან სამხრეთით, სინაის ნახევარკუნძულამდე, ერთიანი თავდაცვითი ხაზი არ არსებობდა, ჩრდილოელ ბარბაროსებთან შედარებით, მეტად აგრესიული სასანური ირანი, რომის იმპერიას ფუნდამენტურად განსხვავებულ საფრთხეს უქმნიდა. სხვა სიტყვებით, ადრეული რომის იმპერიის პერიოდში არსებული თავდაცვითი სისტემების ეფექტიანობა პირველ რიგში გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი საფრთხის არარსებობით. პართიის იმპერია აღმოსავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ რომაელთა წარმოსახვაში საკმაოდ დიდი სამხედრო ძალა იყო, არ წარმოადგენდა ფუნდამენტურ საფრთხეს რომის აღმოსავლური პროვინციებისთვის. ხოლო, რაინისა და დუნაის გადაღმა, III საუკუნეში გუთების გამოჩენამდე, მცხოვრები ტომები კი მარტივად ექვემდებარებოდნენ ბიზანტიის როგორც სამხედრო, ასევე დიპლომატიურ გავლენას.

ბოლოს დავამატებდით, რომ 395 წელს იმპერიაში დაწყებული კრიზისი, რომელიც მის ორ ნაწილად დაყოფით და შემდეგ, V საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთ ნაწილის განადგურებით დასრულდა, არ იყო განპირობებული მხოლოდ ბარბაროსთა შემოსევებით. მთლიანად რომის იმპერია და განსაკუთრებულად კი დასავლეთ ნაწილი ბარბაროსთა დასახლების პუნქტად იყო გადაქცეული უკვე საუკუნეების განმავლობაში. როგორც ჩანს, მათი რაოდენობა იმდენად დიდი იყო (განსაკუთრებულად საზღვრისპირა რეგიონებში), რომ იმპერიული ჯარი 3/4 შედგებოდა უცხოური კონტინგენტებისგან (ვიტბი, 2008: 300-307). იმპერიის შიგნით არსებულ სოციალურ პრობლემებზე, აგრეთვე, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბარბაროსებმა მოახერხეს იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის უმაღლეს თანამდებობებზე დანიშნულიყვნენ. ჩვენთვის უცნობია ის მიზეზები, თუ რატომ მოედინებოდნენ ჩრდილოეთიდან ბარბაროსი ტომები რომის იმპერიის ტერიტორიისკენ, მაგრამ ნათელია ისიც, რომ ეს პროცესი არ დაწყებულა IV საუკუნის ბოლოს, არამედ მშვდობიანი მიგრაციის სახით უკვე რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდაპირველად, ეს პრობლემები დამახასიათებელი იყო იმპერიის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილებისათვის, თუმცა კონსტანტინოპოლმა რომთან შედარებით მოახერხა სახელმწიფო სტრუქტურების

შენარჩუნება და ჯარში უმაღლეს თანამდებობებზე ბარბაროსთა ჰეგემონობისგან თავის დაღწევა. ხოლო, თუ როგორ მოახერხა კონსტანტინოპოლმა ამის გაკეთება, ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბიზანტიური სტრატეგიის აღმოცენება

გვიანი ანტიკური ხანის ბიზანტიის იმპერიის მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ იმპერიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არასახარბიელო იყო, ხოლო საზღვრები რომელიც, გადაჭიმული იყო რამოდენიმე ათას კილომეტრზე, არ წარმოადგენდა საკმარის დაბრკოლებას მათ გარეთ არსებული მტრებისათვის რეიდები, ხშირ შემთხვევაში კი, სრულმასშტაბიანი შემოსევები განეხორციელებინათ (ლი, 2008: 33-51; ლუტვაკი, 2009: 5-25). მტრებთან ეფექტიანად გამკვლავებისთვის კონსტანტინოპოლი სხვადასხვა თავდაცვით სამხედრო სტრატეგიას მიმართავდა, რომელიც უშუალოდ ერგებოდა ამ თუ იმ საგარეო მოწინააღმდეგეს და საზღვარზე არსებულ გეოგრაფიულ პირობებს.

მდინარეები რაინი და დუნაი, რომლებიც იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენდნენ, დიდ გეოგრაფიულ ზღუდეს არ ქმნიდნენ ბარბაროსი ტომებისთვის რეიდები განეხორციელებინათ გალიის, პანონიისა და იმპერიის სხვა მდიდარი საზღვრისპირა პროვინციების ქალაქების დასალაშქრად. რომაელები იძულებული იყვნენ ამ საზღვრის მთელ გაყოლებაზე გარნიზონები განელაგებინათ და თავდაცვითი კედელი – *limes*-ი – აღემართად. IV საუკუნიდან მოყოლებული და იმპერიის 395 წელს დაყოფის შემდეგაც კი, რომაელები/ბიზანტიელები ჩრდილოეთიდან პერმანენტული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ გუთების, ალანების, ჰუნების, ავარების, სლავების და სხვა გერმანული თუ ნომადური (მომთაბარული) წარმომავლობის ხალხებისგან. მიუხედავად ამისა, რომს ჩრდილოეთ საზღვარზე გააჩნდა წარმტებული თავდაცვისთვის საჭირო ტერიტორიული სიღრმე: იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხორციელდებოდა მტრის შეჩერება უშუალოდ საზღვარზე, ხდებოდა მისი ქვეყნის შიგნით შეყვანა და იქ არსებულ ციხე-სიმაგრეებში განლაგებული ჯარებით მტრისთვის ალყის შემორტყმა და მისი განადგურება. ბიზანტიელი იმპერატორები ამას აკეთებდნენ ჰუნებთან მიმართებაში, როდესაც ატილას ჯარები თითქმის დედაქალაქამდე, კონსტანტინოპოლამდე აღწევდნენ, თუმცა იძულებულნი იყვნენ უკან დუნაის ჩრდილოეთით დაეხიათ.

რომის სამხრეთი საზღვარი აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთის

გაყოლებაზე ერთ ბუნებრივ ზონაში – უდაბნოში – გადიოდა. მაროკოდან ეგვიპტეს საზღვრამდე რომის პროვინციები ტრიპოლიტანია, ბიზაცენა, თუ ნუმიდია აფრიკული ტომების თავდასხმების სამიზნეს წარმოადგენდა. თუმცა, იქნებოდნენ IV საუკუნის 60-იან წლებში აუსტორიანელები, თუ პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ბერბერები (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BV.* III.X.2-7), რომის აფრიკული საზღვარი საუკუნეების მანძილზე ცენტრალურ ხელისუფლებას მნიშვნელოვან პრობლემებს არ უქმნიდა. სამხედრო განვითარების დაბალ დონეზე მდგომი აფრიკული ტომებისგან მომდინარე საფრთხე მხოლოდ მცირემასშტაბიანი რეიდებით იფარგლებოდა, რომელთა მოგერიება ადვილად ხდებოდა წინა-ხაზზე-თავდაცვით, რადგან არ არსებობდა საკმარისი ტერიტორიული სიღრმე.

III საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, რომს აღმოსავლეთით, შავი ზღვიდან მოყოლებული ჩრდილოეთ მესოპოტამიამდე საზღვრის მონაკვეთზე, ყველაზე დიდი მტერი ჰყავდა სასანური ირანის სახით (იხ. რუკა 2). არდაშირ I-ის (224-240 წწ.) მიერ განხორციელებული რევოლუცია არ შემოიფარგლებდა მხოლოდ ქვეყნის შიგნიდ არშაკიდების ჩამოგდებით. 224 წლიდან არდაშირის მემკვიდრის შაპურ I-ის (240-272 წწ.) მმართველობის დასრულებამდე სასანიანებმა მოახერხეს რომაელებისთვის წარმოუდგენელი რამ: სირიისა და ჩრდილოეთ მესოპატამიის დალაშქვრა. თუ პართელები რომთან მიმართებაში უფრო თავდაცვით პოლიტიკას ატარებდნენ და არ გადაულახიათ იმპერიებს შორის არსებული პირობითი საზღვარი – ევფრატი, არდაშირმა აიღო მესოპოტამიაში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქები: ჩრდილოეთით – კარა და ნიზიბისი, ხოლო სამხრეთით – ჰატრა. აგრეთვე, მაღალი სამხედრო ტექნოლოგიების მეშვეობით სასანიანები ისეთ ქალაქებს იღებდნენ, როგორიც იყო ანტიოქია, ედესა, ამიდა და სხვა (დიგნასი, 2007: 15-29). მაგრამ სასანიანების ეს რევოლუცია რომზე მხოლოდ საზღვრის ამ მონაკვეთით არ შემოიფარგლებოდა. ძალთა ბალანსი შეიცვალა სირიის უდაბნოში და სამხრეთ კავკასიაშიც. რომს სასანიანებთან მიმართებაში გააჩნდა ტერიტორიული სიღრმე მცირე აზიის სახით, თუმცა ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან სამხედრო გზები უმეტესწილად მდიდარ და ურბანიზებულ სირიისა და პალესტინის მიმართულებით მიდიოდა. შესაბამისად, რომაელები დავდაცვას უფრო საზღვარზე განლაგებული ციხე-სიმაგრეების გამაგრებით და მტრის ქვეყნის შიგნით მხოლოდ მცირე მანძილზე შემოშვებით ახორციელებდნენ.

მაღალდისციპლინირებული ჯარი და მცირე, თუმცა ეფექტიანი ფლოტი, საკმარისი იყო ხმელთაშუა ზღვის გარშემო მცხოვრები იმპერიის მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის. რა თქმა უნდა, IV-VII საუკუნეების რომის ჯარი არ წარმოადგენდა იმ ჯარის კლასიკურ მაგალითს, რომლითაც კეისარი გალიას იპყრობდა და კრასუსი პართელებთან იბრძოდა. კლასიკური 5,000 კაციანი ლეგიონები უფრო მცირე ნაწილებად იყვნენ დაყოფილნი, საზღვრებს *limitanei*-ები იცავდნენ ხოლო მათ უკან იმპერიის სამი ძირითადი საზღვრის რაინის, დუნაის და ევფრატის უკან განლაგებული იყო სავარაუდოდ კონსტანტინე I დროს ჩამოყალიბებული მობილური საველე ჯარები – *comitatenses*-ი. გვიანი რომის იმპერიის ჯარის რაოდენობაზე მრავალი თეორია არსეობობს. თუ ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში იმპერიას 30, 5,000-კაციანი ლეგიონი იცავდა (ანუ 150,000 ჯარისკაცი) და დაახლოებით ამავე რაოდენობის დამხმარე ჯარები (*auxiliae*) (ჯამში 300,000 ჯარისკაცი), გვიანი იმპერიის ხანაში ჯარის რაოდენობა სხვადასხვა კვლევების მიხედვით მერყეობს 400,000-დან 600,000 ჯარისკაცამდე (ჰეეერი, 2006: 62-64; ლი, 2006: 113-132).

395 წელს ერთიანი რომის იმპერიის დაყოფის შედეგად ჩამოყალიბებულ ორ იმპერიულ ნაწილს განვითარების სხვადასხვა გზა ჰქონდათ. დასავლეთ რომის იმპერია, დაცული გერმანული წარმოშობის მთავარსარდლების მიერ, რომელთა განკარგულებაში უმეტესწილად გერმანელი მიგრანტებისგან შემდგარი ჯარები იმყოფებოდა, V საუკუნეში სრულმასშტაბიანი ბარბაროსული შემოსევების წნეხის ქვეშ მსხვილ ტერიტორიულ ფრაგმენტაციას განიცდიდა. მდიდარ გალურ და აფრიკულ მიწებზე ტეროტორიული კონტროლის დაკარგვას მოჰყვებოდა გადასახადებისგან მიღებული შემოსავლის დაკარგვა და სამხედრო სისტემის მოშლა. შესაბამისად, 476 წლის 4 სექტემბერს რომულუს ავგუსტულუსის ტახტიდან მოშორება უფრო ფორმალობას წარმოადგენდა ვიდრე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას (პოლი, 2006: 448-465).

განსხვავებული ბედი ეწია აღმოსავლეთ რომის იმპერიას. გერმანული ტომების ნაწილობრივ განადგურებით, ნაწილობრივ კი სხვა ტეროტორიებზე მოშორებით (როგორც ეს მოხდა იმპერატორ თეოდოსიუს I-ის მმართველობაში ალარიხთან მიმართებაში), ხოლო 440-იან წლებში ატილას მიერ შექმნილი კრიზისის გადატანის შემდეგ, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ყალიბდებოდა ახალი სტრატეგიული მეთოდი, რომლის გამოყენებით კონსტანტინოპოლი

წარმატებით ახერხებდა მომთაბარე ტომების და სხვა მტრების უკუგდებას მომდევნო საუკუნეების განმავლობაში. ისევ და ესევ, აღმოსავლეთ რომის იმპერიას თავს ესხმოდნენ ახალი მომთაბარე ხალხები ევრაზიის სტეპებიდან და აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, სასანური ირანი. ამონაკლისს მხოლოდ VII საუკუნე წარმოადგენს, როდესაც მთელი მახლობელი აღმოსავლეთი მოექცა არაბული მმრთველობის ქვეშ, ხოლო არაბული ფლოტი კონსტანტინოპოლთან იდგა. თუმცა, აქაც, იმპერია არ დაცემულა, როგორც სასანური ირანი და გააგრძელა თავისი არსებობა 1204 წლამდე.

როდესაც რომის იმპერია ერთიანი იყო, მძლავრი სამხედრო ძალა რომაული ლეგიონების სახით წარმატებით იცავდა იმპერიული საზღვრების მთელ პერიმეტრს. ზომიერი გადასახადები და ეფექტიანი სარეკრუტო სისტემა საკმარისი იყო საზღვაო ფლოტისა და სასაზღვრო პუნქტებში ჩაყენებული დაახლოებით 500,000 ჯარის შესანახად. III საუკუნეშიც კი, როდესაც დუნაისა და რაინისპირეთში ძლიერი ბარბაროსული კონფედერაციები იქმნებოდა, ხოლო აღმოსავლეთში კი მძლავრი სასანური ირანი ჩამოყალიბდა, რომის იმპერია მეტნაკლებად ისევ ახერხებდა მტრების შეკავებას უკანა-ხაზზე-თავდაცვის სტრატეგიის გამოყენებით (ლუტვაკი, 1976: 122-155).

აღმოსავლეთ რომის იმპერიას არასდროს გააჩნდა ამხელა სამხედრო რესურსი. 395 წელს იმპერიის დაყოფა თავიდან ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან თეოდოსიუსის შვილები – ჰონორიუსი და არკადიუსი – ურთიერთთანხმობაში აგრძელებდნენ მმართველობას. ეს იყო თანაბარი დაყოფა, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერია სამ კონტინენტზე განალაგა. ევროპაში იმპერიის საზღვარი თანამედროვე სერბეთის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე გადიოდა, რომელშიც შედიოდა თანამდეროვე მაკედონია, ბულგარეთი, რუმინეთის შავიზღვისპირეთი, საბერძნეთი და ევროპული თურქეთი კონსტანტინოპოლის ჩათვლით. აზიაში, იმპერიული ტერიტორია უზარმაზარი ანატოლიის ნახევარკუნძულიდან – დღევანდელი აზიური თურქეთი – ასევე სირიის, იორდანიის, ისრაელის და თანამედროვე ერაყის ჩრდილოეთ ნაწილისგან შედგებოდა. ჩრდილოეთ აფრიკაში იმპერიას გააჩნდა ეგვიპტეს პროვინცია, რომელიც აღწევდა ქალაქ თებემდე, თანამედროვე ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც შედგებოდა ზედა და ქვედა ლიბიიდან, რომელიც ადრე კირენეიკას სახელით არის ცნობილი (იხ. რუკა 2).

არკადიუსს (395-408 წწ.) წილად ხვდა ზუსტად ეს ყოველწლიურად

საკმაოდ დიდი მოსავლის და გადასახადების მომტანი მიწები. ამას დაემატება ისიც, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული, ანატოლია, სირია-პალესტინა და ეგვიპტე ადამიანური რესურსებით მდიდარი რეგიონები იყო. პურის მაექსპორტებელი ეგვიპტე და ანატოლიის ნაყოფიერი მინდვრები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ ბალკანეთის ტერიტორიები იყო იმ დროისთვის სერიოზულად დაზარალებული გუთების, გეპიდებისა და ჰუნების შემოსევებისგან.

მაგრამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, აღმოსავლეთ რომის იმპერია დასავლეთ ნაწილთან შედარებით, მნიშვნელოვნად არახელსაყრელ გეოგრაფიულ ვითარებაში იმყოფებოდა. თავის გრძელ, დაახლოებით 500-კილომეტრიან აღმოსავლურ საზღვარზე, რომელიც გადაჭიმული იყო სამხრეთ კავკასიიდან ევფრატამდე იმპერიის მოწინაღმდეგე აგრესიული სასანური იმპერია იყო, რომელიც 220-იანი წლებიდან იმპერიის პირველი მოწინააღმდეგე იყო (დარიაე, 2010). მაგრამ, იმპერიის დაყოფის შემდეგ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველებს სასანიანების წარმატებით შეკავებისათვის აღარ შეეძლოთ დასავლეთ რომის იმპერიის ადამიანური და ეკონომიკური რესურსების მობილიზება. ირანი კი, რეალურ საფრთხეს უქმნიდა კონსტანტინოპოლის ბატონობას აღმოსავლეთში. სასანიანი მმართველები ატარებდნენ ირანული და არაირანული მიწების მეფეთა მეფის ტიტულს. მათი იმპერია მოიცავდა ისტორიულ პერსიდას (სპარსეთს), პართიას, ხუზისტანს, ასურეთს, ადიაბენეს, არაბეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს ნაწილს, კავკასიურ ალბანეთს, მიდიას, გურგანს, მერვს, ქერმანს, თურანს, ქაშგარს, სოგდიანასა და სხვა ტერიტორიებს ცენტრალურ აზიაში და აგრეთვე ერთი პერიოდი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილსაც, კერძოდ თანამედროვე ომანის და იემენის ტერიტორიას შაჰანშაჰ ხოსრო ანუშირვანის მმართველობის დროს (იხ. რუკა 2) (ქრისტენსენი, 1944: 130-140).

ვითარება ჩრდოლოეთ-აღმოსავლეთით არანაკლებ სახიფათო იყო. ბიზანტიელები იძულებულები იყვნენ დაეცვათ დუნაის საზღვარი ჰუნების, სლავების, ავარების, ონოღურ-ბულგარელების, მაგიარების და პაჭანიკების წინააღმდეგ (პოლი, 2006: 460-476). ყველა ეს ხალხი ნოდამურ ცხოვრებას ატარებდა და სამხედრო საკითხებში უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა იმპერიულ ჯარებს, ვიდრე გერმანული ტომები. რომაელებისთვის საშიში გუთებიც კი გაექცნენ ჰუნებს და ეს მოხდა იქამდე სანამ ატილამ მოახერხა ალანების,

გეპიდების, ჰერულების, რუგების და სხვა გერმანული ტომების თავის იმპერიაში გაერთიანება.

აღმოსავლეთ რომის იმპერიას არც საკმარისი ჰინტერლანდი ჰქონდა, როგორც ეს იყო დასავლეთ ნაწილში. ნაყოფიერი და პურის მაექსპორტებელი ჩრდილოეთ აფრიკა, იბერიის ნახევარკუნძული დაცული პირინეების მთებით, გალიის სამხრეთ პროვინციები საკმაოდ დაშორებული იყო სახიფათო რაინის საზღვრიდან, ხოლო იტალია ჩრდილოეთში ალპებით იყო გარშემორტყმული. აღმოსავლეთ რომის იმპერიის გეოგრაფია კი რადიკალურად განსხვავებულია: ეგვიპტესა და აღმოსავლეთ ლიბიის გარდა, ტერიტორიების უმეტესობა ძალიან ახლოს იყო სახიფათო საზღვრებთან იმისათვის, რომ შემოსევების დროს საკმარისი სტრატეგიული სიღრმე ჰქონოდათ. ანატოლიაშიც კი, რომელიც თავის მხრივ აღმოსავლეთიდან იცავდა კონსტანტინოპოლს სახმელეთო შემოსევებისგან, ყველაზე ნაყოფიერი მიწები მდებარეობდა ზღვისპირა, ხმელთაშუა და შავი ზღვის რეგიონებში და შესაბამისად ზღვიდან შემოსევისგან მთლიანად დაუცველი იყო.

საზღვრების მიღმა უფრო მძლავრი მტრებით და მთლიანად არახელსაყრელი გეოგრაფიით, აღმოსავლეთ რომის იმპერია დანამდვილებით უარეს სტრატეგიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვიდრე დასავლეთ რომის იმპერია.

მიუხედავად ამისა, დასავლეთ რომის იმპერიამ უფრო ადრე შეწყვიტა თავისი არსებობა. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ, შემდგომში ბიზანტიამ, მოახერხა არსებობის გაგრძელება პირველ რიგში კი იმის მეშვეობით, რომ კონსტანტინოპოლში მსხდომი იმპერატორები ახერხებდნენ არსებული რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისთვის ადაპტირებას და ძველ და ახალ მტრებთან ბრძოლაში ახალი სტრატეგიების შემუშავებას. ჯარი და საზღვაო ფლოტი, აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანი გადასახადების ამკრეფი ბიუროკრატიული აპარატი არ იცვლებოდნენ საუკუნეების განმავლობაში. თუმცა, ერთი სახეცვლა ნადმვილად თვალშისაცემია. ერთიანი რომის იმპერიასთან შედარებით, ბიზანტიის საგარეო პოლიტიკა ნაკლებად ემყარებოდა სამხედრო ძალას და უფრო მეტად კი, დიპლომატიის ყველა ფორმას: მოკავშირეების აყვანა, მტრების შემოსევებისგან გადაფიქრება და პოტენციური მტრების დაძალება ერთმანეთთან ომის საწარმოებლად. უფრო მეტიც, როდესაც ბიზანტიელები იძულებულები იყვნენ ომში ჩართულიყვნენ, ისინი ნაკლებად ცდილობდნენ მტრის მთლიან

განადგურებას, არამედ აქცენტს უფრო მის შედარებით დასუსტებაზე ან შეკავებაზე აკეთებდნენ. ეს მათ აძლევდა საშუალებას შეენარჩუნებინათ საკუთარი ძალა. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ბიზანტიელები ხვდებოდნენ, რომ დღევანდელი მტერი ხვალ შეიძლება შეუცვლელ მოკავშირედ გადაქცეულიყო ევრაზიული სტეპებიდან მოსულ ახალ მომთაბარეებთან საომრად.

ასე მოხდა, მაგალითად, ატილას დროს, როდესაც ბიზანტიელებმა საკუთარი ადამიანური რესურსების მინიმუმით მოახერხეს ჰუნების შემოსევების მიმართულების გადატანა დასავლეთ რომის იმპერიისკენ. ასე რომ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის გადარჩენა მოხერხდა განსაკუთრებული სტრატეგიული წარ-მატების წყალობით. ეს უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ ბრძოლებში გამარჯვება. შეუძლებელი იყო ყველა ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება რვა საუკუნის განმავლობაში. იმპერიამ განიცადა მრავალი მარცხი, მათ შორის რამოდენიმე კატასტროფული ხასიათის.[17] იმპერიული ტერიტორია მრავალჯერ ექვემდებარებოდა ბარბაროსულ შემოსევებს, ხოლო საკუთრივ კონსტანტინოპოლი, 330 წელს ქალაქის დაარსებიდან 1204 წელს, მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე, რამოდენი ალყა გადაიტანა.

ბიზანტიის იმპერიის სტრატეგიული წარმატება განსხვავედებოდა ტაქტიკური გამარჯვებებისგან. ბიზანტიელებს გააჩნდათ ნიჭი, რომლითაც, საუკუნეების განმავლობაში ახერხებდნენ საკმაოდ მცირე სამხედრო ძალის შეკრებას და მის კომბინირებას დიპლომატიასთან და ეფექტიან დაზვერვასთან. ოფიციალური საგარეო საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო ორგანიზაციების არქონისას, ბიზანტიის იმპერიაში არ არსებობდნენ პროფესიონალი დიპლომატები ან ჯაშუშები. წყაროებში არ გვაქვს შემონახული ცნობები, რომ ბიზანტიაში სისტემატური კატალოგები არსებობდა, სადაც შეიძლებოდა სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვა. სხვა სიტყვებით, ჩვენ არ მოგვეპოვეპა ცნობა კონსტანტინოპოლში, ან რომელიმე სხვა ბიზანტიურ ქალაქში საგარეო საქმეებისთვის მიკუთვნილი არქივის არსებობის შესახებ.

თუმცა, მიუხედავად ამ ნაკლისა, იმპერიული მმართველები კონსტან-ტინოპოლში უკეთესად იყვნენ გაცნობიერებულები იმაში, თუ რა ხდებოდა

[17] ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებს წარმაოდგენს 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლა და 1071 წელს მანასკერტთან თურქ-სელჩუკებისგან განცდილი მარცხი.

საზღვრებს გარეთ, მეზობელ ქვეყნებში. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელებს (ისევე როგორც მათ წინათ ერთიანი იმპერიის ფარგლებში მცხოვრებ რომაელებს) არ გააჩნდათ სწორი პარამეტრების მქონე რუკები, არსებული სამხედრო გზები კარგად მიანიშნებს იმაზე, რომ ბიზანტიელებს გაცნობიერებული ჰქონდათ სხვადასხვა პუნქტებს და გეოგრაფიულ ბარიერებს შორის რეალური დისტანციები. ბიზანტიელები ამ უპირატესობას წარმატებით იყენებდნენ თავის სასარგებლოდ უცხოური ელჩების მანიპულირებისთვის, როდესაც ეს უკანასკნელები იმპერიის საზღვრებში შედიოდნენ. მენანდრე პროტექტორთან შემონახულია კარგი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი შემოვლითი გზით წაიყვანეს თურქი ჰაკანის ელჩი კონსტანტინოპოლში (ბლოკლი, 1985: 14).

ამავდროულად, ზემომოყვანილმა ფაქტებმა არ უნდა შეგვიქმნას იმის შეგრძნება, რომ კონსტანტინოპოლი 395 წლის შემდეგ მხოლოდ დიპლომატიაზე იყო გადასული. პირიქით, არსებობდა პერიოდები, როდესაც იმპერიაში სამხედრო ძალის სიჭარბეც იყო, რითაც ხერხდებოდა ახალი, თუ ძველად დაკარგული ტერიტორიების დაპყრობა, თუ დაბრუნება. ხანდახან, ბიზანტიური ჯარი და ფლოტი იმდენად დასუსტებული იყო, რომ თვით იმპერიის გადარჩენა ადრეულ პერიოდში დიპლომატიით შეძენილი მოკავშირეების მეშვეობით ხერხდებოდა.

ამ ორ უკიდურესობას შორის – სუსტი და ჭარბი სამხედრო ძალა – უმეტესწილად არსებობდა დაბალანსებული მიდგომა მეზობელ ქვეყნებისადმი და ზოგადად საგარეო საქმეებისადმი. აქ სამი ძირითადი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება: დიპლომატია; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია; ეფექტიანი სამხედრო ძალა.

დიპლომატია ყოველთვის პირველ როლს ასრულებდა, მაგრამ სამხედრო ძალაც ბიზანტიური სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ეფექტიანი სამხედრო ძალის არარსებობის შემთხვევაში ბარბაროსებისგან ფულითა და საჩუქრებით არიდებული შემოსევა მხოლოდ დროებითი იქნებოდა. შესაბამისად, ძლიერი ჯარის ყოლა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელსაც ბიზანტიური სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, დასავლეთ რომის იმპერიასთან შედარებით, ჯარის არსებობა შესაძლებელი გახდა ორი რომაული პრაქტიკის შემონახვით: ეფექტიანი საგადასახადო სისტემა და სისტემური სამხედრო გაწვრთნა.

საერთო შემოსავალი, რომელიც შედიოდა საიმპერიო ბიუჯეტში, ძირითადად მიწის გადასახადის სახით (*annona*) იყოფოდა პროვინციებს შორის, შემდეგ თითოეულ ქალაქისთვის და თითოეული მიწის ნაკვეთისთვის პროპორციულად სავარაუდო მოგებასთან მიმართებაში. VII საუკუნეში იმპერიული ბიუჯეტის დანაწილება „ზემოდან-ქვემოდ“ აღარ ხორციელდებოდა, მაგრამ მიწის გადასახადის აკრეფა ხორციელდებოდა „ქვემოდან-ზემოთ“. მრავალი პრობლემა არსებობდა ამ საგადახადო სისტემასთან დაკავშირებით. გადასახადების ამკრეფნი, აუდიტორები, ინსპექტორები და ზედამხედველები საკუთრივ უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატს ქმნიდნენ, რომლის შესანახად დიდი ფული იხარჯებოდა. ამასთან ერთად, მოხელეები იღებდნენ ქრთამებს, კრეფდნენ არაკანონიერ გადასახადებს, ახერხებდნენ შემოსავლის ნაწილის მითვისებას და ა. შ.[18] აგრეთვე, მიწათმფლობელები ცდილობდნენ გადასახადებისგან თავის დაღწევის მიზნით გადასახადების შეტანა დაეკისრათ მცირე მფლობელებზე და მოიჯარეებზე.

მიუხედავად ამდენი ნაკლისა, ბიზანტიელების მიერ შემონახულ ფისკალურ მანქანას ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა: ის დამოუკიდებლად მუშაობდა წლიდან წლამდე და ოქროს სახით უზარმაზარ შემოსავალს აწვდიდა სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს შემოსავალი ძირითადად ფარავდა საიმპერატორო კარის, ბიუროკრატიული აპარატის და, რაც მთავარია, იმპერიული ჯარის და ფლოტის ხარჯებს. რეგულარული საგადახადო სისტემის არსებობამ შესაძლებელი გახადა პერმანენტული სამხედრო სამსახური. თუ ბიზანტიის მტრების სამხედრო პოტენციალი ძირითადად ტომობრივ და მოხალისე ლაშქარს ეყრდონობოდა, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად ირჩენდა თავს ლაშქრობისას, ბიზანტიელებს შეეძლოთ ჯამაგირიანი იმპერიული ჯარისკაცების, მეზღვაურების და რეზერვისტების ყოლა მთელი წლის განმავლობაში.

ამან, თავის მხრივ, საშუალება მისცა ბიზანტიელებს გამოეყენებინათ რომაელებისგან შემონახული მეორე მნიშვნელოვანი პრაქტიკა: სისტემატური სამხედრო გაწვრთნა; ახალგაწვეულების, როგორც ინდივიდუალური, ასევე

[18] კარგ მაგალითს წარმოადგენს 376-378 წლებში დატრიალებული ტრაგედია დუნაისპირეთში, როდესაც ბიზანტიელი ბიუროკრატები უკანონოდ ითვისებდნენ იმპერიაში შემოსულ გუთებისთვის მიკუთვნილ საკვებს და ცდილობდნენ მათ მაღალ ფასად გასაღებას. შედეგად, დაიწყო გუთების აჯანყება, რამაც 378 წელს კონსტანტინოპოლი ადრიანოპოლის კატასტროფამდე მიიყვანა.

სამხედრო ფორმაციებში სწავლება. ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ჯარის სისტემატიურ გაწვრთნაში არაფერია განსაკუთრებული: გაწვრთნა არის ის რითაც ჯარი, როგორც ცალკე ინსტიტუტი უნდა იყოს დაკავებული. თუმცა, საქმე იმაშია, რომ არცერთ სამეფო კარს თუ ბარბაროს ტომთა გაერთიანებას ბიზანტიის სამეზობლოდან არ გააჩნდა იმპერიის მსგავსი სამხედრო სისტემა. მტრის ჯარის შემადგენლობაში ძირითადად არაფროფესიონალი მეომრები შედიოდნენ. გვიანი ანტიკურობის პერიოდში და მომდევნო საუკუნეებშიც ბიზანტიურ ჯარს მრავალი აღმასვლისა თუ დასუსტების პერიოდი გააჩნდა, თუმცა სახელმწიფოს გადარჩენა პერმანენტული ომების ფონზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ჯარის გაწვრთნის მეშვეობით. მაშინაც კი, როდესაც 626 წელს კონსტანტინოპოლს ორივე მხრიდან ავარები და სპარსელები ედგნენ, იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641 წწ.) სასანური ირანის წინააღმდეგ საპასუხო შეტევის დაწყება ზუსტად ჯარისკაცების გაწვრთნით დაიწყო.

ყოველი ჯარისკაცი მზადდებოდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე განსაზღვრული მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც აგრეთვე, მეტ უპირატესობას ანიჭებდა იმპერიულ შენაერთებს. იმპერატორ მავრიკეს (582-602 წწ.) „სტრატეგიკონი“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ჯარისკაცის გაწვრთნა პოტენციური მტრის წინააღმდეგ. ამის შესასრულებლად იმპერიას ესაჭიროებოდა სწორი ინფორმაციის ქონა მეტოქის შესახებ, რაც კარგად არის ნაჩვენები მავრიკეს ნაშრომის ეთნოგრაფიულ ნაწილში.

რომაულ საგადახადო სისტემასა და ჯარის პერმანენტულ გაწვრთნას ბიზანტიელებმა დაუმატეს საკუთარი აღმოჩენაც – „დიდი სტრატეგია“. იმპერიაში საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულად განხილვის მთელი კულტურა არსებობდა. ცალსახად, ბიზანტიელები არ ეძახდნენ ამას თანამდეროვე ტერმინებით როგორიც არის „ეროვნული სტრატეგია“, ეს იმდროინდელი მენტალობისთვის უცხო იქნებოდა. ბიზანტიელებს არც სტრატეგიაზე მომუშავე მოხელეთა ცალკე ჯგუფი ჰყავდა. მაგრამ, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების გაცნობიერება ნამდვილად ხდებოდა, რაც ნათლად არის დანახული იმ მდიდარ სამხედრო ლიტერატურაში რაც შემორჩენილია გვიანი ანტიკურობიდან ადრეულ ბიზანტიურ პერიოდამდე. სამხედრო კულტურას (დისციპლინას) ბიზანტიელებმა აგრეთვე დაუმატეს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის კლასიკური რომაული მიდგომა: ტიტულებისა და ძვირფასი საჩუქრების გადაცემით მტრულად განწყობილი ტომების ბელადების დუნაიპირეთიდან თუ აღმოსავლეთით პატარა

სამთავროების მფლობელების გადმობირება.

შეუძლებელი იყო იმპერიის შენარჩუნება მოხერხებულიყო ცალკეულ ბრძოლებში გამარჯვებებით. იმპერიის მტრები ძირითადად აღემატებოდნენ კონსტანტინოპოლს სამხედრო პოტენციალით. არც მხოლოდ თავდაცვით ხაზებზე დაფუძნებულ დავდაცვას შეეძლო დიდი ხნით ბალკანეთის ან ანატოლიის პროვინციებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ბიზანტიური სახელმწიფოს გადარჩენა არსებული საფრთხეებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ახალი სამხედრო თუ დიპლომატიური მეთოდების შემოღებით იყო შესაძლებელი. ამასთან ერთად, ახალი მიდგომების შემუშავება გრძელვადიანი პოლიტიკის, ანუ სტრატეგიის ჩარჩოებში იყო მოქცეული, რომელიც შემუშავდა 395 წელს ერთიანი რომაული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. სხვადასხვა ხალხებისადმი სხვადასხვა ტაქტიკა აირჩეოდა, რაც აგრეთვე ეკონომიკური და რელიგიური ფაქტორების გამოყენებას ითვალისწინებდა. სხვა სიტყვებით, იმპერიამ თავი დააღწია სასანურ, ნომადურ, არაბულ და შემდგომ ნაწილობრივ დასავლეთევროპულ საფრთხეს, მხოლოდ საკუთარი იმპერიის თავდაცვის გრძელვადიანი გეგმის შემუშავებით. კონსტანტინოპოლის კედლები მრავალჯერ იქნა ალყაში მოქცეული როგორც ზღვიდან ასევე ხმელეთიდან, ზოგ შემთხვევაში კი ერთდროულად ორი მხრიდან. თუმცა, ისევ და ისევ, ხერხდებოდა მოკავშირეების მონახვა და მტრების უკუქცევა და ხელახლა იმპერიული კონტროლის აღდგენა დაკარგულ ტერიტორიებზე. მეტოქეებს შეეძლოთ იმპერიის დამარცხება ცალკეულ ბრძოლებში, თუმცა უძლურნი იყვნენ იმპერიის საერთო სტრატეგიის წინააღმდეგ.

ბიზანტიური სტრატეგია არ იყო უცაბედად გამოგონილი. მისი თავდაპირველი ელემენტები გამოჩნდა ატილას მიერ დუნაისპირეთში შექმნილი კრიზისის საპასუხოდ იმპერატორ თეოდოსიუს II-ის (408-450 წწ.) მმართველობაში. ზუსტად ამ პერიოდში ნათელი გახდა, რომ არასაკმარისი ჯარის არსებობის გამო შეუძლებელი იყო ატილას შემოსევების შეჩერება მთელი დუნაის გასწვრივ. მაგრამ, ატილას შემოსევები უფრო დიდ საფრთხეს ქმნიდნენ, არა მარტო იმპერიული ჯარების უკმარისობის გამო, არამედ დამატებითი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო: ატილას ჰუნები უფრო სწრაფები და უფრო მეტნი იყვნენ გუთებთან თუ სხვა გერმანიკულ ტომებთან შედარებით. ჰუნების შეჩერება, რომლებიც დუნაის გადალახვისას გაურკვეველი მიმართულებებით გადაადგილდებოდნენ ბალკანეთში, პატარა, თუნდაც

მობილური ძალებით, თითქმის შეუძლებელი იყო.

ის რაც VI საუკუნეში მოხდა იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობაში (527-565 წწ.), არ იყო ახლადჩამოყალიბებული სტრატეგიის კონსოლიდირება, არამედ მილიტარისტული საგარეო პოლიტიკისკენ მიბრუნება. იუსტინიანეს ერთდროულად შეეძლო ომი ეწარმოებინა აფრიკაში, იტალიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ამასთან ერთად, ებრძოლა სირიის უდაბნოში არაბი ტომების და დუნაისპირეთში სლავების წინააღმდეგ. მისი გარდაცვალების შემდეგ სამხედრო ძალის გამოყენება ისევ მეორე პლანზე გადავიდა, ხოლო ჰერაკლეს მმართველობის დროს, როდესაც იმპერია ყველაზე დიდ პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, მოხდა ბიზანტიური სტრატეგიის – საკუთარი სამეზობლოსადმი გრძელვადიანი ხედვის – საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება.

შესაბამისად, ბიზანტიური სტრატეგიის ჩამოყალიბება იყო საკმაოდ გრძელი პროცესი დაწყებული ატილას მიერ დუნაისპირეთში ძლიერი ტომობრივი გაერთიანების შექმნით,[19] და დამთავრებული ჰერაკლეს დროს შექმნილი საგარეო საფრთხით, როდესაც ბალკანეთიდან ავარებმა დამორჩილებულ სლავებთან ერთად, ხოლო მცირე აზიიდან სასანიანები, ალყაში მოაქციეს დედაქალაქი და საფრთხე შეუქმნეს უშუალოდ ბიზანტიურ სახელმწიფოებრიობას.

ატილას საფრთხის თავიდან მოშორების შემდეგ, ბიზანტიელებმა ბრწყინვალე დიპლომატიური მიდგომა შეიმუშავეს სტეპებიდან მოსული ახალახალი ხალხებისგან მომდინარე შეტევების შესაკავებლად. სხვადასხვა ეკონომიკური და რელიგიური ხერხებით ბიზანტიელები ახერხებდნენ დაერწმუნებინათ სტეპის ხალხები ერთმანეთთან ერბძოლათ და ერთიანი ფრონტით იმპერიის წინააღმდეგ არ გამოსულიყვნენ. ატილას იმპერია გამონაკლის წარმოადგენდა. ბიზანტიელებმა ვერ მოახერხეს ევრაზიის სტეპებში ჰუნების წინააღმდეგ მოკავშირეების მონახვა. ატილას იმპერია ზუსტად ამიტომ წარმოადგენს ფენომენს, რადგან მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ყველა გერმანიკულ და ნომად ხალხზე, რომელიც სახლობდა კარპატების მთიდან აღმოსავლეთით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთამდე. მოგვიანებით, VI საუკუნის ბოლოს და

[19] ამ კოალიციაში ჰუნების გარდა, აგრეთვე, შედიოდა მრავალი გერმანული ტომი თუ ხალხი. ამან კი, ჰუნები მძლავრ სამხედრო მეტოქედ გადააქცია. კოალიციის მნიშვნელობა მტკიცდება იმითაც, რომ ატილას გარდაცვალების შემდეგ და ჰუნების მიერ შექმნილი გაერთიანების დაშლის შემდეგ ეს უკანასკნელები აღარ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან საფრთხეს ბიზანტიის იმპერიისთვის.

მეშვიდეს დასაწყისში, იგივე გააკეთეს ავარებმა რითაც ეგზისტენციალური საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიის ბალკანურ პროვინციებს. სხვადასხვა ნომადი ჯგუფებს შორის არსებული ბრძოლა საძოვრისთვის ბიზანტიელებს ჩარევის და სუსტი მხარისთვის დახმარების გაწევით სტატუს ქვოს შენარჩუნების საშუალებას აძლევდა. გარდა ამისა, ხორცი, რძე, ტყავი და სხვა უმნიშვნელო საგნები იყო ის მაქსიმუმი, რაც ნომადებს მოეპოვებოდათ. შესაბამისად, როგორც თავის დროზე გერმანულ ტომებს, ნომადებსაც იძულებულს ხდიდა კონსტანტინოპოლიდან მომდინარე სიმდიდრეზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულები.

მთლიანი სტეპური დერეფანი კარპატებიდან ჩრდილოეთ კავკასიონამდე ბიზანტიური დიპლომატიის მოქმედების არენას წარმოადგენდა. რადგან ატილას დროს სტეპებში პოტენციური მოკავშირეს მონახვა ვერ მოხერხდა, ბიზანტიელებს ერთადერთი გამოსავალი დარჩენოდათ: ოქროთი მოეხერხებინათ შემოსევების თავიდან აცილება. წყაროებში შემონახულია 447 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით 6,000 ფუნტი ოქრო. თუ რამდენად დიდ თანხას იხდიდნენ ბიზანტიელები, ამაზე პრისკუს პანიელიც გამოთქვამდა საკუთარ უკმაყოფილებას.

და, ამ ტაქტიკამ წარმატებით იმუშავა. ატილამ გადამწყვეტ მომენტში არ განახორციელა შეტევა აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე. შამაგიეროდ, შეუტია და-სავლეთს. 451 წლისთვის ის უკვე იტალიაში იყო. ამავდროულად, 450 წელს კონსტანტინოპოლში ტახტზე ავიდა ნიჭიერი მხედართმთავარი მარციანე (450-457 წწ.) და მისი ერთერთი პირველი ნაბიჯი იყო ატილასთვის ფულის გადახდაზე უარის თქმა. ამან არ გომოიწვია ატილას საპასუხო ნაბიჯი, რადგან მისი ჯარები დასავლეთში სამხედრო კამპანიებში იყვნენ ჩაბმული. ატილას საფრთხე შედარებით უმტკივნეულოდ იქნა თავიდან მოშორებული. ჰუნების შეჩერება მოხერხდა დიდი სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე. სხვა სიტყვებით: ჯერ დიპლომატია, შემდეგ სამხედრო ძალა, რაც ცალსახად მიანიშნებს მილიტარისტული რომიდან დიპლომატიურ ბიზანტიაზე გადასვლას.

ავარები ბიზანტიის დიპლომატიურ ჰორიზონტზე 558-560 წლებში გამოჩნდნენ. ავარების აღმოსავლეთით თურქული მოდგმის უტრიღურები და კუტრიღურები, ანტები და სლავები იყვნენ. 558-560 წლებისთვის ავარები არ წარმოადგენდნენ აბსოლუტურ საფრთხეს ბიზანტიის დუნაის საზღვრისთვის. შესაბამისად, კონსტანტინოპოლისთვის არამომგებიანი იქნებოდა ავარების სრული განადგურება, რადგან ეს ხალხი საჭირო მოკავშირე იქნებოდა სხვა

ნომად ხალხებთან ბრძოლაში. კლასიკური ბიზანტიური მიდგომა იყო ხელი შეეშალა ნომადური კოალიციების შექმნისთვის. თუ ცალკეული ნომადური ჯგუფის შეჩერება ნაწილობრივ ძლიერი ჯარით, ნაწილობრივ კი ფულის გადახდით ხდებოდა, ნომადური კოალიცია ხარისხობრივად სხვაგვარ საფრთხეს უქმნიდა იმპერიულ ჯარს და პროვინციებს: შეუძლებელი იყო საზღვრის მთელი პერიმეტრის (მაგალითად დუნაის საზღვარი) გაკონტროლება. ეს მოხდა მაშინ, ატილას დროს, როდესაც მოხერხდა ალანების, გუთების და სხვა ხალხების გაერთიანება ჰუნების მეთაურობით და V საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ავარებმა დაიმორჩილეს სლავები, ანტები და სხვა ნომადი ხალხები და მთელი თავისი სამხედრო ძალისხმევა ბიზანტიის დუნაის საზღვარზე მიიტანეს.

ავარები დამარცხდნენ, დაკარგეს კონტროლი სლავ ქვეშევრდომებზე, მაგრამ აქაც ბიზანტიელები არ ცდილობდნენ მათ სრულ განადგურებას, რადგან დღევანდელი მტერი ხვალ შეიძლება ახალი სტეპებიდან ახალი ნომადური საფრთხის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული. ავარების საბოლოო განადგურება მხოლოდ 791 წელს მოხდა კარლოს დიდის მიერ. სხვა სიტყვებით, ავარები ბიზანტიისთვის ზომიერ საფრთხეს წარმოადგენდნენ სანამ არ იყვნენ კოალიციაში სხვა ნომად ან გერმანულ ტომებთან.

კიდევ ერთი ბიზანტიური სიახლე იყო ინფორმაციის შეგროვება პოტენციურ მტერზე. მტრის ადათ-წესები, მათი ლიდერები და ამ უკანასკნელების ხასიათი, სამხედრო პოტენციალი და სავარაუდო გეგმები. ატილას და ზოგადად ჰუნების ცხოვრების შესახებ პრისკუს პანიელის დეტალური ნაშრომიდან ვიცით (პრისკუს პანიელი, 1982: 24-29). ნიშანდობლივია, რომ პრისკუსი გაყვა ბიზანტიურ ელჩობას ჰუნებთან სავარაუდოდ ერთი მიზნით: აღეწერა ჰუნების ცხოვრება და მათი ადათ-წესები და მიეწოდა ეს ცნობები საიმპერატორო კარისთვის კონსტანტინოპოლში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადრე რომაელები არ იყვნენ დაინტერესებულნი ან არ აღწერდნენ მეზობელ ხალხებს. ტაციტუსის გერმანია ალბათ ამ ეთნოგრაფიული ჟანრის საუკეთესო მაგალითია. მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი მეზობელი ხალხების სამხედრო პოტენციალის გარკვევაზე გაძლიერდა ერთიანი რომის სახელმწიფოს დაყოფის შემდეგ, როდესაც კონსტანტინოპოლი ვერ იქნებოდა მხოლოდ საკუთარ სამხედრო ძალაზე დამოკიდებული, არამედ საჭიროებდა მეზობელი ხალხების სუსტი მხარეების ცოდნას, მათი მცირე ძალებით დასამარცხებლად.

იუსტინიანე: თავდაცვიდან შეტევაზე

ფლავიუს პეტრუს საბატიუს იუსტინიანუსი, ცნობილი როგორც იუსტინიანე I, ტახტზე 527 წელს ავიდა. მისი დროის ბიზანტიის იმპერია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელშიც იმპერატორ თეოდოსიუს II-ის დროს შემოღებული თავდაცვითი სტრატეგიის საბოლოო კონსოლიდირება განხორციელდა. სასანური ირანი აღმოსავლეთში რჩებოდა სტრატეგიულ საფრთხედ, რაც იმპერიის საზღვრის გასწვრივ სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიის გავლით, სირიის უდაბნომდე, ჯარის პერმანენტულ მზადყოფნაში არსებობის საჭიროებას ქმნიდა.

ამის პარალელურად, კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე უშუალოდ დუნაის საზღვრის გაღმა. ოსტგუთების სამეფო იმპერიასთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული, ხოლო ვანდალები და ალანები ჩრდილოეთ აფრიკაში სამხედრო საფრთხეს საზღვაო ექსპედიციებით ვეღარ უქმნიდნენ ეგვიპტესა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს. რაც შეეხება ევრაზიული სტეპებიდან მომდინარე საფრთხეს, იუსტინიანეს დროს იყვნენ კუტრიღურები, თუმცა მათი ძალა ვერ შეედრებოდა ატილას დროს ჰუნების ან უფრო მოგვიანებით ავარების მიერ შექმნილ სამხედრო კოალიციებს.

როგორც ითქვა, 530-იან წლებში ავარები ჯერ არ გამოჩენილან პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა იუსტინიანეს ტახტზე ასვლის პერიოდისთვის სტეპების ხალხებს უკვე დაკარგული ქონდათ ის გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობა, რაც V საუკუნეში ჰუნებს გააჩნდათ: ბიზანტიელებმა შექმნეს ამხედრებულ მშვილდოსანთა შენაერთები შეიარაღებული „შედგენილი მშვილდებით“. ამასთან პარალელურად, იმპერიულმა ჯარმა შეინარჩუნა ახლო მანძილზე ბრძოლის კლასიკური რომაული ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ ნომადები უფრო დახელოვნებულები იყვნენ მშვილდოსნობაში ვიდრე ბიზანტიელები, ამ უკანასკნელების დამარცხება ვეღარ ხდებოდა ისე მარტივად, როგორც პირველად ჰუნების დროს. ბიზანტიელების მიერ ნომადების კიდევ ერთი უპირატესობა გაბათილდა: კავალერია იმპერიული ლაშქრის მთავარი დამრტყმელი ძალა გახდა. სხვა სიტყვებით, ის ნაკლი რაც გააჩნდა ცალკეულ ბიზანტიელ ამხედრებულ მშვილდოსანს ნომად მეომართან მიმართებაში, კომპენსირებული იყო ბიზანტიური სამხედრო დისციპლინით და შეკრული შენაერთებით.

შესაბამისად, იმპერიულ ჯარს უპირატესობა გააჩნდა იუსტინიანეს დროს აფრიკაში მცხოვრებ ვანდალებსა და ალანებზე და იტალიაში ოსტგუთებზე. ალანები ძირითადად ცხენოსნები იყვნენ, ხოლო ვანდალები და გუთები ძლიერები ახლო მანძილზე ბრძოლაში და გამაგრებული ქალაქებისთვის ალყის შემორტყმაში. ბიზანტიურ ჯართან მიმართებაში ორივეს გააჩნდა ტაქტიკური ნაკლი. ეს მარტივად ხსნის იმ სამხედრო წარმატებას, რაც წილად ხვდა იუსტინიანეს 533-534 წლებში ჩრდილოეთ აფრიკაში, ხოლო 535 წელს კი – აპენინის ნახევარკუნძულზე.

და მაინც, განხორციელებადი იყო თუ არა „სტრატეგია“ ბიზანტიურ პერიოდში? მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზუსტი რუკების არ არსებობისას რომაელებს და შემდეგ ბიზანტიელებს არ შეეძლოთ ეფიქრათ „სტრატეგიულად“; ზუსტად განესასზღვრად მანძილი გეოგრაფიულ ობიექტებს შორის; და განესაზღვრათ თუ სად მთავრდებოდა იმპერია და იწყებოდა მეზობლების მიწები. თუმცა, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს ის, თუ რა იგულისხმება სიტყვაში „სტრატეგია“. ძველ დროს სტრატეგიის არსებობის თეორიის სკეპტიკოსები განიხილავდნენ სიტყვა „სტრატეგიას“, როგორც თანამედროვე და ბიუროკრატიულ საქმიანობას, როგორც გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგს. ზუსტი გეოგრაფიული ცოდნის საჭიროება ხშირად არევ-დარევას იწვევდა და სტრატეგია „გეოპოლიტიკად“ გამოისახებოდა. ამ თავში მოყვანილმა მაგალითებმა ნათლად გვიჩვენა, რომ სტრატეგია არ არის მხოლოდ ჯარების გადაადგილება ან დედაქალაქში რუკებთან მსხდომი სახელმწიფოს მმართველების მიერ მსჯელობა ე. წ. „ეროვნულ ინტერესებზე“. სტრატეგია უფრო ქმედებათა მთელ რიგს წარმოადგენს სამხედრო ძალის, იმპერიული პრესტიჟის, რელიგიური ფაქტორის, მეზობელი ხალხების სუსტი მხარეების და უპირატესობების სწორი და თანადროული გამოყენებით.

თავი II

ბიზანტიური სტრატეგია პრაქტიკაში: იუსტინიანე და მისი მემკვიდრეები

560-იანი წლების ბოლოს, იუსტინიანეს მემკვიდრის იუსტინე II-ის (565-574 წწ.) მმართველობაში, კონსტანტინოპოლში, ცენტრალურ აზიაში მცხოვრები თურქების მმართველის, სიზაბულის ელჩობა ჩამოვიდა. თურქებმა ცოტა ხნის წინ გაწყვიტეს ურთიერთობა სასანიანებთან და სურთად პოლიტიკური კავშირი შეეკრათ ბიზანტიელებთან. იუსტინემ რამოდენიმე კითხვა დაუსვა ელჩობას. კითხვების შინაარსი საკმაოდ საინტერესოა, რადგან დიდ ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი ბიზანტიელი მმართველების გეოპოლიტიკურ თვალსაწიერზე. იუსტინეს კითხვები დაახლოებით შემდეგნაირი იყო, თუ ვინ იყვნენ ჰეფტალიტები, რომელბზედაც, თურქების თქმით, მათი ბატონობა ვრცელდებოდა; ვინ იყვნენ ავარები, რომელნიც სულ მოკლე დროის წინ ბიზანტიას ჩრდილოეთიდან დაემეზობლდნენ (გრეიტრექსი, 2006: 99-109). ელჩებისგან ამ კითხვებზე პასუხის მიღების შემდეგ, იუსტინემ თურქების მმართველთან პოლიტიკური ალიანსი შეკრა, რამაც შეცვალა მახლობელ აღმოსავლეთში არსებული ძალთა ბალანსი. თურქებთან კავშირმა და სასანიანთა ირანზე ორი ფრონტიდან ომის წარმოების პერსპექტივამ, იუსტინეს უბიძგა ირანთან საომარი მოქმედებები განეახლებინა. შედეგად, ომი ორ დიდ იმპერიას შორის არაბების გამოჩენამდე არ შეწყვეტილა.[20] კონფლიქტი ორ იმპერიას შორის ჰერაკლე კეისრის გამარჯვებით და ორი იმპერიის მნიშვნელოვანი დასუსტებით დასრულდა. ამან, ნაწილობრივ, 630-იან წლებში, ხელი შეუწყო ისლამის დროშის ქვეშ არაბთა ჯარების წინსვლას მახლობელ

[20] იმ მოკლე პერიოდის გამოკლებით, როდესაც ბიზანტიელი იმპერატორი მავრიკე ჩაერია ირანის შიდა საქმეებში და სამხედრო დახმარების მეშვეობით მოახერხა ბაჰრამ ჩობინის მიერ ხელისუფლებას მოშორებული ხოსრო II-ის ტახტზე აღდგენა.

აღმოსავლეთში.[21]

მაგრამ, დავუბრუნდეთ ზემო აღწერილ ელჩობას, რომელიც განსაკუთრებულად ორი მიზეზით არის საინტერესო. პირველი არის იუსტინეს დაინტერესება იმაში, თუ რა ხდება სასანიანთა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში და ცენტრალურ აზიაში. იმპერატორმა ელჩებს კითხვები დაუსვა ჰეფტალიტების (თეთრი ჰუნების) სამეფოს და თურქების ქვეყნის წყობის შესახებ. მეორე საინტერესო ფაქტი არის ის, რომ იუსტინეს საკმაოდ კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ბიზანტიის და თურქების ალიანსი რითაც შესაძლებელი იქნებოდა ირანზე ერთდროულად ორი ფრონტიდან თავდასხმის განხორციელება. ეს უკანასკნელი არგუმენტი საინტერესოა იმის გათვალისწინებითაც, რომ გვიანი ანტიკური პერიოდის მკვლევარები ბოლო დროს სულ უფრო მეტად გამოთქვამენ მოსაზრებას კონსტანტინოპოლში რამე სახის „დიდი სტრატეგიის“ არარსებობის შესახებ და, შესაბამისად, ბიზანტიელი მაღალჩინოსნების უუნარობაზე წარმატებით განეხორციელებინათ იმპერიის გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკა. ისტორიკოსები, აგრეთვე, მიიჩნევენ იმას, რომ, თუ ბიზანტიელებს არ ჰქონდათ წვდომა სწორ გეოგრაფიულ რუკებზე, მათ, ფაქტობრივად, არ შეეძლოთ სრატეგიულად ემსჯელად. ზოგი მკვლევარი ცდილობს მონახოს სტრატეგიული აზროვნება ავგუსტუსის პოლიტიკაში, ზოგი II საუკუნის რომის მმართველებში, სხვები კი, IV საუკუნის იმპერატორებში. თუმცა, მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ დეტალური რუკების არარსებობის გამო, რომაელებს არ შეეძლოთ ზუსტად აღექვათ გეოგრაფიული სივრცე, იქნება ეს თავისი იმპერიის შიგნით, თუ მის საზღვრებს გარეთ. ამის ნაცვლათ, ბიზანტიელები მოქმედებდნენ უფრო დაუმარცხებლობის იდეოლოგიით (ვიტაკერი, 2004: 28-49, 63-87), როდესაც იმპერიის უზარმაზარი რესურსები მხოლოდ ახალი ტერიტორიების დასაპყრობად იყო განკუთვნილი, ხოლო სამხედრო კამპანიების წამოწყება ხშირად ამა თუ იმ მმართველის პირად ამბიციებზე იყო დამოკიდებული და არა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. აქედან გამომდინარე, მკვლევართა უმრავლესობისთვის საუბარი რაიმე სახის “სტრატეგიაზე“ უბრალოდ ზედმეტია (ისააკი, 1990: 19-53; 372-418).

[21] თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ იმპერიების დასუსტებაზე, ბევრი მკვლევარი ბიზანტია-ირანის ბოლო ომს გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს არაბების მომავალ წარმატებაში. ნაწილობრივ მართალი, მაგრამ ორ იმპერიას შორის ბოლო კონფლიქტმა პირველ რიგში დაარღვია ძალთა ბალანსი სირია-მესოპოტამიაში არსებული კავშირები ნომად არაბებთან, რომელთაც უნდა დაეცვათ იმპერიების საზღვრები არაბეთის ნაევარკუნძულიდან მომდინარე საფრთხისგან.

ქვემოთ მოყვანილ დისკუსიაში კი, შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ გვიან ანტიკურ პერიოდში, განსაკუთრებით კი, V-VI საუკუნეებში, ბიზანტიელებს დანამდვილებით გააჩნდათ საკუთარი საზღვრების ის ხედვა, რომელიც ეხმარებოდა კონსტანტინოპოლში მჯდომ იმპერატორს მიეღო ესა თუ ის პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური გადაწყვეტილება, რომელიც იმპერიის გრძელვადიან საგარეო პოლიტიკას ქმნიდა. ამის პარალელურად, ნაჩვენები იქნება ისიც, რომ იმპერიას გააჩნდა „განსაზღვრული“ საზღვრები – ხაზები, რომლის მეორე მხარეს არსებული ტერიტორია არ აღიქმებოდა იმპერიის ნაწილად – ყოველ შემთხვევაში მთლიანი სასაზღვრო პერიმეტრის უმეტეს ნაწილში.

თუმცა, სანამ გავაგრძელებდეთ, საჭიროა გავერკვიოთ იმაში, თუ რას ვგულისხმობთ საზღვარში, როდესაც ვსაუბრობთ ბიზანტიის იმპერიაზე. როგორ უნდა ითარგმოს ლათინური სიტყვები *limes*-ი და *fines*-ი? *Fines*-ი უფრო ზოგადი სახის ტერმინია, ხოლო *limes*-ი კი, უფრო კონკრეტული (თუმცა, აქაც ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს) და აღნიშნავს სასაზღვრო ტერიტორიას, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ სასაზღვრო ზოლს, არამედ ამ ზოლის ორივე მხარეს არსებულ დასახლებებს თუ საფორტიფიკაციო ნაგებობებს და სატ-რანსპორტო გზებს. ომის წარმოება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა გვიან ანტიკურ პერიოდში ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებში (გრეიტრექსი, 2006: 103-105).

მიუხედავად სხვადასხვა მოსაზრებისა, რომ რომაელებს არ გააჩნდათ იმის განცდა, თუ სად მთავრდებოდა მათი *imperium*-ის საზღვრები, ისტორიული წყაროები ამის ბევრ მაგალითს იძლევიან. 376 წელს, მდინარე დუნაის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიიდან რომის იმპერიის ბალკანურ პროვინციებს გუთების დიდი რაოდენობა მიუახლოვდა. მდინარესთან მიახლოებისთანავე, ბარ-ბაროსებმა რომაელ ჯარისკაცებს სთხოვეს ისინი იმპერიის „ტერიტორიაზე“ – დუნაის სამხრეთით – შეეშვათ, რისთვისაც აღმოსავლეთ რომის იმპერატორ ვალენსის (364-378 წწ.) სპეციალური ბრძანება იყო საჭირო. რომაელებისთვის, ისევე, როგორც გუთებისთვის, მდინარე დუნაის გადაკვეთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლასთან იყო ასოცირებული. იმ ტერიტორიებზე, სადაც დუნაის მაგვარი გეოგრაფიული ბარიერი არ არსებობდა რომაელები აგებდნენ კედლებს (სკორპანი, 1980: 12-35), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, იმდენად არ იყო თავდაცვისთვის განკუთვნილი, რამდენადაც იმპერიული ტერიტორიის მარ-

კირებისთვის. მაგალითად, *Agri Decumates*-ი, რომელიც ააგეს ახ. წ. I საუკუნეში რომის იმპერიის ჩრდილოეთის საზღვრის იმ მონაკვეთზე, რომელიც არ იყო დაცული რაინისა და დუნაის მდინარეებით. ის რომ, რომაელების მიერ აგებული ნაგებობები ჩრდილოეთ საზღვარზე არ იყო მხოლოდ თავდაცვისთვის, არამედ უფრო საზღვრის აღსანიშნად, ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ, როდესაც იმპერატორმა აურელიანემ (270-275 წწ.) გადაწყვიტა დაეტოვებინა *Agri Decumates*-ი, ამას არ მოჰყოლია ბარბაროსთა თავდასხმების გამო საზღვრის ამ მონაკვეთის სამხედრო კოლაფსი. სხვა სიტყვებით, *Agri Decumates*-ი თავის დროზე არ იყო აგებული მხოლოდ გერმანიიდან მომდინარე ბარბაროსული საფრთხის მოსაგერიებლად, არამედ რომის იმპერიის საზღვრის აღსანიშნადაც.

გადავინაცვლოთ VI საუკუნეში, როდესაც ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი იმპერატორ იუსტინიანეს მოღვაწეობას აღწერდა. პროკოპის ერთერთ ნაშრომში *De Aedeficiis*, სადაც აღწერილია იუსტინიანეს აღმშენებლობითი ღონისძიებები მთელი იმპერიის მასშტაბით, რამოდენიმე საინტერესო ფაქტი არის შემონახული საზღვრის ცნებასთან დაკავშირებით (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *De Aedeficiis,* II.4.1-7). იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე საუბრისას, პროკოპის კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ სად მთავრდება იმპერიის საზღვრები და სად იწყება სასანური ირანის ტერიტორია. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთში არსებული საზღვარი ორ იმპერიას შორის ხშირად იცვლებოდა, რაც ამ ტერიტორიაზე მსხვილი სამხედრო ინფრასტრუქტურის აგებას არამომგებიანს ხდიდა. მაგრამ, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში იუსტინიანემ რომაული ტერიტორიის აღსანიშნად ააგო მრავალი ციხე-სიმაგრე.[22] უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ საერთო პოლიტიკას ატარებდა იმპერატორი, კერძოდ კი რომის იმპერიის ისტორიული მიწების დაბრუნებისთვის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ იმპერიის ახალი საზღვრების ეფექტიანი დაცვა, არამედ იმპერიის მიწების არარომაული ტერიტორიებისგან გამიჯვნაც.

გვიანი ანტიკური პერიოდის რომის იმპერატორები, მიუხედავად იმისა, რომ *imperium sine fine*-ს იდეოლოგიით ხელმძღვანელობდნენ, კარგად ხედავდნენ, თუ სად მთავრდებოდა რომაული მიწა და იწყებოდა მეზობელი ქვეყნების ტერი-

[22] იუსტინიანემ, აგრეთვე, ცვლილებები შეიტანა იმპერიის აღმოსავლური საზღვრის თავდაცვით ზოლში. სომხეთისა და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებისთვის ახალი *magister militum*-ი დაინიშნა.

ტორიები. ამ მხრივ, სამაგალითო იქნება 530-იანი წლების დასაწყისში იუსტინიანეს გადაწყვეტილება აფრიკული მიწების დაპყრობის შესახებ. მან კარგად იცოდა, რომ ვანდალებამდე რომაელთა სამფლობელო აფრიკაში მხოლოდ კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილით იყო შემოფარგლული. იუსტინიანეს დროს შექმნილ კანონთა კრებულის *Codex Justinianus*-ის ერთერთი კანონის მონაკვეთში საინტერესო ინფორმაცია მოგვეპოვება იმაზე, თუ როგორ განიხილავდა იმპერატორი ახლადდაპყრობილ ტერიტორიებს და ჰქონდა თუ არა მას, არსებული იდეოლოგიის მიუხედავად, დაწესებული რამე ზღვარი რომაული ძალაუფლების გავრცელებისთვის. *Codex Justinianus*-ში ვკითხულობთ (იუსტინიანეს კოდექსი, 1954: I.27.4):

"…usque ad illos fines prouincias africanas extendere ubi ante invasionem Vvandalorum et Maurorum respublica romana fines habuerat et ubi custodes antiqui seruebant, sicut ex clusuris et burgis ostenditur."

„გავაფართოვოთ აფრიკული პროვინციები იმ საზღვრებამდე, სადაც ოდესღაც რომის სახელმწიფოს საზღვრები გადიოდა ვანდალების და ბერბერების შემოსევებამდე და სადაც ძველი დარაჯები იყვნენ, რაც კედლებისა და კოშკების არსებობით მტკიცდება."

სხვა სიტყვებით, იუსტინიანემ კარგად იცოდა, თუ სად გადიოდა ადრე რომის იმპერიის საზღვრები. ბიზანტიელებს ესმოდათ, თუ სად მთავრდებოდა იმპერიული იურისდიქცია, რაც ნომინალურად გვიან ანტიკურ პერიოდში საზღვრების არსებობაზე მეტყველებს. ვანდალების წინააღმდეგ გატარებულმა სამხედრო კამპანიის შედეგებმა ცხადყო, ბიზანტიელებს არ უფიქრიათ დაეპყროთ ის, რაც ოდესღაც იმპერიას არ ეკუთვნოდა. ბელისარიუსის ჯარებს, 533-534 წლებში, არ დაუკავებიათ სანაპირო ზოლის სამხრეთით არსებული მიწები.

თუმცა, გადავინაცვლოთ ორიოდე საუკუნით უკან. კარგი მაგალითია 299 წელს სასანიანთა შაჰანშაჰ ნერსესა (293-302 წწ.) და რომის იმპერატორ დეოკლეტიანეს (384-305 წწ.) შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ორ სახელმწიფოს შორის ხანგრძლივი ომი დასრულდა. ზავის

მიხედვით, რომაელებს სომხეთის რამოდენიმე პროვინცია გადაეცათ. ამასთან ერთად, ზავის ერთერთი პუნქტი მიმოიხილავდა ზინთას ციხესიმაგრეს, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, ირანში, მიდიის საზღვარზე მდებარეობდა. ეს კი, ნიშნავს იმას, რომ რომაელებს, ისევე როგორც სპარსელებს, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმპერიებს შორის ფორმალური საზღვრების არსებობის საჭირიება. უფრო მეტიც, ამავე საზავო ხელშეკრულებით მდინარე ტიგროსი ორ იმპერიას შორის არსებულ საზღვრად გამოცხადდა.

ხელშეკრულების პუნქტები მეტყველებს იმაზე, რომ რომაელებს სამხედრო გამარჯვებებისა და ახალი მიწების შემოერთების შემთხვევებშიც კი, კარგად გაეგებოდათ საკუთარი იმპერიის ტერიტორიული გაფართოების უკიდურესი ხაზი, რომლის იქეთ არსებული მიწა არ აღიქმებოდა იმპერიულ საკუთრებად.

სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება საიმპერატორო კარზე

ომის წარმოება გვიან ანტიკური ხანის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი იყო. განსაკუთრებით, ამის თქმა შეიძლება იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის პერიოდზე (527-565 წწ.). მის მიერ წამოწყებული *reconquista*-ს შედეგად მოხერხდა ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობა, აპენინის ნახევარკუნძულის გათავისუფლება ოსტგუთებისაგან და ესპანეთის სამხრეთი ნაწილის დაბრუნება (კემერონი, 1993: 104-127). ამასთან ერთად, აღმოსავლეთში იუსტინიანეს უწევდა ხოსრო ანუშირვანის (531-579 წწ.) მძლავრი სასანიანთა იმპერიის შეკავება. თუმცა, ყველაზე გასაკვირი კი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ ამდენი სამხედრო მოქმედების მიუხედავად, იუსტინიანეს, ადრეული იმპერატორების კონსტანტინეს, ვალენსის, თეოდოსიუსის და სხვების მსგავსად, თვითონ მონაწილეობა არც ერთ სამხედრო კამპანიაში არ მიუღია. ყველაფერი იმპერიული დედაქალიქიდან იმართებოდა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ, მიუხედავად არსებული კომუნიკაციებისა, შესაძლებელი იყო ერთდროულად რამოდენიმე ფრონტზე სამხედრო მოქმედებების წარმატებით კოორდინირება. ამას ამტკიცებს ისიც, რომ პროკოპის ნაშრომებში არსად გვხდება მცირე ცნობაც კი, რომ იუსტინიანეს თვითონ მოენახულებინა ბრძოლის ველი, იქნება ეს აღმოსავლეთის ფრონტზე, თუ ახლად დაპყრობილ მიწებზე – ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში.

როგორც ითქვა, იუსტინიანე თავისი მეფობის უმეტეს ნაწილს კონსტანტი-

ნოპოლში, იმპერიულ სასახლეში ატარებდა. ეს ნაკლებობა სამხედრო საქმიანობაში შეიძლება იმ პატარა სამხედრო გამოცდილებით აიხსნას, რომელიც მას გააჩნდა იმპერატორად გამოცხადებამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იუსტინიანეს ქმედებები ემყარებოდა იმ ახლად ტრადიციას, რომელიც 395 წელს იმპერატორ თეოდოსიუსის გარდაცვალების შემდეგ იქნა შემოღებული. მისი შვილები არკადიუსი და ჰონორიუსი არ მონაწილეობდნენ სამხედრო კამპანიებში – ტრადიცია, რომელიც მათი მემკვიდრეების დროს უფრო გამყარდა. თუმცა, ამას არ შეუმცირებია იმპერატორების სურვილი მიღწეული სამხედრო წარმატებები საკუთარი თავისთვის მიეწერათ. იუსტინიანე ამ მხრივ კარგ მაგალითს წარმოადგენს, როდესაც კონსტანტინოპოლში, წმინდა სოფიის ტაძრის წინ, თავისი, როგორც სასანიანებზე გამარჯვებულის, ცხენზე ამხედრებული ძეგლი დაადგმევინა (კემერონი, 1993: 104-127). მეორე მაგალითი ასევე იუსტინიანეს მმართველობაში გვხვდება, როდესაც ბელისარიუსმა გამარჯვება მოიპოვა ვანდალებზე და მათი დამარცხებული მეფე გელიმერი ტყვედ ჩაიყვანა კონსტანტინოპოლში. ვანდალთა მეფე იპოდრომზე გაატარეს, სადაც მან, საიმპერატორო ლოჟასთან გასვლისას, იუსტინიანეს თაყვანი სცა (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BV*. IV.IX.12).

მაგრამ, ისევ დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: თუ იმპერატორი პირდაპირ არ მონაწილეობდა სამხედრო კამპანიების წარმოებაში, როგორ ხდებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღება? ეს საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული არსებული ნაშრომის მთავარ თემასთან: გააჩნდა თუ არა ბიზანტიის იმპერიას IV-VII სს. გრძელვადიანი პოლიტიკა იმპერიის საზღვრების გასწვრივ მცხოვრები ხალხების მიმართ?

შესაბამისად, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესასწავლად, თავდაპირველად საჭიროა განვიხილოთ იმპერიის სამხედრო პოტენციალი. პერიოდი, რომელიც აქ იქნება პირობითად განხილული, არის იუსტინიანეს მმართველობა (527-565 წწ.). რადგან წერილობითი წყაროების რაოდენობის მიხედვით, ეს არის გვიან ანტიკურ ეპოქის ყველაზე მდიდარი მონაკვეთი. არქეოლოგიური და პალეოგრაფიური მონაცემები არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენ, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებთ წერილობით წყაროებზე. აქ გამოირჩევა პროკოპი კესარიელის მიერ დატოვებული იუსტინიანეს ომებისა და აღმშენებლობის აღწერა. პროკოპის უპირატესობა, გარდა ნაშრომების იმ დიდი რაოდენობისა, რომელიც მან ჩვენ

დაგვიტოვა, აგრეთვე იმაშიცაა, რომ ის, როგორც ბელისარიუსთან დაახლოებული პირი, სხვადასხვა საომარი მოქმედებების უშუალო თვითმხილველი იყო. პროკოპის გარდა, ასევე ნიშანდობლივია კონსტანტინოპოლელი იურისტის, აგათიას მიერ დაწერილი პროკოპის ისტორიის გაგრძელება, სადაც ავტორი მიმოიხილავს ოსტგუთების წინააღმდეგ წარმოებული ომის ბოლო ეტაპს და დეტალურად გადმოგვცემს ბიზანტიისა და სასანიანთა ირანის ბრძოლას სამხრეთ კავკასიაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მენანდრე პროტექტორის ისტორია, რომელიც ძირითადად, მიმოიხილავს მოვლენებს 557 წლიდან 565 წელს იუსტინიანეს გარდაცვალებამდე. მენანდრეს წყარო განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან ის მოიცავს ცნობებს იმ მოვლენების შესახებ, რომელიც იმპერიის საზღვრებიდან შორს, თანამედროვე ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე, ხდებოდა (მენანდრე პროტექტორი, 1985).

გარდა ზემო მოყვანილი ძირითადი წერილობითი წყაროებისა, აგრეთვე მნიშვნელოვანია ბიზანტიური წარმომავლობის სამხედრო ტრაქტატები. ერთერთია ანონიმური ნაშრომი სახელწოდებით „სტრატეგიაზე“, რომელიც იუსტინიანეს მმართველობით თარიღდება (კუჩმა, 2001: 37-50; 208-243). მეორე, უფრო ცნობილი ნაშრომია „სტრატეგიკონი“, რომელიც პირობითად იმპერატორ მავრიკეს ეკუთვნის და დაახლოებით VII საუკუნის დასაწყისით თარიღდება (მავრიკე, 2004: 5-59).

სტრატეგიული გადაწვეტილების მიღების პროცესი: ომის გამოცხადება ვანდალების წინააღმდეგ

პროკოპის ნაშრომში „ომი ვანდალებთან“ საკმაოდ ბევრ მონაცემს ვაწყდებით იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება კონსტანტინოპოლიდან ჩრდილოეთ აფრიკაში, ბელისარიუსის მეთაურობით, 15,000-იანი სამხედრო ექსპედიციის გასაგზავნად. პროკოპი აღწერს არაფორმალურ კონსილიუმს, რომელიც იუსტინიანემ მოიწვია საომარი მოქმედებების მოსამზადებლად:

„როდესაც იმპერატორ იუსტინიანემ განსაზღვრა, რომ ვითარება საკმაოდ ხელსაყრელი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სპარსეთთან ურთიერთობაში, მან მთელი თავისი ყურადღება ჩრდილოეთ აფრიკისკენ გადაიტანა. მაგრამ, როდესაც მან გაუმხილა თავის მომხრეებს, რომ აგროვებდა ჯარს ვანდალებისა

და გელიმერის[23] წინააღმდეგ, მათი უმრავლესობა უკმაყოფილო იყო ამ გადაწყვეტილებით და განიხილავდა მას შეცდომად. ისინი იხსენიებდნენ იმპერატორ ლეოს ექსპედიციას, ბასილისკეს წარუმატებლობას,[24] თუ რამდენი ჯარი დაიღუპა და რამდენი ფული დაკარგა სახელმწიფომ. ადამიანები, რომელიც ყველაზე მეტად იყვნენ შეწუხებულები, იყვნენ პრეტორიანელი პრეფექტი, ხაზინის გამგებელი და ისინი ვისაც ევალებოდა გადასახადების აკრეფვა...

მაგრამ, ერთადერთმა ადამიანმა, რომელმაც გაბედა წინააღმდეგობა გაეწია იმპერატორისთვის, რათა ხელი შეეშალა ექსპედიცცისთვის, პრეტორიანელი პრეფექტი იოანე კაპადოკიელი იყო (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BV*. III.10)."

ამ ამონარიდში ნათლად ჩანს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინება ესაჭიროებოდა რომის იმპერატორს მნიშვნელოვანი სამხედრო გადაწყვეტილების მიღების წინ. ისევე, როგორც თანამედროვე პერიოდში, მმართველი ბიზანტიის იმპერიაში, ისეთიც კი როგორიც იყო ავტოკრატი იუსტინიანე, ეკითხებოდა მოხელეებს ეკონომიკური დაბრკოლებების შესახებ, რომელიც სამხედრო კამპანიისთვის მზადებისას შეიქმნებოდა. ის ფაქტი, რომ იუსტინიანეს გეგმას შეეწინააღმდეგა პრეტორიანელი პრეფექტი იოანე კაპადოკიელი, მეტყველებს იმაზე, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური საკითხის (იქნება ეს დამატებითი გადასახადების აკრეფვა, თუ ხაზინიდან ომის მეტი დაფინანსება) გათვალისწინება საომარი მოქმედებების დაწყებამდე.

თუმცა, ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, ისევე, როგორც თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწე, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების წინ, იუსტინიანეს სურდა ორ ფრონტზე ომი თავიდან აეცილებინა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედებების დასრულება დასავლეთში ომის საწარმოებლად, სამხედრო და ეკონომიკური რესურსების კონცენტრირებისთვის. თუმცა, როგორც წყაროდან ჩანს, ომის გამოცხადებით გამოწვეულ შესაძლო ეკონომიკურ პრობლემებზე მაღლა დადგა (ყოველ შემთხვევაში, რიტორიკულად) იმპერატორის რელიგიური პოლიტიკის მოთხოვნები – კერძოდ კი დახმარება გაეწია ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალების მმართველობის ქვეშ ჩაგრულ ორთოდოქს ქრისტიანებისთვის. პროკოპი

[23] იმ დროს ვანდალების მეფე.
[24] 468 წელს.

რამოდენიმეჯერ ახსენებს, თუ როგორ აგროვებდა ცნობებს იუსტინიანე ქრისტიანების გაუსაძლის პირობებზე აფრიკაში და იმპერატორის საპასუხო წერილებზე ვანდალების მეფე გელიმერისადმი. იუსტინიანე, აფრიკაში სამხედრო ინტერვენციისთვის რიტორიკულად იყენებდა რელიგიურ მიზეზს: ვანდალების არიოზელობას – ქრისტიანობის მწვალებლური მიმართულება, რომელიც III საუკუნის ალექსანდრიელი ბერი არიოზის მიერ იყო ჩამოყალიბებული. რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო, ვანდალების მმართველობა აფრიკაში დაეცა ბელისარიუსის მეთაურობით 15,000-იანი ბიზანტიური ჯარის შემოტევის შემდეგ. სწრაფი გამარჯვების მიუხედავად, სამხედრო კამპანიამ დიდი წნეხი დაატანა იმპერიის ეკონომიკურ რესურსებს, რადგან კონსტანტინოპოლი იძულებული იყო ჯარი პერმანენტულად ჰყოლოდა განლაგებული ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე.

საინტერესოა, თუ რა სამხედრო მემკვიდრეობა დარჩა იუსტინიანეს და რა ცვლილებები განორციელდა ამ სფეროში მისი რეფორმატორული მმართველობის ხანაში. სტრუქტურულად, IV საუკუნეში კონსტანტინე დიდის მიერ შემოღებული რეფორმების შემდეგ, რომაულ ჯარს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. მართალია, არც პროკოპისთან და არც რომელიმე სხვა VI საუკუნის ისტორიკოსთან არ გვხდება ტერმინები *comitatenses* და *limitanei*, სხვაობა ამ საველე და სასაზღვრო ჯარებს შორის უცვლელი დარჩა. იუსტინიანეს ტახტზე ასვლის დროისთვის იმპერიაში არსებობდა ხუთი რეგიონული საველე ჯარი (ორი კონსტანტინოპოლთან, თითო ჯარი ილირიკუმში, თრაკიაში და იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე), რომელთა სათავეშიც *magister militum*-ები იდგნენ. შემდეგ, იმპერატორმა მეექვსე საველე ჯარიც შექმნა (ლი, 2006: 120-125), ხოლო აღმოსავლეთის საველე ჯარი ორ ნაწილად დაიყო – ერთი სომხეთის, მეორე კი მესოპოტამიური პროვინციების დასაცავად. ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, პირდაპირი პასუხი იყო სასანიანთა გაძლიერებულ ინტერესზე სამხრეთ კავკასიაში.

თუმცა, IV და VI საუკუნეების იმპერიულ ჯარებს შორის ამ ფუნდამენტური მსგავსობების მიუხედავად, რამოდენიმე სახეცვლა იმპერიულმა ჯარმა მაინც განიცადა. კავალერია უფრო მეტად აქტიურ როლს თამაშობდა საბრძოლო მოქმედებებში, ხოლო *foederati* და *bucellarii* მეტად პოპულარული საჯარისო შენაერთები გახდნენ. რომაელები *foederati*-ებს ეძახდნენ უცხოელებს,

რომელნიც რომაულ ჯარში მსახურობდნენ (ლი, 2006: 120-125), ხოლო *bucellarii* კი, თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სამხედრო გენერლების პირადი დაცვა. დროთა განმავლობაში, *bucellarii* საკმაოდ მძლავრ საომარ ერთეულებად გადაიქცა.

რამდენად დიდი იყო იუსტინიანეს ჯარი? VI საუკუნის ისტორიკოსი აგათია აღმოსავლეთ რომის იმპერიაში 150,000-იანი ჯარის შესახებ წერს. თუმცა, ისტორიკოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ აგათიას მოცემული აქვს არსებული ჯარის მინიმალური რაოდენობა, რადგან ის, ზოგადად, არის უკმაყოფილო იუსტინიანეს მიერ გატარებული სამხედრო პოლიტიკით. უფრო სწორი იქნებოდა, გვეფიქრა 300,000-350,000-იან ჯარზე აღმოსავლეთ რომის იმპერიის სამსახურში. რთულად წარმოსადგენია, რომ კონსტანტინოპოლს ამაზე დიდი ჯარის მობილიზება მოეხერხებინა მას შემდეგ რაც იმპერია 395 წელს ორად დაიყო. ორი იმპერატორის არსებობა რომაულ სამყაროში ორ სახელმწიფო აპარატის არსებობას გულისხმობდა რაც, პირველ რიგში, იმპერიის სამხედრო პოტენციალის დაყოფას ნიშნავდა. გარდა ამისა, ჩვენთვის არსებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ V საუკუნიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ცალკეული ჯარების რაოდენობა არ იყო დიდი.

502 წელს შაჰანშაჰ კავადმა კონსტანტინოპოლს ომი გამოუცხადა, რითაც დაასრულა საუკენუზე მეტხანს გაგრძელებული თანამშრომლობა ორ იმპერიას შორის.[25] პროკოპისთან გვხვდება პირდაპირი ცნობა, რომ 503 წელს იმპერატორ ანასტასიუსის დროს, მოხერხდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სასანიანთა ძალების წინააღმდეგ 52,000-იანი ჯარის განლაგება. მაგრამ, ეს რიცხვი უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა. წყაროების მიხედვით, იუსტინიანეს ჯარების რიხცვი მერყეობდა 15,000-დან 30,000-მდე (ლი, 2006: 120-125).[26] ამასთან ერთად, VII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამხედრო სტაქტატ *Strategikon*-ში, 15,000-20,000-კაციანი ჯარი საკმაოდ დიდ ერთეულადაა მიჩნეული. დამატებით არგუმენტად შეგვიძლია ისიც გამოვიყენოთ, რომ რამოდენიმე ფრონტზე საომარ მოქმედებაში მყოფ იუსტინიანეს გაუჭირდებოდა ერთდროულად იტალიაში ოსთგუთებისა და მესოპოტამიაში სასანიანთა ჯარების წინააღმდეგ 35,000-50,000-

[25] თანამშრომლობა, ძირითადად, უსაფრთხოების საერთო კონცეპციის შემუშავებაზე მიმდინარეობდა ევრაზიის სტეპებიდან მომდინარე ნომადური საფრთხის აღმოსაფხვრელად.
[26] თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირი იყო უფრო მცირერიცხვიანი საჯარისო შენაერთების ოპერირება ფრონის ხაზებზე. ასე, მაგალითად, ეგრისში სასანიან ჯარებთან ბრძოლაში ქართველების დასახმარებლად, იუსტინიანემ 5,000-6,000-იანი ჯარი გამოაგზავნა.

იანი ჯარების გამოყვანა.

იუსტინიანეს პერიოდში ისევე, როგორც ადრეულ საუკუნეებში, ჯარის შევსება ხდებოდა ორი გზით: 1. ჯარში მსახურების უფლება/ვალდებულება მემკვიდრეობით გადაიცემოდა მამიდან შვილზე; 2. უცხოელების დაქირავება. შესაბამისად, არ არის გასაკვირი ჰუნების, გუთების, ისლამამდელი არაბების[27] და სხვა გერმანული, თუ ნომადური წარმომავლობის ხალხების იმპერიულ ჯარში ინტეგრირება.[28]

ჯარზე იხარჯებოდა იმპერიის ადამიანური, თუ ეკონომიკური რესურსების დიდი ნაწილი. სხვადასხვა გამოთვლებით ჯარზე ყოველწლიურად იმპერიის ხაზინის ნახევარი, ან 3/4 იხარჯებოდა.[29] გამოთვლების გაკეთება შესაძლებელია, თუ გვეცოდინება რამდენს ხარჯავდა იმპერია თითოეულ ჯარისკაცზე. III საუკუნეში დაწყებულმა ინფლაციამ დააქვეითა რომაელი ჯარისკაცის ხელფასის – *stipendium*-ის – თვითღირებულება. ინფლაციამ ისეთ ზომებს მიაღწია, რომ სახელმწიფო იძულებული იყო შემოეღო ნატურალური გადასახადი – *annona*. თუმცა, ამ სისტემით ამოღებული გადასახადების ერთი ტერიტორიიდან მეორეში გადატანა იწვევდა სატრანსპორტო პრობლემებს. ამიტომაც, დროთა მსვლელობაში, *annona*-მ მოდიფიკაცია განიცადა და VI საუკუნეში სახელმწიფო ზოგ იმპერიულ საჯარისო შენაერთს ნატურალურ გადასახადს, ზოგს კი – ფულს უხდიდა.[30] აგრეთვე, არსებობდა ბონუსები, რომელიც გადაეცემოდა ჯარისკაცებს ტახტზე ახალი იმპერატორის ასვლისთანავე და მისი მმართველობის ყოველ მომდევნო მეხუთე წელიწადს.[31]

---

[27] თუმცა, ესენი სტრუქტურულად არ ერწყმოდნენ იმპერიულ ჯარებს, მაგალითად, სირია-მესოპოტამიის უდაბნოში, არამედ, ხშირ შემთხვევებში, დამხმარე ერთეულებად გამოდიოდნენ.

[28] მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ 540-იან წლებში გავრცელებული ჭირის შემდეგ იმპერიული ჯარი უფრო მეტად ეყრდნობოდა დაქირავებულ უცხოელებს. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა ნეგატიური გავლენა მოახდინა ჭირმა იმპერიის სოფლის მოსახლეობაზე, საიდანაც ხდებოდა ჯარის ძირითადი ნაწილების გამოყვანა. ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოყვანა შეუძლებელია. რამოდენიმე ისტოკიროსი მიიჩნევს, რომ, დაახლოებით, იმპერიის მოსახლეობის 1/3 უნდა განადგურებულიყო, საიდანაც დიდი წილი სოფლის მაცხოვრებლებზე მიდიოდა. ზომიერი მიდგომა ამ საკითხისადმი არის ის, რომ მიუხედავად რთული მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა ეპიდემიის შემდეგ, სოფელში მოსახლეობის დაკლებას არ უნდა შეექმნა კრიზისული მდგომარეობა ჯარის შევსებაში. ამასთან ერთად, არქეოლოგიური მონაცემები იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან, მაგალითად სირიდან, მეტყველებს იმაზე, რომ სოფლის მოსახლეობა არა მარტო არ დაკლებულა VI საუკუნის შუა ხანებში, არამედ მომატებულიც კი იყო.

[29] თუმცა, ეს გამოთვლები პირობითია ზუსტი ეკონომიკური მონაცემების არარსებობის და გამო.

[30] ზოგადად, ნატურალურ გადასახადს *limitanei*-ებს, ხოლო ფულს კი *comitatenses*–ის ჯარებს უხდიდნენ.

[31] ბონუსები ყოველ ხუთ წელიწადში ეხმარებოდა ამა თუ იმ იმპერატორს იმპერიული ჯარის ლოიალურობა შეენარჩუნებინა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი იმპერატორის დროს

ამასთან ერთად, ჯარისკაცებს ეძლეოდათ დამატებითი თანხები სამხედრო აღჭურვილობის შესაძენათ.[32]

ესეთი იყო V საუკუნის იმპერიული ჯარის ინფრასტრუქტურა. სისტემისთვის მთავარ სირთულეს წარმოადგენდა სამხედრო კამპანიის მოწყობა. ყველაზე მსხვილი საექსპედიციო ჯარი VI საუკუნის დასაწყისში იმპერატორ ანასტასიუსის დროს იყო მობილიზებული. 503 წელს ანასტისიუსმა 52,000-იანი ჯარი შეკრიბა, ხოლო 533 წელს იუსტინიანემ 15,000-იანი საექსპედიციო ჯარი გააგზავნა ჩრდილოეთ აფრიკის ვანდალებისგან გასათავისუფლებლად. ბელისარიუსის ჯარის ეს რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ანასტასიუსის მიერ შეკრებილი ლაშქარი. მიუხედავად ამისა, 15,000-იან ჯარს ყოველდღიურად ესაჭიროებოდა 30 ტონა ხორბალი, 13 ტონა საკვები და 30,000 გალონი წყალი. შესაბამისად, ურბანიზებულ ტერიტორიებზე ომის წარმოება უფრო მარტივი იყო, რადგან არ იყო რთული საკვებისა, თუ წყლის მოძიება მინიმალური რაოდენობით მაინც (ვიტბი: 2008: 288-311).

ეს შედარებით პატარა საექსპედიციო ჯარები საკმაოდ ეფექტიანი იყო მტრის დამარცხებისთვის. ასე, 530 წელს, ბელისარიუსმა სასანიანთა დიდი ჯარის დამარცხება მოახერხა ქალაქ დარასთან (ჩრდილოეთ მესოპოტამია). პარალელურად, იმავე წელს, სხვა ორმა ბიზანტიელმა მხედართმთავარმა, სიტასმა და დოროთეუსმა გამარჯვება მოიპოვეს ისევ სასანიანთა მრავალრიცხოვან ჯარებზე. ვანდალების წინააღმდეგ მოწყობილმა კამპანიამ სასურველი შედეგი გამოიღო ბელისარიუსის მიერ ორ ბრძოლაში, ად დეკიმუმთან და ტრიკამარუმთან, გამარჯვებების მოპოვების შემდეგ. ამ პერიოდში მცირერიცხოვანი ბიზანტიური ჯარით მრავალრიცხოვან მეტოქეზე გამარჯვებების საკმაოდ დიდი სიის შედგენა შეიძლება.[33]

VI საუკუნის ბიზანტიური ჯარების ასეთი ეფექტიანობის ერთერთი მიზეზი იყო ქვეითი ერთეულების როლი. აგრეთვე, VI საუკუნეში კავალერიამაც დაიკავა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი. ბიზანტიელი მშვილდოსნების უპირატესობამ გუთების შუბით შეიარაღებულ კავალერიაზე მრავალმხრივ განაპირობა იტა-

---

გაცემული ბონუსი დაახლოებით უდრიდა ორი წლის ნატურალურ გადასახადს, ხოლო ყოველ ხუთ წელიწადში გაცემული ბონუსი კი – ერთი წლის ნატურალურ გადასახადს.

[32] ეს კი ხორციელდებოდა იმპერიულ ქარხნებში (*fabricae*).

[33] თუნდაც, აღსანიშნავია ისეთი გამარჯვებები როგორიც არის ნარსეს მიერ გუთების დამარცხება ტაგინასთან და მონს ლაკტარიუსთან (იტალია) 552 წელს, ხოლო 554 წელს კი ფრანკებზე კასილინუსთან. გერმანუსმა (ასევე ბიზანტიელმა მხედართმთავარმა) დუნაიზე ანტები დაამარცხა იუსტინიანეს გამეფებამდე, ხოლო 530 წელს მუნდუსმა კი, ბულგარელები დაამარცხა.

ლიის დაპყრობა. აღსანიშნავია, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მშვილ-დოსნები ცხენებიდან ჩამოდიოდნენ და ბრძოლას ქვეით ჯართან ერთად აგრძელებდნენ. გარდა ამისა, იმპერიული ჯარი გამოირჩეოდა დისციპლინით, რომელიც უკვე საუკუნეების ტრადიციას ითვლიდა. ბიზანტიელ მხედართმთავრებს გააჩნდათ უამრავი სტრატეგია, თუ როგორ უნდა შეენარჩუნებინათ, ან გაეძლიერებინათ დისციპლინის დონე ჯარში, იყო ეს სისტემური ვარჯიშების დაწესებით, თუ დამრღვევთათვის მკაცრი ჯარიმების შემოღებით. აღსანიშნავია, რომ ხელფასების გადაუხდელობისას ხშირი იყო საბრძოლო მორალის დაქვეითების შემთხვევებიც.

მიუხედავად ზემონახსენები წარმატებული სამხედრო სისტემისა, გამარჯვებები ცალკეულ ბრძოლებში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იმპერიის სამხედრო ძლიერების საზომი. იმპერიულ ჯარებს ბევრი მარცხიც აქვს განცდილი დაბალი სამხედრო მომზადების მქონე ჯარებთან.[34] ამიტომაც, საჭიროა იმპერიის მოქმედებების კომპლექსური შესწავლა: ყველა არსებული ეკონომიკური, თუ ადამიანური რესურსის, დაზვერვის ეფექტიანობის და ა. შ. ამ მხრივ, კარგ მაგალითს წარმოადგენს ვანდალების წინააღმდეგ მოწყობილი ექსპედიცია. მართალია, ად დეკიმუმთან და ტრიკამარუმთან გამართული ბრძოლები გადამწყვეტი იყო ვანდალთა გასანადგურებლად, ბელისარიუსის წარმატება 15,000-იანი ჯარით არ იქნებოდა ისეთი მარტივი, რომ არა აჯანყებები ტრიპოლიტანიასა (ვანდალთა სამეფოს ერთერთი პროვინცია) და კუნძულ სარდინიაზე, რომელთა ჩახშობისთვის გელიმერს სამხედრო ძალების გადანაწილება უწევდა რამოდენიმე ფრონტზე. ამასთან ერთად, კონსტანტინოპოლში კარგად იცოდნენ, რომ ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც დიოფიზიტი[35] იყო, დადებითად იყო განწყობილი რელიგიურად მოძმე ბიზანტიელების სამხედრო ძალების გამოჩენისადმი. ეს უკვე მეტყველებს იმაზე, თუ როგორი სადაზვერვო სამუშაოები ჰქონდა გატარებული იუსტინიანეს ხელისუფლებას კამპანიის დაწყებამდე. პროკოპი კესარიელის ნარატივი ამ ომის შესახებ მკითხველს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კონსტანტინოპოლში ისიც კი იცოდნენ, თუ რამდენი ვანდალი ცხოვრობდა აფრიკაში და რა სოციალური ფონი არსებობდა იმ დროისთვის. რადგან პროკოპი ბელისარიუსის პროტეჟეს წარმოადგენდა და

[34] ბრძოლა ადრიანოპოლთან 378 წელს გუთების წინააღმდეგ.
[35] გავიხსენოთ, რომ ვანდალები არიანელები იყვნენ.

საკუთრივ ბევრი აღწერილი მოვლენის მოწმე იყო, მარტივად სავარაუდებელია, რომ ამ ინფორმაციას ფლობდნენ იმპერიის სამხედრო შტაბის წევრები, როდესაც სამხედრო მოქმედებებს ამზადებდნენ. იგივეს თქმა შეიძლება ბელისარიუსის მიერ გუთების დამარცხებაზე იტალიაში, როდესაც გუთ ლიდერებს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა ხელი შეუწყო ბიზანტიელთა გამარჯვებებს. შესაბამისად, ბიზანტიელთა სამხედრო წარმატებებზე საუბრისას, საჭიროა განხილულ იქნას, სხვადასხვა ფაქტორი, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბიზანტიელების მიერ საალყო ტექნიკის გამოყენება. ბელისარიუსმა თავის აფრიკულ, თუ იტალიურ კამპანიებში ბევრჯერ გამოიყენა სპეციალური დანადგარები და ალყის სხვა მეთოდები, იქნება ეს ალყაში მყოფთათვის წყლის მიწოდების შეზღუდვა თუ საკვების განადგურება.[36] ეს კი, მეტყველებს ბიზანტიელებში სამხედრო ცოდნის მაღალ დონეზე. საალყო ტექნიკის გამოყენება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სასანიანებთან ბრძოლაში ჩრდილოეთ მესოპოტამიასა, თუ სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ, ვანდალებთან და გუთებთან შედარებით, აქ ბიზანტიელების უპირატესობა ნაკლებად თვალსაჩინო იყო, რადგან ირანელებს არანაკლები სამხედრო გამოცდილება გააჩნდათ.[37] ეს კარგად გამოჩნდა კავადის მიერ 502 წელს დაწყებულ ომში (გრეიტრექსი, 1998: 35-66).

ბიზანტიის ჯარის ეფექტიანობაზე საუბრისას, მარტივია ყურადღება არ მივაქციოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის საომარი მოქმდებების როლი იმპერიის რიგით მოსახლეობაზე. ამ მხრივ, ყველაზე მეტად დაზარალდა ურბანული ცენტრები, მაგალითად იტალიაში, სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ჩვენ უკვე ვახსენეთ, თუ რა ხშირი იყო აპენინის ნახევარკუნძულზე ბელისარიუსის სამხედრო კამპანიის დროს დიდი ურბანული ცენტრების ალყები. საგრძნობლად დაზარალებული იყო სირიის დიდი ქალაქები,

---

[36] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალაქები ხშირად შიგნიდან ტყდებოდა, როდესაც არაგუთური მოსახლეობა ბიზანტიელების მხარეს გადაიოდა.

[37] ამასთან ერთად, უნდა ვახსენოთ სწრაფი თავდასხმებისა და უკან დახევის ტაქტიკები, რაც თითქოს და უცხო უნდა ყოფილიყო ბიზანტიელებისთვის, თუმცა ნომად ხალხებთან სამხედრო კოტაქტებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს ამ ტაქტიკის შემოღებისთვის. ამასთან ერთად, ბიზანტიელები მსგავს სამხერო აქტივობებში მოკავშირე ხალხებთან არაბ ტომებთან (სირია-მესოპოტამიის უდაბნოში) თუ ბერბერებთან (ჩრდილოეთ აფრიკაში) ერთად ებმეოდნენ. არაბები, ისევე როგორც ბერბერები, გეოგრაფიული პირობების და გამო, მაღალი მობილობით გამოირჩეოდნენ და შესაბამისად ეფექტიან ძალას წარმოადგენდნენ სადაზვერვო საქმიანობისთვის თუ მცირემასშტაბიანი შეტევების განსახორციელებლად. შესაბამისად, ბიზანტიელები იყენებდნენ მათ როგორც მოკავშირეებს საზღვრების დაცვაში.

როგორიც არის ალეპო და ანტიოქია, მაგალითად 540-იან წლებში ხოსრო ანუშირვანის შემოსევების დროს. ურბანული ცენტრების ალყები, როგორც წესი, საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა. მაგალითად, რომს ორჯერ შემოარტყეს ალყა. თითო ალყამ თითო წელი გასტანა – 537-538 და 545-546 წწ. პროკოპის იტალიური ქალაქების ალყების აღწერილობაში ბევრჯერ გვხვდება ფაქტები, თუ რა გაჭირვებამდე იყო დაყვანილი ურბანული მოსახლეობა.[38] მსხვილი ცენტრების მოსახლეობა იმითაც ზარალდებოდა, რომ ხანგრძლივი ალყის შემდეგ მტერი ძირითადად ქალაქის ძარცვით ასრულებდა ურჩი მოსახლეობის დასჯას.[39]

მსგავსი არგუმენტების მოყვანა შეიძლება სოფლის მოსახლეობაზეც. ელემენტარული მიზეზი კი ალბათ ისაა, რომ სამხედრო კამპანიების დროს ჯარები წყალსა და სხვა საკვებს, ძირითადად, სოფლის მოსახლეობის ხარჯზე მოიპოვებდნენ, თუ იმპერიული ცენტრებიდან საკვების ტრანსპორტირება ფერხდებოდა. ჯარის გავლას სოფლებში, ხშირ შემთხვევაში, მოჰყვებოდა ძარცვა და მოსახლეობის ქონების დაზიანება ან განადგურება. ეს განსაკუთრებულად მაშინ ხდებოდა, როდესაც ბრძოლა წარუმატებლად მთავრდებოდა და საჯარისო შენაერთები ქაოტურად იხევდნენ უკან.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა იძულებული იყო საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა და ახალი, ნაკლებად სახიფათო ტერიტორიები დაეკავებინათ. არქეოლოგიურად მტკიცდება, მაგალითად, 540-იან წლებში ცენტრალურსა და სამხრეთ იტალიაში საცხოვრებელი ვილების მიტოვების ფაქტები. პროკოპისთან რამოდენიმე ცნობა არის შემონახული ამასთან დაკავშირებით, როდესაც ის აღწერს იტალიური ქალაქის ემილიას მოსახლეობის ბედს (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: 6.20.18-22). ემილიას მოსახლეობამ დატოვა საკუთარი ტერიტორია და ქალაქ პიცენუმისკენ გადაიხვეწა, იმის იმედით, რომ მისი ტერიტორიული მდებარეობა (პიცენუმი ზღვისპირა ქალაქი იყო) ხელს შეუწყობდა მოსახლეობის მარტივ გამოკვებას.

---

[38] უფრო მეტიც, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ქალაქ ამიდას ალყისას (სასანურ ირანთან 502 წელს განახლებული საომარი მოქმედებების შემდეგ) წყაროებში კანიბალიზმის ფატებიც არის ნახსენები. რთულია იმის თქმა სიმართლეს შეესაბამება ეს ცნობები, თუ ავტორებს სურდათ გაემუქებინათ არსებული მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობები უნდა მეტყველებდეს ურბანული მოსახლეობის საკმაოდ რთულ მდგომარეობაზე.

[39] რამოდენიმე მაგალითი საკმარისი იქნება. 540 წელს, სანამ იუსტინიანეს ჯარები დასავლეთში იყვნენ დაკავებულნი, ხოსრომ ანტიოქია აიღო ალყის შემდეგ. არა მხოლოდ მოსახლეობის ნაწილბრივ განადგურება განხორციელდა, არამედ ნაწილის გადასახლება ირანში. ხოსრომ დედაქალაქ ქტესიფონთან დააარსა ახალი ქალაქი ანტიოქიის მოსახლეობით.

პროკოპის მიერ პოსტ-ვანდალური ჩრდილოეთ აფრიკის აღწერილობაც ადგილობრივი უმძიმესი სოციალური ფონის ბევრ ფაქტს გადმოგვცემს. სოფლის მოსახლეობის მასობრივი გადასახლებები აგრეთვე ხშირი იყო ბალკანეთში, როდესაც 540-550 წლებში დუნაისპირეთიდან სლავების ტომების მასშტაბური შემოსევები დაიწყო. იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, მაგალითად ეპიგრაფიკული მასალით მდიდარ სირიაში, 540-550 წლებში შემონახული არც ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი გვხვდება. ამის დაკავშირება კი სასანურ ირანთან წარმოებულ ომებით და ჭირის ეპიდემიასთან შეიძლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პერმანენტულმა სამხედრო მოქმედებებმა ნაწილობრივ დადებითი შედეგიც გამოიღო, რადგან მასშტაბურად მიმდინარეობდა ციხე-სიმაგრეების გამაგრება/აშენება. აღსანიშნავია ისიც, რომ საფორტიფიკაციო ნაგებობებზე მუშაობა არა იძულებით, არამედ ჩვეულებრივ სახელფასო სამსახურს წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობდა სოციალური დონის ამაღლებას დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდით.

შეიძლება ითქვას, რომ იუსტინიანეს ჯარები საკმაოდ ეფექტიან სამხედრო ერთეულებს წარმოადგენდნენ, ხოლო სამხედრო სისტემა (სამხედრო ინფრას-ტრუქტურა) კი, ერთდროულად რამოდენიმე ფრონტზე სხვადასხვა ძალის მქონე მოწინააღმდეგესთან ომს უძლებდა. იმპერიულმა სამხედრო მანქანამ მრავალ ცვლილებას გაუძლო. თუ 532 წელს ვანდალების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წარმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც იუსტინიანემ ზავი დადო ხოსროსთან და შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ერთ ფრონტზე (ვანდალებთან) მოუწევდა ომის წარმოება, 540-550-იან წლებში ბიზანტიელებს ერთდროულად სამი მიმართულებით უწევდათ ბრძოლების გამართვა. იმპერიის სამხედრო ინფრასტრუქტურამ ამ წნეხს წარმატებით გაუძლო. ამას უნდა დაემატოს ჭირის ეპიდემიაც და მასთან დაკავშირებული ბიზანტიურ სოფლებში ადამიანური რესურსების შემცირება (ჰორდენი, 2006: 134-155). გუთებთან, აფრიკაში ბერბერ მეამბოხეებთან და სასანიანებთან ბრძოლების პარალელურად, ბიზანტიელებს საფრთხეს უკვე სლავებიც უქმნიდნენ დუნაისპირეთიდან. კონსტანტინოპოლს კონკურენციისთვის უნდა გაეძლო სასანიანებთან სამხრეთ არაბეთში, ინდოეთის პორტებში და სირია-მესოპოტამიაში წინაისლამური ეპოქის არაბი მოკავშირეების მოზიდვაში. ხოლო, როდესაც იმპერიული ჯარები წარუმატებლობას განიცდიდნენ, მაგალითად იტალიაში გუთების წინააღმდეგ, ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო უთანხმოებებით რომაელ მხედართმთავრებს

შორის ან ჯარისკაცებისთვის ხელფასების გადაუხდელობით და ამით გამოწვეული სამხედრო მორალის დაცემით. ამავდროულად, ის ნაკლი, რომელიც იმპერიულ ჯარს გააჩნდა უდაბნოსა და მთიან რეგიონებში ომის წარმოებისას, ძირითადად, ბიზანტიური დიპლომატიის მეშვეობით ბალანსდებოდა.

თავი III

ბარბაროსების ქვეყანაში

1. შიდა აზიის გეოგრაფია

IV საუკუნის 70-იანი წლებში ჰუნების, დუნაისპირეთში გამოჩენით დაიწყო ცნობილი „ხალხთა დიდი გადასახლება“. როგორც დავინახეთ, ამ პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ რომის იმპერიის განვითარებაზე, იმპერატორების მსოფლმხედველობაზე და გამოიწვია ბიზანტიის იმპერიის სამხედრო სტრატეგიის შეცვლა. ჩვენ ამაზე საკმაოდ ბევრი ვისაუბროთ, თუმცა კითხვაზე, თუ რატომ ესხმოდნენ ნომადები იმპერიას ჩრდილოეთიდან, პასუხი არ გაგვიცია. ამ და მომდევნო თავში ზუსტად ეს პრობლემა იქნება განხილული. ჩემის აზრით, ამოსავალ წერტილს ამ საკითხის გარკვევისთვის გეოგრაფიული პირობები წარმოადგენს. და ბოლოს, აქ მოტანილი მსჯელობა რელევანტური იქნება, არა მხოლოდ ბიზანტიისთვის, არამედ სასანური ირანისთვისაც, რომელიც ნომადების შემოსევების პირველ ტალღას ხვდებოდა ცენტრალური აზიიდან და კავკასიონიდან.

მომდევნო თავში, შიდა აზიის კონცეფციის განხილვისას, ყურადღება, ძირითადად, გამახვილებული იქნება სტეპების ეკონომიკაზე და მის როლზე ბარბაროსებსა და ცივილურ სამყაროს შორის ურთიერთობის დამყარებაში. საუბარი, აგრეთვე, იქნება შიდა აზიაში[40] არსებულ გეოგრაფიულ პირობებზე. ეს პირობები კი, ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ევრაზიის სტეპებსა, თუ ევროპაში, კერძოდ კი, უნგრეთის დაბლობზე მცხოვრები ბარბაროსების

[40] რეგიონი, რომელიც პირობითად მოიცავს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას სამხრეთ კავკასიისა და თურქმენეთის გამოკლებით.

ეკონომიკური ცხოვრების მოდელის გარკვევისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, გავერკვიოთ იმაში, თუ რატომ გახდა სტეპი ის გეოგრაფიული ლანდშაფტი, რომელშიც იქმნებოდა ათასობით კილომეტრზე, დუნაიდან კასპიამდე, გადაჭიმული ნომადური იმპერიები (ჰუნები, ავარები, ყივჩაღები და სხვა). შიდა აზიის გეოგრაფიული პირობების განხილვა მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხის გარკვევისთვის: როგორ მოხდა, რომ განვითარების პრიმიტიულ დონეზე მცხოვრები ბარბაროსები სამხედრო საქმეში ახერხებდნენ ბიზანტიისა და სასანური იმპერიების შევიწროებას ამ სახელმწიფოების ჩრდილოეთ საზღვრის მთელ გაყოლებაზე, ცენტრალური აზიიდან, გურგანის ველიდან (კასპიის ზღვის აღმოსავლეთით), ევროპაში, მდინარე რაინამდე.

ევრაზიის კონტინენტის უკიდურესი ჩრდილოეთი, წლის უმეტესი დროის განმავლობაში, მთლიანად ყინულითა და თოვლით არის დაფარული. მხოლოდ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში შეინიშნა ზედნადები თოვლისა და ყინულის დონის შემცირება ევრაზიის ჩრდილოეთ ნაპირებთან. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე გემებით გამარტივდა არქტიკის ყინულის ზღუდის გადალახვა, ეს გზა დღესაც, როგორც ბოლო მრავალი საუკუნის განმავლობაში, მოწყვეტილია მსოფლიოს ოკეანეს და მასზე გამავალ სავაჭრო გზებს (ბერგი, 1950: 61-75).

ისე მოხდა, რომ ევრაზიის კონტინენტის სამი უდიდესი მდინარე ლენა, იენისეი და ობი ევრაზიის შუა ტერიტორიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ნავოსნობისთვის მიუწვდომელ ჩრდილოეთ ოკეანეში მიედინება და, შესაბამისად, საოკეანო ნავიგაციისგან მოწყვეტილია. ეს სამივე მდინარე მსოფლიოში ყველაზე დიდ დაბლობზე მოედინება. მდინარე ობი მოედინება დასავლეთ ციმბირის დაბლობზე, რომლის უმაღლესი წერტილიც ზღვის დონიდან 285 მეტრს შეადგენს. ობისა და ირტიშის სათავეებიდან ჩრდილოეთ ოკეანემდე მოყოლებული, დასავლეთ ციმბირის ვაკე, რეალურად, წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ ჭაობს (კემბრიჯის შიდა..., 1990: 23). დასავლეთ ციმბირის აღმოსავლეთით შუა ციმბირის დაბლობი მდებარეობს, რომლის გასწვრივაც მდინარე ენისეი მიედინება. შუა ციმბირის დაბლობი ზღვის დონიდან შედარებით უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე დასავლეთ ციმბირის დაბლობი, თუმცა მისი უმაღლესი წერტილი 1678 მეტრია, რაც უმეტესწილად, გამონაკლისს წარმოადგენს (საშუალო სიმაღლე, დაახლოებით, 800 მეტრს აღწევს). შესაბამისად, მიუხედავად სხვაობისა სიმაღლეში ზღვის დონიდან და

სხვადასხვა გეოგრაფიული სახელის ქონისა, დასავლეთ ციმბირის და შუა ციმბირის დაბლობები რეალურად ერთ დიდ გიგანტურ დაბლობს ქმნიან (კაპლანი, 2013: 154-160). შუა ციმბირის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარე ლენა მოედინება, რომელსაც, საშუალოდ, 2,500 მეტრის სიმაღლის მქონე ქედები ესაზღვრება (მსოფლიო ატლასი, 1999: 8-9). მხოლოდ ვერხოიანსკის და ჩერსკის ქედები ქმნიან საკმაოდ მაღალ მთიან რეგიონს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ზემო აღწერილი „გიგანტური დაბლობის“ აღმოსავლეთ საზღვრად (მსოფლიო ატლასი, 1999: 8-9).

განვიხილოთ შიდა აზიაში მდებარე სხვა მდინარეებიც. ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიც არიან, ამუდარია და სირდარია, მიედინებიან მსოფლიოს ყველაზე დიდ – კასპიის და არალის – ტბებში და, შესაბამისად, მოწყვეტილები არიან საოკეანო ნავიაგაციას. შედარებისთვის, დუნაის და რაინის მდინარეები, დღესაც კი, აქტიურად გამოიყენებიან კონტინენტური ვაჭრობისთვის (მსოფლიო ატლასი, 1999: 8-9).

ევრაზიის კონტინენტის ჩრდილოეთ და ცენტრალური ნაწილების სამდინარო სისტემების ანალიზისას, შემდეგი დასკნის გაკეთება შეიძლება: მთელი ტერიტორია კამჩატკიდან შავ ზღვამდე და ევრაზიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ირანის მთიან რეგიონამდე და მის აღმოსავლეთით მდებარე გობის უდაბნომდე, არის ჩაკეტილი ტერიტორია მეზღვაურებისთვის და რთული კლიმატური პირობების გამო ქმნის ერთ რეგიონს, რომელსაც შეგვიძლია, პირობითად, დავარქვათ შიდა აზია. ევროპასთან და სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან შედარებით, შიდა აზია გამოთიშულია საოკეანო ნავიგაციას. დიდი ალბათობით, ზუსტად ამან (ცივ კლიმატთან ერთად) განაპირობა ისიც რომ, ცივილიზაციები არ იქმნებოდა ისეთი დიდი მდინარეების გასწვრივ როგორებიც არის ლენა, იენისეი, ობი, ვოლგა და სხვა (მაკინდერი, 1944: 53-82).

აგრამ, დავუბრუნდეთ ჩვენი „დიდ დაბლობის“ დასავლეთ ნაწილს, რომელიც სამხრეთით, ზღვის დონიდან, დაახლოებით, 1,100 მეტრიან სიბრტყეში გადადის (დღევანდელი ყაზახეთი, კერძოდ კი ასტანასა და კარაღანდას გარშემო მდებარე ტერიტორია). ამ სიბრტყიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებამდე თურანის დაბლობია. მასში შედიან არალის ზღვა, მდინარეები ამუდარია და სირდარია და უფრო სამხრეთით უკვე, ირანის მაღალმთიან რეგიონს ესაზღვრება, კერძოდ კი, ელბურსის მთიან

სისტემას. შესაბამისად, ევრაზიის ამ ნაწილის გეოგრაფიული ექსკურსის მთავარი დასკვნა არის ის, რომ, პირობითად, გვიან ანტიკურ ხანაში, ცხენზე ამხედრებულ ნომადს დიდი გაჭირვების გარეშე შეეძლო გადაელახა მთელი მანძილი წყნარე ოკეანიდან ირანის სასზღვრებამდე (მსოფლიო ატლასი, 1999: 8-9).

თურანის დაბლობიდან, აღმოსავლეთით, ბალხაშის ტბამდე და ამ უკანასკნელიდან ისევ აღმოსავლეთით, იწყება ძუნგარიის დაბლობი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ ბუნებრივ ზღუდეთ შეიძლება ჩაითვალოს: ტიან-შანი სამხრეთით და ალტაის მთები ჩრდილოეთით. ძუნგარიის დერეფნის გავლის შემდეგ, ჩვენ ავღმოჩნდებით მონღოლეთის დაბლობზე, რომლის სამხრეთით, კიდევ ერთი გეოგრაფიული ბარიერი – გობის უდაბნო – მდებარეობს (ლატიმორი, 1940: 24-36).

მაგრამ, მოდით ისევ დავუბრუნდეთ დასავლეთ ციმბირის დაბლობს, რომელსაც დასავლეთიდან ურალის მთები ესაზღვრება. ურალის მთები მიღებულია, როგორც ევროპის პირობითი აღმოსავლური საზღვარი (კემბრიჯის შიდა აზიის ისტორია, 1990: 24). თუმცა, ურალის მთების უმაღლესი წერტილი მხოლოდ 1895 მეტრია, ხოლო საშუალო სიმაღლე – 800 მეტრია. სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ურალის მთები ჩრდილოეთ ოკენედან სამხრეთით, თითქმის არალის ზღვამდე ჩამოდის, დასავლეთ ციმბირის დაბლობის მცხოვრებთათვის ეს გეოგრაფიული ბარიერი არ წარმოედგენდა გადაულახავ ზღუდეს. უფრო მეტიც, კასპიის ზღვასა და ურალის მთებს შორის მდებარეობს უზარმაზარი, 300 კილომეტრის სიგანის დერეფანი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის დაბლობში გადადის, (თავის მხრივ გაშლილი ურალის მთებიდან კარპატებამდე) (მსოლფიო ატლასი, 1999: 8-9). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპის დაბლობი (მიუხედავად სხვა ბუნებრივი პირობებისა) დიდი ციმბირული დაბლობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (გადაჭიმული ურალის მთებიდან მდინარე ლენამდე). პირობითად რომ ავიღოთ, ნომად მხედარს უპრობლემოდ შეეძლო მდინარე ლენიდან მოყოლებული დასავლეთის მიმართულებით წასულიყო და კარპატებთან აღმოჩენილიყო. თუ გავიხსენებთ ნომადი ხალხების მიერ ცივილურ სამყაროზე (ბიზანტიასა და ირანზე) თავდასხმებს, ზემოაღწერილი გეოგრაფიული პირობები ყველანაირად ხელს უწყობდა დაუბრკოლებვრივ გადაელახათ მთელი ტერიტორია თანამდეროვე ბაიკალის მიდამოებიდან კარპატების მთებამდე.

ზემოთ მოყვანილი გეოგრაფიული ექსკურსი რამოდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. შიდა აზია – ტერიტორია მდინარე ლენადან გობის უდაბნომდე და დასავლეთით შავი ზღვის ჩრდილოეთამდე (დღევანდელი ცენტრალური აზიის და ციმბირის დიდი დაბლობის ჩათვლით, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის დაბლობიც შედის) – უფრო ახლოს არის დაკავშირებული ევროპასთან და მახლობელ აღმოსავლეთთან, ვიდრე ჩინეთსა და ინდოეთთან. ერთის მხრივ, ტიბეტისა და ტიან შანის მთები, ხოლო მეორეს მხრივ, გობის უდაბნო გადაულახავ გეოგრაფიულ ბარიერებს ქმნიდნენ ნომადებისთვის ამ ქვეყნებზე თავდასასხმელად. ჩვენ არ გაგვაჩნია მსგავსი ზღუდე შიდა აზიიდან ევროპაში და მახლობელ აღმოსავლეთში გადასავლელად. ზუსტად ამით უნდა აიხსნას ნომადების ლაშქრობების მიმართულება. შედეგი კი ის არის, რომ მესოპოტამიის, სირიის და რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის მიწათმოქმედი მოსახლეობა ნომადები თავდასხმების სამიზნეს წარმოადგენდა.

შიდა აზია ერთვის მნიშნელოვან შავ და ბალტიის ზღვებს. ორივე ზღვა მიეკუთვნება ოკეანურ ნავიგაციას მხოლოდ ვიწრო სკაგერაკის და დარდანელის სრუტეებით. სხვა სიტყვებით, მარტივად შესაძლებელია ამ ორის ჩაკეტვა, რაც რამოდენიმეჯერ მომხდარა ისტორიის განმავლობაში. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქეთმა შავი ზღვა ჩაკეტა, რითაც ავტომატურად მდინარეების მთელი სისტემები (დონი, დნეპრი და სხვა) მიაკუთვნა შიდა აზიას. ამავე ომში ინგლისის და საფრანგეთის გემები ვერ ახერხებდნენ ბალტიის ზღვაში შესვლას, რადგან გერმენელებმა მთელი სრუტის გასწვრივ ნაღმები განათავსეს. ესეთ შემთხვევებში, შიდა აზიის საზღვარი გადაიწეოდა დუნაის სამხრეთით (რადგან ეს მდინარეც გამოეთიშებოდა საოკეანო ნავიგაციას). ამის პარალელურად, მრავალი სხვა მაგალითი მოგვეპოვეპა, როდესაც შავი და ბალტიის ზღვები არ ეკუთვნოდა შიდა აზიას. მაგალითად ავიღოთ ყირიმის ომი, რომლის შედეგიც ის იყო რომ რუსეთს არ შეეძლო ფლოტის ყოლა სევასტოპოლში. ასეთ შემთხვევაში, შიდა აზიის საზღვარი შავი ზღვის ჩრდილოეთით გაივლის. შესაბამისად, შავი ზღვა გარდამავალ საზღვარს წარმოადგენს და მისი უპირობოთ შიდა აზიისთვის მიკუთვნება შეუძლებელია (მაკინდერი, 1942: 53-82).

შიდა აზიის რეგიონი იკავებს უზარმაზარ ტერიტორიას ევრაზიის შუა და უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილებში და მოიცავს, დაახლოებით, ათ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტს, რაც, დაახლოებით, მსოფლიოს მიწის ერთ-

მერვედს შეადგენს. თუ რა დისტანციებთან გვაქვს საქმე, საკმარისია გავიხსენოთ, რომ დიდი აღმოჩენების ეპოქის მოგზაურები ზღვაზე დაახლოებით მსგავს დისტანციაზე მგზავრობდნენ. უნდა აღინიშნოს, იმის და გამო რომ ეს ტერიტორია ჩაკეტილია, როგორც სამხრეთიდან, ასევე ჩრდილოეთიდან (ზემო მოყვანილი გეოგრაფიული ექსკურსი ამას ნათლად მოწმობს), შიდა აზიის ტერიტორიაზე გადაადგილება, უმთავრესად, სახმელეთო გზებით ხორციელდებოდა და არა მდინარეებითა და ზღვებით. გამონაკლისს წარმოადგენს შავი ზღვა, მაგრამ როგორც ვთქვით ის შიდა აზიის პერიფერიულ ნაწილს, გარდამავალ ტერიტორიას (საზღვარიც შეიძლება) წარმოადგენდა.

შიდა აზიის დიდ მდინარეებს არ გააჩნიათ გასასვლელი სანავიგაციო წყლებში. იგივეს თქმა შეიძლება კასპიის და არალის ზღვების სამდინარო სისტემებზეც. ერთადერთ გამონაკლისს ამურის მდინარე წარმოადგენს. მაგრამ აქაც, ის სათავეს ტაიგაში იღებს, ანუ ჩრდილოეთში და არა მეურნეობით მდიდარ სამხრეთში. შიდა აზიის ეს ნაკლი ნაწილობრივ კომპენსირებულია აღმოსავლეთ ევროპის დაბლობით, სადაც ბალტიისა და შავი ზღვის სამდინარო სისტემებით ხერხდებოდა ჩრდილოეთ-სამხრეთ სავაჭრო გზის ამოქმედება. თუ მდინარეების გამოყენება ვაჭრობასა და გადაადგილებისათვის შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ, შიდა აზიის გეოგრაფიული პირობები ცოტაოდენ დაბრკოლებას ქმნიდნენ სახმელეთო გადაადგილებისავის. სხვა სიტყვებით, ეს სახმელეთო გზები საოკეანო გზების ეკვივალენტური გახდა.

შიდა აზიის რეგიონი გამოირჩევა მსოფლიოში კონტინენტალურობის ყველაზე მაღალი დონით, როდესაც გვხვდება ყველაზე დიდი სხვაობები ცივ და თბილ ტემპერატურებს შორის. ზამთარი არის ძალიან ცივი, ხოლო ზაფხული უკიდურესად ცხელი. მონღოლეთი და მის გარშემო მდებარე ტერიტორია გამოირჩევა მაღალი წნევით, რომლის შედეგიც არის ნულზე დაბალი ტემპერატურა და ნალექის სიმცირე (კემბრიჯის შიდა..., 1990: 24).

როგორც ამ უზარმაზარი გეოგრაფიული ტერიტოიიდან ჩანს, შიდა აზია მოიცავს მრავალს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტს, ტიან-შანის მთებიდან და გობის უდაბნოდან ჩრდილოეთით ტუნდრამდე. ტყეები, სტეპები და უდაბნოები, რომელნიც ერთმანეთისგან გარდამავალი ზონებით არიან დაყოფილნი, ჰორიზონტალურ ბუნებრივ ზონებს წარმოადგენენ. ალბათ გაგვიჭირდება ისეთი განსხვავებული ზონების მოძიება, როგორებიც არის: მდინარეებით და ტყით მდიდარი დასავლეთ ციმბირის დაბლობი და ცენტრალურ აზიასა და დასავლეთ

ჩინეთში მდებარე ტაკლამაკანის უდაბნო.

მთის სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა აზიის ოაზისების წყლით მომარაგებაში. ჰაერის მასები, რომელნიც დაბლობებში არ ტოვებენ ნალექს, ამას უმაღლეს მთიან წერტილებში აკეთებენ. მთების წერტილები წლის დიდი ხნის განმავლობაში ინახავდნენ ნალექს თოვლის ან ყინულის სახით თავის უმაღლეს წერტილებში. მათი დადნობა გაზაფხულობით ხდებოდა, რითაც იკვებებოდნენ ოაზისები. მაგალითად, ესე იკვებება ოაზისები ამუ-დარიას დელტაში. გარკვეულწილად, მთებზე დამოკიდებული ოაზისები წარმოადგენს კომპენსაციას ჩინეთის დასავლეთ ნაწილისა და მონღოლეთის ვაკისთვის დამახასიათებელი სიმშრალისთვის. ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სტეპის ოაზისი განსხვავდება უდაბნოს ოაზისისგან. ეს უკანასკნელი იზოლირებულია და თვითკმარი, მაშინ როდესაც სტეპის ოაზისები ერთმანეთთან ბალახითა და მიწით არიან დაკავშირებული. ზუსტად ამ ურთიერთდაკავშირების გამო სტეპის ოაზისების ნომადებისაგან დაცვა უფრო რთულია, ვიდრე ეს მაგალითად უდაბნოს სტეპებში ხდებოდა (კემბრიჯის შიდა..., 1990: 28-29).

როგორც ვთქვით, შიდა აზიის ტერიტორია თავისი უზარმაზარი ზომის გამო, გეოგრაფიულად ძალიან დივერსიფიცირებულია, რითაც ესა თუ ის გეოგრაფიული ლანდშაფტი ჰორიზონტალურად გადაჭიმულია რამოდენიმე ათას კილომეტრზე. მაგალითად, წყნარი ოკეანიდან დასავლეთის მიმართულებით, ექვსი ათასი კილომეტრის გავლაა შესაძლებელი, ერთი გეოგრაფიული ლანდშაფტიდან – ტაიგიდან – მეორე ლანდშაფტში გადაუსვლელად. ტყიანი ტაიგის სამხრეთით არის სტეპები. აქაც შესაძლებელია, მანჯურიიდან ევროპაში, უნგრეთის დაბლობამდე მიღწევა, ერთი ლანდშაფტიდან მეორეში გადაუსვლელად. ცალკე ეს ფაქტორიც კი, ძალიან ბევრს ხსნის, თუ რატომ ხდებოდა ამ გზით ნომადების თავდასხმები ბიზანტიის და ირანის ჩრდილოეთ საზღვრებზე და რატომ ახდენდა პირდაპირ გავლენას მანჯურიასთან ან ცენტრალურ აზიაში ნომად ხალხებს შორის მიმდინარე ბრძოლები ბიზანტიის დუნაის და კავკასიის საზღვრებზე.

შიდა აზიაში მთის მრავალი სისტემები არსებობს, რომელიც გამოირჩევიან თავისი გეოლოგიური სტრუქტურითა და ასაკით. თუმცა, გეოგრაფიულად ისინი შიდა აზიის ერთ რეგიონში მდებარეობენ და რამოდენიმე მაგალითის გარდა განუწყვეტელ ხაზს წარმოქმნიან. მთიანი რეგიონი იწყება უკიდურეს აღმოსავლეთ ციმბირიდან, დაახლოებით, 3,000-მეტრიანი სიმაღლეებით

და ჩამოდის სამხრეთით ერთვის ალტაის მთების სისტემას, რომლის სამხრეთიდან, ძუნგარიის ვიწრო ვაკის გავლის შემდეგ, იწყება ტიან-შანის სისტემა. ხოლო, ამ უკანასკნელის სამხრეთით მდებარეობს პამირი და ჰიმალაები, სადაც ყველაზე დიდი სიმაღლეები გვხვდება. ალბათ, გამონაკლისს წარმოადგენს ორად-ორი სისტემა: ელბურსის მთები და კავკასიონი,[41] რომლებიც უშუალოდ ერთვიან სტეპს. ზუსტად ამან განაპირობა ირანელების მიერ იქ თავდაცვითი კედლების აგება (იხილეთ ქვემოთ).

ტაიგისა და სტეპის ზონების გამოყოფის პარალელურად, აგრეთვე მნიშვნელოვანია უდაბნოს ზონის გამოყოფა. შიდა აზიაში, უდაბნო იწყება კასპიის ზღვის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სანამ ირანის მთიანეთში გადავა) და ვიწრო ზოლად აღმოსავლეთით მიდის, სანამ ფართო გობის უდაბნოს არ შეუერთდება. ამ უდაბნოების ტერიტორიებზე მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა მხოლოდ ოაზისებში შეიძლებოდა, რადგან შეუძლებელი იყო საირიგაციო არხების გაყვანა. ისტორიულად, სამიწადმოქმედო კულტურის გავრცობა სტეპურ ზონაში მხოლოდ ჩინეთის დიდი კედლის ჩრდილოეთით ხდებოდა, ხოლო დანარჩენი სტეპური ზონა კი, ახალ პერიოდამდე ხელშეუხებელი რჩებოდა. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლიდა მიწადმოქმედების განვითარებას, იყო ქარით გამოწვეული ეროზია (კემბრიჯის შიდა..., 1990: 28-29).

ტუნდრა და ტაიგა კი უფრო არასტუმართმოყვარეა მიწათმოქმედებისთვის. გარდა იმისა, რომ ეს რეგიონები ძალიან ცივია, რაც მოკლე სამიწადმოქმედო პერიოდით და თითქმის პემანენტულად გაყინული მიწით, მანდ აგრეთვე უამრავი ჭაობია. ეს დაბრკოლებები დღესაც კი, ვერ იქნა გადალახული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიწით გამოწვეული პრობლემები ნაკლებ დაბრკოლებას ქმნის ვიდრე მშრალი ან ცივი კლიმატი. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, მთებით ჩაკეტილ ხრიოკ მიწაზე, მოსახლეობა უფრო დიდ სარგებელს ნახულობს მთებიდან ჩამოსული წყლით და მათ ფერდობებზე არსებული ვეგეტაციით. შესაბამისად, მთელ სტეპურ ზონაში ინტენსიური მეურნეობის წარმოება შეუძლებელია, რითაც იყო გამოწვეული ამ მოსახლეობის მიერ პასტორალურ ნომადიზმზე გადასვლა (ხაზანოვი, 1994: 85-91).

შიდა აზიის თითოეული ზონისთვის დამახასიათებელია სპეციფიური

[41] თითქოს, ამ გამონაკლისთა სიაში კარპატების შეყვანაც შეიძლება, თუმცა ეს უკანასკნელი შეუდარებელია კავაკასიონთან და ელბურსთან გეოგრაფიულ ზღუდეთ გამოყენების თვალსაზრისით.

ვეგეტაცია. თუმცა, სხვადასხვა ბუნებრივი ზონის ერთერთი მთავარი დამახასიათებელი, სავარადოდ ნალექის რაოდენობაა. 10-სანტიმეტრიანი ნალექი ტუნდრასა და გობის უდაბნოში სხვადასხვა შედეგს გამოიღებს აორთქლების სხვადასხვა დონის გამო (კემბრიჯის შიდა..., 1990: 28-29). ამავდროულად, სინესტის დონე იკლებს ჩრდილოეთ ევრაზიიდან სამხრეთში ჩამოსვლისას. ტუნდრაში ნალექის დონე 50% მეტია ვიდრე აორთქლების. უდაბნოში ნალექი პოტენციური აორთქლების დონის მხოლოდ ერთ-მერვედს წარმოადგენს (კემბრიჯის შიდა..., 1994: 28-29).

ბუნებრივი ზონების განსაზღვრასა და მათი საზღვრების მკაცრ დემარკაციაზე, აგრეთვე, შემდგომი ოთხი ფაქტორი ახდენს გავლენას: ადამიანის ჩარევა ბუნებრივი ზონის ვეგეტაციაში; ბუნებრივი ზონების ცვლილება; სხვადასხვა ბუნებრივი ზონის არსებობა და გარდამავალი ზონების არსებობა.

უნგრეთის ვაკე ისტორიულად, მანჯურიიდან მომდინარე სტეპის ევროპულ დაბოლოებას წარმოადგენდა. ამის მტკიცე არგუმენტია, მაგალითად, სტეპებში ჰუნების ლაშქრობების დაწყება ევროპის მიმართულებით. ეს ხალხი ტიპიურ ნომადურ ცხოვრებას მისდევდა და ევროპაში მათი დასახლების არეალი ვერ იქნებოდა სხვა რომელიმე ტერიტორია, თუ არა უნგრეთის ვაკე. თუმცა დღესდღეისობით, მაგალითად, ადამიანის ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ უნგრეთის სტეპური ზოლი ტყედ არის გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის გავრცელება ნესტიან სტეპურ ზონაში მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში უახლესი ტექნოლოგიების განვრცობით მოხდა, ტუნდრის, ტაიგის, უდაბნოსა და გარკვეულწილად სტეპის უდიდეს ნაწილს, ჯერ კიდევ, აქვს შენახული თავისი თავდაპირველი ბუნებრივი თვისებები (ხაზანოვი, 1994: 33-38).

არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივი ზონები იცვლიან საზღვრებს, თუმცა, იმის დადგენა შეუძლებელია მოხდა ეს ბუნებრივად, თუ სოფლის მეურნეობის განვრცობის შედეგად. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები მხოლოდ მოკლევადიანია და მათზე შიდა აზიაში მომხდარი ისტორიული ცვლილებების დამყარება უსაფუძვლო იქნება. შიდა აზიის ბუნებრივ ზონებში, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარდამავალი ზონები.

ტუნდრა ევრაზიის უკიდურეს ჩრდილოეთს იკავებს სკანდინავიის ნახევარ-კუნძულიდან კამჩატკამდე და, უმეტესწილად, უნაყოფო მიწას წარმოადგენს ხის გარეშე მცენარეულობით, ბუჩქებითა და ხავსურით (იხ. რუკა 4). დამახასიათებელია ხეების მცირე რაოდენობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ

ტუნდრა, ზოგადად, დახასიათებულია მწირი მცენარეულობით და მოიცავს ევრაზიის ჩრდილოეთის ვიწრო ზოლს, აქაც კი, შეიძლება გარდამავალი ბუნებრივი ზონების განხილვა. მაგალითად, ტუნდრის მოუსავლიანი ჩრდილოეთის ნაწილი სამხრეთისკენ ბუჩქოვან ტუნდრაში გადადის, რომლის შემდეგაც ნახევრად ტაიგის მსგავსი ტყეები იწყება.

ჩრდილოეთ ოკეანეს სიახლოვე პერმანენტული ღრუბლიანობისა და ბურუსის მიზეზია. წვიმის სიმცირემ და აორთქლვის დაბალმა დონემ ხელი შეუწყო წყლის დაგუბებას და ჭაობების შექმნას. ჩრდილოეთის ირემი ერთადერთ ცხოველს წარმოადგენს რომელიც ტუნდრაში მცხოვრები ხალხის საჭიროებებს პასუხობს.

შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გეოგრაფიული პირობები იყო უმთავრესი ფაქტორი ნომადების თავდასხმების უკან. გეოგრაფიული პირობები საშუალებას იძლეოდა ნახევრად სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შექმნილიყო მხოლოდ ევრაზიულ სტეპებში და არა ტაიგასა და ტუნდრაში. მდინარეებისა და მთების ადგილმდებარეობა კი, ხელს უწყობდა ამ სტეპებში მცხოვრებ ნომადებს თავდასხმები ეწარმოებინათ უშუალოდ სასანური ირანის და ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციების მიმართულებით. სხვა სიტყვებით, ევრაზიის გეოგრაფია ნომადებისა და სამხრეთული იმპერიების ურთიერთობებში წარმმართველი ელემენტი იყო.

2. შიდა აზიის კონცეფცია

უძველესი დროიდან ევროპასა და მახლობელი აღმოსავლეთისთვის უმთავრესი საფრთხე ევრაზიის შიდა რაიონებიდან – ევრაზიული სტეპებიდან – მომდინარეობდა. გუთები, ალანები, ჰუნები, სლავები, ავარები, პაჭანიკები, მოგვიანებით კი თურქები და მონღოლები – ეს იმ ხალხთა არასრული ჩამონათვალია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის იმპერიისა და სასანური ირანის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვრებს თავს ესხმოდა. თავდასხმები ხორციელდებოდა, როგორც დუნაის და შავი ზღვის ჩრდილოეთიდან, ასევე კავკასიონის ქედის გადალახვით და ასევე ცენტრალური აზიის მხრიდან. ეს იყო ბრძოლა პასტორალური ნომადიზმისა და ცივილურ სამყაროს შორის. ხშირი იყო ირანელებისა და ბიზანტიელების ძალისხმევის გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ. შიდა აზიიდან მომდინარე შეტევების მოგერიება ცივილური სამყაროს მიერ განსხვავდებოდა, როგორც ხერხებით, ასევე პროცესის ხანგრძლივობით. ასე, მაგალითად, ხშირი იყო დამპყრობლისთვის სამხედრო მარცხის მიყენება, მისი განადგურება და გაძევება. მაგრამ უფრო ხშირი იყო დამპყრობლის ასიმილირება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ცივილურ იმპერიებში შობადობის მაღალი მაჩვენებელი იყო გადამწყვეტი ფაქტორი ამ ცივილიზაციათა ბრძოლაში ნომადების დამარცხებისა (კემბრიჯის შიდა..., 1990: 3).

მიწადმოქმედ ხალხებსა (ბიზანტია და სასანური ირანი) და ნომადებს შორის ბრძოლაში ეს უკანასკნელი, ძირითადად, აგრესორის როლში გამოდიოდა.[42] ბიზანტიელებისა და სასანიანების საგარეო პოლიტიკაში არ ფიგურირებდა აზიის შიდა რეგიონების სამხედრო დამორჩილება, რადგან ეს, უმეტეს შემთხვევებში, არ იქნებოდა ეკონომიკურად მომგებიანი. ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს თანამედროვე რუსეთი, როდესაც XVI საუკუნეში, კაზაკ ერმაკის მეთაურობით მოხერხდა ციმბირის დიდი ნაწილის უშუალოდ

[42] თუმცა, როგორც შემდგომ თავში იქნება ნაჩვენები, ასევე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აგრესორის როლს ზუსტად ბიზანტიელები ასრულებდნენ.

შემოერთება (კლუჩევსკი, 2005: 174-185). მიწადმოქმედი ხალხები, ძირითადად, მცირემასშტაბიან შეტევებს ახორციელებდნენ *barbaricum*-ში პოტენციურად მძლავრი ბარბაროსული კოალიციების შექმნის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ გვიან ანტიკურ ხანაში ბიზანტიისა და ირანის მიერ ხორციელდებოდა რამე სახის ექსპანსია ევრაზიის სტეპურ ზონაში,[43] ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო იმპერიების პროვინციებში ჭარბი მოსახლეობით და შემდგომ მისი ახლადშემოერთებულ სტეპურ ტერიტორიაზე მუდმივად დასახლების და მიწის დამუშავების მიზნით (კემბრიჯის შიდა..., 1990: 5-9). შიდა აზიის საზღვრების ზუსტად დადგენა რთულია. თუ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ ნომადების განსახლების არეალის კრიტერიუმით,[44] ერთი რამ ნათელია, შიდა აზიის საზღვრები საგრძნობლად შემცირებისკენ მიდის (ხაზანოვი, 1994: 28-36).

ერთი რამ ნათელია, შიდა აზია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, არსებობდა, როგორც ცალკე ისტორიული სივრცე, რომლის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა პერიფერიებზე მცხოვრებ დასახლებულ ბიზანტიელებთან, ირანელებთან, თუ ჩინელებთან. თუმცა, რჩება ერთი და, ალბათ, ყველაზე მთავარი კითხვა: რა ფაქტორებმა გამოიწვია შიდა აზიის რეგიონის ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებაში და რამ განაპირობა ნომადებისა და პერიფერიებზე დასახლებული ხალხების გარდაუვალი შეჯახება.[45]

თავიდანვე აღსანიშნავია, რომ ევრაზიული სტეპების პერიფერიაზე მცხოვრები ხალხების ეკონომიკა დაფუძნებულია სოფლის მეურნეობაზე, მაშინ როდესაც შიდა აზიისთვის დამახასიათებელია წყლის არასაკმარისი რაოდენობა და, ზოგადად, მეურნებისთვის რთული კლიმატი. რა თქმა უნდა, არსებობდა ტერიტორიები სადაც ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ მისი მასშტაბები იმდენად მცირე იყო, რომ ვერ შეცვლიდა საერთო სურათს. ევრაზიის სტეპები – ტერიტორია კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან კორეის ნახევარკუნძულამდე – ერთადერთი ტერიტორია იყო შიდა აზიაში, სადაც

[43] როგორც ამას ჩინელები აკეთებდნენ მანჯურიაში.

[44] ასე, მაგალითად, V საუკუნის 40-იან წლებში ჰუნების განსახლების არეალში ისტორიული რომაული პროვინცია პანონია შედიოდა, ხოლო XII საუკუნეში მცირე აზია შედიოდა შუა აზიის ტერიტორიაში რადგან ის სელჩუკების განსახლების არეალიც იყო. იგივეს თქმა შეიძლება ცინეთის ჩრდილოეთ ნაწილე, რომელიც ისტორიულად არ შედიოდა შიდა აზიის ტერიტორიაში, თუმცა უნდა მიეკუთვნოს ამ რეგიონს იმის და გამო დიდი ხნის განმავლობაში იყო კიტანების, იურჩენების, მონღოლებისა და მანჯურიელების ბატონობის ქვეშ.

[45] წინა თავში გამოვთქვი მოსაზრება, რომ ჩრდილოეთ და შუა ევრაზიის გეოგრაფია (კლიმატი, აგრეთვე, ზღვების, ტბების, მთებისა და მდინარეების მდებარეობა) მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნომადსა და მიწადმოქმედს შორის არსებულ პერმანენტულ კონფლიქტში.

შესაძლებელი იყო მძლავრი სამხედრო გაერთიანებების შექმნა. ევრაზიული სტეპი თავის მაცხოვრებლებს მხოლოდ მესაქონლეობით დაკავების საშუალებას აძლევდა. სტეპის გარდა, შიდა აზიის არც ერთი სხვა გეოგრაფიული სივრცე – ტუნდრა, ტაიგა თუ უდაბნო – არ იძლეოდა გეოგრაფიულ, თუ ეკონომიკურ პირობებს (იხილეთ ქვემოთ) სახელმწიფო ერთეულის შესაქმნელად (კემბრიჯის შიდა..., 1990: 4).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული პირობების გარდა, კონფლიქტი ნომადებსა და დასახლებულ ხალხებს შორის, აგრეთვე, ეკონომიკური ფაქტორებით იყო მოტივირებული. ნომადები მთელი გვიანი ანტიკურობის ისტორიის განმავლობაში ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავისი ეკონომიკური პირობები. მიწადმოქმედებსა და ნომადებს შორის არსებული *fundamentum divisionis* – გამყოფი – იყო მათი საცხოვრებელი მიწების რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალი (კემბრიჯის შიდა..., 1990: 5-8).

ზემო თქმულიდან გამომდინარე, ნომადები ყოველთვის ყოფითი სიმდიდრის: ფულისა და სხვა ძვირფასეულობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ამიანე მარცელინე, ბიზანტიელი იმპერატორები მავრიკე (582-602 წწ.), კონსტანტინე II პორფიროგენეტი (913-959 წწ.) (კონსტანტინე პორფიროგენეტი, 1967: 61-73) თუ ჩინელი ისტორიკოსები, ყველანი, ნომადების აღწერისას, ცალსახად, მიანიშნებდნენ მათი ხასიათის მტაცებლურ თვისებებზე, თუ როგორ „იწვიან ოქროსადმი დაუოკებელი სურვილით“ (ამიანე მარცელინე, XXXI, 2, II). ანალოგიურ სურათს გვიხატავს XIII საუკუნის ისტორიკოსი პლანო კარპინი მონღოლების აღწერისას. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც მონღოლებმა დააარსეს იმ პერიოდისთვის მსოფლიოში ყველაზე დიდი სახმელეთო იმპერია, ისინი ისეთივე ღარიბები და ოქროსა და სხვა სიმდიდრის მაძიებლები დარჩნენ, როგორებიც XI-XII სს., საკუთარი იმპერიის შექმნამდე იყვნენ (ლატიმორი, 1938: 241-245).

ჩნდება კითხვა, რითი იყო განპირობებული შიდა აზიაში მცხოვრები ხალხის ესეთი სიღარიბე და რატომ იყო შეუძლებელი შიდა აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისთვის იგივე საცხოვრებო სტანდარტების შემქნა, როგორიც ბიზანტიის, ირანის და ჩინეთის ცივილიზაციებში არსებობდა. პრობლემის თავში დგას არასაკმარისი სოფლის მეურნეობა. ამის გამომწვევი კი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები იყო. მათ შორის, პირველია კლიმატი,

რომელიც სტეპებში ძალიან ცივი და, ამავდროულად, მშრალია მასშტაბური სოფლის მეურნეობის გაღვივებისთვის. ასე, მაგალითად, ჩინური წყაროები შიდა აზიას აღწერენ როგორც ტერიტორიას სადაც „მკვლელი სიცივე ძალიან ადრე ისადგურებს“ (კემბრიჯის შიდა..., 1990: 6-8).

შიდა აზიის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარეობს ტუნდრა. ის მაქსიმუმი, რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს შეეძლო მოეპოვებინა იყო არსებობისთვის მინიმალური საკვების მოძიება. უფრო მეტიც, ეს შასაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ ოჯახები ერთმანეთისგან დაშორებით ცხოვრობდნენ, რადგან ადგილობრივ მიწას არ შეეძლო პატარა ტერიტორიაზე ადამიანთა დიდი რაოდენობის გამოკვება.[46] პოლიტიკური ძალა, რომელიც ამა თუ იმ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ათიოდე ოჯახს გააჩნდა, საკმაოდ მინიმალური იყო. ტუნდრის მოსახლეობას არ შეეძლო მეზობელი ტერიტორიების დაპყრობა, რადგან მათი მცირე მოსახლეობა სტეპების მოსახლეობასთან შეტაკებაში განადგურების საფრთხის წინაშე დადგებოდა.

მდგომარეობა შიდა აზიის ტყიურ ზონაში – ტაიგაში – თითქმის ანალოგიური იყო (იხ. რუკა 4). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტაიგაში ბუნებრივი პირობები შედარებით უფრო მეტ საშუალებას იძლეოდა მოსახლეობისთვის, თავი ერჩინა მეთევზეობითა და ნადირობით. უფრო მეტიც, ტაიგის მაცხოვრებლები ნადირობასა და მეთევზეობას საკმაოდ ფართო მასშტაბებით ახორციელებდნენ (ეს აქტივობა მათი გამოკვების ძირითად წყაროს წარმოადგენდა) და ყოველივე ეს იწვევდა ამისთვის საჭირო ტექნოლოგიების განვითარებას. ნადირობისთვის საჭირო ინსტრუმენტების განვითარება ტაიგაში მცხოვრებ ადამიანებს ტუნდრის მაცხოვრებლებზე უფრო მაღლა აყენებდა. ამასთან ერთად, კოლექტიური მეთევზეობა და ნადირობა ითხოვდა სოციალური ორგანიზაციის არსებობას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რთული თავდასხმითი ოპერაციების განხორციელება. მაგრამ, აქაც, როგორც ტუნდრაში, ნადირობასა და მეთევზეობაზე დაფუძნებული ეკონომიკა მთლიანად მტაცებლური ხასიათის იყო. ამ აქტივობას არ შეეძლო დიდი რაოდენობის მოსახლეობის გამოკვება. ეს ქმნიდა ფუნდამენტურ დაბრკოლებას – ახალი ტერიტორიების დაპყრობისთვის სათანადო ძალის შეგროვება ფაქტობრივად შეუძ-

[46] ვითარება ევრაზიის ჩრდილოეთ ნაწილში დღესაც მსგავსია გვიანი ანტიკური პერიოდისა. ისევ შეუძლებელია მასშტაბური სოფლის მეურნეობის ქონა, ხოლო დისტანციები დასახლებულ ადგილებს შორის საკმაოდ დიდ მანძილებზეა გადაჭიმული.

ლებელი იყო (მაკინდერი, 1942: 53-75).[47]

ასე რომ, მხოლოდ ევრაზიული სტეპი წარმოადგენდა გასაღებს მსოფლიო ისტორიაში შიდა აზიის როლის გაგებისთვის (იხ. რუკა 4). სტეპი ამ უზარმაზარი და ჩაკეტილი რეგიონის ეთგვარ მამოძრავებელ სივრცეს წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე მეცხოველეობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ეკონომიკური თვითკმარობისთვის ცხოველები განსაზღვრულ პერიმეტრში ყოველთვის მოძრაობაში უნდა ყოფილიყვნენ. ჩინური ანდაზის მიხედვით: „ისინი (ნომადები) ყოველთვის ბალახსა და წყალს მიჰყვებიან“ (საინორი, 1975; 171-183). ტუნდრისა და ტაიგის მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, სტეპი თავის მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა მოსახლეობის უფრო დიდი რაოდენობის კონცენტრირება მოეხდინათ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სტეპის გეოგრაფია საკმაოდ მძლავრი სახელმწიფო ერთეულების წარმოქმნის საშუალებას იძლეოდა. მათი პოლიტიკური სტრუქტურის შენარჩუნებას იმ დროის მანძილზე ხორციელდებოდა, სანამ ამ ნომადური საზოგადოების წევრები ახერხებდნენ ცხოვრებისთვის საჭირო საკვების და პრიმიტიული ნივთების წარმოებას. სხვა სიტყვებით, ცხოვრება სტეპებში დაფუძნებული იყო თვითკმარ ეკონომიკაზე – ავტარკიაზე. სტეპებში ნომადი ახერხებდა საკვების, საცხოვრებლის, ტანსაცმლისა და გადაადგილების საშუალების მოპოვებას. ამასთან ერთად, ხორციელდებოდა მცირემასშტაბიანი სამთო საქმიანობა და ლითონის დამუშავებაც. თუ ასეთი ერთეული ვედარ ახერხებდა ავტარკიით თავის გატანას, ნომადები გარე სამყაროსთან კონტაქტზე უარს არ ამბობდნენ. უფრო მეტიც, ისტორიული წყაროებიდან მრავალი ცნობა მოგვეპოვება, თუ რა მასშტაბურ ხასიათს ატარებდა იმპერიებსა და ნომადებს შორის ვაჭრობა. ნომადი ცივილურ სამყაროსთან ვაჭრობდა თავის ეკონომიკაში არ არსებული ნივთების მოსაპოვებლად, ხოლო საპასუხოდ გამოჰყავდა ყველაზე ძვირფასი რაც გააჩნდა – ცხენი (კემბრიჯის შიდა..., 1990: 8-10).

შიდა აზიური ცხენი, ჰეროდოტედან (ძვ. წ. V საუკუნე) მოყოლებული (რომელსაც ისინი პირადად ნანახი არ ქონდა), ძველი სამყაროს ყველა ავტორის მიერ იყო ნაქები. განსაკუთრებით ფასდებოდა მისი გამძლეობა, იმუნიტეტი სიცივისადმი და სამხედრო კამპანიის დროს საკვების პატარა რაოდენობის საჭიროება (ჰეროდოტე, 1975: IV.127-129). დასავლელი მოგზაურისთვის ნომადის

[47] მსგავსი ვითარება არის თანამედროვე პერიოდშიც. მაგალითად, რუსეთის ტუნდრისა და ტაიგის მაცხოვრებელები ყველაზე ნაკლებად არიან შემჩნეულები საჯარო გამოსავლებში და აჯანყების მოწყობის მცდელობებში.

ცხენი უშნოდ გამოიყურებოდა და ზომითაც უფრო მცირე იყო, ვიდრე გვიანი ანტიკური პერიოდის ბიზანტიის ან სასანური ირანის კავალერიის ცხენები. მაგრამ, სტეპის ცხენს საკვების მოპოვება შეეძლო თოვლით დაფარულ მიწაშიც და მარტივად შეეძლო დიდი ხნის განმავლობაში თავი გამოეკვება სხვადასხვა მცენარით, გამხმარი ტოტებით და ა. შ. თავისი სიძლიერის ხანაში ნომადურ სახელმწიფოებს (იქნება ეს ჰუნების, ავარების, თუ ჰეფტალიტების იმპერიები) ყოველთვის ცხენების დიდი რაოდენობა გააჩნდათ. უფრო მეტიც, ამ სახელმწიფოების სამხედრო სიძლიერე ზუსტად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენი ცხენის შეგროვება შეეძლოთ სამხედრო კამპანიების მოწყობისთვის (საინორი, 1975; 180-183). შუა საუკუნეებში, ევროპელი მოგზაურები გაოცებულნი რჩებოდნენ სტეპებში ცხენების სიმრავლით. კარპინი, მონღოლებზე წერისას, აღნიშნავდა, რომ მათ ჰქონდათ „ცხენების იმდენად დიდი რაოდენობა, რაც, ჩემი აზრით, დანარჩენ მსოფლიოში არ მოიძებნება“. ჩინეთის ურთიერთობებიდან თავის ჩრდილოელ ნომად ტომებთან ჩვენ საკმაოდ მრავალი ცნობა დაგვრჩა, თუ რა როლს ასრულებდა სტეპის ცხენი ვაჭრობაში და რამდენად ფასეული იყო ცივილურ სამყაროში. 10,000 ათასი ცხენის მიყიდვა ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენდა. მაგალითად, ახ. წ. 222 წელს ჰსიენ-პის ტომმა ჩინეთის ვეის სამეფოს 70,000 ცხენი მიჰყიდა (კემბრიჯის შიდა..., 1990: 8-9).

ცხენი სტეპის ეკონომიკის საკვანძო ნაწილს წარმოადგენდა და ამა თუ იმ ნომადური ტომის სიმდიდრეს განაპირობებდა. თუ სტეპებში რამე სახის ბუნებრივ კატაკლიზმს არ ჰქონდა ადგილი, მაგალითად, როგორიც არის საძოვრების გაყინვა, ცხენების ჭარბი რაოდენობით არსებობისთვის იქ ყველა პირობა არსებობდა: სტეპებში ცხენების რაოდენობა ყოველთვის ჭარბობდა ნომადების შიდა ბაზრის მოთხოვნას (კემბრიჯის შიდა..., 1990: 8-9). სტეპის არასამონეტო ეკონომიკაში, ერთი სოციალურ ჯგუფის წევრები იყვნენ როგორც მწარმოებელნი, ასევე მომხმარებელნი. ეს კი, იმას ნიშნავდა, რომ ცხენების ჭარბი რაოდენობა პროპორციულად არ აუმჯობესებდა სტეპში მცხოვრები ინდივიდისა თუ მთლიანად ჯგუფის ცხოვრების დონეს. არადივერსიფიცირებულ ეკონომიკას არ შეეძლო მისი წევრების ცხოვრების გაუმჯობესება, იმის გამოც, რომ ნომადური მეურნეობა არ იყო ორიენტირებული მოგებაზე. მიზანს არ წარმოადგენდა სიმდიდრის აკუმულირება, არამედ აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ იმ პროდუქციის მიღებაზე, რომლის წარმოების საშუალებას სტეპი არ იძლეოდა. ესეთი პროდუქციის მისაღებად ნომადები ვაჭრობას მიმართავდნენ, ძირითადად

მათ გარშემო არსებულ ბიზანტიის, სასანური ირანის და ჩინეთის ცივილიზაციებთან (ჯაგჩიდი, 1970: 56-71).

თავიდანვე, კომერციული პერსპექტივები სტეპებსა და ცივილურ სამყაროს შორის იდეალური იყო. პირველს შეეძლო ბიზანტიასა და ირანისთვის პირველადი მნიშვნელობის საქონელი – ცხენი – მიეწოდებინა და საპირისპიროდ მიეღო ისეთი ძვირფასი ნივთი, როგორიც იყო აბრეშუმი, ჩაი და სხვა. ზემოთ მოყვანილი მსჯელობა არ გამორიცხავს იმას, რომ ცხენების მოშენება შეუძლებელი იყო სხვაგან, მაგალითად ბიზანტიის და სასანურ იმპერიებში. მაგრამ, ამ მძლავრ სახელმწიფოებში ცხენების გავრცელებული ჯიშები, ნომადის ცხენთან შედარებით, უფრო მცირე გამძლეობით ხასიათდებოდნენ. მათი მოშენება კი, ვერ ხერხდებოდა იმავე რაოდენობით, როგორც სტეპებში.[48] მაგალითად, ჰეროდოტე, დარიოსის სკვითების წინააღმდეგ გამართული სამხედრო კამპანიის აღწერისას, აღნიშნავდა: „ამ ბრძოლებში, სკვითების ცხენი ყოველთვის უკან აქცევდა მოწინააღმდეგის ცხენს“ (ჰეროდოტე, 1975: IV.117). მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხენების რაოდენობის ნაკლებობა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ჩინურ სამეფოებს. პრობლემა გადაუჭრელი იყო, პირველ რიგში, არა იმიტომ, რომ ჩინელებს არ გააჩნდათ ცხენების მოშენების სპეციფიური ცოდნა, არამედ იმიტომ, რომ ისინი საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ. ანუ, ჩინელებს, ისევე როგორც, ბიზანტიელებსა და სასანიანებს, არ შეეძლოთ საკუთარ საზღვრებში არსებული ცხენების რაოდენობით დაეკმაყოფილებინათ იმპერიების სამოქალაქო და სამხედრო ინსტიტუტები. ამ გადმოსახედიდან, როგორც ნომადი, ასევე მიწადმოქმედი, ორივე იყო დაინტერესებული ამ სახის ვაჭრობით. ერთი შეხედვით, ნომადები, მიწადმოქმედებთან მიმართებაში, უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებობდნენ, რადგან ამ უკანასკნელებს არ შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა ცხენების დიდი რაოდენობის იმპორტის გარეშე. სინამდვილეში კი, ვითარება სხვაგვარი იყო, რადგან ნომადის სავაჭრო უპირატესობა იკვეცებოდა იმ ფაქტით, რომ მას, ცხენის გარდა, არ გააჩნდა მიწადმოქმედისთვის სხვა რომელიმე საჭირო

[48] ზუსტად სტეპის ცხენის ფენომენით უნდა აიხსნას ნომადების სამხედრო წარმატებები ბიზანტიისა და სასანურ იმპერიებთან ბძოლებში. ამ უპირატესობამ, მაგალითად, გაუადვილა, ჰუნებს შავი ზღვის ჩრდილოეთით და დუნაიპირეთში მცხოვრები გერმანული ტომების განადგურება IV საუკუნის 70-80 წლებში. სტეპის ცხენზე აღმართული ნომადი იმდენად მანევრირებადი იყო, რომ ბიზანტიის ჯარები V საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ვერ უმკლავდებოდნენ ჰუნების არც თუ ისე მრავალათასიან ჯარებს. ნომადების შეჩერება მოხერხდა მხოლოდ ბიზანტიის ჯარებში საკავალერიო შენაერთების გაზრდით.

პროდუქტი. სტეპი იყო ცხენის ერთადერთი მიმწოდებელი და, თითქოს, ნომადს შეეძლო ნებისმიერი ფასის დაწესება. მაგრამ, ეს უფრო წააგავს მშიერი ადამიანს მდგომარეობას, რომელსაც აქვს ძალიან ძვირფასი ქვა და ცდილობს მიჰყიდოს ქალაქში ერთადერთ იუველირს. იუველირის როლში აქ, რა თქმა უნდა, მიწადმოქმედი ბიზანტიელი, სასანიანი ან ჩინელი გამოდის. თუმცა, ვითარება შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს, თუ ამ მშიერ ადამიანს ხელში იარაღი ეკავება (საინორი, 1978: 171-183). ზუსტად ამას აკეთებდნენ ნომადები: ცდილობდნენ ძალისმიერი მეთოდებით (მცირე/მსხვილმასშტაბიანი შემოსევებით) მიეღოთ ის, რასაც ვერ იღებდნენ ვაჭრობით. მაგალითად, ჰუნებმა ამისთვის განავითარეს ე. წ. „შედგენილი მშვილდი“, რომელიც მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ბიზანტიელებთან ბრძოლებში (ლუტვაკი, 2009: 22-28).

ცხენი ნომადის ხელში კარგი სავაჭრო პროდუქტის გარდა, ეფექტიან საშუალებას წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნების საზღვრისპირა ტერიტორიების დასარბევად.[49]

ჩინელების სამხედრო ძალების დამოკიდებულება სტეპის ცხენზე ქმნიდა საკმაოდ კურიოზულ მდგომარეობას, როდესაც სტეპებიდან მომდინარე ნომადური შეტევების მოსაგერიებლად, ჩინელებს ესაჭიროებოდათ ცხენები, რომელთა მიწოდებაც მხოლოდ ნომადებს შეეძლოთ. ამ ცხენების ყიდვით, ნომადს შეეძლო მიეღო ის ნივთი, რომელიც სურდა და ამით შემოსევის ალბათობა საგრძნობლად შეემცირებინა. საჭირო ნივთის მისაღებად ნომადს ქმედების ორი საშუალება ეძლეოდა: ბარტერი, ან ძალისმიერი მეთოდი. ორივე შემთხვევაში ცხენი მთავარ როლს ასრულებდა (კემბრიჯის შიდა..., 1990: 10-12).

ნომადური კავალერიის ეფექტიანობა დამოკიდებული იყო მის ზომაზე. ერთ მეომარს რამოდენიმე ცხენი ესაჭიროებოდა[50] და, შესაბამისად, ესეთი ჯარის შენახვა დამოკიდებული იყო შესაბამისი საძოვრების არსებობაზე. ანუ, უშუალოდ ბრძოლის ველზე ომის ბედი არ წყდებოდა, რადგან, თუ ნომადები შეძლებდნენ ქვეყნის დაპყრობას, ისინი ვერ ახერხებდნენ მანდ სამუდამოდ დასახლებას თავის მთავარ იარაღზე – ცხენზე – უარის თქმის გარეშე.[51] თუ კი ნომადები უარს იტყოდნენ ცხენზე, ეს გამოიწვევდა მათ ასიმილირებას

[49] ზოგადად, ცხენები ისტორიაში ევრაზიის კონტინენტზე წარმოებულ ყველა ომში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ. საკუთრივ მეორე მსოფლიო ომშიც კი, ცხენი აქტიურად გამოიყენებოდა (ლიდელ ჰარტი, 2014: 21; 25-26).

[50] კვლევარები ზოგადად მიიჩნევენ, რომ ეს პროპორციულად ერთ ნომადურ მეომარზე ხუთი ცხენი მოდიოდა (ჰევერი, 2009: 218-219).

[51] რადგან დაპყრობილ ქვეყანაში უბრალოდ საჭირო რაოდენობის საძოვარი არ არსებობდა.

ადგილობრივ ხალხში. თავის მხრივ, მიწადმოქმედი ხალხი ვერ ახერხებდა მრავალრიცხოვანი კავალერიის შენახვას და ისევ დამოკიდებული რჩებოდა სტეპის ნომადებზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგად სამხედრო შეიარაღებაში უპირატესობა ცივილურ სამყაროს ჰქონდა.[52] მართალია, ნომადებს შეეძლოთ კარგად შეიარაღებული მეომრის გამოყვანა, ბიზანტიური და ჩინური სამყაროდან საკმაოდ მრავალი მაგალითი მოგვეპოვება, როდესაც იმპერიული ხელისიფლება კრძალავდა ქვეყნის შიგნით დამზადებული შეიარაღების საზღვრებს გარეთ გატანას. მაგალითად, ჰანის დინასტიის დროს იკრძალებოდა იარაღის გატანა ჩრდილოეთით მცხოვრებ ნომადებში. VI საუკუნეში ბიზანტიაში ემბარგო დაედო ავარებისთვის შეიარაღების მიყიდვაზე (კემბრიჯის შიდა..., 1990: 11-13).

ზემოთ მოტანილი დისკუსია გვიჩვენებს, რომ ძალიან მარტივი იყო ბარბაროსებსა და იმპერიებს შორის მშვიდობიანი ვაჭრობა შეიარაღებულ კონფლიქტში გადასულიყო. იყო შემთხვევები, როდესაც ბარბაროსებისადმი, რადიკალური პოლიტიკა ძლიერდებოდა, რაც, პირველ რიგში, გამოისახებოდა მათთან ვაჭრობაზე უარის თქმით. ეს, თავის მხრივ, იწვევდა შეიარაღებულ კონფლიქტს (ჰევერი, მეთიუსი, 1991: 17-26). მეორე, შემწყნარებლური პოლიტიკის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ ბარბაროსებისთვის, მათი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებით, მოხერხდებოდა საზღვრებზე გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნება (ლენსკი, 2002: 124). ამ უკანასკნელი პოლიტიკის წარმატება, უმეტესწილად, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ზომიერი იყო ნომადების მოთხოვნები და რამდენად დიდი რესურსი გააჩნდა ქვეყანას ამ მოთხოვნების შესასრულებლად, ან სამხედრო შეტაკებისას საზღვრების დასაცავად. შიდა აზიის ისტორია სავსეა ბარბაროსებისადმი, როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი პოლიტიკის მაგალითებით. ჩინელი მმართველები ხშირად ვერ ხვდებოდნენ იმას, რომ ნომადების თავდასხმების მთავარი მიზეზი ზუსტად სიღარიბე და შიმშილი იყო (კემბრიჯის შიდა..., 1990: 13-14). იმავე ჩინელების შემთხვევაში, მრავალი ისტორიული მაგალითი არსებობს, როდესაც შემწყნარებლური პოლიტიკა საკმაოდ დიდ შედეგებს

[52] ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ პერმანენტული გაწვრთნის როგორი სისტემა არსებობდა რომის იმპერიასა და შემდეგ ბიზანტიაში. წყაროების ნაკლებობა დაზუსტებით იმავეს თქმის საშუალებას არ გვაძლევს სასანიანებთან მიმართებაში. თუმცა, როგორც სასანურ ირანზე დისკუსიისას იქნება ნაჩვენები, უზარმაზარი სამხედრო ინფრასტრუსტურის არსებობა მეტყველებდა სასანური ჯარების პერმანენტულ განლაგებაზე იმპერიის საზღვრების პერიმეტრის გარშემო. ეს კი თავის მხრივ ირანელებში სამხედრო გაწვრთნის საჭიროებას იწვევდა.

იძლეოდა.

თუმცა, ბარბაროსების მოთხოვნების შესრულება დიდ კრიტიკას განიცდიდა. ბევრი ბიზანტიელისთვის, ირანელისთვის, თუ ჩინელისთვის, ბარბაროსებისთვის „ხარკის“ გადახდა გაუგებარი და, უფრო მეტიც, შეურაწმყოფელი იყო. ასე, მაგალითად, სალვიანე მარსელიელი აღნიშნავდა თავის *De Gubernatione Dei*-ში[53] (სალვიანე მარსელიელი, 1930: VI, 98-99):

„ადრე რომაელები ყველაზე ძლიერები იყვნენ, ხოლო ეხლა მათ ძალა გამოეცალათ; ადრე ისინი შიშს ღვრიდნენ, ხოლო ეხლა კი თვითონ ცხოვრობენ შიშში; ადრე ბარბაროსები მათ უხდიდნენ ხარკს, ხოლო ეხლა კი პირიქით, რომაელები უხდიან მათ. დღის სინათლეც კი ფასად გვიჯდება, მთელ ჩვენ უსაფრთხოებაში ფასს ვიხდით... რა შედეგს მივაღწიეთ! და ამისთვის ვუმადლებთ ბარბაროსებს, რომ ჩვენ გვეძლევა საშუალება საკუთარი თავი ფასად გამოვისყიდოთ. რა შეიძლება უფრო მიუღებელი და საშინელი იყოს, ვიდრე ასეთ პირობებზე ცხოვრება. და მაინც, ამის შემდეგ ჩვენ ყველას გვგონია, რომ ვცოცხლობთ, ჩვენ, ვისი სიცოცხლეც ხარკზე არის დამოკიდებული. ჩვენ საკუთარ თავს უფრო სასაცილოდ ვხდით, როდესაც გვგონია, რომ ოქრო, რომელსაც ვიხდით უბრალოდ საჩუქარია. ჩვენ მას საჩუქარს ვეძახით, სინამდვილეში კი ეს გამოსასყიდია. გამოსასყიდი, რომელსაც გაუსაძლისი მოთხოვნების გათვალისწინებით ვიხდით. ჩვენ არასდროს ვართ გადასახადისგან თავისუფლები: ჩვენ მუდამ ვიხდით გამოსასყიდს, რათა გვქონდეს იმის საშუალება, რომ მუდამ ვიხადოთ“.

ცოტაოდენი დრო დავუთმოთ ნომადების სამხედრო ძალას. გვიან ანტიკურობაში სტეპის ნომადი მეომარი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სასანური ირანის ან აღმოსავლეთ რომის იმპერიის ჯარისკაცს. რა თქმა უნდა, ნომადს არ გააჩნდა მაღალი სამხედრო დისციპლინა და მას არც ციხე-სიმაგრეების აღების გამოცდილება და ტექნოლოგიები გააჩნდა. თუმცა, ცხენზე მანევრირების მაღალი დონე და საშუალო ზომაზე დიდი მშვილდი მას საკმაოდ ძლევამოსილ მეომრად აქცევდა. მთავარი სხვაობა სტეპებსა და მეზობლო დასახლებულ ტერიტორიებს შორის არის მეურნეობის შეუზღუდავად განვითარების პოტენციალი, ხოლო სტეპებში მეცხოველეობის და ნადირობის ტექნოლოგიები

[53] რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „ღვთის მმართველობის შესახებ“.

უკანასკნელ დრომდე დიდად არ შეცვლილა. თუ ნადირობა ძირითადად მტაცებლური საქმიანობა არის, ხოლო საქონლის მოშენება კი, მთლიანად ცხოველის ინსტინქტზე არის დამყარებული, სოფლის მეურნეობა ადამიანს საშუალებას აძლევს კონტროლს დაუქვემდებაროს, ან ზოგ შემთხვევაში, შეცვალოს კიდევაც, მის გარშემო არსებული ბუნებრივი პირობები. მიწის განწმენდით მისი სამომავლო დამუშავებისთვის, საირიგაციო არხების გაყვანით, ან წისქვილების გამოყენებით, მიწადმოქმედი საკუთარი შრომის ინვესტირებას ახორციელებს მიწის გარკვეული მონაკვეთის განვითარებაში. ეს ადამიანი მიჯაჭვული იყო ამ მიწაზე და არ შეეძლო მისი მიტოვება, თუ კი სურდა საკუთარი შრომის შედეგები ეხილა. ნომადი კი უფრო მის გარშემო არსებული ბუნების ექსპლოატირებაზე იყო გადართული, ვიდრე მის გაუმჯობესებაზე. ეს არის ის ფუნდამენტური სხვაობა, რაც ახასიათებდა ამ ორ სამყაროს ათასწლეულების განმავლობაში (ხაზანოვი, 1994: 33-36).

სავარაუდოდ, გვიანი პალეოლითის ხანაში სხვაობა ტექნოლოგიურ განვითარებაში სოფლის მეურნეობაზე და სტეპზე დაფუძნებულ ეკონომიკებს შორის არ აძლევდა რომელიმე მათგანს გადამწყვეტ უპირატესობას. ცხენის მოშენების შემდეგ სტეპი, მანდ არსებული უზარმაზარი საძოვრებით, საკმაოდ მიმზიდველ რეგიონადაც აღიქმებოდა, სადაც ხერხდებოდა ცხენების რაოდენობის გაზრდა და შემდგომ მათი სამხედრო საქმიანობაში გამოყენება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნომადები იყვნენ პირველები, ვინც სამხედრო საქმეში ცხენი გამოიყენეს,[54] რამაც მათი თითქმის ორათასწლიან გამოყენებას დაუდო საფუძველი სამხედრო საქმიანობაში. მაგრამ, თუ თავიდან სტეპის ეკონომიკა მიმზიდველი იყო, დროთა მსვლელობაში ნათელი გახდა, რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ გადაულახავ ზღვარს მიაღწია.

წარმატების დროს ნომად მხედარს შეიძლება ირონიითაც შეეხედა მიწადმოქმედისთვის, რომელნიც მისთვის იყვნენ თავისუფალნი და საკუთარი ბედის პატრონები. მაგრამ, ასეთ ტრიუმფალურ დროსაც კი, ნომადებს იზიდავდა ძვირფასი პროდუქცია, რომლის წარმოების საშუალებასაც სტეპის ეკონომიკა არ იძლეოდა. თურქი მინისტრი ტონიუქუქი ტყუილად აფრთხილებდა თავისიანებს, თუ რა საფრთხის მომცველი იყო ჩინელების ცხოვრების წესების გადმოღება და მორგება. მაგრამ ეს არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, რადგან თვითონ სამხედრო კამპანიის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ნომადს მიეღო ის

[54] სკვითები.

პროდუქცია, რომლის მიღებაც მას სტეპში არ შეეძლო. ასე, რომ ნომადს არჩევანი ჰქონდა სტეპში ღირსეულ „სიღარიბეში“ ეცხოვრა – სხვა ნომად ჯგუფებთან პერმანენტულ ბრძოლებში უკეთესი საძოვრებისათვის – ან მოესურვა ცივილური სამყაროს განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევით და საბოლოოდ საკუთარი იდენტობის დაკარგვის ფასად (კემბრიჯის შიდა..., 1990: 13-14). საუკუნეების განმავლობაში ნომადების უმეტესობა მეორე ალტერნატივას ირჩევდა, ხოლო ცივილური სამყაროს გაფართოება არა მხოლოდ სამხედრო აქტივობით ხდებოდა, არამედ ბარბაროსი ხალხების იმპერიების შიგნით ჩასახლების ხარჯზეც.

თუმცა, მეზობელი ქვეყნის შიგნით განსახლების გადაწყვეტილება მხოლოდ ბარბაროსებზე არ იყო დამოკიდებული. მათ ესაჭიროებოდათ იმპერიული ადმინისტრაციის სრული თანხმობა. მათი შეშვება, აგრეთვე, არანაკლებ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ტერიტორიაზე, სადაც უნდა მომხდარიყო ბარბაროსების განსახლება. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, დასახლების მთხოვნელნი არ უნდა ჭარბოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე. აგრეთვე, მნიშვნელოვანი იყო, ჰქონდა თუ არა პროვინციულ ადმინისტრაციას შესაბამისი რესურსი ბარბაროსების გამოსაკვებად (ჰევერი, 2006: 145-167). ჩინეთში ეს პრაქტიკა არანაკლებ წარმატებულად ხორციელდებოდა, ვიდრე რომსა და სპარსეთში. უფრო მეტიც ჩინეთის სამეფოების საზღვრისპირა რეგიონები უფრო მარტივად ახერხებდნენ ახლადდასახლებული ბარბაროსების შთანთქვას ჭარბი მოსახლეობის ხარჯზე. 376 წელს, როდესაც იმპერატორ ვალენს მოუვიდა ცნობა, რომ დუნაიზე მრავალი გუთი ითხოვდა იმპერიაში შეშვებას, იმპერატორი დათანხმდა. მაგრამ, პროვინციულმა ადმინისტრაციამ ვერ ჩამოაყალიბა გუთების ჩასახლების ეფექტიანი მექანიზმი (მათი გამოკვება გარდამავალ პერიოდში), რამაც აჯანყებამდე და 378 წელს, ადრიანოპოლის ბრძოლაში თვით იმპერატორის სიკვდილამდე მიიყვანა. კონსტანტინოპოლს კიდევ ათიოდე წელიწადი დასჭირდა გუთების პრობლემის მოგვარებისთვის (ჰევერი, 2006: 145-167).

თუ ადგილობრივი მოსახლეობა ვერ მოახერხებდა ახლად დასახლებულების შთანთქვას, მაშინ უკუღმა პროცესი იწყებოდა: ნომადური კულტურის მომძლავრება, როგორც ეს მოხდა ანატოლიაში, XII საუკუნიდან მოყოლებული თურქ-სელჩუკების დროს.

აქამდე განვიხილეთ ევრაზიის დაყოფა შიდა აზიად და პერიფერულ

ზონებად მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ფაქტორით. შიდა აზია – ნადირობა, მეთევზეობა ანდაც მეცხოველეობა; ხოლო პერიფერიული ცივილიზაციები (რომი/ბიზანტია, ირანი და ჩინეთი) – სოფლის მეურნეობაზე დამყარებული ეკონომიკა. ზუსტად ეს ეკონომიკური *fundamentum divisionis*-ი – გამყოფი – იყო, ძირითადად, ის, რამაც სტეპებსა და ცივილურ სამყაროში მცხოვრები სხვადასხვა განვითარების გზაზე მდგომი ხალხები კონფრონტაციამდე მიიყვანა.

მაგრამ, მოდით ვეცადოთ შიდა აზიის რეგიონი სხვა ასპექტებითაც განვიხილოთ. არსებობს თუ არა, ეკონომიკური ფაქტორის გარდა, სხვა რამე სახის კრიტერიუმები შიდა აზიის, როგორც ერთიანი რეგიონის განსაზღვრისთვის. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რელიგია, ენა და დამწერლობა ძალიან მცირეოდენ როლს ასრულებდნენ ამ რეგიონის ნომადების ხალხებათ ჩამოყალიბებაში.

დამწერლობას ნადმვილად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუნდაც, რომ განვიხილოთ ლათინური ანბანის გავრცელება შუა საუკუნეებში; ან კირილიკური ანბანის გავრცელება XIX-XX საუკუნეებში, ნათელი ხდება, თუ რამდენად დიდ როლს ასრულებს ერთიანი დამწერლობა ადამიანთა გაერთიანებისთვის. აგრეთვე, ამა თუ იმ დამწერლობის მიღებას, შეუძლია ხალხს კულტურული აფილირება შეუცვალოს, როგორც ეს მოხდა 1926 წელს, თურქეთში არაბული ანბანის ნაცვლად, ლათინური ანბანის შემოღებით. მაგალითად, ერთნაირი დამწერლობა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხების დაახლოებასაც, ან ერთი რეგიონისთვის მიკუთვნებას ამარტივებს, როგორც ეს დღეს არის ჩინელებსა და კორეელებს შორის (ან თუნდაც ჩინელებსა და იაპონელებს შორის, მიუხედავად მათი ისტორიული ანტაგონიზმისა). შიდა აზიის ხალხებს არასდროს ჰქონიათ ერთიანი დამწერლობის სისტემა.

რაც შეეხება ფიზიკურ ანთროპოლოგიას, ამ კომპონენტშიც კი, შიდა აზია არ წარმოადგენდა მონოგამურ სივრცეს, მიუხედავად იმისა, რომ მონღოლოიდური და ტუნღუსთა რასები შიდა აზიურ ტიპებად აღიქმება. მაგალითად, ნეოლითურ ხანაში, ამავე ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დასტურდება ინდო-ევროპელების არსებობაც (კემბრიჯის შიდა..., 1990: 53-70). აფანასიევოს კულტურა, რომელიც აღმოცენდა დაახლოებით ძვ. წ. 2000 წელს, სტეპში, მინუსინსკის გარშემო. ალტაიდან კასპიის ზღვამდე არსებულ ტერიტორიაზე აღმოცენებული ანდრონოვოს კულტურა, ასევე ინდო-ევროპელებს

ეკუთვნოდა. მონღოლოიდების გამოჩენა, სავარაუდოდ, დაახლოებით, ძვ. წ. 1200 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც მათ დომინანტი როლი დაიკავეს მინუსინსკის რეგიონში. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, მოხდა არიელებისა და ირანული მოდგმის ხალხის მიგრაცია სამხრეთით, დღევანდელი ინდოსტანის ნახევარკუნძულისკენ და თანამედროვე ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე (ბოისი, 1975: 3-21). მაგრამ, ეს არ ნიშნავდა შიდა აზიის რეგიონიდან ირანული ელემენტის გაქრობას. ძვ. წ. I ათასწლეულში, სტეპებში, ჩვენ ვხდებით სკვითებს. ირანული მოდგმის ხალხის გაქრობა სტეპებში მხოლოდ ახ. წ. პირველ საუკუნეებში მოხდა, როდესაც თურქული მოდგმის ხალხმა მოახერხა მათი შთანთქვა. ამიტომაც, ფიზიოლოგიური ანთროპოლოგია არ შეიძლება აღებულ იქნას შიდა აზიის ხალხების ცივილური სამყაროს ხალხებისგან განმასხვავებელ კრიტერიუმად.

შიდა აზიის რეგიონს არ დაუბადებია რომელიმე მსოფლიო რელიგია. მიუხედავად იმისა, რომ ზარათუშთრა, სავარაუდოდ, სტეპში ცხოვრობდა (ძვ. წ. 1450-1200 წწ.) და ახალ რელიგიას ავრცელებდა, მისი მიმდევრები მხოლოდ ირანული მოდგმის ტომები გახდნენ, რომელნიც შემდეგ სამხრეთით გადასახლდნენ (ბოისი, 1975: 20-29).[55] წყაროების სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას დეტალურად შევისწავლოთ ნომადების რელიგია, მაგრამ ცნობილია, რომ ისინი თაყვანს სცემდნენ ცას (ტენგრი). ასე იყო შუა საუკუნეებშიც, როდესაც ევროპელებმა პირველად ნახეს მონღოლური ტომების ცხოვრების სტილი. მაგრამ, სავარაუდოდ, დამწერლობის არ ქონამ გამოიწვია არსებული ლეგენდების და ადათ-წესების დავიწყება.

უძველესი წერილობითი წყარო შუა აზიიდან ახ. წ. VIII საუკუნეს ეკუთვნის და შესრულებულია თურქულ ენაზე (კემბრიჯის შიდა..., 1990: 16-18). მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი წყაროების სიმცირე გვაქვს, რაც შეუძლებელ ხდის შიდა აზიის ლინგვისტური ისტორიის აღდგენას, ეჭვს გარეშეა ფაქტი, რომ გვიან ანტიკურ ხანაში ლინგვისტური კუთხით შიდა აზია უფრო ჭრელი იყო. XVIII საუკუნისთვის, როდესაც ევროპელმა მკვლევარებმა შიდა აზიის ენების შესწავლის ინტერესი გამოიჩინეს, მრავალი ენა უკვე მკვდარი იყო. რამდენადაც ცნობილია, თურქულად და მონღოლურად მოსაუბრე ნომადებს ერთმანეთის არ ესმოდათ. ხოლო, თუ დღეს რამე სახის მსგავსება არსებობს რამოდენიმე ენას შორის, ეს უფრო სხვადასხვა ხალხს შორის

[55] ინდოსტანის ნახევარკუნძულისკენ და თანამადროვე ირან-ერაყის ტერიტორიისკენ.

ინტერაქციით არის გამოწვეული. ასე მაგალითად, თუ ატილას დროს მისი მხლებლების სახელები, ძირითადად, გუთური წარმოშობის იყო, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მათი ენები ურთიერთგასაგები იყო (ჰუნური ენის წარმომავლობა დღემდე არ არის დადგენილი), არამედ იმის გამო, რომ ამ ხალხების ისტორია ატილამდე 50 წლით უკვე იყო ერთმანეთთან დაკავშირებული (ჰევერი, 2009: 209-220).

ასე რომ, თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში და, განსაკუთრებით კი, გვიან ანტიკურობაში, შიდა აზიასა და ცივილურ სამყაროს შორის, ანუ ნომადსა და მიწადმოქმედს შორის, არსებული *fundamentum divisionis*-ი პირველის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენა უნდა იყოს და არა ლინგვისტური, ან ანთროპოლოგიური კრიტერიუმი. შესაბამისად, როდესაც მომდევნო თავებში ვისაუბრებთ, ბარბაროსების მიერ განხორციელებულ შემოსევებზე ბიზანტიისა და სასანურ მიწებზე, ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ იმპერიების ეკონომიკური სიმდიდრე.

3. რომაელები და გუთები.
ვალენსის პირველი გუთური ომი (367-369 წწ.):
პოლიტიკა, ეკონომიკა და იმპერიული იდეოლოგია

370 წლის დასაწყისში, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველი ვალენსი (364-378 წწ.), გუთებთან სამწლიანი ომის შემდეგ, დუნაისპირეთიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. დედაქალაქში ვალენსს კონსტანტინოპოლის სენატის წევრი თემისტიუსი (დაახლ. 317-390 წწ.) შეხვდა და იმპერატორის გამარჯვებას სახალხო სიტყვა – „ვალენსის ზავის შესახებ“ – მიუძღვნა (ჰევერი, 1991: 14-16; ვანდერსპოელი, 1995: 173-176). თავის სიტყვაში თემისტიუსი საუბრობს ვალენსის ინტერესზე ფილოსოფიისადმი, შემდგომ კი, პლატონის მსგავსად, აცხადებს, რომ მმართველს, რომელსაც შეუძლია ომის წარმოება, ასევე შეუძლია ქვეყნისთვის მომგებიანი ზავის დადება. ამის შემდეგ, თემისტიუსი ბარბაროსების ბუნებას ეხება და აცხადებს, რომ თითოეულ მათგანში დევს მშვიდობის, ან ომის მარცვალი (თემისტიუსი, 1991: *Or.* 10.129-132). მხოლოდ გამოსვლის მეორე ნაწილში თემისტიუსი გადადის მთავარ საკითხზე: 367-369 წწ. ომი ვალენსსა და გუთებს შორის (თემისტიუსი, 1991: *Or.* 10.135-139). ის ფაქტი, რომ სიტყვის თითქმის ნახევარი იმ მდგომარეობის ეხება, რომელიც სუფევდა დუნაისპირეთში ვალენსის გამეფებამდე, თემისტიუსის სიტყვას უმნიშვნელოვანეს წყაროდ აქცევს.

ვალენსის ომები გუთებთან საკმაოდ კარგად შესწავლილი საკითხია. ბევრი დაიწერა ჰევერის, ლენსკის, კულიკოვსკისა და ვოლფრამის მიერ. მიუხედავად ამისა, ამ მკვლევარების მოსაზრებები ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთ საკითხზე, როგორიც არის ომის დაწყების მიზეზები და კონფლიქტის შედეგები. ვოლფრამი, კულიკოვსკი და ნაწილობრივ, ლენსკი, მიიჩნევენ, რომ ომის დაწყება რომაელების ინიციატივა იყო. ამის საპირისპიროდ, ჰევერი თვლის, რომ ინიციატივა გუთებისგან მოდიოდა, რომელთაც სურდათ

არსებული ძალთა ბალანსის შეცვლა (ლენსკი, 2002: 116-127; ჰეევერი, 1991: 17-26; ვოლფრამი, 1988: 64-75; ვოლფრამი, 2005: 64-5; კულიკოვსკი, 2007: 114-118; მეთიუსი, 1989: 318-319; ბერნსი, 1994: 2-5, 8-9; შოვო, 1998: 195-198; ჰალსალი, 2007: 173). თუმცა, ამ ისტორიკოსთა ნაშრომების ზოგადი მახასიათებელი არის ამიანე მარცელინეს გუთურ-რომაული ომის მოკლე აღწერილობის გამოყენება და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თემისტიუსის მეათე სიტყვის თითქმის მთლიანი უგულვებელყოფა (ზოგადად თემისტიუსზე: ჰეევერი, მონკური, 2001; ვანდერსპოელი, 1995; დაგრონი, 1968).

ნაშრომის ამ თავში შევეცდებით, კონსტანტინე დიდის მმართველობიდან მოყოლებული, სხვა კუთხით დავინახოთ გუთურ-რომაული ურთიერთობები IV საუკუნის განმავლობაში. მთავარი კითხვა იქნება, თუ რატომ აწარმოა ვალენსმა, 367-369 წლებში, გრძელი და საკმაოდ ძვირი ომი გუთებთან. თუმცა, აქცენტი არ იქნება გამახვილებული მხოლოდ ომის მიზეზებსა და შედეგებზე, არამედ იმპერიის თავდაცვით სტრატეგიებზე, საომარი მოქმედებების დროს. როგორ სამხედრო სტრატეგიებს იყენებდნენ რომაელები და რა ეკონომიკურ, თუ იდეოლოგიურ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ იმპერიის მესვეურები ომის გამოცხადებამდე, მის წარმოებისას და საზავო ხელშეკრულების დადების დროს? არანაკლებ მნიშვნელოვანია, სამხედრო კუთხით იმპერიის მიერ ორ ფრონტზე ომის წარმოება და როგორ ცდილობდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველები ეს თავიდან აეცილებინათ. სხვა სიტყვებით, ამ პატარა ომის მაგალითზე კარგად იქნება ნაჩვენები კონსტანტონოპოლში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი – ამ ნაშრომის ერთერთი ცენტრალური საკვლევი კითხვა.

თემისტიუსი

რომის იმპერიაში შიდა, ან საგარეო სირთულეების ჟამს, იქნება ეს შემოსევები, წარუმატებელი სამხედრო კამპანიები, თუ აჯანყებები, ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენდა იმპერატორების მიერ დახმარების თხოვნა პროფესიონალ მეხოტბეებისათვის. ამ მეხოტბეების ნამუშევრები, ძირითადად, ეძღვნებოდა იმპერატორებს, თუ სხვა მაღალჩინოსნებს და კარგად ამჟღავნებდა ამა თუ იმ დროს საიმპერატორო კარზე დამყარებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს. ერთერთი მთავარი მეთოდი, რომელიც მეხოტბეების მიერ გამოიყენებოდა, იყო ტრადიციული თემების არჩევა (რომის იმპერატორების მიერ მშვიდობის

მიღწევის სურვილი; რომის იმპერიის მისია მის გარშემო მდებარე ბარბაროსულ სამყაროში ცივილიზაციის გავრცელება; რომის იმპერატორის გულუხვობა, წინდახედულობა, თუ კეთილგონიერება; და ბოლოს, იმპერატორების მზრუნველობა იმპერიის გამარჯვებისთვისა და უსაფრთხოებისათვის) (ჩარლზვორტი, 1937: 15-25), მათი დაკავშირება იმპერიაში არსებულ პრობლემებთან და მათი ხელახალი ინტერპრეტირება. ამასთან ერთად, მეხოტბეების სიტყვებში განხილვის ერთერთი მთავარი საკითხი იყო მმართველის განათლებულობა.[56] მეხოტბეების სიტყვებში აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო რომის იმპერატორების ოთხი მნიშვნელოვანი თვისება: სიმამაცე, ზომიერება, სამართლიანობა და სიბრძნე (*virtus, clementia, iustitia, pietas*) (ჩარლზვორტი, 1937: 9-14). მეხოტბე თემისტიუსი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მან აღწერა ვალენსი, როგორც მმართველი, რომელიც ცდილობდა კეთილდღეობა მოეპოვებინა არა მხოლოდ იმპერიის საზღვრებისთვის და მათ შიგნით მცხოვრები მოსახლეობისთვის, არამედ იმპერიის გარშემო არსებულ ბარბარსებისთვისაც. ამ რიცხვში, პირველ რიგში, შედიან მდინარე დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრები ბარბაროსები – გუთები; აღმოსავლეთში – სასანური ირანი. თემისტიუსთან ვალენსი უფრო მეტად ნაქები იყო, ვიდრე რომის დიდი იმპერატორები, ხოლო მისი მცირეწლოვანი ვაჟი კი, შედარებული იყო ალექსანდრე მაკედონელთან (თემისტიუსი, 1991: *Or.* 8.180). მართლაც, მეხოტბეების მიერ გამოყენებული ეს წესები იმდენად იყო გავრცელებული იმდროინდელ რომაულ სამყაროში, რომ ვალენსის პარალელურად, დასავლეთ რომის იმპერიაში, კიდევ ერთი იმპერიული მეხოტბე – სენატორი, წარმართი სიმაქუსი – აქებდა ვალენსის ძმის ვალენტინიანეს *clementia*-ს ბარბაროს ალემანების (!) მიმართ (სონიო, 2006: 12-17) და, ამავდროულად, ხაზს უსვამდა მის უმოწყალო სამხედრო კამპანიებს მდინარე რაინის ჩრდილოეთით, იმავე ალემანების წინააღმდეგ.[57] შესაბამისად, არასწორი იქნება, რომ ჩვენ რომაელი იმპერატორების მეხოტბეების სიტყვები განვიხილოთ მხოლოდ, როგორც

[56] განათლებულობის ფაქტორის ხაზგასმა ხდებოდა იმის და მიუხედავად, რომ იმპერატორების უმეტესობა, რეალურად, არ გამოირჩეოდა განათლების განსაკუთრებული დონით. იმპერატორი ვალენსი, ამ მხრივ, კარგ მაგალითს წარმოადგენს (ჩარლზვორტი, 1937: 15-25).

[57] ვალენტინიანეს ცალკე პროვინცია „ალემანიის“ შექმნა უნდოდა. თუმცა, ამ გეგმის განხორციელება იმპერატორს არ გამოუვიდა ერთი მარტივი მიზეზის გამო: IV საუკუნის მეორე ნახევრის რაინისა და დუნაის ჩრდილოეთით არსებული ბარბაროსული გაერთიანებები უფრო ძლიერ კოალიციებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ეს იულიუს კეისრის, ან მარკუს ავრელიუსის ლაშქრობების დროს იყო.

უბრალო პროპაგანდა.

თემისტიუსის მეათე სიტყვის ჩვენებური ინტერპრეტირება დამოკიდებულია იმაზე, თუ, ზოგადად, როგორ გვესმის რომის იმპერიის მიზნები დუნარისპირეთში ბარბაროსებთან ომის საწარმოებლად. თუ ჩვენ მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ ვალენსმა ვერ მიაღწია თავის მიზანს გუთებთან ომში და 369 წელს, დუნაის შუაში, იძულებული იყო ზავი დაედო გუთების ლიდერთან.[58] ეს მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ თემისტიუსი თავის სიტყვაში, უბრალოდ, ცდილობდა შეერბილებინა იმპერატორის წარუმატებლობა სენატისა და, ზოგადად, კონსტანტინოპოლის მაცხოვრებლების წინაშე (ჰეეერი, 1991: 20). თუმცა, შეიძლება ომის ალტერნატიული სცენარის დახატვა. თავიდანვე ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ წერილიბოთი წყაროები განსხვავებულ ცნობებს იძლევა ომის დაწყების მიზეზებზე, ყველა მათგანი მიუნიშნებს რომაელებისთვის არასასურველ შედეგებზე (ამიანე მარცელინე, 1935: 27.5.7-8; ზოსიმე, 1982: 4.10.3-4; თემისტიუსი, 1991: *Or.* 10.135-136). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, დავაკავშიროთ ვალენსის შიდა პოლიტიკა და მისი იდეოლოგიური მისწრაფებები დუნაიზე არსებულ ვითარებასთან, განსაკუთრებულად, 332 წელს, კონსტანტინე დიდის მიერ გუთებთან დადებული ზავის შემდეგ. ზუსტად აქ იქნება მნიშვნელოვანი თემისტიუსის სიტყვის, როგორც წყაროს გამოყენება. შესაბამისად, დასაწყისში, დეტალურად უნდა განვიხილოთ 332 წლის ზავი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 369 წლამდე გუთებთან სხვა ხელშეკრულება არ დადებულა.

კონსტანტინე დიდი და გუთები

IV საუკუნის შუა ხანებში, დაახლოებით, ოცდაათი წლის განმავლობაში (332-365 წწ.), ურთიერთობები რომის იმპერიასა და გუთებს შორის ეფუძნებოდა კონსტანტინე დიდის მიერ, 332 წელს, გუთებზე დაწესებული საზავო ხელშეკრულებით. ევსევი კესარიელის მიხედვით, რომის ჯარმა, 100,000 გუთი გაანადგურა (ევსევი კესარიელი, 1975: 1.8.2; 4.5.1-6.1). უდავოა, რომ ეს რიცხვები გადაჭარბებულია, მაგრამ ისინი ამტკიცებენ იმას, რომ გუთებს დიდი

[58] სხვათა შორის, ის ფაქტი რომ ვალენსი, დუნაის შუაში, ბარბაროსთა მეთაურთან ხელს აწერს საზავო ხელშეკრულებას, მეტყველებს იმაზე, რომ იმპერიის მესვეურებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, თუ სად სრულდება რომაელთა ძალაუფლება და სად იწყება ბარბაროსების ტერიტორია. როგორც ამ ნაშრომის წინა თავებში იყო ნაჩვენები, რომაელების მიერ იმპერიის ექსპანსიის ლიმიტის გაცნობიერება პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ კონსტანტინოპოლში შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ გრძელვადიანი პოლიტიკა თითოეული საზღვრის მიმართულებით.

დანაკარგები ჰქონდათ, ხოლო კონსტანტინე დიდის გამარჯვება კი, იმდენად სრულყოფილი იყო, რომ მან შეძლო გუთებზე იმპერიისთვის საუკეთესო პირობებისგან შემდგარი საზავო ხელშეკრულება დაეწესებინა. ამავდროულად, იმპერატორმა უფლება მისცა დამარცხებულ გუთებს რომის ჯარში ემსახურათ, ხოლო გუთი მაღალჩინოსნები კი, კონსტანტინოპოლიდან საჩუქრებს მიიღებდნენ.[59]

მშვიდობის უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულებაში ცალკე დებულება იყო შეტანილი მდინარე დუნაიზე შეუზღუდავი ვაჭრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობა იმისა, რომ ეს იყო კონსტანტინე დიდის მთავრობის ინიციატივა, შეგვიძლია ეს ვივარაუდოთ რამოდენიმე მიზეზის გამო (ლენსკი, 2002: 124; ჰეევერი, 1991: 113-114). იმის გათვალისწინებით, რომ, ზოგადად, ვაჭრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საიმპერატორო კარზე მიიღებოდა, ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ თავისუფალი ვაჭრობა გუთებთან საზღვარზე არასაკმარისი კონტროლის შედეგი ყოფილიყო. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, გეოპოლიტიკური მიზეზები, როგორიც იყო პრობლემები მახლობელ აღმოსავლეთში, მხარს უჭერს იმ მოსახრებას, რომ დებულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ზუსტად, 332 წლის საზავო ხელშეკრულებაში უნდა შესულიყო.

ვაჭრობაზე შეზღუდვების გაუქმება, შეიძლება, მიჩნეულ იქნას, როგორც უპრეცედენტო ნაბიჯი, რადგან რომის იმპერატორები ყოველთვის ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ რომაული ტექნოლოგიების, სამხედრო და ეკონომიკური ინფორმაციის ექსპორტი იმპერიის საზღვრებს გარეთ (იუსტინიანეს კოდექსი, 1954: 4.41.1; თომფსონი, 1982: 10). ორი პოლიტიკური ქმედება იქნა შემოღებული: პირველი, სანქციების დაწესება სტრატეგიული მნიშვნელობის მასალის გატანაზე (ჯავშანი, იარაღი, ცხენები, რკინა, ხორბალი და ა. შ.) (იუსტინიანეს კოდექსი, 1954: 4.36.2); მეორე მიღებული ზომა იყო იმპერიული საზღვრების მკაცრი გაკონტროლება და მათზე რამოდენიმე პუნქტის განთავსება, სადაც

[59] ეს საკმაოდ საინტერესო ფაქტია და ბევრს მეტყველებს რომის იმპერიის დიპლომატიაზე. მიუხედავად მტრის სრული დამარცხებისა, რომაელები უარს არ ეუბნებოდნენ ბარბაროსებს ძვირფას საჩუქრებზე და, როგორც შემდგომში იქნება ნაჩვენები, ვაჭრობაზეც. იმპერიის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ დუნაის საზღვარზე გრძელვადიანი მშვიდობის მოსაპოვებლად საჭირო იყო ბარბაროსების შემორიგება და არა მათი სრული დაჩაგვრა. როგორც ვალენსის ომიდან იქნება ნაჩვენები, იმპერატორმა ზუსტად ეს გააკეთა, როდესაც გუთებს ვაჭრობაც შეუწყვიტა. შედეგად, საზღვარი არასტაბილური გახდა და 370-იანი წლების ბოლოსკენ, ჰუნების გამოჩენის დროისთვის, დუნაისპირეთში არ არსებობდა რომელიმე ძალა, რომელსაც შეეძლო რომის ჯარებთან ერთად ნომადებისთვის ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა.

ვაჭრობა მეზობელ ხალხებთან ნებადართული იქნებოდა.[60] სხვა სიტყვებით, ვაჭრობა საზღვრების გასწვრივ მკაცრად კონტროლდებოდა. ცნობილია, რომ ასეთი ზომები ფართოდ იყო გავრცელებული იმპერიაში, განსაკუთრებულად კი, V-VI საუკუნეებში. პროკოპი კესარიელი წერდა იუსტინიანეს ქმედებების შესახებ შეეჩერებინა სხვადასხვა სახის შეიარაღების გატანა შავიზღვისპირეთისა და დუნაის ჩრდილოეთით (პროკოპი კესარიელი, 1914-1940, *Anecdota,* 25.3-6; თომფსონი, 1982: 11). ამავდროულად, თუ ამ წესისთვის არსებობდა რამე სახის გამონაკლისი, როგორც ეს იყო ერთერთ გერმანულ ტომთან – ჰერმუნდურებთან – მიმართებაში, ეს ფაქტი, აუცილებლად, რომაელი ისტორიკოსების განსჯის საგანი ხდებოდა (ტაციტუსი, 2009: 41).

თუმცა, მეზობელ ხალხებთან შეუზღუდავ ვაჭრობას პოტენციურად შეეძლო სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური ზიანი მიეყენებინა იმპერიისთვის:

1. ღია საზღვრების პირობებში ბარბაროსებს იმპერიიდან მარტივად შეეძლოთ გაეტანათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია რომაული ჯარის და თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შესახებ. ბარბაროსებს, აგრეთვე, შეეძლოთ ზუსტი გეოგრაფიული ცოდნის მიღებაც, რაც მათ, სამომავლო სამხედრო მოქმედებებში, მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებდა. გარდა ამისა, ვაჭრობის მიზნით შემოსული ბარბაროსები, რეალურად, შეიძლება მძარცველებიც ყოფილიყვენენ (ამიანე მარცელინე, 1935: 31.10.1-6; ლი, 1993: 130-3, 161-5).

2. იმპერიული მონეტების იმავე რაოდენობით შემოსვლა, რომელიც თავდაპირველად იმპერიიდან გადიოდა, ლოკალურ დონეზე ეკონომიკას აჯანსაღებდა (ტოდი, 1998: 88-103). თუმცა, ღია საზღვარს შეეძლო სხვა ეფექტიც ჰქონოდა იმპერიის ფინანსებზე. ვაჭრებს (რომაელების ჩათვლით) მარტივად შეეძლოთ თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის. შეუზღუდავი ვაჭრობა კი, იმპერიის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ნივთების გატანას შესაძლებელს ხდიდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულად საინტერესოა რამოდენიმე ფაქტი რომის აღმოსავლეთ საზღვრიდან. მაგალითად, 298 წელს, რომსა და სასანურ ირანს შორის დადებული ზავის მიხედვით, იმპერიებს შორის ვაჭრობა მხოლოდ ქალაქ ნიზიბისში იყო შესაძლებელი. მოგვიანებით, V საუკუნის დასაწყისში, მას

[60] ასე იყო არა მხოლოდ დუნაისა და რაინზე. მსგავსი პრაქტიკა მიღებული იყო სასანურ ირნთან სასზღვარზეც: ვაჭრობა, უმეტესწილად, კონტროლდებოდა მდინარე ევფრატსა და ჩრდილოეთ სომხეთში მძლავრი საჯარისო შენაერთების კონცენტრირებით. თუმცა, ამასთან ერთად, გამოყოფილი იყო რამოდენიმე პუნქტი საზღვრის გასწვრივ შეზღუდული სავაჭრო აქტივობისთვის.

კალინიკუმი და არტაქსატა დაემატა (იუსტინიანეს კოდექსი, 1954: 4.63.6). უდავოდ, ამის გამომწვევ მიზეზებში შეიძლება ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ყოფილიყო: მაგალითად, ჯაშუშებისთვის საზღვრის გადაკვეთაში ხელის შეშლა. მაგრამ, ნათელია ისიც, რომ ვაჭრობის ნებართვა განსაზღვრულ ქალაქებში ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული: გადასახადების ეფექტიანი აკრეფვა და მნიშვნელოვანი პროდუქციის (იარაღი, ოქრო და სხვა ლითონი) ექსპორტის გაკონტროლება.

მაგრამ, მიუხედავად ამ საფრთხეებისა, თავისუფალი ვაჭრობა კიდევ ერთი რამისკენ იყო მიმართული.[61] კონსტანტინემ, რომელსაც სურდა გუთური პრობლემა მოეგვარებინა, უგულვებელყო შეუზღუდავი ვაჭრობით შექმნილი ეკონომიკურად არახელსაყრელი მდგომარეობა. მას ესაჭოროებიდა გრძელვადიანი მშვიდობა დუნაისპირეთში, რადგან იმპერატორი გეგმავდა ახალი სამხედრო კამპანიის მოწყობას აღმოსავლეთში. 330 წელს, მეფე თრდატის გარდაცვალების შემდეგ, სომხეთში პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რაც სასანიანებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და სომხეთის შიდა საქმეებში ჩაერივნენ. ამავდროულად, ირანელებმა თავდასხმები მოაწყეს რომის ჩრდილოეთ მესოპოტამიის სამფლობელოებზე (ბლოკლი, 1992: 10-12). კონსტანტინეს საპასუხო ნაბიჯი უნდა გადაედგა. იმპერატორი აღმოსავლეთში მასშტაბური სამხედრო კამპანიის მოწყობას გეგმავდა (ბლოკლი, 1992: 10-12). შესაბამისად, აღმოსავლეთში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა 332 წელს გუთებთან დადებულ ზავზე. ეს კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, როდესაც იმპერიის სტრატეგიული უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანი იყო პოტენციურ ეკონომიკურ ზარალზე. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მიღებული პირობა, უშუალოდ, გუთებზე იყო მორგებული, დუნაისპირეთში გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად.

ესეთი იყო პრობლემები, რომელიც ვალენსის გამეფების დროისთვის (364 წ.), იმპერიის დუნაის საზღვარზე არსებობდა. თუმცა, შედარებითი მშვიდობა, რომელიც შეიქმნა 332 წლის ზავის პირობებით, ამავდროულად, სერიოზულ ეკონომიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს უქმნიდა იმპერიას. მართალია, გუთები დიდი ეკონომიკური სარგებლის გამო, ნაკლებს ფიქრობდნენ იმპერიული ტერიტორიის დარბევაზე, რომაელებს გადაწყვეტილი

[61] რაც უფრო მასშტაბური იყო ვაჭრობა იმპერიასა და ბარბაროსებს შორის, მით უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო კონსტანტინოპოლს მეზობლებზე ვაჭრობის შემცირებით, ან მისი ნაწილობრივ შეწყვეტით.

ჰქონდათ არსებული წესრიგის შეცვლა.

იმპერიის შიდა პრობლემები

361-365 წლები, იმპერიისთვის ერთერთ ყველაზე რთულ პერიოდს წარმოადგენდა. სასანიანებთან კონსტანციუსის სამხედრო კონფრონტაციამ (ბლოკლი, 1992: 12-24), მისმა დაპირისპირებამ მომავალ იმპერატორ იულიანესთან და ამ უკანასკნელის 363 წლის წარუმატებელმა სამხედრო კამპანიამ ირანის წინააღმდეგ, საგრძნობლად შეასუსტა იმპერიის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი (მეთიუსი, 1989: 100-105). გაურკვევლობა არ დამთავრებულა 363 წელს მეომარ იოვიანეს იმპერატორად გამოცხადებითაც. მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, მოხერხდა ვითარების გამოსწრება, როდესაც 364 წელს, იმპერია ძმებ ვალენტიანესა და ვალენს შორის დაიყო. რთული სამხედრო ვითარების გარდა, იმპერატორებს იულიანესგან რთული ეკონომიკური მდგომარეობა ხვდა წილად, როდესაც მათ უწევდათ 1,500,000 სილიდის გადახდა დაახლოებით 300,000-350,000-კაციანი იმპერიული ჯარისთვის (ლენსკი, 2002: 290). სხვა ზომებს რაც შეეხება, იმპერატორებმა გააუქმეს იულიანეს კანონი რელიგიური პირებისთვის ტაძრების ქონების გადაცემის შესახებ და ისინი ხელახლა იმპერიული ხაზინის მფლობელობაში დააბრუნეს (ლენსკი, 2002: 291; იუსტინიანეს კოდექსი, 1954: 5.13.3, 10.1.8). თუმცა, ყველაზე მტკივნეული იყო გადასახადების აკრეფვის ახალი მეთოდი. აქ, განსაკუთრებულად, თავი გამოიჩინა ვალენსის სიმამრმა პეტრონიუსმა (ამიანე მარცელინე, 1935: 26.6.6-9; ლენსკი, 2002: 291). ახალი პრაქტიკის მიხედვით, იმპერიის მესვეურებს უფლება მიეცათ ერთსაუკუნოვანი ვალების ამოღებაც მოეხდინათ (ამიანე მარცელინე, 1935: 26.6.7). ამ ზომებმა კონსტანტინოპოლის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაანაწყენა, რამაც, გარკვეულწლად, ხელი შეუწყო ვინმე პროკოპის აღზევებას და მის აჯანყებას.

პროკოპის აჯანყება და გუთები

365 წელს, მცირე აზიაში მყოფმა ვალენსმა მიიღო შეტყობინება, რომ გუთები გეგმავდნენ თრაკიის დარბევას (ამიანე მარცელინე, 1935: 26.6.14). მიუხედავად ამისა, ანტიოქიისკენ მიმავალ იმპერატორს, გეზი არ შეუცვლია და მხოლოდ დამხმარე ერთეულები გააგზავნა დუნაის საზღვრის დასაცავად (ამიანე მარცელინე, 1935: 26.6.14). პროკოპის აჯანყებამ და გუთების მიერ მისთვის

სამხედრო დახმარების გაწევამ, საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობები კონსტანტინოპოლსა და გუთებს შორის. გუთების ლიდერი, ათანარიხი, სავარაუდოდ, იმედოვნებდა, რომ პროკოპის წარმატებული აჯანყება იმპერიასა და გუთებს შორის არსებულ *status quo*-ს უცვლელად დატოვებდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ათანარიხის მიერ აჯანყებული პროკოპისთვის 3,000 მეომრის გაგზავნა, ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუმცა, ეს გამორიცხავს იმასაც, რომ გუთებს არ ესმოდათ, თუ რა ავანტიურაში ებმობოდნენ და რა შედეგი შეიძლება ამას მოჰყოლოდა, პროკოპის გამარჯვების შემთხვევაში. გუთებს იმპერიის შიდა საქმეებში ჩარევის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ. გუთების გამოყენება აქტიურად ხდებოდა იმპერიის შიგნით სამოქალაქო ომების დროს. მაგალითად, 320-იან წლებში კონსტანტინესა და ლიცინიუსს შორის მიმდინარე კონფლიქტში, გუთებმა ამ უკანასკნელს დაუჭირეს მხარი (კულიკოვსკი, 2007: 82). მსგავსი რამ მოხდა 361 წელსაც, როდესაც კონსტანციუსმა დახმარება სთხოვა გუთებს იულიანესთან საბრძოლველად. ეს ბადებს შემდეგ კითხვას: რამ გამოიწვია გუთების ესეთი უკმაყოფილება (ჰეევერი, 1991: 116; ლენსკი, 2002: 152), რომ 364 წელს ვალენსის ტახტზე ასვლის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, მათ 365 წელს, იმპერიის ტერიტორიის დარბევა გადაწყვიტეს?

როგორც ითქვა, ტახტზე ასვლის შემდეგ ვალენსის მთავარი საზრუნავი იმპერიის შიგნით ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის გამოსწორება იყო. ერთერთი ზომა კორუფციასთან ბრძოლა და იმპერიის საზღვრებში საგადასახადო პროცესის მკაცრი გაკონტროლება იყო. როგორც ამიანე და თემისტიუსი აცხადებდნენ, არაკონტროლირებად ვაჭრობას დუნაისპირეთში მართლაც დიდ ქაოსამდე შეეძლო მიეყვანა პოლიტიკური მდგომარეობა (თემისტიუსი, 1991: *Or.* 10. 136; ამიანე მარცელინე, 1935: 31.5.4). დუნაისპირეთში კორუფცია ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო, ხოლო იმპერიის ჯარისკაცები კი, ხშირად, უკანონო ეკონომიკურ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი. გუთებს მარტივად შეეძლოთ თავი აერიდებინათ გადასახადებისთვის და, ამავდროულად, იმპერიის ჯარის უმოქმედობის გამო, მცირემასშტაბიანი ლაშქრობებიც მოეწყოთ (თემისტიუსი, 1991: *Or.* 10. 136-137; ამიანე მარცელინე, 1935: 22.7.7, 26.4.5; ზოსიმე, 1982: 4.10.1). ამის გარდა, იმპერია ვალდებული იყო გუთებისთვის ფული გადაეხადა, რაც კონსტანტინოპოლში რადიკალებს შორის

უკმაყოფილებას იწვევდა (შოვო, 1998: 193-194). გაუარესებული ურთიერთობების კიდევ ერთი მიზეზი გახდა, 367 წლისთვის, კონსტანტინე დიდის დროს აგებული ხიდის განადგურება. ხიდის არარსებობა მნიშვნელოვნად ამცირებდა რომაელების სამხედრო პონენციალს – შეტევა განეხორციელებინათ დუნაის გაღმა. ვალენსის ეკონომიკურმა ზომებმა ქვეყნის შიგნით დიდი გავლენა მოახდინა დუნაისპირას უკანანონო ვაჭრობის გასაუქმებლად. ეს, თავის მხრივ, გუთების უკმაყოფილებას იწვევდა. საპასუხოდ, 365 წლის 19 ივნისს, ვალენსმა დაავალა პროვინცია დაკია რიპენსისის მმართველს, აღედგინა სამხედრო ინფრასტრუქტურა დუნაის გასწვრივ (თეოდოსიუსის კოდექსი, 1952: 15.1.13). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დუნაისპირეთში ვაჭრობის მკაცრი გაკონტროლება პროკოპის აჯანყებამდეც დაიწყო, რამაც აიძულა გუთები ვალენსის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

საინტერესოა, რომ პროკოპის დამარცხების შემდეგ, ვალენსის პოზიცია ფუნდამენტურად არ შეცვლილა. იმპერატორის მომხრენი პროკოპის დამარცხებას სუფთა გამარჯვებად განიხილავდნენ, თუმცა ეკონომიკური პრობლემები იმპერიაში არსად გამქრალა და საერთო უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, მას ახლადშემოღებული გადასახადების გაუქმება მოუწია. ამ მხრივ, საინტერესოა თრაკიაში მოღვაწე აუქსონიუსის ქმედებები, რომელიც, ზოსიმეს გადმოცემით (ზოსიმე, 1982: 4.9.2), მკაცრად მეთვალყურეობდა რამე სახის გადაჭარბება არ მომხდარიყო გადასახადების აკრეფვის დროს. იმპერიის ეკონომიკურ მდგომარეობას, აგრეთვე, ართულებდა სამხედრო კონფრონტაცია სასანიანებთან, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ამიტომაც, სამხედრო კამპანია გუთების წინააღმდეგ აღადგენდა იმპერიის ეკონომიკურ და სამხედრო წესრიგს დუნაიზე.

იდეოლოგიურ მიზეზებს ასევე შეეძლოთ აეძულათ ვალენსი ომი დაეწყო. ვალენს ორი მიზანი ჰქონდა: გააქარწლა კონსტანტინე დიდის დინასტიის მიმართ გუთების ერთგულება; გამოესწორებინა თავისი იმპერიული იმიჯი, რომელიც საგრძნობლად შეილახა პროკოპის აჯანყების გამო. ვალენსის იმპერატორული პრესტიჟის აღდგენას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რომის რესპუბლიკისა და განსაკუთრებით რომის იმპერიის ადრეულ პერიოდში იმპერიის ლეგიონებმა ბევრი ტრიუმფი გადაიხადეს. IV საუკუნეში კი, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. იმპერიის ჯარები ისეთი სიხშირით ვეღარ იმარჯვებდნენ საგარეო ომებში და გადახდილი ტრიუმფების რიცხვიც საკმაოდ

შემცირდა. სავარაუდოდ, 298 წელს, იმპერატორ გალერიუსის გამარჯვება სასანიანებთან ომში (ბლოკლი, 1992: 5-7) და იულიანე განდეგილის მიერ, 357 წელს, არგენტორარუმის (სტრასბურგის) (ბრაუნინგი, 1975: 84-88; ბოვერსოკი, 1978: 40-41) ბრძოლაში ბარბაროსების დამარცხება, მხოლოდ გამონაკლისებს წარმოადგენდა. სხვა მხრივ, დიდი სამხედრო გამარჯვებების მოპოვება უფრო რთული გახდა. ამიტომაც, იმპერატორების მიერ მოსახლეობისთვის იმპერიის უძლეველობის დემონსტრირება მნიშვნელოვანი იყო (მაკორმიკი, 1986: 1-10, 36-46). ამის გაკეთების ერთერთი კარგი საშუალება იყო IV საუკუნეში, იმპერატორების მიერ ტახტის უზურპატორებზე გამაჯვებების აღნიშვნა. ზოგი იმპერატორი ხშირად აჭარბებდა მიღწეული გამარჯვების მნიშვნელობას (მეთიუსი, 1989: 234). მიუხედავად იმისა, რომ „გამარჯვების მნიშვნელობის გადაჭარბება“ განსაკუთრებულად გავრცელდა 378 წელს ადრიანოპოლში განცდილი მარცხის შემდეგ (მაკორმიკი, 1986: 41), ვალენსის მდგომარეობა არანაკლებ რთული იყო. ამის ორი მიზეზი არსებობდა: პროკოპის აჯანყება იყო პირველი მცდელობა ჩამოეგდოთ იმპერატორი აღმოსავლეთ რომის იმპერიაში; აჯანყება არა პროვინციებში, არამედ, უშუალოდ, დედაქალაქში დაიწყო. აჯანყებამ აჩვენა რაოდენ არასტაბილურ მდგომარეობაში იყო ვალენსი. შესაბამისად, გუთებზე სწრაფი გამარჯვება ვალენსის პრობლემების უმეტეს ნაწილს მოაგვარებდა.

369 წლის საზავო ხელშეკრულება

თემისტიუსი დუნაის, 368-369 წლებში, ორჯერ ეწვია (ვანდესპოელი, 1995: 138-173). მან გუთებთან მოლაპრაკებებში აქტიური მონაწილეობა მიიღო, რაც ხსნის იმ ფაქტს, რომ მის სიტყვებში შემონახულია მნიშვნელოვანი ისტორიული დეტალები. ზოსიმესთან (ზოსიმე, 1982: 4.11.4), ძირითადად, იგივე წერია რაც თემისტიუსთან, ხოლო ამიანე კი, მხოლოდ ტყვეების გაცვლაზე ლაპარაკობს (ამიანე მარცელინე, 1935: 27.5.10). ზავის პირობები შემდეგია: 1. გუთებისთვის, თითქმის, მთლიანი საზღვრის ჩაკეტვა ვაჭრობისთვის (გარდა ორი ახლადშექმნილი პუნქტისა); 2. რომაელებმა შეწყვიტეს გუთების ლიდერებისთვის ფულის გადახდა (თემისტიუსი, 1991: *Or.* 10. 135-136).

შეგვიძლია ამ პირობების მიხედვით, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა მიზნების მიღწევა სურდა ვალენს (მილარი, 1982: 1-23)? ამიანეს და ზოსიმეს მიხედვით, ომი ბიზანტიელების მიერ წამოწყებული სადამსჯელო კამპანია იყო (ამიანე მარცელინე, 1935: 27.5.2). ამ მხრივ, თემისტიუსის სიტყვა განსხვავებულ

ცნობებს იძლევა დუნაისპირეთში არსებულ პრობლემებზე. როგორც უკვე იყო ნათქვამი, კონსტანტინეს მიერ დადებულმა ზავმა, დროთა მსვლელობაში, ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო იმპერიის თავდაცვითი ინფრასტრუქტურა. ამას უნდა დაემატოს რომაელების ვალდებულება გუთებისთვის ყოველწლიურად ფული გადაეხადათ. თემისტიუსი, თავის სიტყვაში, ამ საკითხებზე აკეთებს აქცენტს და ირიბად აღნიშნავს, რომ ვალენსს ყველაზე მეტად, ზუსტად, ამ ორი პრობლემის მოგვარება სურდა.

თემისტიუსის სიტყვიდან ჩანს, რომ ზავის დადების შედეგად, ბიზანტიელებმა დუნაისირეთში საზღვრის გამაგრება დაიწყეს. ჩრდილოეთში პრობლემების მოგვარებით, ვალენსს, აგრეთვე, სურდა თავი აერიდებინა ერთდროუალად ორ ფრონტზე ომისგან.

ამავდროულად, საჭიროა იმის თქმაც, რომ ვალენსის ზომები არ ითვალისწინებდა ვაჭრობის მთლიანად შეწყვეტას. ომის შემდეგ, იმპერიამ ვაჭრობა მთლიანად თავის კონტროლს დაუქვემდებარა. ეს კი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ვაჭრობის მნიშვნელობას იმპერიის საგარეო პოლიტიკაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 369 წლის საზავო ხელშეკრულებამ მთლიანად შეცვალა კონსტანტინე დიდის დროს დუნაისპირეთში მიღწეული ძალთა ბალანსი. როგორც ნაჩვენები იყო, ამიანეს და ზოსიმეს ცნობების მიუხედავად, 367-369 წლების ომი არ დაწყებულა მხოლოდ გუთების მიერ პროკოპისთვის დახმარების გაწევის გამო. უფრო მეტად, ვალენსს, 364 წელს, ტახტზე ასვლისთანავე, წილად ხვდა სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური გამოწვევები, რომელიც ახალი იმპერატორი აიძულა გუთებთან პირდაპირ კონფლიქტში შესულიყო.

თავი IV

ბიზანტიის არაბული პოლიტიკა გვიან ანტიკურობაში

ახ. წ. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში არაბი ნომადები, რომლებიც სახლობდნენ სირია-მესოპოტამიის უდაბნოში იშვიათად თუ გვხვდებიან რომაულ წყაროებში. მხოლოდ IV საუკუნიდან მოყოლებული გვიანი რომაული და ადრეული ბიზანტიური წყაროები განიხილავენ სარაცინებს (არაბების სახელწოდების ადრეული ფორმა) (რომაულ წყაროებში ტერმინი „არაბის“ და „სარაცინის“ შემოღებასთან დაკავშირებით საინტერესოა გრაფი, 1997: 14-15; შაჰიდი, 1984: 123-41), როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს რომაულ-სპარსულ ურთიერთობებში. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სარაცინების წინა პლანზე წამოწევა დაკავშირებულ უნდა იყოს არდაშირ I მიერ ახ. წ. 220-იან წლებში სასანური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, რომელმაც მთლიანად შეცვალა ძალთა ბალანსი იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში (ჰოვარდ-ჯონსტონი, 1995: 157-226; ედველი, 2008: 7-30; გრეიტრექსი, 1998: თავი 2) სამხრეთ კავკასიიდან მოყოლებული არაბეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთამდე. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ახალი სამოკავშირეო დაჯგუფებების შექმნა საზღვრისპირა რეგიონებში. რომისა და სასანური ირანის დაპირისპირება კი ისეთ რეგიონში, როგორიც არის სირია-მესოპოტამიის უდაბნო, იქ მცხოვრებ ლოკალურ მმართველებს შესაძლებლობას აძლევდა მეტი ძალაუფლება მოეპოვებინათ იმპერიებთან სამხედრო და პოლიტიკური ალიანსების შეკვრით და ეკონომიკური სარგებლის მოპოვებით.

ბევრი რამ დაიწერა უკანასკნელ პერიოდში არაბების როლზე კონსტანტინოპოლის აღმოსავლურ პოლიტიკაში V–VI საუკუნეებში. მკვლევარებს შორის არსებული განსხვავებები რომის იმპერიაში ისლამამდელი არაბების როლის აღქმაში კარგად ასახავს იმ საერთო დისკურსს, რომელიც დაწყებულია

არაბების მნიშვნელობაზე რომსა და სასანური ირანის ურთიერთობებში. ისეთი მკვლევარები როგორიც არიან მაიკლ უიტბი და მარკ უიტოუ მიიჩნევენ, რომ არაბები ნაკლებად მნიშვნელოვანნი იყვნენ (ვიტბი, 1992: 80; ვიტოუ, 1999: 216), მაშინ როდესაც სხვები – მაგალითად ირფან შაჰიდი – არაბებს ზედმეტად მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ და ღასანიდების კონფედერაციის ერთერთ დინასტიას, ჯაფნიდებს, რომის აღმოსავლური თავდაცვითი სტრატეგიის ქვაკუთხედს უწოდებენ (შაჰიდი, 1995: 646). სარტრს, რობენსა და ფიშერს კი განსხვავებული პოზიცია უკავიათ და ცდილობენ კომპრომისული აზრი დააფიქსირონ (ფიშერი, 2011; სარტრი, 1982; რობენი, 2008). თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ამ ყველა კვლევისთვის არის ის, რომ ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ბიზანტიურ-არაბულ ურთიერთობების პოლიტიკურ და რელიგიურ ასპექტებზე, ხოლო ნაკლებად კი არაბების როლზე სავაჭრო გზების დაცვაზე და თუ რამდენად შორს მოახერხეს რომის მოკავშირე არაბებმა საკუთარი გავლენა გაევრცელებინათ იმპერიული საზღვრის იქეთ სირია-მესოპოტამიის უდაბნოსა და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში – ჰიჯაზში. შესაბამისად, შემოთავაზებულ ნაშრომში ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნება ეკონომიკურ ფაქტორებზე, რაზე დაყრდნობითაც წამოყენებული იქნება იდეა, რომ თალაბიდების (კიდევ ერთი დინასტია ღასანიდთა კონფედერაციიდან) აღზევება 502 წელს, ხოლო ჯაფნიდების კი – 528 წელს, გამოწვეული იყო რომის აღმოსავლურ პროვინციებში – არაბეთსა და პალესტინა III – სავაჭრო გზების დაცვის საჭიროებით. რაც შეეხება გეოგრაფიულ პირობებს, ნაჩვენები იქნება, რომ ის, რასაც რომაელები შეეჯახნენ სირია-მესოპოტამიის უდაბნოში რეალურად იყო ღია საზღვარი, რომელიც ხელს უწყობდა არაბების წარმატებას რომთან ურთიერთობაში და, ამავდროულად, ზღუდავდა კიდევაც მათი მოქმედების არეალს. დავიწყებ გეოგრაფიული პირობების აღწერით, რადგან სირია-მესოპოტამიის ლანდშაფტმა უმეტესწილად განსაზღვრა რომისა და არაბ ტომებს შორის ურთიერთობები.

გეოგრაფიული პირობები

სირია-მესოპოტამიის ვაკე დიდ და საკმაოდ მდიდარ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომლის ბუნებრივი პირობები განისაზღვრება მთებით, რომლებიც მის გარშემოა – პალესტინის, ლიბანის, ანტილიბანის და ამანუსის მთები დასავლეთით, ტავრის მთები ჩრდილოეთით და ზაგროსის –

აღმოსავლეთით (გეოგრაფიული მიმოხილვისთვის იხ. ისააკი, 1990: 9-14; ფოუდენი, 1999: 1-4; დონერი, 1981: 91-2; ფიშერი, 2011: 26-9). თუმცა, ეს მთები არ წარმოადგენდა გადაულახავ ბარიერებს, რადგან ვაჭრობითა და მესაქონლეობით სირია და მესოპოტამია დაკავშირებული იყო უდაბნოს ლანდშაფტთან (აქ და შემდეგ იხ. რუკა 1). ზაგროსის მთები გადაჭიმულია სპარსეთის ყურიდან თანამედროვე ქურთისტანამდე და აცალკევებს სირია-მესოპოტამიის ვაკეს მძიმე კლიმატის მქონე ირანული პლატოსგან. ქურთისტანის მიღმა ზაგროსი ებმის სომხურ ტავრს, რომელიც თავის მხრივ გრძელდება სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიასაკენ, სადაც ის ტავრის ძირითად მთებს უერთდება. სირია-მისეპოტამიის ვაკეზე ამაღლებული ტავრის მთები იყო საკმაოდ მკვეთრი, რაც გადაულახავი ბარიერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა მთებში არსებული სამი გადასავლელი მარტივად აძლევდა საშუალებას ნებისმიერ დიდ ძალას (იქნება ეს რომი თუ ირანი), რომელსაც ეკავა რეგიონი, დაეკავშირებინა აღმოსავლეთ არმენია მესოპოტამიის ჩრდილოეთთან და უფრო ჩრდილოეთით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2009: 436). სირია-მესოპოტამიის ვაკის უკიდურეს ჩრდილოეთ-დასავლეთით, მდინარე ორონტესი მიედინება ხმელთაშუა ზღვაში, რითაც გარკვეულ ზღუდეს ქმნიდა უდაბნოსა და რომაულ პალესტინაში მცხოვრებ ადამიანებს შორის. ამრიგად, გარშემორტყმული მთებით ყველა მხრიდან გარდა სამხრეთ საზღვრისა, სირია-მესოპოტამიის ვაკე ზღვის დონიდან უფრო მაღლა მდებარეობს (დაახლ. 500 მ.) ვიდრე ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპირო ლევანტში.

სირია-მესოპოტამიის ვაკის უმეტესი ნაწილი შეიძლება აღიწეროს როგორც სტეპი, ხეების მცირე რაოდენობით, თუმცა მდიდარი მიწებით გარშემორტყმული. სეზონური წვიმები არსებული ლანდშაფტის ნაწილობრივ სახეცვლას იწვევდა, კერძოდ კი ბუჩქების და ბალახის დროებითი ამოსვლით, რაც უმეტესწილად განსაზღვრავდა მესაქონლეების მოძრაობას. სტეპი პოტენციალით განსხვავდება უდაბნოსგან, რადგან პოტენციურად შესაძლებელია მისი ნაწილობრივ დამუშავება.

სირიის სტეპი აღმოსავლეთით მესოპოტამიას ერწყმის. მაგრამ თავისი ზომისა და მრავალფეროვნების გამო, სირია-მესოპოტამიის ვაკე ვერ კონტროლდებოდა ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებთა ერთი რომელიმე ჯგუფის მიერ. ამის სანაცვლოდ, მომთაბარენი, მიწათმოქმედნი, ხელოსნები, ვაჭრები, სასულიერო პირები და ჯარისკაცები, რეალურად, სიმბიოზს ქმნიდნენ. ამ ვაკის

აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაპირები საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული იყო, ხოლო მაცხოვრებლები, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ნაწილში, სხვადასხვა მოდგმის და რელიგიური მრწამსის ხალხს წარმოადგენდნენ – ცეცხლთაყვანისმცემლები, ებრაელები, ნესტორიანული მიმართულების ქრისტიანები, ქალკედონელები, პოლითეისტები და სხვები (ფოუდენი, 1999: 4).

მოძრაობა სტეპებში რამდენიმე ფორმას იძენდა: სეზონური მიგრაცია, სავაჭრო მოგზაურობა, ომი და პილიგრიმობა (მომლოცველობა) (დონერი, 1981: 11-49). ზემოთ განხილულმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა ის, რომ პოლიტიკური საზღვარი რომის იმპერიასა და სასანურ ირანს შორის სხვა არაფერი იყო, თუ არა პირობითი ზოლი და ხშირად მონაცვლეობდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიით. არაბების უნარი მარტივად და სწრაფად გადაელახათ მთელი სირია-მესოპოტამიის უდაბნო, გადააქცია ისინი ძლიერ იარაღად იმპერიებს შორის წარმოებულ ომებში. მიუხედავად იმისა, რომ არაბი ტომებისგან მომდინარე საფრთხე მცირემასშტაბიანი, თუმცა ეკონომიკისთვის დიდი ზიანის მომტანი თავდასხმებით შემოიფარგლებოდა, ერთადერთი გზა ასეთი შეტევების შეჩერებისთვის იყო საწინააღმდეგო არაბული დაჯგუფების შექმნა.

როგორც ეს რომის აღმოსავლური საზღვრის გეოგრაფიული მიმოხილვა გვიჩვენებს რომსა და ირანს წარმოებული ომების მთავარი არეალი მდებარეობდა ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. საზღვარი უდაბნოში პროვინციებში პალესტინა III არაბეთი არ წარმოადგენდა უშუალო საზღვარს ირანთან, ხოლო უდაბნო აღმოსავლეთით გადაულახავი იყო ორივე დიდი სახელმწიფოსათვის. სხვა სიტყვებით, სტრატეგიული ბრძოლის ველი ორ იმპერიას შორის იყო პროვინცია ოსროენა და ჩრდილოეთი მესოპოტამია, 363 წლის შემდეგ ქალაქ ნისიბინის დასავლეთით მდებარე საზღვრით (ბლოკლი, 1992: 24-30).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის უსაფრხოების თვალსაზრისით რომის აღმოსავლურ საზღვარს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაკლი გააჩნდა. ვიწრო ტერიტორია, რომელიც გადიოდა სინაის ნახევარკუძულიდან ტავრის მთებამდე ისეთი ქალაქებით, როგორიც არის ანტიოქია, იერუსალიმი და დამასკო, შეიძლებოდა მარტივად მოქცეულიყო მძლავრი არაბულ თავდასხმის მსხვერპლი სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთიდან

კი – სასანიანებისგან. სხვა სიტყვებით, იმპერიის საზღვრის ამ მონაკვეთზე არ არსებობდა რაიმე ბუნებრივი ბარიერი, რომელიც პალესტინას და სირიის მდიდარ ქალაქებს დაიცავდა უდაბნოდან მოსული მტრისაგან. რომის იმპერიულ ჯარებს არაბული ძალებისთვის უნდა გაეწიათ წინააღმდეგობა ამ უკანასკნელისთვის მოხერხებულ ღია ველზე. გეოგრაფიული პირობები იმპერიულ ჯარებს ხელს არ უწყობდა გამოეყენებინათ სტრატეგიული (ტერიტორიული) სიღრმე მტრის მოსაგერიებლად.[62] ერთადერთი გამოსავალი კონსტანტინოპოლითვის იყო საკუთარი არაბული კლიენტელის[63] შექმნა დაეფინანსებინათ..

ბიზანტიის არაბული საზღვრის თავისებურებანი

ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან სამხრეთით აქაბას ყურემდე მოყოლებული რომის საზღვრის მთავარი მახასიათებელი იყო არაბი ტომებისაგან მომდინარე მცირემასშტაბიანი შემოსევების საფრთხე, რომელიც დროდადრო სერიოზულ ხასიათსაც იღებდა, თუმცა ეგზისტენციალურ საფრთხეს არ უყენებდა რომის აღმოსავლური პროვინციებს. სხვა სიტყვებით, კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კონტროლს სირია-პალესტინაში, გრძელვადიან პესპექტივაში, სტრატეგიული საფრთხე არ ემუქრებოდა (გრაფი, 1997: 6-7, 12-15, 341-356, სადაც ავტორი საკმარისად არ აფასებს არაბებისგან მომდინარე საფრთხეს; პარკერი, 2006: 551-552). მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირემასშტაბიან შემოსევებს შეეძლოთ შესამჩნევი ეკონომიკური ზიანი მიეყენებინათ სირია-პალესტინისთვის. გეოგრაფიულმა ექსკურსმა გვიჩვენა, რომ არაბ მეომრებს პრობლემები არ ჰქონდათ კონსტანტინოპოლის კონტროლირებად ტერიტორიაზე შესაღწევათ. ეს კარგად ჩანს წმინდა იერონიმეს მონათხრობში, როდესაც 414 წელს ის წერდა, რომ არაბები და არაგენები (დღესდღეისობით სარაცინებათ წოდებულნი) აღწევდნენ ქალაქ იერუსალიმის კედლებს (იერონიმე, 1996: 129.20-23). თეოდორეტი, სირიის ქალაქ კიროსში 423 წლიდან მოღვაწე სასულიერო პირი, თავის *Historia Religiosa*-ში, აღნიშნავს, თუ როგორ ახერხებენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი არაბი ტომები ბეროეასა (ალეპო) და ანტიოქიას შორის

---

[62] სტრატეგიული სიღრმის კარგი მაგალითია ბიზანტიის პროვინცია თრაკია ბალკანეთში, რომელიც საშუალებას აძლევდა კონსტანტინოპოლს წარმატებით მოეგიერებინა გუთების და უფრო მძლავრი ნომადი ხალხების ჰუნებისა და ავარების შემოსევები.

[63] კლიენტი – დამოკიდებული. რომის იმპერიაში, ძირითადად, პატარა მოკავშირე ხალხებთან მიმართებაში გამოიყენებოდა.

მდებარე წმინდა სიმეონის ადგილსამყოფელამდე მისვლას ლოცვისათვის (თეოდორეტი, 1843: XXVI.11-16, 21). არაბ ლიდერებს, აგრეთვე, მარტივად შეეძლოთ გამოეცვალათ საკუთარი იმპერიული პატრონი და მეორე მხარეს გადასულიყვნენ, რითაც არეულობას იწვევდნენ ორი დიდი იმპერიის საზღვრებზე. ასე, მაგალითად, ასპებეტუსმა, რომელიც თავდაპირველად იყო სასანიანების არაბი მოკავშირე, დაახლოებით ახ. წ. 420 წელს გადაწყვიტა რომაელთა მხარეზე გადასულიყო რითაც მოხდა სირია-მესოპოტამიის უდაბნოში ძალთა ბალანსის ხელახალი გადანაწილება (კირილე სკიფოპოლელი, 1991: 14).

არაბებისთვის გაწეული მხარდაჭერა რომის სამხრეთ-აღმოსავლურ საზღვარზე უფრო მკვეთრი გახდა VI საუკუნის დასაწყისში. ეს იყო პირდაპირი შედეგი 502 წელს რომსა და სასანიანებს შორის დიდი შესვენების შემდეგ განახლებული სამხედრო მოქმედებების შედეგი (გრეიტრექსი, 1998: 73-118) და იმ მოვლენების, რომლებიც მოხდა რომის არაბულ პროვინციაში. თეოფანეს ქრონოგრაფისგან ჩვენ ვიცით, რომ 497-502 წლებში არაბული დაჯგუფებები წარმატებულ შემოსევებს ახორციელებდნენ რომაულ პალესტინასა და სამხრეთ სირიაში (თეოფანე ბიზანტიელი, 1997: *AM* 5995). ეს პროცესი დასრულდა 502 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომელშიც სალიჰიდები შეიცვალნენ, როგორც რომის უმთავრესი მოკავშირე დაჯგუფება სირია-მესოპოტამიის უდაბნოსა და სტეპში (თეოფანე ბიზანტიელი, 1997: *AM* 5995). სალიჰიდები ამ როლს ზემო ხსენებულ ხელშეკრულებამდე ორი საუკუნის განმავლობაში ასრულებდნენ და რომაელების მიერ აღიარებულები იყვნენ, როგორც რომაული არაბეთის ფილარხები (მმართველები). უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებდნენ პალესტინა-სამხრეთ სირიის საზღვრის დაცვას და მნიშვნელოვან იმპერიულ სავაჭრო გზებსაც აკონტროლებდნენ, რომლებიც პროვინციას კვეთდა. თუმცა, VI საუკუნის დასაწყისისთვის, ხოლო ამისთვის კი არსებობს სათანადო ცნობები, სალიჰიდების როლი შესუსტდა და ისინი ეფექტურად ვეღარ ახორციელებდნენ რომაული ტერიტორიების დაცვას (სარტრი, 1985: 155-162).

ის, თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს 502 წელს, დღემდე არ არის ბოლომდე გარკვეული. ორი ვარაუდი არსებობს: 1. ხელშეკრულებამ ჩაანაცვლა რომის სალიჰიდი მოკავშირეები კინდიტებითა და ჯაფნიდებით (სხვა არაბი ტომებით ღასანიანთა კონფედერაციიდან) (სარტრი, 1985: 155-162; შაჰიდი, 1995: 3-12; გრეიტრექსი, 1998: 29; ვატი, ტრომბლი, 2000: 69; ჰაარერი, 2006: 34-6; პარკერი, 2006:

567); 2. ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ თალაბიდთა ლიდერთან ალ-ჰარითთან (რობენი, 2008: 178). მიუხედავად იმისა, რომ თეოფანე აღნიშნავს, რომ 502 წლის ხელშეკრულების შემდეგ მთელი პალესტინა, არაბეთი და ფინიკია სრულ უსაფრთხოებაში იმყოფებოდნენ (თეოფანე ბიზანტიელი, 1997: AM 5995) და ყოველივე ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯაფნიდთა ლიდერი ჯაბალა (რომელიც რომის პროვინციებს არბევდა 497 წლიდან) იძულებული იყო რომის ხელისუფლებასთან კომპრომისისთვის მიეღწია, ამის ბევრი კონტრარგუმენტი არსებობს. რობენი, საკმაოდ კარგი არგუმენტაციით, აღნიშნავს, რომ თალაბიდები და ჯაფნიდები არ შეიძლება გაიგივებულ იქნას, რადგან წყაროებში ერთად არ არიან ნახსენები (ვიტოუ, 1999: 212-213). აგრეთვე, არსად არის ნახსენები, რომ ჯაფნიდები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ არაბეთში მცხოვრებ მუდარის ტომს უკავშირდებოდნენ რობენი, 1996: 696-697). სავარაუდოდ, არეტა, რომელმაც 502 წელს ხელშეკრულება დადო იმპერატორ ანასტასიუსთან, თალაბიდთა წარმომადგენელი იყო, ტომი ღასანიდების კონფედერაციიდან (რობენი, 1996: 699).

ყველა ზემომოყვანილი მაგალითი მიანიშნებს იმაზე, რომ ის რასაც რომაელები შეეჯახნენ სირია-პალესტინის უდაბნოს ნაპირზე, იყო ღია, ბუნებრივი ბარიერების არმქონე საზღვარი, რაც მოძრაობის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით გამოირჩეოდა და განსაკუთრებით სასარგებლო იყო არაბი დაჯგუფებებისთვის, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად.

ჯაფნიდები მოქმედებაში

528 წლის შემდეგ და 531 წელს კალინიკუმის სამხედრო კამპანიის ჩატარებამდე, იმპერატორ იუსტინიანემ (527-565 წწ.) ჯაფნიდ ალ-ჰარითს უბოძა მეფის ტიტული. ამის მიზეზი კარგად არის ახსნილი იუსტინიანეს ომების აღმწერ ისტორიკოს პროკოპისთან, რომელიც აღნიშნავს, რომ ალ-ჰარითის აღზევება იყო პირდაპირი რეაქცია იმისა, რომ:

„...ალამუნდარას (ალ-მუნდირმა), რომელსაც მეფის ტიტული ჰქონდა და მართავდა სარაცინს სპარსეთში, თავისი არმიით ყოველთვის შეეძლო თავს დასხმოდა რომაულ ტერიტორიას; არცერთ რომაელ მხედართმთავარს, რომელთაც ისინი ეძახიან მთავრებს (*duces*) და რომაელებთან დაკავშირებულ სარაცინთა არცერთ ლიდერს, რომელიც იწოდებობდნენ ფილარხებათ, არ

შეეძლოთ ალამუნდარასის შეჩერება.“ (*BP*. 1.28.45-46)

ალ-მუნდირის შემოსევების წარმატება მრავალმხრივ განპირობებული იყო გეოგრაფიული პირობებით. ალ-მუნდირი ცნობილი იყო სწრაფი შეტევების განხორციელებით, საქარავნო ობიექტების გაქურდვით და რომაელების კონტრშეტევიბისგან თავის არიდებით. ამ უკნასკნელებს კი მკაცრი ბუნებრივი პირობები ხელ არ უწყობდა სირია-მესოპოტამიის უდაბნოს შიგნით შესულიყვნენ. ხოლო თუ რომაელები ამას განახორციელებდნენ, ეს ძირითადად მათი მარცხით მთავრდებოდა, როგორც, მაგალითად VI საუკუნის დასაწყისში, როცა ორი რომაელი მხედარმთავარი ტიმოსტრატე და იოანე ტყვედ ჩაუვარდნენ სპარსელებთან შეკრულ არაბებს (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: 17.43-44). VI საუკუნის დასაწყისისთვის, წინა რამდენიმე ათწლეულთან მკვეთრი განსხვავებით, საკმაოდ ნათელი გახდა შემდეგი რეალობა: სასანიანებთან კავშირში მყოფ ნასრიდებს, ალ-მუნდირის მეთაურობით, მარტივად შეეძლოთ მთელ სირია-მესოპოტამიის უდაბნოს გასწვრივ შეტევების განხორციელება და უფრო მეტიც, სამხრეთ სირიასაც აღწევდნენ (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. 18.1-4). მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ალ-მუნდირის მიერ განხორციელებული შეტევები წარმოადგენდა არა ტიპიურ მცირემასშტაბიან ომებს ორი დიდი იმპერიის არაბ მოკავშირეებს შორის, არამედ მოიცავდა ბიზანტიის საფორტიფიკაციო ნაგებობების განადგურებას, ეკონომიკისთვის შესამჩნევი ზიანის მიყენებას და ადამიანთა დიდი რაოდენობის ამოჟლეტვას (პარკერი, 2006: 567). და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ალ-მუნდირს მარტივად შეეძლო რომის პროფესიონალი საჯარისო შენაერთების დამარცხება.

შესაბამისად, ჯაფნიდების სტატუსში ამაღლება და ალ-ჰარითისთვის მეფის წოდების გადაცემა პირდაპირი რეაქცია იყო სასანიანების მოკავშირე ნასრიდებისგან მომდინარე სამხედრო საფრთხისაგან.

არსებული ცნობებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვსახოთ ის სამი ძირითადი მოვალეობა, რომელიც ეკისრებოდა ჯაფნიდ ფილარხებს, როგორც რომაელეთა მოკავშირეებს (ისააკი, 1990: 243):

1. რომის იმპერიის საზღვრის გასწვრივ ან გადაღმა არსებული ტერიტორიის დაცვა მტრული ტომებისაგან ან სასანიანების მფარველობაში მყოფი არაბული დაჯგუფებების შეტევების შეჩერება.

2. დროდადრო დახმარების გაწევა ადგილობრივი იმპერიული ადმინისტრაციისთვის პროვინციაში, წესრიგის დასამყარებლად ანდა შესანარჩუნებლად, როგორც ეს ფილარხმა გაუწია დახმარება რომაელებს სამარიტელთა აჯანყების ჩახშობაში (სარტრი, 1982: 168-170).

3. იმპერიის სამხედრო კამპანიებში მონაწილეობის მიღება. მათი მონაწილეობა შეიძლებოდა რამდენიმე სახის ყოფილიყო: არაბ მოკავშირეებს რომსა და სასანიანთა იმპერიას შორის ომებისას შეეძლოთ პალესტინა-სირიის ტერიტორიების დაცვა, ან რომის იმპერიულ ჯარებთან ერთად თავისი წვლილის შეტანა მესოპოტამიაში ბრძოლებისას (მაგალითად 531 წელს ბრძოლა კალინიკუმთან) (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. 1.28.30-37).

რომაელებისთვის ჯაფნიდების აღზევება ახალ სტატუსში იყო მცდელობა თავისი სირია-მესოპოტომიის საზღვრის გასწვრივ მცხოვრებ არაბებში ძალაუფლების ახალი იერარქია შეექმნათ. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომიდან არაბი ლიდერებისათვის მომდინარე მხარდაჭერა იქნება ეს ტიტულების (მაგ. პატრიკიოსი) გადაცემით, თუ ფინანსური მხარდაჭერით, რომელიმე აღიარებული არაბი ფილარხისთვის არ გამორიცხავდა იმპერიასთან დაკავშირებული ერთდროულად რამდენიმე ფილარხის არსებობას. ასე, ალ-ჰარითისთვის მეფის ტიტულის გადაცემით, ამ არაბი ლიდერის მმართველობის არეალი, ძირითადად, რომაული არაბეთით იყო შემოფარგლული. არც მას და არც მის შვილს ალ-მუნდირს (არ აგვერიოს სასანიანებთან კავშირში მყოფ ალ-მუნდირთან) არ გაუვრცელებიათ თავისი გავლენა პროვინცია პალესტინა III-ზე, რომელიც რომაელებთან დაკავშირებულ სხვა ფილარხის აბუქარაბოსის (იხილეთ ქვემოთ) გავლენის ქვეშ იყო (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. 1.17.47). მეფის ტიტული ავტომატურად არ ნიშნავდა მთელ პროვინციაზე ან სასაზღვრო რეგიონზე არაბი მმართველისთვის სრული კონტროლის გადაცემას. იმპერიის პროვინციულ მმართველებს თუ სამხედრო იერარქიის სათავეში მდგომ მთავრებს (ლათინური *duces*) შეუნარჩუნდათ არსებული უფლებები და არაბ კლიენტებთან ერთად მმართველობით სიმბიოზს ქმნიდნენ (რობენი, 2008: 180).

აღმოჩენილი რამდენიმე წარწერა სირია-მესპოტამიის უდაბნოსა და რომაული ლევანტის ტერიტორიაზე მეტყველებს ჯაფნიდების გავლენის გავრცელების უკიდურეს წერტილებზე. კასრ ალ-ხაირ ალ-ღარბიში, პატარა დასახლებაში დამასკოსა და ემესას შორის, 559 წლით დათარიღებული ბერძნული წარწერა ახსენებს ჯაფნიდი არეთასის მმართველობას. მეორე

წარწერა, აღმოჩენილი ალ-ბუჯში, რომელიც მდებრეობდა რომაულ პროვინცია ლიბანის ფინიკიაში (*Phoenicia Libanensis*), ახსენებს პატრიკიუსს და ფილარხს ფლავიუს ალამუნდაროსს. სერგიოპოლისში (თანამედროვე ალ-რუსაფა), რომელიც მდებარეობდა სირია და მესოპოტამიის საზღვარზე, შენობაში, რომელიც აიგო ქალაქის შემოგარენში, ნაპოვნი იქნა შემდეგი წარწერა: „დიდება ალ-მუნდირს“ (ფოუდენი, 1999: 151). დამასკოსა და ბოსრას შორის, ერთერთ სახლზე აღმოჩენილი და 578 წლით დათარიღებული წარწერა ასევე მოიხსენიებს ჯაფნიდთა ალ-მუნდირს (ჰოილანდი, 2009: 119). მიუხედავად ამ ცნობებისა და არაბი მმართველების რეალური ძალაუფლებისა რომაულ არაბეთსა და პალესტინაში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მათი ძალაუფლება არ ცდებოდა ე. წ. *strata Diocletiana*-ს (მილარი, 2009), – იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ არაკონტროლირებადი არაბი ტომების წინააღმდეგ აგებულ თავდაცვით ხაზს. შეიძლება რომაელების მიერ არაბი ფილარხების ქმედებების ისეთი მჭიდრო კონტროლი გამოწვეული იყო ჯაფნიდების სისუსტით, უუნარობით შეეჩერებინათ აგრესიული ნასრიდების მეთაური ალ-მუნდირი, თუმცა ეს მეტყველებს იმაზეც, რომ რომაელები ფრთხილობდნენ არაბი ლიდერებისათვის ზედმეტი უფლებების გადაცემას, რაც მათ უზომოდ გადიდებულ ძალაუფლებას არაკონტროლირებადს გახდიდა. რომაულ მკაცრ კონტროლზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯაფნიდები იშვიათად თუ ფიგურირებდნენ დამოუკიდებლად სამხედრო ლაშქრობების მოწყობაში. ერთადერთი გამონაკლისი მესოპოტამიაში 541 წელს სამხედრო კამპანიის ჩატარება იყო, როდესაც ჯაფნიდებმდა სოფლების ძარცვას მიჰყვეს ხელი (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. 2.19.15-22).

საინტერესო მაგალითია ე. წ. „კამათი *strata*-ს გარშემო“. 540 წელს ხოსრო ანუშირვანმა თავისი მოკავშირე არაბების მეთაურს ალ-მუნდირს სთხოვა, რაიმე სახის მიზეზი მოეპოვებინა 532 წელს კონსტანტინოპოლთან დადებული ზავის დასარღვევად. ალ-მუნდირმა ალ-ჰარითს ბრალი წაუყენა სირია-მესოპოტამიის უდაბნოში იმპერიების არაბ მოკავშირეებს შორის გავლებული საზღვრების დარღვევაში. ეს ხაზი – *strata* – სამხრეთ სირიიდან სამხრეთით პალმირამდე გადიოდა. ალ-ჰარითი მიიჩნევდა, რომ რადგან *strata* ლათინური სიტყვაა, შესაბამისად, ის ძველი დროიდან რომაელებს მიეკუთვნებოდა, ხოლო ალ-მუნდირი კი მიიჩნევდა, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არაბი ტომები მას გადასახადებს უგზავნიდნენ (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. 2.1.1-9).

საბოლოოდ, ხოსრომ იუსტინიანესთან ომი სხვა მიზეზების გამო განაახლა, თუმცა პროკოპისთან შემონახული ეს პასაჟი საინტერესოა რამდენიმე კუთხით: როგორ ინაწილებენ ორი იმპერიის მოკავშირე არაბები სირია-მესოპოტამიის უდაბნოს; წყაროს ეს ნაწყვეტი აგრეთვე საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ სად იყო ბიზანტიელების მოკავშირეების გავლენის გავრცელების გეოგრაფიული ლიმიტი. თუ ალ-მუნდირის სიტყვებს დავიჯერებთ, რომ ის გადასახადებს კრეფდა *strata*-ს გასწვრივ მცხოვრები არაბებისაგან, მაშინ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: სასანიანების მოკავშირე არაბები ქალაქ ალ-ჰირადან (თანამედროვე საუდის არაბეთსა და ერაყის საზღვარზე მდებარე ქალაქი) ეფექტურად ახერხებდნენ კონტროლის დამყარებას თითქმის მთელ სირია-მესოპოტამიის საზღვარზე, უშუალოდ რომის პროვინციულ საზღვრამდე.

შესაბამისად, გაბალასის შვილის, არეთასის, აღზევება რომაელების მიერ უნდა განვიხილოთ, როგორც (მსგავსად რობენის მსჯლობისა) ერთერთი ნაბიჯი სამხედრო საკითხებში და იმპერიის აღმოსავლური პროვინციებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ერთი მხრივ, ჯაფნიდები რომაელებს იმპერიის პროვინციების დაცვაში გაუწევდნენ დახმარებას, მეორე მხრივ კი, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებდნენ სამხედრო კამპანიებში, როგორც სასანიანების მოკავშირე არაბების წინააღმდეგ, აგრეთვე საკუთრივ სასანური იმპერიის ჯარების წინააღმდეგაც რომის დამხმარე ჯარების სახით (რობენი, 1996: 180). შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ჯაფნიდების წინა პლანზე წამოწევის შემდეგ მათი გავლენა ეფექტიანად ვერ ახერხებდა სასანიანების კლიენტების ნასრიდების შეტევების შეჩერებას, ხოლო რომაელები მთლიანად არ ემყარებოდნენ ჯაფნიდების სამხედრო ძალას სირია-მესოპოტამიის საზღვრის გასაკონტროლებლად. მხოლოდ ნასრიდი ალ-მუნდირის მმართველობის ბოლოს და განსაკუთრებულად კი ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, ჯაფნიდებმა მოახერხეს საკუთარი გავლენის გავრცელება სირია-მესოპოტამიის უდაბნოს სიღრმეებში.[64]

ეკონომიკური ფაქტორები

როგორც იყო ნაჩვენები, რომაელები ნაწილობრივ წარუმატებელნი იყვნენ სირია-პალესტინის ღია საზღვარზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. როდესაც

[64] საინტერესოა ისიც, რომ ჯაფნიდებმა ნასრიდების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა მხოლოდ 570 წელს მიიტანეს და მათი დედაქალაქი ალ-ჰირაც გადაწვეს (ფიშერი, 2011: 95-9).

ზემოხსენებული ამორკესოსი გავიდა ირანის გავლენიდან და გადაწყვიტა რომაელების ტერიტორიაზე დასახლებულიყო, მას რეალურად არ გააჩნდა რამე სახის წინაღობა 473 წელს, აქაბას ყურეში ვაჭრობისთვის მნიშვნელოვან კუნძულის იოტაბეს დაპყრობაში და იქიდან რომაელი საგადახადო სისტემის ბიუროკრატების განდევნაში. როდესაც მაშინდელმა იმპერატორმა ლეომ ნახა, რომ მის ხელთ იმ მომენტისთვის არ არსებობდა რაიმე ხერხი არაბი ლიდერის შესაჩერებლად, გადაწყვიტა მისი იმპერიულ კლიენტურაში ჩაბმა და ფილარხის ტიტული უბოძა. იმოერატორმა ლეომ ეს გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლს ირანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, იმპერიებს უარი უნდა ეთქვათ რომელიმე გაქცეული არაბი ლიდერის მიღებაზე თავისი იმპერიების ფარგლებში. ამორკესოსის იძულებით ფილარხად აღიარება რომაელთა თავდაცვითი ხაზების სისუსტეზე მეტყველებდა (ლეტციოსი, 1987: 533). იოტაბეზე საკუთარი ძალაუფლების დამყარებამ საშუალება მისცა არაბ ფილარხს კონტროლი დაეწესებინა ორ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც სამხრეთ არაბეთიდან ხმელთაშუა ზღმადე მიდიოდა. პირველი, გარშემო არსებულ მიწებზე, კერძოდ ჩრდილოეთ ჰიჯაზსა და პალესტინა III-ის ტერიტორიებზე კონტროლის დაწესებით, ამორკესოს მარტივად შეეძლო გადაეკეტა საზღვაო გზები მეწამული ორ პორტამდე - კლისმასა და იალამდე (ჰაარერი, 2006: 42-43); მეორე სავაჭრო გზა ბოსრადან მექამდე მიემართებოდა (სარტრი, 1985: 127-28, 132-135). მას შეეძლო არა მხოლოდ გზების ბლოკირება, არამედ აგრეთვე ხელთ იგდო საგადასახადო პოსტები, რითაც იმპერიას ფინანსური დანაკარგიც მიაყენა (სარტრი, 1982: 154-155).

აღმოსავლური ვაჭრობა მნიძვნელოვანი იყო რომის იმპერიისთვის (პიგულევსკაია, 1951: 55-80). ხმელთაშუა ზღვის პორტებამდე ინდოეთიდან და ჩინეთიდან უამრავი საქონელი ჩადიოდა. ორი სავაჭრო გზა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი: პირველი – სახმელეთო გადიოდა უმეტესწილად სასანური ირანის ტერიტორიის გავლით; ხოლო მეორე საზღვაო, ინდოეთის ოკეანისა (ერიტრეის ზღვა, როგორც ის იყო ცნობილი რომაელი ვაჭრებისა და მოგზაურებისთვის) და მეწამული ზღვით კლისმას პორტამდე სინაის ნახევარკუნძულის გავლით (საიდბოთამი, 2009: 329-352). მეორე გზის არჩევის შემთხვევაში, რომაელ ვაჭრებს უწევდათ აგრეთვე ტაბრობანეს (თანამედროვე შრი-ლანკა) კუნძულამდე ჩაღწევაც (პიგულევსკაია, 1951: 184-191). IV საუკუნიდან რომაელებს თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდათ ეთიოპიის პორტებში და მარტივად

აღწევდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაპირს. აქედან კი საქონელი ინდოეთიდან აღწევდა სირიასა და პალესტინას მნიშვნელოვან ქალაქ პეტრას გავლით (პიგულევსკაია, 1951: 184-191). თუმცა, მიუხედავად ამისა, რომაელები მაინც დიდი პრობლემის წინაშე იდგნენ, კერძოდ კი ის, რომ იმპერიის ვაჭრები გვერდს ვერ უვლიდნენ ირანელ მეზღვაურებს, რომელთა გემები მთლიანად აკონტროლებდნენ როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად, სპარსეთის ყურეს და ინდოეთთან მისასვლელ საზღვაო გზებს (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP.* 1.20.11-13). შესაბამისად, ინდოეთთან ვაჭრობის მონოპოლია სასანიანების მიერ იწვევდა ფასების მკვეთრ ზრდას იმპორტულ ნაწარმზე. ალტერნატიული გზის მონახვა კი გამოიწვევდა ფასების დაცემას (რუბინი, 1989: 393), რადგან აბრეშუმის შეტანისთვის ბიზანტია რეალურად ვერ აცდებოდა სასანიანებს, იქნებოდა ეს სამხრეთ კავკასიის, თუ მესოპოტამიის სავაჭრო გზებით, ოპტიმალური გამოსავალი კონსტანტინოპოლისთვის იყო ნაწარმის ყიდვა *comites commerciorum*-ების დახმარებით შედარებით დაბალ ფასად (რუბინი, 1989: 393). სასანიანები არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულები არსებული ეკონომიკური მდგომარეობით. მონოპოლია შორეულ აღმოსავლეთთან, ან სამხრეთ აზიასთან ვაჭრობაში სასანიან მონარქებს საშუალებას მისცემდა დამატებითი გადასახადები აეკრიფათ ხაზინის შესავსებად და რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ეწარმოებინათ ომი, რაც იყო ყველაზე დიდი პრობლემა სასანიანებისთვის (შაჰანშაჰ კავადის მაგალითი ამ ხრივ თვალსაჩინოა, როდესაც ფულის ნაკლებობის გამო მას მოუწია 502 წელს კონსტანტინოპოლთან დიდი ხნის წინ დადებული ზავის დარღვევა და ომის დაწყება) (გრეიტრექსი, 1998: 7-42). შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია სასანიანების მცდელობები, ყველანაირი ხერხით შეეჩერებინათ რომელთა გავლენის გავრცელება არაბეთის ნახევარკუნძულზე. კონსტანტინოპოლის შიში, რომ ირანის სავაჭრო მონოპოლია საბოლოოდ არაბეთზე მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებით დასრულდებოდა, გამართლდა, როდესაც შაჰანშაჰ ხოსრო ანუშირვანმა საკუთარი მმართველობის ბოლოს, სამხედრო რაზმები გაგზავნა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის იემენის დასაპყრობად. ეს სამხედრო წამოწყება წარმატებით დასრულდა და სამხრეთ არაბეთი მუჰამედის და არაბების ლაშქრობებამდე სასანიანთა იმპერიის ფარგლებში შედიოდა (გაჟდა, 2009: 152).

შესაბამისადნ, 498 წელს ზემოხსენებული იოტაბეს კუნძულის ხელახლა

დაკავება რომაული ჯარებით, მხედართმთავარი რომანუსის მიერ, უნდა განიხილოს როგორც კონსტანტინოპოლის ხელახალი მზადყოფნა, დაემყარებინა კონტროლი სამხრეთ სავაჭრო გზაზე (თეოფანე ბიზანტიელი, 1997: *AM* 5990). იოტაბეს სხვის ხელში გადასვლით იმპერიას დიდი შემოსავალი აკლდებოდა და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ 498 წელს სამხედრო მოქმედებების ჩატარების გადაწყვეტილება მიღებული იქნა არა ლოკალურ, ადმინისტრაციულ, არამედ უმაღლეს, იმპერიულ დონეზე. 498 წლის შემდეგ, იმპერიული ედიქტით ახალი თანამდებობაც – *commerciarius* – გაჩნდა კუნძულ იოტაბეზე (ჰაარერი, 2006: 45-46).

რაც შეეხება არაბ ფილარხებს, რომის სუსტად დაცულ საზღვართან ყოფნისას, მათ შეეძლებოდათ არა მხოლოდ სამხედრო დახმარების გაწევა იმპერიისთვის სასანიანებთან ომების დროს, არამედ, აგრეთვე, უზრუნველეყოთ გადასახადების მოდინება სავაჭრო გზების დაცვით. რომაელებისთვის არ იყო უცხო არაბი ტომების ბელადების გამოყენება სავჭრო გზების დასაცავად იმპერიის საზღვრებს გარეთ. III საუკუნემდე, მაგალითად, სავაჭრო გზა აილადან ქალაქ ბოსრამდე, რეალურად იმპერატორ ტრაიანეს მიერ აგებულ გზაზე გადიოდა. ნაბატეელები ეხმარებოდნენ რომაელებს საქარავნო გზის, ვაჭრების და და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის დაცვაში (გრაფი, 1997: 3).

იმავე დროს, როდესაც იმპერატორმა იუსტინიანემ ზემოხსნებული ჯაფნიდი ალ-ჰარითი მეფის რანგში აიყვანა, მან აგრეთვე წინ წამოწია ვინმე აბოქარაბუსი, წარმოშობით არაბი და დანიშნა ის პალესტინის საზღვარზე მცხოვრები არაბების მეთაურად. პროკოპი კესარიელის თანახმად:

"ეს სანაპირო (არაბეთის) რომელიც არის პალესტინის მიღმა, სარაცინების ხელშია, რომელნიც დასახლდნენ პალმის ტყეებში (*Phoinikon*). ეს ტყეები შიდა რეგიონში მდებარეობენ და ვრცელდებიან მიწის დიდ მონაკვეთზე, რომელზეც პალმების გარდა არაფერი იზრდება. იმპერატორ იუსტინიანემ ეს პალმის ტყეები სარაცინების მმართველისაგან აბოქარიბოსაგან საჩუქრად მიიღო და იმპერატორის მიერ დანიშნულ იქნა პალესტინაში სარაცინების მბრძანებლად. და ეს უკანასკნელი ყოველთვის იცავდა მიწას ძარცვისგან..." (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP* 1.19.8-14)

პალმის ტყეები ან *Phoinikon*, როგორც მათ ბერძნულად უწოდებენ, უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთი ჰიჯაზი (არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი) (რობენი, 1996: 180). პალესტინა III-ში აბოქარაბოსმა ჩაანაცვლა თალაბიდი ალ-ჰარითი, რომელიც 528 წელს სასანიანების მოკავშირე არაბი ალ-მუნდირის მიერ მოიკლა (რობენი, 1996: 180). აბოქარაბოსის ძალაუფლება, რომაელთა სასაზღვრო ტერიტორიის სხვა ტომებისგან ძარცვისგან დასაცავად ვრცელდებოდა ზუსტად იმ ტერიტორიაზე, სადაც გვიან ანტიკურობაში, ორმა ცენტრალურმა და ერთმა დასავლურმა გზამ სირიასა და ჩრდილოეთ ჰიჯაზს შორის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა მოიპოვა. ერთერთი ცენტრალური გზა აერთიანებდა ფაჯრს და კილვას ალ-ჯაფრთან და ბაირთან; მეორე გადიოდა ტაბუკიდან მადავარას მიმართულებით, ხოლო იქიდან კი მაანის, უდრუჰისა და ისევ ბაირთან (ფიემა, 2002: 232-233). უკიდურესი დასავლური გზა მომდინარეობდა ჩრდილოეთ ჰიჯაზიდან, კერძოდ კი ტაბუკიდან, ქურაია, მუდავარას და რამის გავლით ჰუმეიმას და საპორტო ქალაქ აილას მიმართულებით (ფიემა, 2002: 232-233). ნაწარმი ამის შემდეგ გადაიზიდებოდა ნეგევის გავლით ღაზას პორტამდე (ფიემა, 2002: 232-233). ქარავნები, რომლებიც სამხრეთიდან მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ ღაზასა და ბოსრაში, რომელიც კონტროლდებოდა რომაელი მოხელეებით – *comites commerciorum*-ების მიერ (ბოზუ, 1985: 157-158). ღაზადან და ბოსრადან არაბული თუ ინდური ნაწარმი აღწევდა დამასკოსა და დანარჩენ პალესტინას, ხოლო არაბი ვაჭრები კი იღებდნენ იმპერიულ პროდუქციას (ბოზუ, 1985: 157-158). ჯაფნიდ ფილარზებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლოთ ბიზანტიური ნაწარმის უსაფრთხოდ გატარებაში სირია-პალესტინიდან ჰიჯაზის მიმართულებით.

VI საუკუნის პირველ ნახევარში ტერიტორია მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით, კერძოდ კი კერაკის პლატო, გამოირჩეოდა მოსახლეობის ზრდით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ამ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების ზრდის ერთერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ამ რეგიონში ზემოხსენებული სავაჭრო გზების გავლა. მართლაც, კერაკის პლატოზე აღმოჩენილია V საუკუნის დასაწყისით დათარიღებული არქეფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიანიშნებს დიდ დისტანციებზე გადაჭიმული ვაჭრობაზე. ასე, მაგალითად, ჩვენ ვხვდებით ნივთებს აფრიკიდან, ეგვიპტიდან და კვიპროსიდან. აგრეთვე მნიშვნელოვანია ქვისგან დამზადებული სხვადსხვა ნივთი, რომელიც სავარაუდოდ, არაბეთის ნაცევარკუნძულიდან იქნა

შემოტანილი (ფიემა, 2002: 237).

რომის არაბული პროვინციების მიღმა ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ერთერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მეღვინეობის განვითარებაც. ადრეული ისლამური წყაროებიდან ვიცით, რომ ღვინო იყო ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტი, რომლის ექსპორტიც ხორციელდებოდა ბოსრადან მექამდე (სარტრი, 1985: 127-128, 132-135). იგივე ტერიტორია, გვიან რომაულ პერიოდში იყო ჰიჯაზისთვის ხორბლის მთავარი მიმწოდებელი (სარტრი, 1985: 127-128, 132-135; ვილნოვი, 1997: 121-126). მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა საკმარისი მონაცემი არ გაგვაჩნია ჯაფნიდების აღზევება რეგიონში ეკონომიკურ აღმავლობას დავუკავშიროთ, ერთი რამ ნათელია, ფართო ვაჭრობამ ხელი შეუწყო არა მარტო ცალკეული ქალაქების განვითარებას, არამედ იმ მთელი რეგიონისა, რომელიც მდებარეობდა რომის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა.

ამ თავში ნაჩვენები იყო, რომ რომი სირია-პალესტინის საკუთარ საზღვარზე, ძირითადად გეოგრაფიული პირობების გამო, იძულებული იყო კავშირი დაემყარებია არაბ დაჯგუფებებთან. ეს განსაკუთრებულად საჭირო გახდა VI საუკუნის პირველ ორ ათწლეულში, როდესაც სავაჭრო გზები აილადან და ჩრდილოეთ ჰიჯაზიდან სირია-პალესტინის მიმართულებით ისევ აქტიური გახდა და აგრეთვე იმის და გამო, რომ სასანიანების არაბ მოკავშირეებს – ნასრიდებს – შეეძლოთ გამანადგურებელი შეტევების წამოწყება, სირია-პალესტინის ეკონომიკისთვის შესამჩნევი ზიანის მიყენება და სავაჭრო გზების გაჭრა. ზუსტად ამ გარემოებებმა გამოიწვია ის, რომ ნასრიდებთან შედარებით, რომაელების არაბი მოკავშირენი ნაკლებად ერთვებოდნენ ბრძოლებში იმპერიული საზღვრის მიღმა. აგრეთვე, ჯაფნიდების აღზევება და ამასთან ერთად არაბი ტომების სტატუსის ამაღლება კონსტანტინოპოლის აღმოსავლურ პოლიტიკაში განხილულ უნდა იქნას არა მხოლოდ სირია-მესოპოტამიის უდაბნოს კონტექსტში, არამედ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, კერძოდ კი კონსტანტინოპოლის პოლიტიკის გააზრებით მეწამულ ზღვასთან მიმართებაში და კომერციული კონტაქტებით შორეულ ინდოეთთან.

თავი V

ბიზანტიის იმპერიული მოწინააღმდეგე: სასანური ირანი

გვიანი ანტიკური პერიოდის რომის იმპერიის მკვლევარები თანხმდებიან, რომ იმპერიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საკმაოდ არასახარბიელო იყო, ხოლო მისი საზღვრები კი, ბუნებრივი ზღუდეების (მთათა სისტემები, დიდი მდინარეები და ა.შ.) არარსებობის გამო, რომელიც გადაჭიმული იყო რამოდენიმე ათას კილომეტრზე, არ წარმოადგენდა საკმარის დაბრკოლებას/ზღუდეს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან როგორც ბარბაროსი ტომების, ასევე სასანური ირანის შესაჩერებლად (ლუტვაკი, 2009: 3-6; ჰოვარდ-ჯონსტონი, 1996). თავდასხმები ამ ორი ფრონტიდან კი, ხშირ შემთხვევაში, ბიზანტიის იმპერიის მთლიანი პროვინციების სრულმასშტაბიან შემოსევებში გადადიოდა (ლუტვაკი, 2009: 3-6). მტრებთან ეფექტიანად გამკვლავებისთვის რომი ახ. წ. I-III საკუნეებში სხვადასხვა თავდაცვით სამხედრო სტრატეგიას მიმართავდა,[65] რომელიც უშუალოდ ერგებოდა ამა თუ იმ საგარეო მოწინააღმდეგეს და საზღვარზე არსებულ გეოგრაფიულ პირობებს.

რაინისა და დუნაის მდინარეები, რომელიც ახ. წ. 395 წლამდე ერთიანი იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენდა, დიდ გეოგრაფიულ ზღუდეს არ ქმნიდნენ ბარბაროსი ტომებისთვის პერმანენტულად რეიდები განეხორციელებინათ გალიის, პანონიისა და რომის სხვა მდიდარი საზღვრისპირა პროვინციების ქალაქების სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად (იხ. რუკა 2) (კემერონი, 2001: 12-32). რომაელები უძულებული იყვნენ ჩრდილოეთის მთელი საზღვრის გაყოლებაზე გარნიზონები განელაგებინათ და თავდაცვითი კედელიც – *limes*-ი – აღემართად (ლუტვაკი, 1976: 154-170). IV საუკუნიდან

[65] რომის იმპერიის სამხედრო სტრატეგიების მოყვარულ მკვლევარებისთვის ედვარდ ლუტვაკის კლასიკური ნაშრომი ჯერ კიდევ საკმაოდ პოპულარული არის (ლუტვაკი, 1976: 7-49; 51-80; 154-188).

მოყოლებული და იმპერიის 395 წელს დაყოფის შემდეგაც კი, რომაელები ჩრდილოეთიდან გუთების, ალანების, ჰუნების, ავარების, სლავების და სხვა გერმანული თუ ნომადური ხალხებისგან მომდინარე პერმანენტული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ.[66] მიუხედავად ამისა, რომს ჩრდილოეთ საზღვარზე გააჩნდა წარმატებული თავდაცვისთვის საჭირო ტერიტორიული (გეოგრაფიული) სიღრმე: იმ შემთხვევაში როდესაც ვერ ხორციელდებოდა მტრის შეჩერება უშუალოდ საზღვარზე, ხდებოდა მისი ქვეყნის შიგნით შეყვანა და იქ არსებულ ციხე-სიმაგრეებში განლაგებული ჯარებით მტრისთვის ალყის შემორტყმა და მისი განადგურება. ამას აკეთებდნენ რომაელი იმპერატორები ჰუნებთან მიმართებაშიც, როდესაც ატილას ჯარები თითქმის დედაქალაქამდე, კონსტანტინოპოლამდე აღწევდნენ, თუმცა ყოველ ჯერზე იძულებულნი იყვნენ უკან დუნაის ჩრდილოეთით დაეხიათ (ლუტვაკი, 2009: 3-15).

რომის სამხრეთი საზღვარი მთელი აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთის გაყოლებაზე ერთ ბუნებრივ ზონაში – უდაბნოში – გადიოდა (ლუტვაკი, 2009: 3-15). მაროკოდან ეგვიპტეს საზღვრამდე რომის პროვინვციები ტრიპოლიტანია, ბიზაცენა, თუ ნუმიდია, აფრიკული ტომების სამიზნეს წარმოადგენდა. თუმცა, იქნებოდნენ ეს აუსტორიანელები IV საუკუნის 60-იან წლებში, თუ პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ბერბერები (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: BV III.IV.X.), იმპერიის აფრიკული საზღვარი საუკუნეების მანძილზე არ უქმნიდა მნიშვნელოვან პრობლემებს ცენტრალურ ხელისუფლებას (ლუტვაკი, 2009: 3-15). სხვა სიტყვებით, სამხედრო განვითარების დაბალ დონეზე მდგომი აფრიკული ტომებისგან მომდინარე საფრთხე მხოლოდ მცირემასშტაბიანი თავდასხმებით იფარგლებოდა, რომელთა მოგერიება ადვილად ხდებოდა უმეტესად წინა-ხაზზე-თავდაცვით, რადგან უკანა-ხაზზე-თავდაცვითი სტრატეგიისთვის უბრალოდ საკმარისი ტერიტორიული სიღრმე არ არსებობდა (ევანსი, 2001: 78-96).

აღმოსავლეთით რომს III საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული სასანური ირანის სახით ყველაზე დიდი მტერი ჰყავდა სამეზობლოში, განსაკუთრებულად კი შავი ზღვიდან ჩრდილოეთ მესოპატამიამდე საზღვრის მონაკვეთში. არდაშირ I (224-240 წწ.) მიერ განხორციელებული რევოლუცია – პართიელი არშაკიდების ჩამოგდება – არ შემოიფარგლებდა მხოლოდ ქვეყნის შიგნიდ დინასტიის ჩანაცვლებით. ხელისუფლების შეცვლამ დიდი ცვლილებები

[66] იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრის კარგი მიმოხილვა არის პიტერ ჰეგერთან (ჰეგერი, 2006: 145-190; 300-348).

შეიტანა, აგრეთვე, იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ გეოპოლიტიკურ კონიუქტურაში. 224 წლიდან, არდაშირის შვილის შაპურ I (240-272 წწ.) მმართველობის დასრულებამდე, სასანიანებმა მოახერხეს ის რაც რომაელებისთვის წარმოუდგენელი რამ იყო პართიის იმპერიის დროს, კერძოდ კი ჩრდილოეთ მესოპატამიის დაპყრობა და სირიის მნიშვნელოვანი ქალაქების – ანტიოქიისა და ედესას აღება (თუმცა მცირე ხნით) (ქრისტენსენი, 1944: 206-225); სამხრეთ კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსის შეცვლა და რომაელების მნიშვნელოვნად შევიწროება; სირიის უდაბნოში ახალი არაბული კონფედერაციის ჩამოყალიბება და პერმანენტული რეიდების მოწყობა პალესტინა-სირიის მიმართულებით (ფიშერი, 2011: 72-95). თუ პართელები რომთან მიმართებაში უფრო თავდაცვით პოლიტიკას ატარებდნენ და არ გადაულახიათ იმპერიებს შორის არსებული პირობითი საზღვარი – ევფრატის მდინარე (ედველი, 2008: 35-57), არდაშირმა აიღო მესოპოტამიაში სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ქალაქები: ჩრდილოეთით – კარა და ნიზიბისი, ხოლო სამხრეთით – ჰატრა (ქრისტენსენი, 1944: 206-225). შაპურის მეფობაში კი, სპარსელებმა მოახერხეს ანტიოქიის აღება (ქრისტენსენი, 1944: 206-225), რაც იდეოლოგიურად რომისთვის დიდ დარტყმას წარმოადგენდა – ამიერიდან იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე მნიშვნელოვანი პროვინციები აღარ იყო დაცული სასანიანთა შეტევებისგან.

რომს სასანიანებთან მიმართებაში გააჩნდა ტერიტორიული სიღრმე მცირე აზიის სახით, თუმცა ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან სამხედრო გზები უმეტესწილად მდიდარ და ურბანიზებულ ჩრდილოეთ სირიისა და პალესტინის მიმართულებით მიდიოდა. შესაბამისად, თავდაცვისას, რომაელები უფრო საზღვარზე განლაგებული ციხე-სიმაგრეების გამაგრებაზე აკეთებდნენ აქცენტს, რაც, აგრეთვე, ითვალისწინებდა მტრის ქვეყნის შიგნით მხოლოდ მცირე მანძილით შეშვებას.

მაღალდისციპლინირებული ჯარი და მცირე, თუმცა ეფექტიანი, ფლოტი საკმარისი იყო ძირითადად ხმელთაშუა ზღვის გარშემო მცხოვრები იმპერიის მოსახლეობის დაცვის გარანტი ყოფილიყო (ლუტვაკი, 2009: 3-15). რა თქმა უნდა, IV-VII საუკუნეების რომის ჯარი არ წარმოადგენდა იმ ჯარის კლასიკურ მაგალითს, რომლითაც კეისარი გალიას იპყრობდა (ლუტვაკი, 1976: 154-170) და კრასუსი პართელებთან იბრძოდა (პლუტარქე, 1975: კრასუსი, XX). კლასიკური, დაახლოებით 5,000-კაციანი ლეგიონები უფრო მცირე ნაწილებად იყვნენ დაყო-

ფილნი, საზღვრებს *limitanei*-ები იცავდნენ (ლუტვაკი, 1976: 115-135), ხოლო მათ უკან იმპერიის სამი ძირითადი საზღვრის რაინის, დუნაის და ევფრატის უკან განლაგებული იყო, სავარაუდოდ, კონსტანტინე დიდის დროს ჩამოყალიბებული მობილური საველე ჯარები – *comitantenses*. (კემერონი, 1993: 40-57) გვიანი რომის იმპერიის ჯარის რაოდენობაზე მრავალი თეორია არსეობობს. თუ ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში იმპერიას 30, 5,000-კაციანი ლეგიონი იცავდა (ანუ დაახ-ლოებით 150,000 ჯარისკაცი) და დაახლოებით ამავე რაოდენობის დამხმარე ჯარები (*auxiliae*) (ჯამში დაახლოებით 300,000 ჯარისკაცი), გვიანი იმპერიის ხანაში ჯარის რაოდენობა სხვადასხვა კვლევების მიხედვით მერყეობს 400,000-დან 600,000 ჯარისკაცამდე (ჰეგერი, 2006: 15-16).

ზემომოყვანილი მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ რომს/ბიზანტიას ყოველ საზღვარზე სხვადასხვა სახის მტერი ჰყავდა, რომელთა შესაკავებლათ იმპერიას ესაჭიროებოდა საზღვრების მთელი პერიმეტრის დაცვა ჯარების პერმენენტული განლაგებით და სამხედრო სტრატეგიების შემუშავებით, იქნება ეს წინა-ხაზზე თუ უკანა-ხაზზე-თავდაცვა, თუ დიპლომატიური და ეკონომიკური ხერხების გამოყენება. რომაული სახელმწიფოებრივი, კერძოდ კი სამხედრო გენია ზუსტად იმაში მდგომარეობდა, რომ არსებული და ახალი მტრების წინააღმდეგ იმპერია საუკუნეების განმავლობაში წარმატებულად მოახერხა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

ამ აზრის არის რომის იმპერიის მკვლევართა ნაწილი, მაგრამ ანტიკური სამყაროს ისტორიული თუ არქეოლოგიული კვლევები, დიდი ხნის განმავლობაში სავსეა ევროცენტრისტური ტენდენციებით. პირველადი წყაროები დასავლური ტენდენციებით არის შედგენილი (ზაუერი, 2013: 593-613), რამაც უმეტესწილად გამოიწვია სასანური იმპერიის ისტორიისთვის და არქეოლოგიისთვის ნაკლები ყურადღების მიქცევა (ზაუერი, 2013: 593-613). კლასიკოსებისთვის სასანური სახელმწიფო ბიზანტიური სამყაროს „პერიფერიაზე“ იმყოფება, მუჰამედის შემდგომი არაბული იმპერიის მკვლევარებისთვის სასანური ეპოქა ძალიან ადრეულია, ხოლო მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარებისთვის კი ძალიან გვიანი. პუბლიკაციები სასანური ირანის არქეოლოგიასა და ისტორიაზე მხოლოდ უმცირეს ნაწილს წარმოადგენს იმისა, თუ სამეცნიერო ნაშრომების რა რაოდენობა იბეჭდება რომაულ/ბიზანტიურ სამყაროზე გვიან ანტიკურ პერიოდში, კერძოდ კი რომის აღმოსავლურ პოლიტიკაზე. გარდა იმისა, რომ ჩვენ ძალიან

ცოტა ვიცით სასანური იმპერიის შესახებ, რომაელი ავტორების რიტორიკამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გვიან ანტიკურობაში ბიზანტიის სასანიანებზე კულტურული და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამხედრო უპირატესობის მითის განვითარებას. მკვლევართა მთელი პლეადა თვლის, რომ სასანიანებს პერმანენტული ჯარიც კი არ ჰყავდათ (ზაუერი, 2013: 593-613). ჯეიმს ჰოვარდ-ჯონსტონი, ფაქტობრივად, ერთადერთი მკვლევარია რომელიც ფიქრობს, რომ სასანიანების ჯარი, სავარაუდოდ, მინიმუმ, არ ჩამოუვარდებოდა რომის სამხედრო მანქანას, როგორც რაოდენობრივად ასევე, ტექნოლოგიურად (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 109-115).

გვიან ანტიკურ სამყაროში საზღვრების შესწავლა უკვე თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის, თუმცა ნაშრომები მთლიანად რომაულ/ბიზანტიურ სამყაროზეა კონცენტრირებული (ვიტაკერი, 1994). დიპლომატიური სტრატეგიები რაინისა და დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრებ გერმანიკულ ხალხებთან ურთიერთობაში, საზღვრების დაცვის მექანიზმები და მათი ეტაპობრივი განვითარება საკმაოდ ფართოდ და კარგად არის შესწავლილი (შეპარდი, 1992; ლუტვაკი, 2009), რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ რომს/ბიზანტიას გააჩნდა საკუთარი საზღვრების სწორი აღქმა. თუმცა, როგორც ქვემოდ იქნება ნაჩვენები, სასანური ირანის ჩრდილოეთის საზღვარზე (გურგანსა და კავკასიაში) ნაპოვნი ახალი არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით და სამხრეთით არაბი ტომების წინააღმდეგ და აღმოსავლეთით სხვადასხვა ნომადური ტომის გასაჩერებლად აღმართული თავდაცვითი კედლები რომზე/ბიზანტიაზე არანაკლებ სამხედრო ტექნოლოგიების არსებობაზე მიანიშნებდა (იხ. რუკა 3). უფრო მეტიც, ამ კედლების ზომები და მათი ადაპტირება ლოკალურ ბუნებრივ პირობებზე და მეტოქის შეტევების სპეციფიკაზე, ნათლად მიანიშნებდა იმაზე, თუ რა კარგად ერკვეოდნენ სასანიანები მათ საზღვრების გარეთ არსებულ ვითარებაში და რომ მათ რომაელებზე არანაკლები „ხედვა“ (სტრატეგია) გააჩნდათ საკუთარი იმპერიის თავდაცვითი ხაზების განვითარებაში და იმპერიის შენარჩუნებაში საუკუნეების განმავლობაში.

თავდაპირველად დავიწყებთ სასანური იმპერიის გეოგრაფიული პირობების აღწერით. სასანური ირანი კონტინენტურ ძალას წარმოადგენდა. ჭარბი მოსახლეობის, თუმცა რთული კლიმატის მქონე ირანის ზეგანი გარშემორტყმული იყო ეკონომიკურად მდიდარი ვაკეებით: მესოპოტამია და

ხუზისტანით სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან, ხოლო ხურასანით და ადარბადაგანით ჩრილოეთით. ფაქტობრივად, მდიდარი ვაკეებიდან ამოღებული გადასახადებით ხდებოდა ირანის ზეგანის მოსახლეებიდან შექმნილი ჯარების უზრუნველყოფა (ჰოვარ-ჯონსტონი, 2012: 95-115). ეს სისტემა მუშაობდა სანამ სასანური დინასტია ახერხებდა ცენტრალიზებული მმართველობის შენარჩუნებას იმპერიის ცენტრიდან – ქტესიფონიდან. სხვა სიტყვებით, ირანის ეკონომიკური სიძლიერის მამოძრავებელი რეგიონები უშუალოდ იმპერიის საზღვრისპირა რეგიონები იყო, რაც მათ გარე ძალებისგან პერმანენტული სამხედრო საფრთხის ქვეშ აყენებდა. შესაბამისად, სასანური იმპერიის დამაარსებლიდან, არდაშირ I მოყოლებული, ყველა შაჰანშაჰის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი იყო ქვეყანა არ გამხდარიყო რამოდენიმე ფრონტიდან წამოსული შეტევების სამიზნე,[67] რისთვისაც ნებისმიერი სამხედრო თუ დიპლომატიური ხერხით უნდა მოეხდინა ამ რეგიონების საგარეო საფრთხისგან განეიტრალება. ეს კი, უფრო მეტად რთული ხდებოდა სასანური ირანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და ყოველ სასზღვარზე ხვადასხვა მეტოქის არსებობის გამო.

ირანის ზეგანის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზაგროსის მთები აღმოსავლეთის მიმართულებით ნელ-ნელა მარკანისა და საკასტანის ნახევრად უდაბნოში გადადის (დღევანდელი პაკისტანის ჩრდილოეთ-დასავლეთი და ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთი) (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 90-111). სასანიანების მმართველობაში ამ ნახევარუდაბნოში მძარცველი ტომების შეკავება ისეთივე რთული იყო, როგორიც დღეს არის. შესაბამისად, ამ რეგიონიდან მომდინარე საფრთხე პერმანენტულ ხასიათს ატარებდა რაც სასანიანებს სტაბილურობის დამყარებისვის არახელსაყრელ პირობებს უქმნიდა. სასანური ირანის შიგნით ოთხი მთავარი სარესურსო ტერიტორიის გამოყოფა შეიძლება:

1. მიდია უდიდესი საძოვრებით;
2. ფარსის პროვინცია, საიდანაც სასანინები იყვნენ წარმომავლობით;
3. ხორასანი;
4. ადარბადაგანი (კლასიკური ატროპატენე) (კემბრიჯის ირანის..., 1968: 5-25).

[67] კარგ მაგალითს წარმოადგენს VI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ესეთი საფრთხის შექმნა ირანისთვის, როდესაც თურქებმა ცენტრალური აზიიდან ელჩები გააგზავნეს კონსტანტინოპოლში და პოლიტიკური კავშირი შექმნეს ბიზანტიელებთან, რითაც ირანი ორ ფრონტზე წარმოებული ომის საფრთხის ქვეშ დადგა.

ეს იყო ის ცენტრები სადაც მოსახლეობის და სიმდიდრის დიდი ნაწილი იყო კონცენტრირებული, თუმცა უმდიდრეს მხარეებს მაინც მესოპოტამია, ხურასანი და ნაწილობრივ ტაბარისტანი წარმოადგენდნენ, სადაც სასანიანების დროს მოსახლეობის ზრდა და ურბანიზაციის პროცესი უპრეცენდენტო ზომებს მიაღწია (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 90-111).

მაკრანისა და საკასტანის ჩრდილოეთით მდებარეობდა მდიდარი ბაქტრია და სოგდიანა, რომელიც უშუალოდ ევრაზიულ სტეპებს და ცენტრალურ აზიაში მდებარე უდაბნოებს ესაზღვრებოდნენ. ამ საზღვრიდან მომდინარე ნომადური საფრთხე უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა სასანური სახელმწიფოსთვის რადგან გეორგრაფიული ბარიერების არ არსებობის გამო ნომადებს მარტივად შეეძლოთ იმპერიის ჩრდილოეთით მდებარე სასანიანების თავდაცვითი ცენტრის მერვის და მდინარე ჰელმუნდს შორის არსებული უზარმაზარი დერეფნით იმპერიის შუაგულამდე – ირანის ზეგანამდე – მიეღწიათ (კემბრიჯის ირანის.., 1968: 25-44).

IV საუკუნის შუა ნახევრიდან ჰუნები შიდა აზიის აღმოსავლეთ სტეპებიდან დასავლეთის მიმართულებით განდევნეს, რითაც ცნობილი *Volkerwanderung*-ი, ხალხთა დიდი გადასახლება, დაიწყო (ჰევერი, 2009: 208-221). ჰუნების განსახლების არეალი შავი და კასპიის ზღვის ჩრდილოეთი გახდა, ხოლო 420 წლისთვის კი, ევროპის კონტინენტის შუაგულს – უნგრეთის ვაკეს მიაღწიეს, რითაც კასპიის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთიდან უშუალოდ ირანთან შევიდნენ კონტაქტში (ჰევერი, 2009: 208-221). ნომადებისგან მომდინარე საფრთხე იმითაც იყო გამძაფრებული, რომ ირანის ჩრდილოეთ საზღვრის გაყოლებაზე არ არსებობდა რომელიმე ბუნებრივი ბარიერი რაზეც შეიძლებოდა დაყრდნობა თავდაცვისას. ჰუნების შემდეგ, შავი და კასპიის ზღვების ჩრდილოეთით, მომდევნო საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ნომადი ხალხი ჩნდებოდა მძლავრი სახელმწიფოებრივი წყობილებით და ახალი სამხედრო შეიარაღებით (იხ. რუკა 2). მდგომარეობა სასანური ირანისთვის დამძიმდა მაშინაც, როდესაც ჯერ ჰუნებმა, შემდეგ ჰეფტალიტებმა და თურქებმა კავშირი შეკრეს სოგდიელ მდიდარ ვაჭართა ელიტასთან (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 99-105). სასანიანებისთვის ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა, რომ იმპერია შეიძლება ერთდროულად რამოდენიმე ფლანგიდან შეტევის მსხვერპლი გამხდარიყო:

1. ჰირკანიის სტეპებიდან (იგივე გურგანი), კასპიის ზღვის აღმოსავ-ლეთით;

2. დასავლეთ კასპიის სანაპიროს შორის და კავკასიონს შორის არსებული დერეფნით, ცნობილი როგორც „კასპიის კარი“ (გაჯიევი, 2007: 1-15; კაზანსკი, 2003: 95-99);

3. კავკასიონზე, უმთავრესად დარიალის გადასასვლელით.

ატილას გარდაცვალებით გამოწვეულმა ჰუნების იმპერიის დაშლამ (ჰეგერი, 2006: 351-366) არ აღმოფხვრა სასანური ირანისთვის სტეპებიდან მომდინარე საფრთხე. ჰეფტალიტები, ავარები, თურქები სხვა ნომად ხალხებისგან განსხვავებით უფრო მაღალდისციპლინირებულ სამხედრო იმპერიებს ქმნიდნენ (კემბრიჯის შიდა..., 1990: 206-228; 285-316). ზემოთ მოყვანილი სამი ტერიტორია იყო სამი მთავარი პუნქტი რომლიდანაც სასანიანებისთვის მომდინარეობდა საფრთხე.

ირანის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სირიის უდაბნოდან და არაბეთის ნახევარკუნძულიდან, არაბთა ტომებისგან მომდინარეობდა პერმანენტული, მცირემასშტაბიანი ხასიათის მქონე საფრთხე (ფიშერი, 1964: 76-111). მიუხედავად იმისა, რომ ისლამამდელ არაბ ტომებს არ შეეძლოთ სრულმასშტაბიანი შემოსევების განხორციელება, საზღვრის მონაკვეთი სპარსეთის ყურედან ჩრდილოეთით მდებარე ქალაქები პალმირასა და სერგიოპოლისამდე მთლიანად დაუცველი იყო.

ირანის ზეგანზე კონცენტრირებულ სასანური იმპერიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, დასავლეთში მესოპოტამიიდან ინდოეთის სუბკონტინენტის ჩრდილოეთამდე, ხოლო ჩრდილოეთში, თანამედროვე დაღესტანი, თურქმენეთი, ავღანეთის ნაწილი და უზბეკეთი, ხოლო სამხრეთით არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილი, შაჰანშაჰებს ექსპანსიის საშუალებას აძლევდა და ამავდროულად, როგორც უკვე ვთქვით, რამოდენიმე მხრიდან შეტევის სამიზნედ ხდიდა. შესაბამისად, სასანიანი მმართველების უპირველესი მიზანი იყო უზრუნველყოთ იმპერიის საზღვრების უსაფრთხოება. 400 წელიწადზე მეტი ხნის, III საუკუნიდან VII საუკუნის 40-იან წლებამდე, სასანიანები წარმატებით ახერხებდნენ პართელებისგან დატოვებული ტერიტორიების არა მარტო შენარჩუნებას, არამედ გაფართოებასაც. ეს კი, გრძელვადიანი სამხედრო თუ დიპლომატიური სტრატეგიების შემუშავების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

თავდაცვითი ბარიერები

სასანურ იმპერიაში არსებული უდიდესი რესურსები საკმაოდ დიდ ნაწილი

იქნა მიმართული საზღვრებზე სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. აგებული თავდაცვითი კედლები თუ ციხესიმაგრეები განსხვავდებოდა და მიესადაგებოდა როგორც ამა თუ იმ ტერიტორიის კლიმატურ და სხვა ბუნებრივ პირობებს, ასევე პოტენციური მტრის სპეციფიკას (ალიევი, 2002: 143-164). ზოგ საზღვარზე ან მის გარკვეულ მონაკვეთზე ძალის კონცენტრირება იყო აუცილებელი, ხოლო სხვა ადგილებში კი ჯარების განლაგება პატარა ფორტებში მთელი თავდაცვითი ხაზის გაყოლებაზე. ყველა შემთხვევაში კედლები ორიენტირებულია წინა-ხაზზე-თავდაცვაზე, რაც მათ, მტერზე პოტენციური შეტევის განსახორციელებლათ საჭირო ბაზას (ტრამპლინს) წარმოადგენდა. თუმცა როგორც ქვემოთ ვნახავთ, სასანიანებმა მოახერხეს ისიც, რომ წინა-ხაზზე-თავდაცვისთვის განკუთვნილი კედლები ზოგ შემთხვევაში უკანა-ხაზზე-თავდაცვის როლსაც ირგებდნენ (გაჯიევი, 2006: 78-88; პახომოვი, 1933).

მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ევფრატი სასანიანების მფლობელობაში არსებულ მესოპოტამიის ნაწილს უდაბნოდან მთელ გაყოლებაზე იცავდა, ირანელებმა, იცოდნენ რა სამხრეთიდან, თანამედროვე ერაყისა და ქუვეითის ტერიტორიიდან, არაბი ტომებისგან მომდინარე საფრთხე, თავდაცვითი ზოლი ააგეს ქალაქ ჰირას ჩრდილოეთიდან ბასრამდე (თანამედროვე ერაყის სამხრეთი ნაწილი), სპარსეთის ყურემდე (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 111-120). თავდაცვითი ხაზი მცირე ფორტებისგან შედგებოდა, რომელთაგან მხოლოდ სამი არის აღმოჩენილი: რუდა – ქერბალას ტბის ჩრდილოეთით; დაბი – უხაიდირთან ახლოს; და ქუსაირი – ნასირიას სამხრეთ აღმოსავლეთით. ფორტების ზომები მერყეობს 35×35 მეტრიდან 42×46 მეტრამდე, ხოლო დაცულები იყვნენ რვა ნახევრად წრიული კოშკებით. ქერბალას ტბის დასავლეთით მდებარე ციხესიმაგრე გამონაკლისს შეადგენს და მისი ზომები 150×150 მეტრს აღწევენ. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ თავდაცვითი ნაგებობების წინიდან წყლის არხებით იყო გავლებული (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 111-120), რაც მეტყველებს არაბებისგან მომდინარე საფრთხის პერიოდულ სერიოზულობაზე (იხ. რუკა 3).[68]

ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, რომის საზღვართან ახლოს ფორფოსტეპის

[68] პარალელი რომ გავავლოთ რომის და მოგვიანო პერიოდში, ბიზანტიელების მიერ სირია-მესოპოტამიის საზღვრის დაცვისთვის აგებულ ინფრასტრუქტურასთან, დავინახავთ, რომ სასანიანების თავდაცვითი ხაზები არაბების წინააღმდეგ უფრო მასშტაბური იყო. ბიზანტიელებს, III საუკუნის ბოლოს დიოკლეტიანეს მიერ აგებული ე.წ. *strata Diocletiana*-ს შემდეგ ფაქტობრივად არ აუშენებიათ ახალი მსხვილი კედლები.

მთელი სერია უზრუნველყოფდა ნისიბინიდან ტიგროსამდე არსებული მდიდარი სამიწადმოქმედო ტერიტორიის უსაფრთხოებას როგორც რომაელებისგან, ასევე სამხრეთიდან არაბი თავდამსხმელების წინააღმდეგ. მსგავსი ადგილობრივი თავდაცვითი ხაზები ასევე იყო აშენებული ტიგროსის მარჯვენა სანაპიროზე. სინგარას ციხე-სიმაგრე წინა-ხაზზე-თავდაცვის ერთერთ უმთავრეს პუნქტს წარმოადგენდა, რომლიდანაც მარტივად ხდებოდა მცირემასშტაბიანი ხაზების გაკონტროლება და მტრის შემოსევის შემთხვევაში ხაზების შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა. არსებული თავდაცვითი ხაზების გარდა, უდაბნოდან საზღვრის დაცვისთვის ირანელებმა სამხედრო კავშირი დაამყარეს ლახმიდების არაბთა კონფედერაციის ნასრიდების დინასტიასთან (იხ. რუკა 3) (ბოსვორტი, 1983: 605-612; ფიშერი, 2011: 115-135). ნასრიდებისთვის სამხედრო და დიპლომატიურმა დახმარებამ სირიის უდაბნოში V საუკუნის ბოლოს და მეექვსის დასაწყისში ძალთა ბალანსის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია სასანიანების სასარგებლოდ (ფიშერი, 2011: 115-135).[69]

სასანიანები საფორტიფიკაციო ნაგებობებს საკუთარი საზღვრების აღმოსავლეთითაც აგებდნენ. მაგალითად, თანამედროვე ავღანეთ-ირანის საზღვართან აღმოჩენილ იქნა სასანური ეპოქის ორსართულიანი შენობები განკუთვნილი იმპერიული ჯარისთვის. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს შენობები გურგანის ველზე აგებული კედლების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს (ზაუერი, 2013: 608-613).

ჩრდილოეთით მხოლოდ დიდი სამხედრო ძალის კონცენტრირებით ხერხდებოდა ნომადური საფრთხის მოგერიება. ქალაქი მერვი იცავდა მისასვლელებს ხორასანის მდიდარ პროვინციაში. ეს ქალაქი წარმოადგენდა იმ სამხედრო ბაზას, სადაც დიდი საექსპედიციო ძალების შეკრება ხდებოდა ჩრდილოეთში, სტეპებში, ნომადების წინააღმდეგ ან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ინდის ტერიტორიაზე, არსებული ტომების წინააღმდეგ გასალაშქრად (ზაუერი, 2013: 608-613).

როდესაც სასანიანები პოლიტიკურ სირთულეებს განიცდიდნენ ერთდროულად სხვადასხვა ფრონტზე, საზღვრებზე მყოფი ჯარები თავდაცვით სტრატეგიას ირჩევდნენ, კერძოდ, მსხვილი საჯარისო შენაერთები გამაგრებულ ადგილებში ნაწილდებოდნენ რითაც მტერს წინსვლის ყველანაირ პერსპექტივას უსპობდნენ. ეს სასანური სამხედრო სტრატეგიის უკანა-ხაზზე-თავდაცვის

[69] ამაზე დაწვრილებით საუბარი ქვემოდ იქნება.

კლასიკური მაგალითია. მერვთან ახლოს იყო მეორე გამაგრებული პუნქტი – ნიშაპური, რომელიც აკონტროლებდა გასასვლელს მთებსა და შიდა უდაბნოს შორის. ეს გზა ხშირად ნომადების მიერ გამოიყენებოდა შემოსევების განსახორციელებლად (ბივარი, 1983: 199-203; ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 109).

დასავლეთის საზღვარზე, ნიზიბინი წარმოადგენდა ბაზას რომის მცირე აზიისა და სირიის მდიდრულ პროვინციებზე თავდასხმების საწარმოებლად და ამავდროულად ამავე ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხისგან ეფექტიანი თავდაცვისთვის (იხ. რუკა 3). მიუხედავად მსხვილი საჯარისო შენაერთების არსებობისა, მიმოსვლა რომის იმპერიიდან სასანიანთა სახელმწიფოში არ იყო შეზღუდული. ისტორიული წყაროები მრავალ მაგალითს იძლევიან საზღვრის ამ მონაკვეთზე აქტიური ვაჭრობის არსებობის შესახებ. ნისიბინის მსგავს როლს ჩრდილოეთში ასრულებდა ქალაქი დვინი, პერსარმენიის დედაქალაქი, რომლითაც მარტივად ხდებოდა მდინარე არაქსის გასწვრივ არსებული მნიშვნელოვანი გზის ჩაკეტვა (გრეიტრექსი, 1998: 73-99).

სამხრეთ-აღმოსავლეთ ტავრის სამხრეთით, არზანანეს პროვინციაში სასანიანებმა მიწისქვეშა ნაგებობები ააგეს სადაც რომთან ომის შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ჰქონოდა თავი შეეფერაბინა. თეოფილაკტე სიმოკატა აღწერს ფორტიფიცირებულ ქალაქთა და სპეციალურ სამხედრო ფორტების მთელ სერიას, რომელიც უკანა-ხაზზე-თავდაცვის ერთ რეგიონალურ სისტემას წარმოადგენდა (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 109-111).

ზემოთ მოყვანილი დავდაცვითი სისტემების განხილვამ ნათლად გვიჩვენა, რომ სასანიანების საზღვარი დასავლეთში, მდინარე ევფრატის მთელ გაყოლებაზე, საკმაოდ ეფექტიანად იყო დაცული როგორც თავდაცვითი ხაზებით, ასევე ძლიერად გამაგრებული ქალაქებით. თუმცა ირანელებმა ამ თავდაცვითი სისტემის უკან, ტერიტორიის შიგნით დამატებითი შიდა თავდაცვითი ხაზები ააგეს. ასე, მაგალითად, ყველაზე შიგნით არსებული ხაზი იყო ე.წ. „სამეფო არხი“ (იხ. რუკა 3), რომელიც ქტესიფონის ჩრდილოეთით ევფრატიდან ტიგროსამდე მიედინებოდა. აერთიანებდა რა ორ დიდ მდინარეს, თავისი მნიშვნელობით არხი არა მარტო საირიგაციო დანიშნულების იყო, არამედ, ერთგვარად, ბოლო პუნქტს წარმოადგენდა სადამდეც მტრის ჯარს შეეძლო შემოეღწია (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 112-118). არხი – თავდაცვითი ხაზი – აგრეთვე ეფექტიანად იცავდა იმპერიის უმთავრეს პუნქტს, დედალაქს – ქტესიფონს, რომლის აღებაც, როგორც რამოდენიმე ისტორიულმა მაგალითმა

გვიჩვენა, იმპერიის სამხედრო კაპიტულაციას მოასწავებდა. ამასთან ერთად, არხი დაცული იყო რეგულარული ჯარის ნაწილებით, ქალაქები პისირაბორასა და ვეჰ-არდაშირში იყვნენ განლაგებული (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 112-118).

ეს, დაახლოებით, 200 კილომეტრის სიგრძის მქონე არხი საირიგაციო დანიშნულების გარდა აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათ გამოიყენებოდა ტვირთის გადასაზიდად. არხი, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი ხოსროს სახელს ატარებდა, ხოლო სამხრეთი კი ნაჰრავანის სახელწოდებით იყო ცნობილი, ქტესიფონს ფაქტობრივად გადაულახავი დავდაცვითი ბარიერი შეუქმნა (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 112-118).

ახლა კი, იმპერიის ჩრდილოეთით ნომადური საფრთხის წინააღმდეგ არსებული თავდაცვითი სისტემები განვიხილოთ. გრძელი კედლები იქნა აშენებული კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, რომლის სიგანე კავკასიონის მთებსა და კასპიის ზღვას შორის 3.5 კილომეტრს აღწევს. დარუბანდიდან ორი კედელი მიემართებოდა დასავლეთით. მათი სიგანე 4 მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე კი 18-20 მეტრს (იხ. რუკა 3). ჯამში ორივე კედელს ჩრდილოეთით მიმართული 70 მეტრის ინტერვალზე განლაგებული 73 მრგვალი და მართკუთხედი ფორმის კოშკი ჰქონდა. ამასთან ერთად, კედლებს აგრეთვე გააჩნდათ სამხრეთ მიმართული 170-200 მეტრის ინტერვალზე განლაგებული 27 მრგვალი კოშკი. დარუბანდის დასავლეთით კედელი, რომელიც ითვლიდა 40 ფორტს, გრძელდებოდა 40 კილომეტრის მანძილზე პირდაპირ კავკასიონის მთებში. დარუბანდის კედელი კასპიის კარის თავდაცვის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დარუბანდის კედლის ჩრდილოეთით კიდევ ერთი კედელი იყო განლაგებული, ხოლო მის სამხრეთით კი სამი. როგორც ჩანს, საფრთხე საზღვრის ამ თუნდაც ისეთი ვიწრო მონაკვეთიდან იმდენად მძლავრი იყო, რომ ერთი კედლის აშენება არ იყო საკმარისი ეფექტიანი თავდაცვისთვის და შემოსული მტრის მოსაგერიებლად ირანელმა სამხედრო არქიტექტორებმა ოთხი პარალელური კედლის აშენებით შექმნეს ხელოვნური გეოგრაფიული სიღრმე რითაც უფრო მარტივად ხდებოდა ნომადების ალყაში მოქცევა. დასავლეთიდან კავკასიონის მთები, აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვა, ხოლო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან პერმანენტული ჯარებით გამაგრებული კედლებიდან ხორციელდებოდა შეტევა მიტანა და მტრის სრული განადგურება. სხვა სიტყვებით, იქმნებოდა ოთხივე მხრიდან ჩაკეტილი ხელოვნური სივრცეები (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 112-118). ეს

კი, სასანური სამხედრო სტრატეგიის ელასტიური თავდაცვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, რაც თავისი მასშტაბებით არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის იმპერიის მიერ ჩრდილოელი ბარბაროსებისადმი გამოყენებულ სტრატეგიებს.

კასპიის ზღვის აღმოსავლეთით გრძელი თავდაცვითი ხაზების შექმნა უფრო რთული იყო რადგან გურგანის მდინარე, რომელიც მოედინება კასპიის ზღვამდე დასავლეთის მიმართულებით არ იყო იმავე ზომების როგორც ევფრატი და ტიგროსი მესოპოტამიაში. გურგანის ვაკედან მარტივი იყო კასპიისპირეთის მდიდარ სამხრეთ ტერიტორიებში შეღწევა და ელბურსის მთებში უმნიშვნელოვანესი გადასასვლების ხელში ჩაგდება, საიდანაც მარტივად მოხერხდებოდა ირანის ჰინტერლანდში შეღწევა. ამასთან ერთად გურგანის მდინარის გაყოლებაზე ორივე მხარეს არსებული დასახლებები თავისი მოწყობილი საირიგაციო სისტემებით ნომადებისგან პერმანენტული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. სავარაუდოდ, ჰუნების მიერ ევრაზიულ სტეპებში IV საუკუნის შუა ხანებში დაწყებული რევოლუციით გამოწვეული გამძაფრებული ნომადური საფრთხის პრევენციისთვისთვის, სასანიანებმა წამოიწყეს მსხვილი სამხედრო ინფრასტრუქტურული პროგრამა ჩრდილოეთში (ზაუერი, 2013: 593-601).

კედელი ნაწილობრივ ვაკეში, ნაწილობრივ კი პიშკამარის კლდეებზე გადიოდა და 36 ფორტით და თხრილით იყო გამაგრებული. წყალი თხრილში გურგანის მდინარედან ივსებოდა. პიშკამარის კლდეებზე მოთავსებული ორი ფორტი კედლის დამცველებს ზემოდან კარგ ხედს უქმნიდა ველში არსებული კედლის ნაწილზე მტრის მიერ იერიშის მიტანა/არ მიტანა განეხილათ. დასავლეთ ნაწილში არსებული მთა ქიზლარ ქალეჰი გამოიყენებოდა წინა ხაზზე არსებული სამეთვალყურეო პოსტი. კედელი, როგორც კი დასავლეთით კასპიის ზღვას უახლოვდებოდა სამხრეთისკენ იცვლიდა მიმართულებას და, სავარაუდოდ, მისი ნაწილები დღევანდელ კასპიის ზღვაში ერთ მძლავრად გამაგრებულ ნავსაყუდელში უნდა ყოფილიყო, ანდაც უნდა გაერთიანებულიყო გურგანის კედლის სამხრეთით არსებულ შედარებით მცირე მასშტაბების მქონე თამიშენის კედელთან.

თამიშენის კედელი 11 კილომეტრის სიგრძეს ითვლიდა და ელბურსის მთებში შედიოდა (იხ. რუკა 3). კედლის არქიტექტურული აგებულობა და მიმართულება მიანიშნებს იმაზე, რომ ის აღმართული იყო ელბურსის მთიანეთში არსებული სასანიანების მიერ არაკონტროლირებად დაჯგუფებების

და კასპიის ზღვაში მეკობრეების წინააღმდეგ (ზაუერი, 2013: 610-612). ტალახსა და ქვისაგან აგებული რვიდან ოთხი სამხედრო ბანაკი ფართობში თითოეული ითვლიდა 40 ჰექტარს. ეს სამხედრო ბანაკები მზადყოფნაში იყვნენ საველე ჯარის მიერ (ცხენოსანთა შენაერთების ჩათვლით) დროებითი დაკავებისთვის. მაგალითისთვის, ერთერთი ბანაკის, ქალჩ ხარაბეჰის შიდა დაგეგმარების მიხედვით, სასანურ ბანაკებს სიგანეზე განლაგებული გზები, ორივე მხარეს დალაგებული კარვებით თავისი ღობეები გააჩნდა. ეს, თავის მხრივ, მაღალ სამხედრო კულტურაზე მეტყველებს. გურგანის კედლის ძირითადი ნაწილი თავისი ფორტებით ერთ სამშენებლო ფაზაში იქნა აგებული. მშენებლობა, სავარაუდოდ, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დაიწყო. კედლის წინა მხრის მთელ გაყოლებაზე არსებული წყლის სავსე თხრილი კი წყალს მიაწოდებდა აგურის გამოსაწვევ ღუმელებს და ამავდროულად მისი სიფართოვე საშუალებას აძლევდა მშენებლებს, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ კი უკვე მის დამცველებს, ბარჟებით გადაეზიდათ საჭირო მასალა კედლის მთელ გაყოლაბაზე.

ეს იყო მსხვილი სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომელიც თავისი მასშტაბებით ჩინეთის იმპერიული რეჟიმების მიერ აგებულ კედლებს თუ შეედრებოდა და მნიშვნელოვნად აჭარბებდა კიდევაც მედიტერანულ სამყაროში არსებულ ცალკეული თავდაცვითი ხაზების ზომებს. სავარაუდოდ, გურგანის და თამიშენის კედლები აშენდა შაჰანშაჰ პეროზის მმართველობისას 459-484 წლებში, როდესაც ევრაზიულ სტეპებში სასანიანებს მძლავრი მეტოქე გამოუჩნდათ ჰეფტალიტების (თეთრი ჰუნების) სახით (ზაუერი, 2013: 610-612). კედელი გამოიყენებოდა, როგორც წინა ხაზზე არსებული უსაფრთხო ბაზა, სადაც ხდებოდა სასანიანების საექსპედიციო ძალების მობილიზება და გაწვრთნა კედლის ჩრდილოეთით არსებული მტრისთვის პრევენციული დარტყმის მისაყენებლად. მეორე ფაქტორი პეროზისთვის კედლის აშენების მიკუთვნებისა არის ის, რომ ამ მასშტაბის საფორტიფიკაციო ნაგებობის აგება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ გამარჯვებების შემდეგ, რაც ბაჰრამ V (420-438 წწ.) მოიპოვა ნომადებთან ბრძოლაში. *Terminus post quem non* უნდა მიჩნეულ იქნას პეროზის წარუმატებელი ლაშქრობები, რომელშიც შაჰანშაჰი თვითონვე დაიღუპა (ზაუერი, 2013: 601-619).

ასე რომ, იმპერიის საზღვრებიდან ყველაზე სუსტი მონაკვეთი მსხვილი სამხედრო ინფრასტრუქტურის აგებით და პერმანენტული საჯარისო

შენაერთების დაყენებით გადაქცეულ იქნა ერთერთ ყველაზე გამაგრებულ ნაწილად. კედლის მასშტაბებიც კი მტერს ფსიქოლოგიურად აკავებდა შეტევის განხორციელებისგან. კედლებით, ამრიგად, მოხერხდა ირანის დაცვა „თურანისგან“.[70] ამასთან ერთად, კედელს სხვა როლიც ეკისრა. ისევე როგორც რომაული *limes*-ი გურგანის კედელი უზრუნველყოფდა ადამიანთა მიმოსვლის უსაფრთხოებას იმპერიის ჩრდილოეთ ნაწილში. აგრეთვე, კედელი ეფექტიან როლს ასრულებდა ვაჭრებიდან გადასახადების აკრეფაში და ქვეყნის გარეთ იმპერიის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი საგნების გატანის პრევენციაში.

მაგრამ, როგორც ყველა კედელს, რომელიც აღმართული იყო მომხვდური მტრის წინააღმდეგ, გურგანის კედელსაც გააჩნდა ერთი მთავარი ნაკლი: შეუძლებელი იყო მტრის მასიური ძალის შეკავება დიდი ხნით. თუმცა, აქაც, რომაელების მსგავსად, სასანიანებმა უკანა-ხაზზე-დავდაცვის კლასიკურ მაგალითს მიმართეს. გურგანის ვაკე, რომლის უმთავრესი ნაწილი კედლის სამხრეთით მდებარეობდა, ირანელმა სტრატეგოსებმა გამოიყენეს ხელოვნურ არეალად, რომელიც ჩაკეტილი იყო ყველა მხრიდან ბუნებრივი ბარიერებით და რაც მტერს უფრო მეტად დაუცველს ხდიდა (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 110-115). გურგანის ვაკე გადაკეტილი იყო კასპიის ზღვით, თამიშენის კედლით, ელბურსის მთებით და მცირე ზომის არაბ დაღის მთით. პარალელის გავლება შეიძლება ზემოთ მოყვანილი აღწერილობით დასავლეთ კასპიისპირეთიდან, სადაც სასანიანემბა ასევე გამოიყენეს კედლებს შორის არსებული სივრცე მტრის ჭარბი ძალის შემოსევის შემთხვევაში. ეს კი, მიანიშნებს იმაზე, რომ სასანიანების მიერ კედლების აშენება აღწერილ გეოგრაფიულ პირობებში არ იყო შემთხვევითი, არამედ ხორციელდებოდა გეოგრაფიული ბარიერების ინტეგრირება თავდაცვითი ხაზების მთლიან სისტემაში. ამასთან ერთად, საზღვრებს უკან მდებარე მობილური ჯარების არსებობა და მათი კომბინირება უშუალოდ საზღვარზე მყოფი გარნიზონებთან ეფექტიან ძალას წარმოადგენდა მტრის შესაჩერებლად (თუნდაც თავდაპირველად ამ უკანასკნელის შეშვება ქვეყნის ტერიტორიაზე გარდაუვალი ხდებოდა).

ამრიგად, იმპერიის ყველა საზღვარზე ხორციელდებოდა თავდაცვითი ზოლის (გეოგრაფიული სიღრმის) ხელოვნური გაფართოება და ბუნებრივი ბარიერების გათვალისწინებით ხელოვნური სივრცეების შექმნა. თუმცა, თუ კასპიის ზღვის აღმოსავლეთსა და დასავლეთით ირანელები რამოდენიმე

[70] *barbaricum*-ის სპარსული ეკვივალენტი.

კედელს აშენებდნენ, გურგანის კედლის აღმოსავლეთით ტერიტორია ისევ დაუცველი რჩებოდა ნომადური სამყაროდან მომდინარე საფრთხისგან. აქ სასანიანები გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ, რომელიც მტრის თავდასხმისას მოსახლეობისთვის თავშესაფრის, ხოლო საველე ჯარისთვის საყრდენი პუნქტის როლს ასრულებდა. მაგალითისათვის, ჩრდილოეთით სასანიანებმა ააგეს ციხე-სამაგრე ნიშაპური, რომელიც, იმ შემთხვევაში თუ კი მტერი გადაწყვეტდა კედლების შემოვლას, საყრდენ პუნქტად გამოდიოდა როგორც უმნიშვნელოვანეს ქალაქ მერვისთვის, ასევე გურგანის კედლისთვის.

ეხლა კი განვიხილოთ, ირანელებისთვის სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვრის – ბიზანტიასთან საზღვრის – თავდაცვისთვის რა ზომები იქნა მიღებული. თავდაპირველად, საჭიროა გავიხსენოთ აღმოსვლეთში რომის/ბიზანტიის თავდაცვითი ბარიერების ევოლუცია ახ. წ. I საუკუნიდან გვიანი ანტიკურობის ბოლომდე. რომის/ბიზანტიის აღმოსავლური საზღვრის ევოლუციაში ოთხი ძირითადი სტადიის გამოყოფა შეიძლება:

1. წინა-ხაზზე-თავდაცვის, ახლად აგებული სამხედრო გზებით ევფრატიდან მცირე აზიასა და სირიაში, განვითარება ფლავიუსთა დინასტიის პერიოდში (ახ. წ. 70-80-იან წლებში) (ისააკი, 1990: 55-69);

2. ახ. წ. 106 წელს იმპრატორ ტრაიანეს მიერ ნაბატეელების სამეფოს ანექსიის შემდეგ წინა-ხაზზე-თავდაცვის გაფართოება ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან სამხრეთით, კერძოდ კი პალესტინიდან წითელ ზღვამდე, მნიშვნელოვან სავაჭრო პორტ აილამდე (ისააკი, 1990: 55-69);

3. დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) მიერ წამოწყებული თავდაცვითი ნაგებობების განახლება რომის მთელ აღმოსავლეთ საზღვარზე. მის მიერ სირიის უდაბნოში არაბი ტომების წინააღმდეგ III საუკუნის ბოლოს აგებული ე. წ. *strata Diocletiana* (ისააკი, 1990: 55-69);

4. გრძელვადიანი სიმშვიდის (387-502 წწ.) შემდეგ იმპერატორ იუსტინე I (518-527 წწ.) მიერ წამოწყებული საფორტიფიკაციო პროგრამა, რომელიც 527 წლისთვის დასრულდა (გრეიტრექსი, 2007: 99-110).

რომაული წყაროები თითქმის არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდიან, თუ როგორ პასუხობდნენ სასანიანები ბიზანტიის მიერ საზღვრის მილიტარიზაციას. შესაძლებელია, რომ სამუშაოები კონსტანტინოპოლისგან წართმეულ ნისიბისზე უშუალოდ 363 წლის შემდეგ დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მერვი კედლებით შემოფარგლული იყო, როგორც აქემენიანების, ასევე პართელების

პერიოდში, სასანიანების დროს ქალაქში ისევ ჩატარდა საფორტიფიკაციო სამუშაოები. აგრეთვე, ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ სტრეტეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქ დვინის კედლების გამაგრებაც ამ პერიოდში, კერძოდ კი IV საუკუნის შუა ხანებში უნდა მომხდარიყო. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ 387 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით ბიზანტიელებსა და სასანიანებს შორის, აიკრძალა რაიმე სახის საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვა იმპერიებს შორის ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მდებარე საზღვართან (გრეიტრექსი, 2000: 35-48).

V საუკუნეში ბიზანტია დათანხმდა სასანიანებთან და ადგილობრივ ხალხებთან ერთად მონაწილეობა მიეღო კავკასიონის გადასასვლელების დაცვაში: მთელი ყურადღება გადატანილ იქნა კასპიისზღვისპირეთის აღმოსავლეთ საზღვრის დაცვაზე (ბლოკლი, 1992: 122-155).

კასპიის კარის გამაგრება, კერძოდ დარუბანდის კედლის ქვით გაშენება, პირველ რიგში, გამოწვეული იყო იმ გაორმაგებული საფრთხით, რომელიც მომდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიონიდან 503-504 წლებიდან მოყოლებული (გაჯიევი, 2008: 1-15). დარუბანდის ახლად გაშენებულ კედელზე ნაპოვნი იქნა წარწერა უცნობი შაჰანშაჰის, რომლის მეფობის წელი სრულდება 7-ით ან 3-ით. გამოთვლებით ეს უნდა იყოს ან კავადის 27-ე წელი, რაც ემთხვევა 514-515 წლებს, ან ხოსრო I ანუშირვანის მმართველობის 3-ე წელს, რაც ემთხვევა 533-534 წლებს (გაჯიევი, 2008: 1-15).

ზემო აღწერილი ნაჰრავანის არხი ხოსრო ანუშირვანის მეფობაში იყო აშენებული. ასე რომ, სასანურმა თავდაცვითმა პოტენციალმა თავის ზენიტს VI საუკუნის შუა ხანებში მიაღწია, როდესაც ხოსროს მმართველობის ბოლოს, კერძოდ 570, თურქებმა და ბიზანტიელებმა ალიანსი შეკრეს და გადაწყვიტეს საერთო ძალისხმევით დასხმოდნენ თავს ირანს (გრეიტრექსი, 2006: 103-105).

ეხლა მივადექით, სავარაუდოდ, ყველაზე რთულ კითხვას სასანური ირანის სამხედრო პოტენციალის გარკვევაში: იმპერიული ჯარი, მისი სტრუქტურა და რაოდენობა. ბერძნულ-რომაულ წყაროებში სასანური ირანის ჯარის რაოდენობის რამოდენიმე მონაცემი არსებობს. ჩვენ ვიცით, რომ კავადმა 503 წელს ამიდას ციხის აღების შემდეგ ახლოს მდებარე სინგარას ციხე-სიმაგრეში 20,000 ჯარისკაცი ჩააყენა. ასევე მოგვეპოვება მონაცემები 50,000-იანი ლაშქრის არსებობის შესახებაც, რომელიც ხოსრო ანუშირვანმა გამოაგზავნა ბიზანტიელი მხედართმთავრის ბელისარიუსის წინააღმდეგ საბრძოლველად (ჰოვარდ-

ჯონსტონი, 2012: 86-92). თეორიულად, სხვადასხვა გამოთვლების მიხედვით სასანიანების იმპერიული ლაშქარი 320,000 ადამიანს აღწევდა, რაც IV საუკუნის ბიზანტიის იმპერიის 500,000-იან ჯარზე საგრძნობლად ნაკლები იყო, თუმცა VI საუკუნის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ლაშქრის დაახლოებით თანაბარ რაოდენობას წარმოადგენდა.

გურგანის კედელზე ახლად ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები კარგ მონაცემებს გვაძლევს სასანური ჯარის სავარაუდო რაოდენობის შესახებ (ზაუერი, 2013: 613-616). კედლის მეოთხე ფორტს, რომლის ზომაც 5,5 ჰექტარით იზომებოდა, თავისუფლად შეეძლო 30,000-მდე ჯარის დატევა. თუ ჩვენ, პირობითათ, იმპერიის საზღვრების სხვა ექვსი მონაკვეთის დასაცავად გამოყოფილ საშუალოდ 20,000-იან ჯარს ვივარაუდებთ, მაშინ მივიღებთ, დაახლოებით, 150,000-იან ჯარს, რომელიც პერმანენტულად იყო დაბანაკებული თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობების დასაცავად იმპერიის ყველა საზღვარზე. ამას უნდა დავუმატოთ ის სავარაუდო 30,000-იანი ლაშქარი, რომელიც იმპერიის შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იყო გამოყოფილი. ყოველივე ეს სასანიანთანმუდმივ მზადყოფნაში არსებული ჯარების რაოდენობას 180,000 ადამიანამდე წევს (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 109-118).

გურგანის კედლის უკან მდებარე ოთხი ციხე-სიმაგრიდან ერთერთის, სახელად ქალეჰ ხარაბეჰი, შიდა დაგეგმარება შესაძლებელს ხდის იმას, რომ მხოლოდ ეს ციხე-სიმაგრე იტევდა 10,000 ჯარისკაცს. ეს გამრავლებული სამ დანარჩენ ციხე-სიმაგრეზე გვაძლევს საველე ჯარის (რომაული *comitatenses*-ის ეკვივალენტი), დაახლოებით 40,000-45,000-იან რაოდენობას. თუ წარმოვიდგენთ, რომ იგივე რაოდენობა იცავდა როგორც კასპიის კარს, ასევე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ბიზანტიასთან საზღვრის მონაკვეთს, მაშინ ჯამში, დაახლოებით, სასანიანების საველე ჯარის, ანუ პრობლემატური საზღვრების უკან განლაგებული ძალების რაოდენობა 140,000-150,000 ჯარისკაცს აღწევდა. საველე ჯარის რაოდენობა (დაახ. 150,000 ჯარისკაცი) + საზღვრებზე პერმანენტულად განლაგებული შენაერთების რაოდენობა (დაახ. 180,000 ჯარისკაცი) სასანიანთა იმპერიის ლაშქარს 300,000-მდე ხდიდა (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 109-118).

შეიარაღება გაიცემოდა სახელმწიფოს მიერ. ჩვენ არ ვიცით ჰქონდათ თუ არა რიგითი სამხედროების ოჯახებს რამე სახის პრივილეგიები: ურიგდებოდათ თუ არა მიწები (როგორც ეს ხდებოდა რომში), ან ჰქონდათ თუ არა ფისკალური სახის დათმობები. თუმცა, ცნობილია, რომ მიწები ურიგდებოდათ მაღალი

სამხედრო თანამდებობების მქონე პირებს წარსულში ჩადენილი გმირობებისთვის და გადახდილი ბრძოლებისათვის.

ამრიგად, სასანური ირანის ჯარი შედგებოდა შემდგომი ძირითადი კომპონენტებისგან:

1. რეგულარული ლაშქარი დაყოფილი ოთხ რეგიონულ სამმართველოდ;
2. საზღვრებზე პერმანენტულად დაყენებული შენაერთები;
3. ბოლოს უცხოელი დაქირავებული მეომრები.

სასანური ჯარის სტრატეგიული პოზიცია განსხვავდებოდა აღმოსავლეთში დაყენებული ბიზანტიური ჯარის მკვეთრად გამოკვეთილი წინა-ხაზზე-თავდაცვის სტრატეგიისგან და შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც აგრესიული თავდაცვა. არდაშირისა და შაპურ I მეფობებში მოპოვებული ტერიტორიული შენამატების ეფექტიანად დაცვისთვის საჭირო გახდა დიდი ეკონომიკური ინვესტიციების ჩადება სამხედრო ინფრასტრუქტურის ასაგებად. მაგრამ, ამავდროულად, სულ უფრო ნათელი ხდებოდა ის გარემოება, რომ იმპერიის ყველა საზღვარზე მომრავლებული მტრისთვის ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო ჯარის არსებული უნიფიცირებული მმართველობით. V-VI საუკუნეების შაჰანშაჰებს ნაკლებად შეეძლოდ მთელი სამხედრო ძალების მობილიზება ერთ ფრონტზე, რადგან საფრთხე ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან არანაკლებ სახიფათო იყო, ვიდრე მაგალითად დასავლეთში ბიზანტიის იმპერიისგან. იეზდიგერდი, კავადი და სხვები უკვე ნაკლებად ერთვებოდნენ ერთპიროვნულად სამხედრო კამპანიაების წარმოებაში. სხვა სიტყვებით, არდაშირის და შაპურ I ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ხოსრო ანუშირვანის კამპანია კოლხეთში, ეგრისის ომის მსვლელობაში ალბათ უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა ვიდრე ტენდენციას. თუმცა, ამისთვისაც გარკვეული მიზეზები არსებობს. კერძოდ, ხოსროს მიერ სრულიად საიმპერიო მასშტაბის სამხედრო რეფორმა: სამხედრო მმართველობის დაყოფა. საფიქრებელია, თუ რატომ დასჭირდათ სასანიანებს დაახლოებით 250 წელიწადი ამგვარი რეფორმის განსახორციელებლად. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო დინასტიის ცენტრალიზებული მმართველობის ხასიათიდან გამომდინარე ხდებოდა, ანუ შაჰანშაჰი საკუთარ პრეროგატივად მიიჩნევდა ძირითად სამხედრო კამპანიებში ხელმძღვანელობა და სხვა სტრატეგიული საკითხების ზედამ-ხედველობა. თუმცა, უფრო ვემხრობი იმ აზრს, რომ VI საუკუნის დასაწყისამდე ამგვარი რეფორმის ჩატარების აუცილებლობა უბრალოდ არ იდგა. ირანსა და

ბიზანტიას შორის მთელი V საუკუნის განმავლობაში აბსოლუტური სიმშვიდე სუფევდა (ორი მცირე ომის მიუხედავად, რომელთაც არ შეუცვლიათ იმპერიების სტრატეგიული მდგომარეობა), ხოლო 502 წლიდან, როდესაც შაჰანშაჰ კავადმა ომი გამოუცხადა კონსტანტინოპოლს, ორივე იმპერია ანტაგონისტურად იყო განწყობილი ერთმანეთისადმი 628 წელს ჰერაკლეს ქტესიფონში შესვლამდე. სამხედრო ქმედებები დროდადრო იცვლებოდა აგრესიული დიპლომატიით, რაც სასანიანებს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ნომადებისგან მომდინარე გაორმაგებული საფრთხესთან ერთად უბიძგა განეხორციელებინათ ფუნდამენტური რეფორმები. დიდი ვარაუდით, ხოსრომ ძირითადი რეფორმები 545 წლისთვის განახორციელა (რუბინი, 1995: 275-293).

იმპერიის ადმინისტრაციული მოწყობა

ხოსროს რეფორმების შედეგად[71] სასანიანების 300,000-იანი ლაშქარი ემორჩილებოდა ოთხ რეგიონალურ სარდალს – სპაჰბედს (*spahbed*) – და შვიდ უფროს

[71] თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხოსრო ანუშირვანის რეფორმებს იმპერიისთვის და მისი მემკვიდრეებისთვის რამოდენიმე უარყოფითი შედეგი გამოუწვია. ერთერთი მიზეზი არაბების სწრაფი წარმატებისა სასანური ირანის წინააღმდეგ იყო ის სამხედრო პოლიტიკა, რომელიც ხოსრო ანუშირვანმა გაატარა თავისი მმართველობის მეორე ნახევარში, განსაკუთრებულად კი, იმპერიის ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმების შემდეგ. ზუსტად ხოსროს მეფობაში მოხდა ის გარდატეხა, რომელიც რომის იმპერიაში დაახლოებით 395 წლიდან დაიწყო, როდესაც, მაგალითად, კონსტანტინოპოლში მსხდობი იმპერატორები აღარ გადიოდნენ ჯართან ერთად ბრძოლის ველზე. ამიერიდან, ისინი საკუთარი მეფობის უმეტეს ნაწილს იმპერიის დედაქალაქიდან მართვაში ატარებდნენ. ხოსროს მმართველობაში, ჯერ კიდევ ვხედავთ იმას, რომ შაჰანშაჰი თვითონ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში. ასე, ხოსრომ ილაშქრა სირიაში, როდესაც 540 წელს ანტიოქია აიღო. აგრეთვე, ის პირადად უძღვებოდა ირანულ ჯარებს ლაზიკაში ეგრისის ომის (542-562 წწ.) პერიოდში. მაგრამ, მისივე მმართველობაში ნათელი გახდა, რომ იმპერიას პერმანენტულად უწევდა ერთდროულად რამოდენიმე ფრონტზე საომარი მოქმდებების წარმოება. შესაბამისად, შაჰანშაჰისთვის მნიშვნელოვანი გახდა ახალი სამხედრო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ის ნაკლებად იქნებოდა ჩარეული სამხედრო კამპანიებში, რომელის ხშირ შემთხვევებში მინიმუმ რამოდენიმე თვეზე იწელებოდა. გარდა ამისა, შაჰანშაჰის სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა დიდ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული. ყველაზე თვალსაჩინო პეროზის მაგალითია, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა ჰეფტალიტებს (თეთრ ჰუნებს) გორგანის კედლის ჩრდილოეთით. დედაქალაქში მჯდომი შაჰანშაჰი უფრო მარტივად მოახერხებდა სხვადასხვა ფრონტზე სამხედრო თუდიპლომატიური საქმიანობის კოორდინირებას.

ეს ყველაფერი ცალსახად დადებითი იყო, თუმცა დედაქალაქიდან შორს არსებულ საზღვრების ეფექტიანად დასაცავად ხოსრო პირველი, ამავდროულად, იძულებული იყო პროვინციების მმართველებისთვის – სპაჰბედებისთვის – მეტი ძალაუფლება გადაენაწილებინა. შესაბამისად, ხოსროს მეფობის ბოლოს, ხოლო განსაკუთრებულად კი მისი გარდაცვალების შემდეგ ნათელი გახდა, რომ პროვინციების მმართველები საკუთარი ძალაუფლების ქვეშ არსებულ ტერიტორიებს სულ უფრო მეტად განიხილავდნენ როგორც მემკვიდრეობით ერთეულს (ქრისტენსენი, 1944: 500).

მეთაურს – ფრამადარს (*framadar*) (ქრისტენსენი, 1944: 125-140). ხოსრო ანუშირვანამდე ირანში უნიფიცირებული სამხედრო სარდლობა არსებობდა. ზუსტად მას ეკუთვნის სამხედრო ადმინისტრაციის ოთხ რეგიონალურ ნაწილად დაყოფა *spahbed*-ების მეთაურობით. *Spahbed*-ების რიცხვი ცნობილია შემორჩენილი სასანიანთა ბეჭდებიდან. ეს არის ოთხი სპაჰბედი: ჰვარასა – აღმოსავლეთი; ნემრუზი – სამხრეთი; ჰვარავანი – დასავლეთი; და ადარბადაგანი – ჩრდილოეთი (ქრისტენსენი, 1944: 33-58). ჩვენამდე მხოლოდ რვა სპაჰბედის სახელი არის მოღწეული თერთმეტ შემორჩენილ ბეჭედზე. უშუალოდ სპაჰბედს ემორჩილებოდა მარზპანი. სპაჰბედების გარდა სასანიანთა ადმინისტრაციული კიბის ქვედა საფეხურზე კიდევ იყვნენ მარზპანები. მარზპანები უფრო მეტად სამხედრო საკითხებით იყვნენ დაკავებლნი ვიდრე ადმინისიტრაცილით. მაგალითად, საომარი მდგომარეობისას, მარზპანები, ხშირ შემთხვევაში, როგორც მხედართმთავრები სპაჰბედების ზედამხედველობის ქვეშ მოქმედებდნენ. რაც შეეხება მარზპანთა წარმომავლობას, ისინი, ძირითადად თავადაზნაურობიდან გამოდიოდნენ. მარზპანთა წარმომავლობა იმპერიის ზედა პოლიტიკური ეშელონიდან ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების სტაბილურობას. თუმცა, როგორც სხვაგან იქნება ნაჩვენები, მარზპანებისთვის მიცემულმა დიდმა ძალაუფლებამ უკურეაქცია გამოიწვია, როდესაც ბევრი მცდელობა იყო სამხედრო ძალის მეშვეობით სამეფო ტახტი ჩაეგდოთ ხელთ (იმპერიის ადმინისტრაციული მოწყობის ზოგადიდს მიმოხილვისთვის იხ. ლუკონინი, 113-155: 1987).

დაქვემდებარებულ სამხედრო ოლქებს თუ გავითვალისწინებთ, უმსხვილესი სამხედრო მხარე იყო აღმოსავლეთი (ჰვარასა), რომელშიც 26 ოლქი შედიოდა და მიდიიდან გურგანის ვაკის და მერვის ჩათვლით ცენტრალურ აზიამდე იყო გადაჭიმული. მეორე ადგილზე იყო სამხრეთის (ნემრუზი) სამხედრო მხარე, რომელიც მოიცავდა ისტორიულ პერსიდას და ინდის ვაკემდე არსებულ ტერიტორიას. ამ ტერიტორიის სპაჰბედს უპირველეს ყოვლისა ევალებოდა სასანიანთა კონტროლი უზრუნველყო დღევანდელ სპარსეთის ყურეში. უმცირესი, თუმცა ყველაზე გადატვირთული სამხედრო მხარე დასავლეთი (ჰვარავანი) იყო, მხოლოდ 8 ოლქით. ჩრდილოეთი (ადარბადაგანი) მოიცავდა ისტორიულ აზერბაიჯანს, სამხრეთ კავკასიასა და დარუბანდს (ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012: 111-120).

სპაჰბედის მმართველობის ქვეშ არსებულ განსაზღვრულ ტერიტორიას

გააჩნდა თავისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით სავსე მიწა და ის სტრატეგიული მიზნები რომელთა განსახორციელებაც მნიშვნელოვანი იყო იმ რეგიონის უსაფრთხოებისთვის და კარგად ერგებოდა საერთო იმპერიულ სტრატეგიას. სამხრეთში, სპაჰბედს ევალებოდა სასანიანების გავლენის გავრცელება არაბეთის ნახევარკუნძულზე და სპარსეთის ყურეში. იგივე მიზნები ჰქონდათ დანარჩენ სპაჰბედებსაც (ვიზჰოფერი, 2001: 165-182).

ჯარს ასევე ევალებოდა იმპერიის შიდა უსაფრთხოებაზე ეზრუნა. ხოსროს სამხედრო რეფორმას არ გადაუწევია შაჰანშაჰი მეორე პლანზე ომის წარმოებაში. მას ისევ შეეძლო თავი დაეყენებინა, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი ან თავისი სურვილისდა მიხედვით დაეყენებინა რომელიმე სარდალი.[72]

---

[72] საინტერესო იყო იმპერიის შიდა სტრუქტურაც. აღინიშნიშნავია, რომ სასანიანთა იმპერიის სტრუქტურა – ხელისუფლება – შვიდი ოჯახის ძალაუფლებაზე იყო დაფუძნებული. ამ შვიდი ოჯახიდან სასანიანები ერთს წარმოადგენდნენ. შესაბამისად მმართველი დინასტიის წარმოამადგენლებს ყოველთვის უნდა გამოეჩინათ საკმარისი მმართველობითი ნიჭი არ დაეჩაგრათ დანარჩენი ექვსი ოჯახიდან რომელიმე და არ მომხდარიყო არაპროპორციული ძალის მობილიზება რომელიმე ოჯახის ხელში. თითოეულ ოჯახს გააჩნდა ამბიცია იმპერიის სათავეში მოსულიყო. პოტენციურად, ეს საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნიდა იმპერიის შიდა უსაფრთხოებას. ხოლო იმპერიის სისუსტე შიგნით ავტომატურად მმატებდა საფრთხეებს საგარეო ინტერვენციისა.

პირველ რიგში კი, საფრთე ბიზანტიის იმპერიიდან მომდინარეობდა. თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს VI საუკუნის ამბავი, როდესაც კონსტანტინოპოლმა გამოიყენა სასანიანთა იმპერიის სუსტი შიდა მდგომარეობა საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. ასე, სასანიანთა იმპერიის ერთერთი გამორჩეული მხედართმთავარი ბაჰრამ ჩობინი იყო. VI საუკუნის დასასრულს ჩობინი ბიზანტიელებთან ომში რამოდენიმე მარცხი განიცადა რამაც იმდროინდელი შაჰანშაჰის ჰორმიზდ მეოთხის (579-590 წწ.) მიერ მისი გადაყენება გამოიწვია. თუმცა, ჩობინმა არ ისურვა თანამდებობის მარტივად დათმობა და სამხედრო აჯანყების სათავეში ჩადგა (ქრისტენსენი, 1944: 444-448).

იმპერიის ფეოდალები განსაკუთრებულად ძლიერდებიან ჰორმიზდ მეოთხის მეფობიდან. მრავლდება მცდელობები შეცვალონ მეფეები და საკუთარი კანდიდატურები დააყენონ. ჩობინის გამოსვლა ამ ტენდენციის კარგ მაგალითს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ჩობინის მაგალითს მისი მარცხის შემდეგ სხვების მიჰყვნენ, მაგალითად ვინმე ვისტამი, ან ჰერაკლე კეისრის მიერ დამარცხებული ხოსრო მეორის შემდეგ თვითნებურად გამეფებული კიდევ ერთი მხედართმთავაი შაჰვარაზი (ქრისტენსენი, 1944: 449).

მარტივი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჩობინის აჯანყება მხოლოდ ჰორმიზდ IV უთანხმოებით იყო გამოწვეული. ყველაზე საინტიერესო ამ ისტორიაში კი ის არის, რომ ჰორმიზდის დაღუპვის შემდეგ და ტახტზე ახალი შაჰანშაჰის – ხოსრო მეორის – ასვლისთანავე ჩობინმა გააგრძელა სამხედრო აჯანყება. მნიშვნელოვანი ამ აჯანყებაში კი ის არის, რომ ჩობინი მიჰრანთა ოჯახის წარმომადგენელი იყო. საკუთრივ მიჰრანთა ოჯახი კი, რომელიც ირანის შვიდ ოჯახთა შორის ერთერთს წარმოადგენდა, არშაკიდთა ოჯახის შთამომავლად მიიჩნეოდა. შესაბამისად, აქ საქმე გვაქვს ჩობინის მხრიდან არა მხოლოდ პირად წყენასთან, არამედ უფრო ფართომასშტაბიან მოძრაობასთან, რომელიც მიზნად ისახავდა სასანიანთა დინასტიის შეცვლას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩობინი ტრიუმფალურად შევიდა ქტესიფონში, გვირგვინიც დაიდგა და მონეტებიც მოჭრა საკუთარი გამოსახულებით.

ხოსრო იძულებული იყო გაქცეულიყო ბიზანტიაში და დახმარება ეთხოვა იმპერატორ

ტერიტორიულად ოთხივე სპაჰბედის ტერიტორია იკვეთებოდა მიდიის დასავლეთით, რომლის ტერიტორიაც მდიდარი იყო როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში მიდიის ტერიტორიის გავლით ხდებოდა ერთი მხრიდან მეორეში ჯარის გადატანა. ზუსტად ამის შედეგი იყო ის, რომ 573 წლის კრიზისის დროს, როდესაც ირანს საფრთხე ემუქრებოდა ერთდროულად რამოდენიმე ფრონტიდან, ხოსრომ არა მარტო მოახერხა ახლად შექმნილი ბიზანტიურ-თურქული კოალიციის დაშლა, არამედ შეტევაზეც კი გადავიდა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილიც კი დაიპყრო (ქრისტენსენი, 1944: 380-396).

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმარება, სასანიან შაჰანშაჰებს გაუჭირდებოდათ ამდენი საუკუნის განმავლობაში იმპერიული საზღვრების დაცვა. ბიზანტიის იმპერიასთან შედარებით უარეს გეოგრაფიულ პირობებში მდებარე სასანურ იმპერიას საზღვრების დასაცავად ესაჭიროებოდა როგორც საზღვრებზე მძლავრი სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნა, ასევე იმპერიის შიგნით არსებული ეკონომიკური თუ ადამიანური რესურსების სწორი გადანაწილება. სასანიანები აშენებდნენ მძლავრ კედლებს იმპერიის ყველა საზღვარზე, ქმნიდნენ დიდ ჯარებს, გააჩნდათ იდეოლოგია, რომელსაც იყენებდნენ საგარეო პოლიტიკაში (ამაზე საუბარი ქვემოთ იქნება), იყენებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას, როგორც ხერხს იმპერიის პერიფერიაზე მცხოვრები ხალხების საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაში შესანარჩუნებლად და აწარმოებდნენ უცხო ხალხების განსახლებას საკუთარ ტერიტორიაზე (იხ. ქვემოთ). უფრო მეტიც, სასანიანი შაჰები განსხვავებულ პოლიტიკას უსადაგებდნენ იმპერიის თითოეულ მტერს. აგებული კედელი და ციხესიმაგრე, დიპლომატიური ხერხები და ჯარის რაოდენობა პირდაპირ პროპორციული იყო იმისა თუ როგორი მძლავრი იყო ესა თუ ის მტერი. სხვა სიტყვებით, სასანიანებს, ისევე როგორც ბიზანტიელებს გააჩნდათ სტრატეგიული ხედვა საკუთარი სამეზობლოსადმი.

ირანული სტრატეგიის პირველი მაგალითი. სასანიანთა იდეოლოგია: რა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა სასანიანებს?

მავრიკესთვის. ამ უკანასკნელის ჩარევამ აიძულა ჩობინი ცენტრალურ აზიაში თურქებთან გაქცეულიყო, სადაც დაიღუპა კიდევაც. ჩობინის ცხოვრება უდევს საფუძვლად ფირდოუსის პოპულარულ რომანს შაჰნამეს.

რა საგარეო პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა სასანიანებს? (იარშატერი, 1971: 519; დარიაე, 2006: 387-393) თუ რომის იმერიის შემთხვევაში მკვლევარების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ იმპერიას ჰქონდა განსაზღვრული იდეოლოგია – *imperium sine fine* – საგარეო პოლიტიკაში (დიგნასი, 2007: 53-62), შეიძლება თუ არა იგივეს თქმა სასნიანებზე, რომელნიც, თუ პირველი შაჰანშაჰების საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს გავითვალისწინებთ, ასევე მიილტვოდენ მსოფლიოში წარმმართველი პოზიციის დაკავებისკენ. სხვა სიტყვებით: უპირისპირებდა თუ არა ქტესიფონი რომის *imperium sine fine*-ს იდეოლოგიას მსოფლიოს მოწყობის საკუთარ მიდგომას? პართელებთან შედარებით სასანიანებმა საგარეო პოლიტიკა დააფუძნეს ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ასპექტზე: ახალმა დინასტიამ თავი აქემენიდი მეფეების შთამომავლად გამოაცხადა და პრეტენზიები წამოაყენა აქემენიდებისდროინდელ იმპერიულ საზღვრებზე. ჰეროდიანე თავის ისტორიაში, რომელიც მიმოიხილავს მოვლენებს ახ. წ. 180 წლიდან 238 წლამდე პერიოდს, აღნიშნავს არდაშირის წერილს სევერუს ალექსანდრესადმი (ჰეროდიანე, 1991: VI.2.4-5). წერილში არდაშირი გადაჭრით მოითხოვს რომისგან დაუთმოს სასანიანებს სირია და მცირე აზია. არდაშირმა ლაშქრობების მთელი სერია წამოიწყო და 240 წლისთვის მოახერხა ჰატრას აღება ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (დიგნასი, 2007: 9-18). სასანიანების ტერიტორიულ პრეტენზიებზე აგრეთვე იუწყება კასიუს დიო, რომელიც თავის ისტორიას ასრულებს 229 წლით (დიგნასი, 2007: 9-18). როგორც ჩანს, ირანელები ამ იდეოლოგიურ იარაღს მომდევნო საუკუნეებშიც იყენებდნენ. ასე მაგალითად, IV საუკუნის ისტორიკოსთან ამიანე მარცელინესთანაც გვხდება ცნობები სასანიანების მიერ წინა საუკუნეებში წამოყენებულ მსგავს ტერიტორიულ ამბიციებზე. შაპურ II რომის იმპერატორ კონსტანციუს II-სადმი მიწერილ წერილში მოითხოვს აქემენიდებისდროინდელი ტერიტორიების დაბრუნებას (ამიანე მარცელინე, XVII 5.3-8).[73] უფრო მეტიც, იგივე ცნობები გვაქვს შემონახული IX-X საუკუნეების არაბ ისტორიკოს ტაბარისთან.[74] ამის გარდა, როდესაც შაპურმა I დაამარცხა რომის იმპერატორის ვალერიანეს 70,000-იანი ლაშქარი, ხოლო საკუთრივ იმპერატორი კი ტყვედ ჩაუვარდა, შაჰანშაჰმა თავისი

[73] *Res Gestae*-ს სხვა მონაკვეთებში ამიანე ახსენებს იმასაც, რომ სასანიანები მთელ მცირე აზიას მოითხოვდნენ ბითვინიის პროვინციასა და მარმარილოს ზღვამდე.

[74] ტაბარი უშუალოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არდაშირმა წამოიწყო აჯანყება არშაკიდების წინააღმდეგ, რომ შური ეძია დარიოს III სისხლისთვის, ანუ დაებრუნებინა ირანისთვის წართმეული ტერიტორიები.

ტრიუმფი აღბეჭდა ნაქში რუსტამში, ცეცხლთაყვანისცემელთა ტაძრის კედელზე დატანილ წარწერაში,[75] სხვა სიტყვებით, უშუალოდ იმ ადგილას სადაც დამარხული იყვნენ აქემენიანი მმართველები. სავარაუდოდ, 224 წელს ახალი დინასტიის ჩამოყალიბებისთანავე, არდაშირმა წამოაყენა ტერიტორიული პრეტენზიები რომის იმპერიის მიმართ. პირველ რიგში, საუბარი მიდიოდა უწინდელ აქემენიდურ სამფლობელოების – ჩრდილოეთ მესოპოტამიის, სირიის, მცირე აზიისა და ეგვიპტის – დაბრუნებაზე (დრივერსი, 2008: 445-448).

არდაშირ პირველის მიერ დაარსებულმა ახალმა დინასტიამ დიდი ცვლილებები შეიტანა ირან-რომის ურთიერთობებში. რა სურდათ სასანიანებს? რა მიზნები ამოძრავებდათ მათ? იყო მათ მიერ III-IV საკუნეებში წამოწყებული ომები რომის იმპერიის წინააღმდეგ ტიპიური დაპყრობითი ლაშქრობები, რითაც ყოველ შაჰანშაჰს სურდა დამატებითი ნადავლი მოეპოვებინა და საკუთარი მმართველობა გაემყარებინა იმპერიის შიგნით, თუ არსებობდა ის სტრატეგიული მიზნები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელი იყო ახლადშექმნილი იმპერიის დასავლური საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (კანეპა, 2009; 53-78)?

ომი ჩრდილოეთ მესოპოტამიის ციხე-სიმაგრეებისთვის გაგრძელდა. რომაელები ვერ ეგუებოდნენ იმ სტრატეგიულ შოკს რაც გამოწვეული იყო სასანიანების სწრაფი წარმატებით ამ რეგიონში. ორივე იმპერიისთვის ჩრდილოეთ მესოპოტამია საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა რადგან ნისიბინის, ჰატრასა და კარის გაკონტროლებით რომალები საუკუნეების განმავობაში ახერხებდნენ პართელთა ჰინტერლანდზე გავლენის მოხდენას და დედაქალაქ ქტესიფონისთვის საფრთხის შექმნა. ეს უკანასკნელი ფაქტორი კი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო რადგად დედაქალაქის დაკავება რეალურად ომის დაწრულებას ნიშნავდა. შესაბამისად, არშაკიდების მიზანი იყო რომაელების ჩრდილოეთ მესპოტამიიდან გაგდება, თუმცა შიდა სისუსტისა და რომის იმპერიის იმპერიის ძლიერების ხანის პერიოდში (I-II სს.) პართელები წარუმატებლები იყვნენ და როგორც რომის ჯარების წარმატებები მოწმობს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში III საუკუნის დასაწყისში, რომს მარტივად შეეძლო მტრის დედაქალაქის დაკავება.

[75] შაბურის წარწერა, სადაც ის საუთარ თავს ირანული და არაირანული მიწების მბრძანებლად (კიდევ ერთი ნიშანი სასანიანი შაჰების გლობალურ ამბიციაბზე რომის იმპერიის წინააღმდეგ) აცხადებს თავს დატანილია ერთერთ ქვაზე, რომელიც რელიგიური დანიშნულების იყო, ხოლო აშენდა კი მეფე დარიოს I მმართველობაში.

სასანიანების აღზევებით პრინციპულად არაფერი შეცვლილა. არდაშირმა დედაქალაქი ისევ ქტესიფონი გამოაცხადა, ხოლო მესოპოტამიაში და ირანის პლატოზე დინასტიის ძალაუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო რომაელებისგან ჩრდილოეთ მესოპოტამიის ციხე-სიმაგრეების გათავისუფლება. რომის მიერ ერთი წარმატებული შეტევა ქტესიფონზე შეიძლება გამანადგურებულ შედეგებამდე მიეყვანა ახალი დინასტია. ზუსტად ამიტომაც, სასანიანები მთავარი შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით დაიწყეს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. არდაშირმა ნისიბინისა და კარის აღების გარდა, მოახერხა სპარსეთის ყურედან და ჩრდილოეთ მესოპოტამიამდე სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებაც. მისი შვილის შაპურ I მეფობაში ომი გრძელდება. იმპერატორი გორდიანე III (238-244 წწ.) ბრძოლაში იღუპება, მის შემცვლელ ფილიპე არაბს (244-249 წწ.) უწევს სომხეთზე და აღმოსავლეთ საქართველოზე გავლენის გავრცელებაზე უარის თქმა. შაპურთან ბრძოლაში მეორე რომაელი იმპერატორიც აღწევს სავალალო შედეგს. 260 წელს ედესასთან იმპერატორი ვალერიანე და სხვა რომაელი მრალჩინოსნები ტყვეთ ჩაუვარდნენ შაპურს, ხოლო მისი ჯარი კი მთლიანად განადგურდა. ამის შემდეგ

რომისთვის თავიდანვე ნათელი გახდა, რომ სასანიანთა წარმატებები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ყოფილი პართიის იმპერიის ტერიტორიით. პირველი რაც გააკეთა არდაშირმა იმპერიის შიგნით მდგომარეობის გამტკიცების შემდეგ იყო წერილის გაგზავნა რომის იმპერატორ სევერუს ალექსანდრესთან (222-235 წწ.), სადაც შაჰანშაჰი აქემენიდებისდროინდელ სამფლობელოებზე აცხადებდა პრეტენზიებს, კერძოდ კი, მთელ სირიასა და მცირე აზიაზე (ჰეროდიანე, 1991: VI.2.4-5).

საინტერესოა აგრეთვე ისიც, იყინებდნენ თუ არა სასანიანები აქემენიანიანთა დინასტიის მემკვიდრეობას როგორც ოფიციალურ საგარეო პოიტიკურ კურსს – დაებრუნებინათ დარიოს III დროს დაკარგული მიწები? თუ ეს განცხადებები გამოიყენებოდა მხოლოდ იდეოლოგიური მიზნებისთვის – ქვეყნის შიგნით სასანიანი ლიდერების პრესტიჟის ასამაღლებლად/შესანარჩუნებლად მუდმივი საგარეო მტრის არსებობაზე აქცენტის გადატანით. რომაულ/ბიზანტიურ-სასანური ურთიერთობების დინამიკა III საუკუნიდან გვიანი ანტიკურობის დასრულებამდე მიუთითებს იმაზე, რომ შაჰანშაჰები აქტიურად მიზდევდნენ აქემენიანი მმართველების იდეოლოგიას კონსტანტინოპოლთან ურთიერთობებში, მაგრამ დაახლოებით იმავე

მიზნებისთვის, როგორც ამას აკეთებდნენ ბიზანტიელები თავისი *imperium sine fine*-ს იდეოლოგიით. ამ თავის ერთერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ის არის, რომ რომსა/ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებული ომების მიზეზი ყოველთვის სასანიანები არ ყოფილან. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში ირანელი მმართველების ქმედებები უფრო თავდაცვითი, ხოლო ბიზანტიელების კი უფრო აგრესიული იყო. ორივე იმპერია მიილტვოდა „მსოფლიო ბატონობის" საკუთარი ვერსიისაკენ. ეკონომიკა, იდეოლოგია, სამხედრო საქმე, დიპლომატია და რელიგია დიდ როლს ასრულებდნენ ამ პრეტენზიების განხორციელებაში. ზუსტად ამ საპირისპირო იდეოლოგიებმა განაპირობეს ის, რომ ორ იმპერიას შორის ვერ მოინახა ის საერთო ინტერესი, რომელიც ხელს შეუწყობდა შავი ზღვიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე არსებულ საზღვარზე გრძელვადიანი სიმშვიდის დამყარებას.

სასანური სტრატეგიის მეორე მაგალითი. არაბები იმპერიის საზღვრებთან

ირანელებისა და სირია-მესოპოტამიის უდაბნოში მცხოვრები არაბი ტომების ურთიერთობების დასაწყისი აქემენენიდების პერიოდით (ძვ. წ. 550-331 წწ.) თარიღდება, როდესაც კამბისემ ეგვიპტეში ლაშქრობისას არაბეთის ტერიტორია, კერძოდ კი მისი ჩრდილოეთი ნაწილი – ჰიჯაზი – გაიარა (ბოსვორტი, 1983: 593-598). სირია-მესოპოტამიის უდაბნოს ნაწილები დროდადრო გადადიოდა ერთი ძალის ხელიდან მეორეში. სელევკიდებისა და პართელების მიერ შექმნილი სახელმწიფოები აგრეთვე იყვნენ დაინტერესებულები მათ სამხრეთიდან მომდინარე არაკონტროლირებადი არაბი ტომების შეკავებაში. ერაყის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი იყო ის წერტილი სადაც უდაბნოდან მოსული არაბები სახლდებოდნენ მესოპოტამიაში და უშუალო კონტაქტში შედიოდნენ შუამდინარეთში არსებულ ამა თუ იმ იმპერიასთან. სასანიანების პერიოდში იგივე მდგომარეობა არსებობდა.

არაბების ძალა პართელების დროს კონცენტრირებულლი იყო ქალაქ ჰატრაში, რომელიც ცენტრალურ ერაყში მდებარეობდა. თუმცა, 224-226 წლებში არდაშირის ხელისუფლებაში მოსვლით, სასანიანებმა ჰატრა დაიპყრეს და მის ნაცვლად წინა პლანზე წამოწიეს ახალი ქალაქი ჰირა, რომელიც, უშუალოდ, სირია-მესოპომაიისა და შუამდინარეთის საზღვარზე მდებარეობდა (ედველი, 2008: 133-155). სასანიანებმა მოკავშირეებათ ლახმიდთა კონფედერაცია აირჩიეს (შემდეგ ამის საპირწონეთ რომაელებმა ღასანიანთა კონფედერაცია შექმნეს

თავისი პალესტინის პროვინციის საზღვრის გასწვრივ). ჰირას დაარსება სასანიანთა დინასტიის პირველი წარმომადგენლის არდაშირ I მიერ, მეტყველებს იმაზე თუ რა სახის გეოპოლიტიკური ცვლილება მოხდა მახლობელ აღმოსავლეთში კავკასიიდან მოყოლებული არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპირომდე. სასანიანები, ისევე როგორც რომაელები (შემდეგ ბიზანტიელები) თავის მოკავშირე არაბების ლიდერებს მეფის ტიტულს ანიჭებდნენ. ასე, მაგალითად, სასანიანების ერთერთი ყველაზე ცნობილი არაბი მოკავშირე იყო იმრუ ალ-ქაიში, რომელიც III საუკუნის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში ქალაქ ჰირადან სირია-მესოპოტამიის უდაბნოში ავრცელებდა თავის (შესაბამისად, ირიბად ირანის) პოლიტიკურ გავლენას, რაც ხელს უწყობდა ირანის მესოპოტამიური საზღვრის დაცვას არაბეთის ნახევარკუნძულის შიდა რეგიონიდან მოსული არაბი მოლაშქრეების წინააღმდეგ (ბოსვორტი, 1983: 598-605). მისი ოფიციალური ტიტულატურა ითვლიდა „ყველა არაბთა მეფის“ ტიტულსაც (ფოუდენი, 1999: 149-160). ნასრიდების გავლენა ჰიჯაზამდე ვრცელდებოდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სასანიანთა არაბ მოკავშირეებს უფრო დიდი გავლენა გააჩნდათ ვიდრე კონსტანტინოპოლის არაბ მოკავშირეებს.

ნასრიდების ძალაუფლება მთლიანად ფუძნდებოდა ქტესიფონიდან მომდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერაზე. არსებობს ცნობები, რომ შაჰანშაჰები არაბ მოკავშირეებს მიწის ნაკვეთებს და იქიდან გადასახადების თავისებურად აკრეფის უფლებასაც აძლევდნენ (ბოსვორტი, 1983: 600-612). ნასრიდების ლაშქარი შედგებოდა მათი მოკავშირე არაბების ძალებისგან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ ფართო იყო მათი მოქმედების არეალი, ბიზანტიის არაბ მოკავშირეებთან შედარებით. არაბი ისტორიკოსები (მათ შორის ალ-ტაბარი) ახსენებენ აგრეთვე იმასაც, რომ სასანიანი შაჰანშაჰები ნასრიდებს 1,000-კაციან რაზმს უგზავნიდნენ, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არაბი მმართველის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა და როტაციულად ყოველ წელს ინაცვლებოდა ირანიდან მოსული ახალი რაზმით (ბოსვორტი, 1983: 598-605). წყაროებიდან აგრეთვე ჩანს ისიც, რომ ეს სასანური საჯარისო რაზმი ნასრიდების დამრტყმელი ძალის ბირთვს წარმოადგენდა. როგორც რომაელთა მოკავშირე არაბები, ნასრიდებიც იცავდნენ სავაჭრო გზებს სასანური ირანის მესოპოტამიური საზღვრის გასწვრივ. ხოსრო ანუშირვანის მიერ დანიშნული არაბი მმართველი ალ-მუნდირი, მაგალითად, თავის გავლენას ავრცელებდა ჰიჯაზამდე (არაბეთის ნახევარკუნძულის

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი), ხოლო თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი სიმართლეს შეესაბამებოდა, მაშინ, სასანიანებს ირიბი გავლენის მოხდენა შეეძლოთ მექასა და იათრიბამდე (მედინა) მიმავალ სავაჭრო გზებზეც. მოგვიანო პერიოდის არაბული წყაროები იხსენიებენ, რომ შაჰანშაჰ კავადის მმართველობაში, როდესაც ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო მაზდაკის მოძრაობის (ქრისტენსენი, 1994: 316-340) გავრცელებას იმპერიაში, არაბმა ტომებმა იგივე გააკეთეს ჰიჯაზში და თითქოს მაზდაკიტების მსხვილი დაჯგუფება არსებობდა მექაში მუჰამედის აღზევების შემდეგაც კი (ბოსვორტი, 1983: 598-612).

კავშირი ჰირასა და იათრიბს შორის არაბი ბედუინი ტომების მიმართ ნასრიდთა პოლიტიკის ერთერთ კომპონენტს წარმოადგენდა. ხელშეკრულებები იდებოდა ადგილობრივ არაბ მმართველებთან, რომ ამ უკანასკნელებს მცირე სამხედრო შენაერთები მიეწოდებინა ნასრიდების მთავარი სამხედრო ძალისთვის. კონსტანტინოპოლის არაბ მოკავშირეებთან შედარებით, სასანიანები ნასრიდებს უფლებას აძლევდნენ თავის დაქვემედებარებულ არაბ ტომებში გადასახადები აეკრიფათ. ახლო მოკავშირეებს ნასრიდი ლიდერები მიწის ნაკვეთებსაც ჩუქნიდნენ (პიგულევსკაია, 1964: 127-155; ბოსვორტი, 1983: 598-612).

არაბი მოკავშირეების დახმარებით სასანიანთა მიერ აგებული ძალთა ბალანსი სირია-მესოპოტამიის უდაბნოსა და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში რყევა დაიწყო მას შემდეგ რაც VI საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლმა გააძლიერა ჯაფნიდებისთვის (დასანიანთა კონფედერაციის ერთერთი ტომი) სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა, ხოლო მათ ლიდერს კი მეფის ტიტულიც კი უბოძა. ამის პარალელურად, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით კიდევ ერთი არაბთა ტომების კონფედერაცია აღზევდა სახელწოდებით კინდა. მათ მოახერხეს 525 წელს დროებით ნასრიდების დედაქალაქის ჰირას აღებაც კი, ხოლო შაჰანშაჰი კავადი იძულებული იყო ევფრატის სამხრეთი ნაწილი არაბულ ტომებთან საზღვრათ აღეიარებინა. 529 წელს ხოსრო ანუშირვანის აღზევებით ნასრიდებმა დაიბრუნეს დედაქალაქი ჰირა, გაანადგურეს კინდას კონფედერაციის წევრები და ისევ შეუდგნენ თავისი გავლენის გავრცელებას სირია-მესოპოტამიის უდაბნოში.

ზემოთ მოყვანილი არაბი ტომების მიმართ სასანიური პოლიტიკის მიმოხილვა არ წარმოადგენს სრულ სურათს იმ რთული პროცესების, რომელიც სირია-მესოპოტამიის უდაბნოში ორ იმპერიას შორის მიმდინარეობდა. მაგრამ, განხილული ცალკეული მაგალითები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის თუ

როგორი იყო სასანური კლიენტი სამეფოს მოდელი. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმპერიას გააჩნდა:

1. გრძელვადიანი ხედვა ყვეყნის ამ საზღვრის მიმართ იქ მცხოვრები არაბი ტომების სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული თვისებების გათვალისწინებით;

2. კონსტანტინოპოლის მოკავშირე არაბი ტომებისგან მკვეთრი განსხვავებით, სასანიანების მოკავშირე ნასრიდებს მოქმედების უფრო ფართო არეალი გააჩნდათ;

3. გავლენის არეალთან ერთად, ნასრიდებს გააჩნდათ მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობა გადასახადების აკრეფისა და მიწის ნაკვეთების დარიგების სახით;

4. ნასრიდებს, კონსტანტინოპოლის არაბ მოკავშირეებთან შედარებით, უფრო მძლავრი სამხედრო ძალაც გააჩნდათ.

ყოველივე ეს კი მიუთეთბს ირანის სურვილზე არაბეთის ნახევარკუნძულზე საკუთარი ინტერესები დაიცვას, რისთვისაც მსხვილ პოლიტიკურ ინვესტიციას ახორციელებდა ადგილობრივ არაბულ დაჯგუფებებში. III საუკუნის შუა ხანიდან არაბეთისადმი სასანური ირანის მიერ გატარებული პოლიტიკა მიუთითებს იმაზე, რომ იმპერიულ მმართველებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თუ რაოდენ მნიშვნელოვანია არაბეთის როლი არა მხოლოდ ევფრატის გასწვრივ პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის, არამედ ბიზანტიაზე ეკონომიკური უპირატესობის მისაღწევათ. თუ პართიის იმპერიის არსებობისას ვაჭრობა ინდოეთსა და რომის იმპერიას შორის უმეტესწილად ხმელეთით, ირანის ტერიტორიის გავლით მიმდინარეობდა, სასანიანების აღზევების შემდეგ ვითარება კარდინალურად იცვლება: შაჰანშაჰები რომაელ და შემდეგ ბიზანტიელ ვაჭრებს დამატებით გადასახადებს უწესებდნენ (პიგულევსკაია, 1964: 120-163; რუბინი, 1989: 400-419), რითაც ვაჭრობა ინდოეთთან და ჩინეთთან მკვეთრად არამომგებიანი გახდა მედიტერანული ეკონომიკისთვის. ბიზანტიამ ახალი სავაჭრო გზების ძებნა დაიწყო ინდოეთთან სავაჭროთ და ეს გზა უნდა ყოფილიყო წითელი ზღვის გავლით და არაბეთის ნახევარკუნძულის შემოვლით (რუბინი, 1989: 400-419).

სასანიანებს კარგად ესმოდათ ეს საფრთხე და ამიტომაც საჭირო იყო არაბი მოკავშირეებისთვის მძლავრი ეკონომიკური თუ პოლიტიკური დახმარებით თავისი გავლენა გაევრცელებინათ არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ და

აღმოსავლეთ ნაწილში – თანამედროვე სპარსეთის ყურის არეალში სამხედრო ბანაკების შექმნით – და VI საუკუნის ბოლოს უკვე სამხრეთ არაბეთშიც, კერძოდ კი იემენში (ქრისტენსენი, 1944: 380-405). სასანიანების არაბული პოლიტიკა რამოდენიმე ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული. მის არაბ მოკავშირეებს ერთდროულად შეეძლოთ სამხედრო ოპერაციების გატარება რამოდენიმე ფრონტზე. ამასთან ერთად შაჰანშაჰები წარმატებით იყენებდნენ იმპერიულ პრესტიჟს, მაგალითად იემენში ადგილობრივ მოსახლეობაში არსებულ უკმაყოფილებას ეთიოპიელების მიერ დაწყებული სადამსჯელო ოპერაციების გამო. ყოველივე ეს კი, მეტყველებს იმაზე, რომ ირანს საკმაოდ კარგი სახელმწიფოებრივი დაზვერვითი აპარატი ჰქონდა, რითაც მარტივად ახორციელებდა გრძელვადიანი პოლიტიკის საწარმოებლად საჭირო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს ირანელებში ისევე, როგორც ბიზანტიელებში არაბეთის მიმართ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის არსებობაზე.

სასანიანთა სტრატეგიის მესამე მაგალითი: ე. წ. receptio[76] სისტემა?

ბუნებრივია „სასანური ციხე-სამაგრე“, რომელსაც შაჰანშაჰები საუკუნეების განმავლობაში აშენებდნენ და აძლიერებდნენ, ვერ შეძლებდა ყოველთვის რამოდენიმე ფრონტიდან შემოსული მტრის მოგერიება. ამიტომაც სასანიანები არ ამბობდნენ უარს ნომადების მიღებაზე ქვეყნის შიგნით. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, იმპერიას ქვეყნის შიგნით უცხო ძალების მიღების მთელი სისტემა ჰქონდა ჩამოყალიბებული.

გვიანი ანტიკური ხანის რომის იმპერიის მკვლევარებს სათანადო ყურადღება აქვთ მიძღვნილი იმპერიის შიგნით გერმანული თუ ნომადური ტომების შეშვების საკითხისადმი. ისტოკისოთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რომს ჩამოყალიბებული პოლიტიკა გააჩნდა, თუ როგორ უნდა შემოუშვან, დაყონ, გაანაწილონ და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მიაბან შემოსული უცხო დაჯგუფებები (შტიკლერი, 2007: 495-514). ისტორიკოსთა ნაწილი ამ პოლიტიკას *receptio* სისტემას უწოდებს (ბერნსი, 1994: 247-279). მკვლევართა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იმპერატორებს არ გააჩნდათ წინასწარ ჩამოყალიბებული პოლიტიკა. ჩვენ აქ მკვლევართა პირველ ჯგუფს მივემხრობით და შევეცდებით

[76] ლათინური სიტყვა „მიღება“.

ვაჩვენოთ ჰქონდა თუ არა სასანურ ირანს *receptio* სტრატეგია უცხო ტომების მიმართ? განვიხილოთ საინტერესო პასაჟი X-XI საუკუნეების სპარსელი ისტორიკოსის იბნ მისქვაიჰის წყაროდან „ხალხთა გამოცდილება“ (იბნ მისქვაიჰი, 1999: 199-201):

„შემდეგ, ჩვენი მეფობის 37-ე წელს (რაც დაახლოებით 568-69 წლებს უნდა ემთხვეოდეს) ოთხმა თურქულმა ტომმა ხაზართა რეგიონიდან, რომელთაგანაც თითოეულს თავისი მეფე გააჩნდა, წერილი მოგვეწერეს სადაც აღწერდნენ იმ სირთულეებს რაც მათ თავს გადახდათ; საკუთარ სიღარიბეს და მონობას აცხადებდნენ ჩვენდამი. მათ გვთხოვეს დავესახლებინეთ როგორც მოკავშირეები და რომ ჩვენ შური არ გვეძია იმაზე, რაც ჩვენმა სამეფომ მათ ხელში გადაიტანა. სამაგიეროდ, ისინი გვიჩვენებდნენ, იქნება ეს ბრძოლაში, თუ სხვა რამეში, ყველა ის უპირატესობა რაც მათ გააჩნიათ. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბევრ სარგებელს ვნახავდი მათი შეშვებით. ამავდროულად, მეშინია იმისიც, რომ თავისი სიღარიბის და გამო რომაელთა იმპერატორის მოკავშირეები არ გახდნენ, რომელიც (ე. ი. რომის იმპერატორი) ამით ჩვენზე ძლიერი გახდება. რამოდიმე ჯერ უკვე მომხდარა, როდესაც იმპერატორი (ე. ი. რომის იმპერიის) დაიქირავა ესენი (ბარბაროსები) ჩვენთან საომრად. ის რამაც აიძულა ამ მეფეებს (რომაელ იმპერატორებს) უკან დაეხიათ იყო თურქების სიმამაცე...

შესაბამისად, მე მივწერე მათ, რომ მივიღებდი იმათ ვინც ჩვენთან მოვიდოდა... მე, აგრეთვე, მივწერე „კარის“[77] მარზპანს და ვუბრძანე ისინი (თურქები) ნელნელა შემოეშვა. მან შემატყობინა, რომ 50,000 ადამიანი მივიდა მასთან, თავის მეუღლეებთან, შვილებთან და ოჯახის სხვა წევრებთან. მათი 3,000-მდე ბელადი მივიდა მასთან (მარზპანთან) თავისი საოჯახო მეურნეობით, ცოლებით, შვილებით, ოჯახის სხვა წევრებით.

როდესაც ყოველივე ეს შემატყობინეს მე ვისურვე ისინი ახლოს მომეყვანა, რომ მეჩვენებინა ჩემი გულუხვობა მათდამი და ის პატივი და დიდება, რომელიც მინდოდა მათვის გადამეცა რათა მათი რწმენა გამეზარდა ჩვენს მხედართმთავრებში, თითქოსდა ჩვენ გვინდოდა მათი გაშვება რომელიმე ამ მხედართმთავრის სარდლობის ქვეშ, ხოლო ყველა მათგანი ყოფილიყო ერთგული. მე თვითონ ჩავედი ადარბაიჰანში (აზერბაიჯანში) და მივეცი უფლება შემოსულიყვნენ ქვეყანაში.

[77] სავარაუდოთ, აქ საუბარია დარუბანდზე.

მე მივედი 53,000 თურქთან და ვუბრძანე სამხედრო წყობაში ჩამდგარიყვნენ დათვალიერებისთვის...

შესაბამისად, მე მადლობა გადავუხადე ღმერთს და ვბრძანე, რომ ეს თურქები შვიდ ჯგუფად დაყოფილიყვნენ ოჯახის წევრებთან ერთად. მათგან ამოვირჩიე რამოდენიმე ადამიანი და მათ ზედამხედველებათ დავნიშნე. ამათ მე დავურიგე მიწის ნაკვეთები, ხოლო მათ თანამავლებს სახელმწიფო თანამდებობები. მე ვუზრუნველყვე მათვის საკვების დაწესება და ვბრძანე მათი წყლით უხვ მიწებზე განსახლება. მათი ნაწილი განვასახლე ჩემი ერთერთი გენერლის ზედამხედველობის ქვეშ მარგიანაში (მერვში), სხვა ნაწილი – ლანში, ხოლო მესამე ნაწილი კი ადარბაიჰანში. მე განვასახლე ისინი იქ სადაც იყო ამის საჭიროება, მარზპანის ზედამხედველობის ქვეშ. ამიშ შემდეგ, მე ყოველთვის ვხედავდი როგორი ერთგულები და შრომისმოყვარე იყვნენ ისინი ყოველ საქმეში. ამან კი დიდი ბედნიერება მოგვიტანა ყველა ქალაქში, სასაზღვრო ზონაში და ციხესიმაგრეში."

წყაროს ამ მონაკვეთში ბევრი საინტერესო ფაქტია შემონახული რაც საჭიროებს დეტალურ ახსნას. როგორც ვხედავთ, სასანიანი მმართველები წინასწარ ზრუნავდნენ იმაზე, რომ ბარბაროსი ტომების განსახლება სამიწადმოქმედო ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. ეს კი, ერთადერთი გარანტია იყო იმისა, რომ ნომადები ცხოვრების ახალ წესზე გადასულიყვნენ, რითაც იძულებული იქნებოდნენ მიეტოვებინათ ცხენი როგორც სამხედრო იარაღი. ამავდროულად, მათი განსახლება არ უნდა მომხდარიყო ერთ ტერიტორიაზე, არამედ რამოდენიმე შორი-შორ მდებარე პუნქტში, რაც აჯანყების შემთხვევაში შესაძლებელს ხდიდა ამბოხებულების მარტივად დამარცხებას. მავდროულად, უცხო ძალის მიღება აძლიერებდა სასანიანების სამხედრო პოტენციალს (იგივე ხდებოდა რომის იმპერიაში). თურქების ირანში განსახლების ზემო მოცემული თარიღი ემთხვევა ზუსტად იმ პერიოდს, როდესაც ბიზანტია ცდილობდა თურქულ ჰაკანატთან სასანიანების წინააღმდეგ საერთო კავშირის გაბმას.

დასკვნა:

გვიან ანტიკურ ეპოქაში ორი დიდი სახელმწიფო ბიზანტიის და სასანური იმპერიები მეტნაკლებად თანაბარ ძალებს წარმოადგენდნენ. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ამ პერიოდის ისტორიული ნაშრომების გაფარ-

თოებასთან ერთად, ტრადიციულად მეტი ყურადღება ეთმობოდა რომის/ადრეული ბიზანტიის იმპერიის ვიდრე სასანური ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო საკითხების შესწავლას. ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობდა. მათ შორის სასანური პერიოდის წერილობითი წყაროების თითქმის არ არსებობა. მაგრამ, ყველაზე სამწუხარო შედეგი ამ მიმდინარეობის კი ალბათ ის იყო, რომ სასანური ირანი განიხილებოდა როგორც საკმაოდ სუსტი იმპერია, რომელსაც პერმანენტული ჯარიც კი არ ჰყავდა, ხოლო საუბარი რამე სახის „დიდ სტრატეგიაზე“ საზღვრების კოორდინირებულ თავდაცვაზე კი, ზედმეტი იყო.

ზემო მოყვანილ დისკუსიაში შევეცადე მეჩვენებინა, რომ სასანიანებს, ისევე როგორც რომაელებს/ბიზანტიელებს გააჩნდათ გრძელვადიანი ხედვები იმპერიის საზღვრების დასაცავად. სასანიანებმა, როგორც ვნახეთ, უფრო მასშტაბურ საფორტიფიკაციო ნაგებობების აშენებას მიჰყვეს ხელი, ვიდრე რომაელებმა.[78]

მაგალითად, თუ გადავხედავთ სასანიანთა იმპერიის რუკას ხოსრო ანუშირ-ვანის მმართველობის პერიოდში (531-579 წწ.), ნათელი გახდება, რომ ირანელებმა საკუთარი იმპერია ერთ დიდ ციხე-სიმაგრედ აქციეს ყველა საზღვარზე კედლებისა და ციხე-სიმაგრეების აგებით. ამის გაკეთება ვერ მოხერხდებოდა, რომ იმპერიის დედაქალაქში არ ჰქონოდათ გააზრებული იმპერიის ზოგადი სტრატეგიული მდგომარეობა მთლიანად მახლობელ აღმოსავლეთში. ამაში იგულისხმებოდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორიც იყო თუ როგორ დაეცვათ თითოეული საზღვარი ამა თუ იმ მტრის წინააღმდეგ; როგორ გამოეყენებინათ გეოგრაფიული ბარიერები პირველი მიზნის მისაღწევათ; როგორ ესმოდათ სასანიანებს თუ სად უნდა დამთავრებულიყო მათი იმპერიის საზღვრები – სადამდე უნდა გაგრძელებულიყო იმპერიის ექსპანსია.

სასანიანთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებზე საუბრისას ნათელი გახდა, რომ იმპერია არ ცდილობდა უსაზღვროდ ტერიტორიების გაფართოებას. არდაშირ I მმართველობიდანვე (224 წ.) კაგრად ჩანს, თუ როგორ ტრაექტორიას დაიჭერს იმპერიის სამხედრო პოლიტიკა მომდევნო ათწლეულებში.[79] III

[78] თუნდაც, რაინსა და დუნაის გასწვრივ აგებული კედლები რომ განვიხილოთ, სასანიანების სამხედრო ამბიციები მეტად აღემატებოდა რომალებისას. თუმცა, კედლების სიდიდე მხოლოდ სამხედრო ამბიციებზე არ უნდა მეტყველებდეს, არამედ არსებული მტრის სიძლიერეზე.

[79] თუმცა, მოგვიანებით, IV-VI საუკუნეებშიც კი, სასანიანთა სამხედრო კამპანიების მიმართულებების განხილვისას, შეგვიძლია დავინახოთ, რომ აქცენტი ძირითადად მტრის შეტევების პრევენციისთვის ხორციელდებოდა. ეს ეხება სასანიანთა ურთირთობებს რომაელებთანაც. მეტიც, რომაელები აგრესორის როლში უფრო შირად გამოდიოდნენ ვიდრე

საუკუნის 20-იანი წლების რუკაზე ერთი შეხედვით ნათელი ხდება, რომ არდაშირის ისევე, როგორც ყველა მომდევნო შაჰანშაჰის მიზანი იყო ჩრდილოეთ მესოპოტამიის გათავისუფლება. ეს საჭირო იყო იმპერიის დედაქალაქის და შესაბამისად მთლიანად იმპერიის უსაფრთხოებისთვის,[80] რადგან ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან გეოგრაფიული ლანდშაფტის და გამო საკმაოდ მარტივი იყო სამხრეთით ქტესიფონამდე მიღწევა. სამხედრო კამპანიების მიმართულებები ადასტურებს, რომ რომაელებისთვის მთავარ სამიზნეს უმეტეს შემთხვევებში ქტესიფონის აღება იყო, ხოლო სასანიანებისთვის რომაელების ჩრდილოეთ მესოპოტამიაში არ შეშვება. საგულისხმოა, თუ რა კარგად ესმოდა ეს ორივე მხარეს რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა რადიკალურად განსხვავებული მმართველის მოღვაწეობისას.

ზემოთ ვილაპარაკეთ სასანიანთა ტერიტორიულ ექსპანსიაზე. საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში 360-380 წლებში მნიშვნელოვანი რომაული ციხესიმაგრეების შემოერთების შემდეგ, სასანიანები არ ცდილობდნენ დამატებითი ტერიტორიები შემოეერთებინათ. შაპურ I და ხოსრო ანუშირვანის მაგალითები საკმაოდ თვალსაჩინო იყო ამ მხრივ. ჩვენ, ასევე, ვისაუბრეთ თუ რამდენად რეალური იყო სასანიანთა მმართველების მოთხოვნები რომაელ იმპერატორებისთვის აქემენიანთა ტერიტორიები დაებრუნებინათ ირანისთვის. ყურადსაღებია ის, რომ ეს მოთხოვნები რეალობასთან არ იყო კავშირში და უფრო რიტორიკულ ხასიათს ატარებდა. ეს კი ამტკიცებს იმას, რომ სასანიანი მმართველების ნიჭზე რიტორიკა რეალური სტრატეგიული ინტერესებისგან გაემიჯნათ.

საფორტიფიკაციო ნაგებობებისთვის გეოგრაფიულად საჭირო ადგილების შერჩევა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. ეს ითვალისწინებდა, არა მარტო გეორაფიის კარგ ცოდნას, არამედ მასშტაბური გეოლოგიური სამუშაოების გატარებასაც. ამასთან ერთად, ირანელების მიერ თავდაცვითი ნაგებობის აღმართვა მეტყველებს იმპერიაში ხანგრძლივი სამხედრო ტრადიციების არსებობაზე. რომის იმპერიაში საუკონეობრივი სამხედრო ტრადიცია შემონახულია მრავალ სამხედრო ტრაქტატში. სამწუხაროდ, იგივეს

სასანიანები.

[80] დედაქალაქის – ქტესიფონის – მნიშვნელობა თუნდაც მტკიცდება იმ მაგალითებით, როდესაც ხერხდებოდა მისი აღება რომაელების მიერ. ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა 620-იანი წლების ბოლოს ამის დასტურია. ქტესიფონის დაცემა საომარი მოქმედებების დასრულებას ნიშნავდა.

ვერ ვიტყვით სასანურ ირანზე. წერილობითი სახით რომაელების მიერ შექმნილი ტრაქტატების მსგავსი დოკუმენტები არ გვხდება. მაგრამ, სასანური ირანის თავდაცვითი კედლებისა და ციხესიმაგრეების ადგილმდებარეობა და მათი გამოყენება ომში მეტყველებდა იმაზე თუ რაოდენ კარგი ხედვა გააჩნდათ ირანელებს საკუთარი საზღვრების და მათ ირგვლივ მცხოვრებ ხალხებზე. კტესიფონში მჯდომ შაჰანშაჰს ესმოდა თუ საიდან მომდინარეობდა იმპერიისთვის უმთავრესი და მეორეხარისხოვანი საფრთხე. იმპერიისთვის ჩრდილოეთ საზღვარი პრიორიტეტს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს, რომაელების მსგავსად, არ გააჩნდათ ზუსტი გეოგრაფიული რუკები, მათ მიერ აღმართული კედლები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სამხრეთი ნაწილის დასაცავად, მეტყველებს გეოგრაფიის ცოდნის მაღალ დონეზე.

წმინდა სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ნაჩვენები იყო, რომ სასანიანები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ რომაელებს/ბიზანტიელებს. თავდაცვითი კედლების განლაგება, მაგალითად, კასპიის ზღვის დასავლეთ მხარეს, დარუბანდის ციხესიმაგრის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, მეტყველებს ირანელებში როგორც წინა-ხაზზე-თავდაცვის, ასევე უკანა-ხაზზე-თავდაცვის სტრატეგიების ერთდროულ გამოყენებაზე. თვალსაჩინოა ისიც, რომ რომაელების მსგავსად სასანიანები კედლების მასშტაბები განსხვავდებოდა ამა თუ იმ საზღვარზე არსებული მეტოქის სპეციფიკიდან. ისლამამდელი არაბების თავდასხმები, ძირითადად, საზღვრისპირა დაუცველ დასახლებებზე ხორციელდებოდა. შესაბამისად, ისინი სასანიანთა იმპერიას სახელმწიფოებრივ საფრთხეს არ უქმნიდნენ. თუმცა, ეკონომიკური ზარალი შეიძლება საკმაოდ მაღალიც ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ირანელების მიერ აგებული კედელი მესოპატამიის სამხრეთით არ წარმოადგენდა მასშტაბურ ნაგებობას. შაჰანშაჰებს დიდი კედელი უბრალოდ არ ესაჭიროებოდად. საკმარისი იყო მცირე კედლის აგება ვაჭართა მიმოსვლის გასაკონტროლებლად და არაბების მცირე დაჯგუფებების შესაჩერებლად. იმპერიული ჯარის მსხვილი შენაერთების დაყენება საკმაოდ რთულ რელიეფზე (ნახევრად უდაბნო; უდაბნო) ნომადი არაბების მობილური დაჯგუფებების წინააღმდეგ სამხედრო კუთხით არ იქნებოდა მომგებიანი. შესაბამისად, მცირე საჯარისო შენაერთები და დიპლომატიური სტრატეგიების (იხ. ქვემოდ) შემუშავება იყო ერთადერთი გამოსავალი.

არაბებთან შედარებით ევრაზიის სტეპებში მცხოვრები ნომადები უფრო მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენდნენ. მათ მიერ განხორციელებული თავდასხმების არეალი შთამბეჭდავი იყო და გადაიჭიმებოდა თანამედროვე პაკისტან-ავღანეთის ტერიტორიიდან, თურქმენეთ-ირანის საზღვრიდან ცენტრალურ აზიაში ჩრდილოეთ კავკასიონამდე. გარდა გეოგრაფიული არეალისა, ნომადებს განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნდათ ომის წარმოებაში – ცხენი. შესაბამისად, მათი შეტევების შესაჩერებლად სასანიანებმა გადაწყვიტეს მსხვილი საფორტიფიკაციო ნაგებობები გაეშენებინათ იმპერიის მთელ ჩრდილოეთ საზღვრზე სადაც ბუნებრივი ბარიერების ნაკლებობა იყო. თუმცა, ძლიერ კედლებს აგრეთვე მსხვილი საჯარისო შენაერთების არსებობა ესაჭიროებოდა.

ირანელების ყველაზე დიდი მეტოქე კონსტანტინოპოლი იყო, მაგრამ საზღვარი ორ იმპერიას შორის საკმაოდ პატარა მონაკვეთზე იკვეთებოდა – ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთში. გეოგრაფიული პირობებიდან (უმეტესად მთიანი რელიეფი) გამომდინარე ირანელებს კარგად ესმოდათ, რომ რომალების შესაჩერებლად ყველაზე ეფექტიანი ციხე-სიმაგრეების ჯაჭვების აგება იქნებოდა. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, თუ როგორ კარგად იყვნენ გაცნობიერებულები ირანელი მესვეურები იმპერიის სტრატეგიული საჭიროებების შესახებ.

მაგრამ, რომის იმპერიასთან ირანელების წარმატებული კონკურენცია მხოლოდ სამხედრო კუთხით არ შემოიფარგლებოდა. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე თუ როგორ შექმნეს სასანიანებმა რომაელების საპასასუხოდ საკუთარი კლიენტელა თავისი საზღვრების გასწვრივ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სასანიანების პოლიტიკაში წინაისლამური ხანის არაბებთან მიმართებაში. იმავეს თქმა შეიძლება სამხრეთ კავკასიის ხალხებზეც. სხვა სიტყვებით, სასანიანები იყენებდნენ ფულს, ტიტულებს, მიწების დარიგება და სხვა ხერხებს ამა თუ იმ პატარა ხალხის ლიდერის/მხედართმთავრის მორჩილების მოსაპოვებლად. ამ კომპონენტშიც საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ირანელები არა მარტო თანაბარ კონკურენციას უწევდნენ ბიზანტიელების მიერ შექმნილ მსგავს ალიანსებს, არამედ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ირანელთა მოკავშირეები სამხედრო კუთხით უპირატესაბაც ფლობდნენ.

ნაშრომის ამ ნაწილის ერთერთი მთავარი დასკვნა არის, რომ სასანიან მმართველებს შეეძლოთ სტრატეგიულად ემსჯელად. სხვა სიტყვებით, თითოეულ

შაჰანშაჰს კარგად ჰქონდა გააზრებული თუ რა ინტერესები ამოძრავებდა იმპერიას. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კი, სავარაუდოდ, დიდი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკურ, სოციალურ, თუ რელიგიურ საკითხებს. ამის კარგი მაგალითია ზემოთ განხილული მონაკვეთი პროკოპი კესარიელის ნაშრომიდან, როდესაც იუსტინიანეს კარზე იღებდნენ გადაწყვეტილებას დაეწყოთ თუ არა ომი ვანდალებთან. მაგრამ, ამავე სურათის წარმოდგენა შეგვიძლია სასანიანთა შაჰანშაჰების კარზეც. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ხოსრო ანუშირვანი ეგრისის ომის დროს კოლხეთში ლაშქრობის მოსაწყობათ ყველა ზემო ხსენებული ფაქტორი გაითვალისწინა. პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ლაზების ელჩების სიტყვა შაჰანშაჰის კარზე ამის ნაწილობრივი დადასტურება.[81]

[81] რომაელების მსგავსად, სასანიანებს შეეძლოთ შორეულ ტერიტორიებზე სამხედრო ძალების გადასხმა, როგორც ეს მათ 570-იანი წლების ბოლოს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით განახორციელეს.

თავი VI

ბიზანტიის „ქრისტიანობის გეოპოლიტიკა“

ქართლის გაქრისტიანება IV საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ რთული ეკონომიკური და სოციალური პროცესების თანმდევი მოვლენა იყო. უფრო მეტიც, ახალმა რელიგიურმა მრწამსმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართლის საგარეო პოლიტიკაზეც. ქრისტიანობამ ქართლი რომთან, შემდეგ ბიზანტიურ სამყაროსთან, კიდევ უფრო მეტად დააახლოვა, ხოლო სასანური ირანის რელიგიური, თუ პოლიტიკური შეტევა რეგიონისადმი კი, გაამძაფრა. საკმაოდ ბევრი დაიწერა საქართველოში, თუ დასავლეთში ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასა და მის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებაზე (ჰაასი, 2008). თითოეულ ნაშრომში ყურადღება უშუალოდ საქართველოში მიმდინარე რელიგიურ, თუ ეკონომიკურ პროცესებზე არის გამახვილებული, ხოლო ნაკლები ითქმის იმდროინდელ რომაულ სამყაროში მიმდინარე რელიგიურ პროცესებზე, კერძოდ კი, ქართლის პარალელურად IV-V საუკუნეებში, კიდევ რომელ ქვეყნებში მიმდინარეობდა გაქრისტიანება. შეგვიძლია თუ არა დავინახოთ საერთო მახასიათებლები, მაგალითად, გუთების, ეთიოპიელების და ქართველების გაქრისტიანებაში? რამდენად დიდი იყო კონსტანტინოპოლის როლი იმპერიის სამეზობლოში მცხოვრები ხალხების გაქრისტიანებაში? შეგვიძლია ვილაპარაკოთ ბიზანტიელი იმპერატორების ერთგვარ „სტრატეგიაზე“ ქრისტიანობის გამიზნულ გატანაში იმპერიის საზღვრებს გარეთ? სხვა სიტყვებით, ცდილობდნენ თუ არა, იმპერიის მესვეურები ხელი შეეწყოთ პირველ რიგში იმ ხალხების და ტერიტორიების გაქრისტიანებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანი იყო კონსტანტინოპოლისთვის, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე საზღვრების უსაფრთხოების კუთხით.

ქვემოთ მოყვანილ სტატიაში განხილული იქნება რომის იმპერიის პერიფერიაზე მცხოვრები რამოდენიმე ხალხის გაქრისტიანების პროცესი.

მოყვანილი იქნება ეთიოპიელების, ისლამამდელი არაბების, გუთებისა და სომხების მაგალითი. ხოლო ამის შემდეგ, გადავალთ ქართლის გაქრისტიანების საკითხზე. ნაჩვენები იქნება, რომ იმპერატორები, ზოგ შემთხვევაში, ქრისტიანობის გავრცელების პირდაპირი ინიციატორები იყვნენ, ზოგ შემთხვევაში კი, ახალი რელიგიის გავრცელება იმპერიისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე შემთხვევაშიც კი, როდესაც იმპერიის მესვეურები მოგვიანებით გებულობდნენ ამა თუ იმ მეზობელი ხალხის (მაგ. ქართველები თუ ეთიოპიელები) გაქრისტიანების შესახებ, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის გამოყოფა კონტანტინოპოლიდან როგორც წესი არ იგვიანებდა.

ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში ახალი წელთააღრიცხვიდან დაიწყო (სვენციცკაია, 1987: 76-89; 161-174), თუმცა ახალი რელიგიის ინსტიტუციონალიზაცია, ან ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობა, IV საუკუნის დასაწყისიდან გვხდება. კონსტანტინე დიდის მიერ, 324 წელს, ლიციინიუსზე, თავის აღმოსავლელ იმპერიულ კოლეგაზე, გამარჯვების მოპოვებისა და რომაული სამყაროს ერთპიროვნულ მმართველად გახდომის მიუხედავად (ბარნსი, 1985: 126-130; ისტორია, 2013: 45-65; კემერონი, 1993: 57-65), ქრისტიანობა არ გამოცხადებულა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად. არც 313 წლის ოქტომბერში გამოცემული „მილანის ედიქტი“, არც 325 წელს კონსტანტინოპოლის მოპირდაპირე სანაპიროზე მოწვეული ნიკეის კრება, ან, თუნდაც, იმპერატორის მონათვლა 337 წელს მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში, არ შეიძლება განიხილოს როგორც იმპერიის გაქრისტიანების ცალსახა ნიშნები (რამელი, 2013: 65-70). ერთერთი დამატებითი არგუმენტი ამისა იქნება ისიც, რომ მილანის ედიქტის შემდეგაც, კერძოდ 322 წლამდე, კონსტანტინემ გააგრძელა თავის მონეტებზე წარმართული ღმერთების – მარსისა და იუპიტერის გამოსახვა (ჰაასი, 2008: 101).

თუმცა, ქრისტიანობამ მყარი საფუძველი ზუსტად კონსტანტინეს მმართველობის დროს მოიპოვა. 324 წელს ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ, მან ცვლილებები შეიტანა კანონმდებლობაში და საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა მომავალში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთვის (ბარნსი, 1985: 126-130). შემდგომ კი, კონსტანტინემ იმპერიის მოხელეებს აუკრძალა წარმართული რელიგიური რიტუალები გამართვა. აგრეთვე, აიკრძალა წარმართული კერპების აღმართვა და ორაკულებისთვის მიმართვა.

კონსტანტინეს მმართველობაში ქრისტიანობის წინა პლანზე წამოწევამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე. ასე, მაგალითად, 332 წელს გუთებზე, ხოლო 334 წელს კი, სარმატებზე მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებში, ცალკე თავები იყო შეტანილი (ჰეევერი, 2009: 81-90) ამ ორ დამარცხებულ ხალხში ქრისტიანების ხელშეუხებლობაზე. კონსტანტინე თავის თავს, არა მარტო ქრისტიანობის დამცველად, არამედ იმპერიის მეზობელ წარმართ ხალხებში ქრისტიანობის დამცველადაც მიიჩნევდა. კონსტანტინეს ამბიციებზე მეტყველებს მისი ბარ-ბაროსებთან დადებული ზემოხსენებული ხელშეკრულებები და მის მიერ სასანი-ანი შაჰანშაჰის, შაპურ II-სადმი, მიწერილი წერილიც (დაახლოებით 324 წელი) (ბარნსი, 1985: 126-130). გზავნილში, იმპერატორი ირიბად აცხადებს პრეტენზიას იყოს ქრისტიანების დამცველი არა მარტო თავისი იმპერიის შიგნით, არამედ იმ-პერიის გარეთაც, კერძოდ, მესოპოტამიაში. ეს არ იყო უბრალო რიტორიკა. კონსტანტინემ კარგად ჰქონდა გააზრებული, თუ რა გლობალურ ძალასთან უ-წევდა კონსტანტინოპოლს მეტოქეობა შავი ზღვიდან არაბეთამდე ბატონობის მოსაპოვებლად.

შაბურს ყველა მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ ეჭვის თვალით შეეხედა რომის იმპერიაში ახალი სახელმწიფო რელიგიისთვის. სასანიანები თავიდანვე მიხვდნენ, რომ ქრისტიანობა კონსტანტინოპოლის მიერ გამოიყენებოდა, როგორც დამატებითი ხერხი საგარეო პოლიტიკაში მეზობლებზე გავლენის მოსაპოვებლად. ირანის სტრატეგიული მდგომარეობა გაუარესდა, როდესაც მის ჩრდილოეთით არსებულ სამხრეთ კავკასიის სამეფოებში, ქართლსა და სომხეთში, IV საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (ჰაასი, 2008: 101-123). შაბურს კარგად ესმოდა, რომ მესოპოტამიაში არსებული მსხვილი ქრისტიანული დასახლებები შეიძლებოდა კონსტანტინეს საგარეო პოლიტიკის სამომავლო მიზანი გამხდარიყო. ამიტომაც, 336 წელს, შაჰანშაჰმა პრევენციული თავდასხვა განახორციელა სომხეთზე და ირანისთვის მისაღები კანდიდატურა აიყვანა ტახტზე. კონსტანტინემ ეს ამბავი საბაბად გამოიყენა და აღმოსავლური კამპანიისთვის მზადება დაეწყო. წყაროებიდან ვიცით, რომ მასთან ერთად აღმოსავლეთში ბევრი სასულიერო პირი უნდა წასულიყო, თვითონ კი, მესოპოტამიაში შესვლამდე, მდინარე იორდანეში უნდა მონათლულიყო. ცნობების მიხედვით, მას სურდა სასანიანთა ტახტზე თავისი ნათესავის, ჰანიბალიანეს დაყენება. კონსტანტინემ წინასწარ

ახალი მონეტებიც მოჭრა, სადაც ჰანიბალიანე *rex*-ად, „მეფედ“, იყო წოდებული (ბარნსი, 1985: 9). მაგრამ, კონსტანტინეს მთელი წამოწყება, 337 წლის 22 მაისს, ქალაქ ნიკომედიაში, მისი გარდაცვალებით დასრულდა (ბარნსი, 1985: 9).

ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობის სტატუსის ამაღლებამ და საგარეო ურთიერთობებში, მეზობლებზე გავლენის მოსაპოვებლად მისმა გამოყენებამ, გამოიწვია სასანიანთა საწინააღმდეგო რეაქცია. ქრისტიანები მესოპოტამიაში კონსტანტინეს რომაულ სამყაროში ერთპიროვნულ მმართველად გამოცხადებამდეც ცხოვრობდნენ, თუმცა ახალი რელიგიის პოლიტიკურ ფაქტორად გადაქცევა ზუსტად კონსტანტინემ მოახდინა. მან შაბურს იგივე ულტიმატუმი წაუყენა ირანში ქრისტიანებთან მიმართებაში, რაც 312 წელს მაქსენტიუსს, ხოლო 324-ში – ლიცინიუსს. ის, თუ როგორ უყურებდა კონსტანტინე ქრისტიანობას და როგორ ესმოდა ახალი რელიგიის როლი რომის საგარეო ამბიციებთან მიმართებაში, კარგად ჩანს ევსევი კესარიელის *Vita Constantini*-ში. ავტორი ბევრ ფაქტს გადმოგვცემს იმპერატორის ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების შესახებ. თუმცა, ერთერთ პასაჟში იმასაც ვკითხულობთ, რომ კონსტანტინეს საკუთარი თავი, პირველ რიგში, აღქმული ჰქონდა იმპერიის საზღვრებს გარეთ ქრისტიანობის გამავრცელებლად (ევსევი კესარიელი, 1975: IV: 24).

ქრისტიანობის გავრცელება ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. თუ იმპერიის შიგნით გაქრისტიანების პროცესი, ძირითადად, შემოიფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვაზე არსებული მსხვილი საპორტო ქალაქებით, იმპერიის შიდა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა უმეტესად წარმართული რჩებოდა. საინტერესოდ მიმ-დინარეობს IV-V საუკუნეებში ქრისტიანობის გავრცელება ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ე. წ. „ქრისტიანობის ექსპორტი“ ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც იმპერიას მისი საზღვრებს გარეთ ძლიერი მტრებისგან შემდგარი რკალი ეკვრება.

IV საუკუნეში ვითარება იცვლება უშუალოდ იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც დუნაის და რაინის მდინარეების გაღმა ჩნდებიან გერმანული ტომების ძლიერი კონფედერაციები. გუთებს, ალემანებსა და ფრანკებს მარტივად შეეძლოთ ძლიერი სამხედრო კოალიციების შეკვრა რომის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერიული ჯარი დისციპლინითა და სამხედრო შეიარაღებით კვლავინდებურად უფრო მაღლა იდგა ბარბაროსთა ჯარებზე. თუმცა, წინა საუკუნეებთან შედარებით, მასში ერთი ფუნდამენტური ცვლილება მოხდა.

ამიერიდან იქნება ეს კონსტანტინე დიდის თუ იულიანე განდეგილის ჯარები, იმპერიას აღარ შეეძლო ბარბაროსული კონფედერაციების სრული დაშლა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ევრაზიის შიდა რეგიონებიდან მომდინარე ჰუნების სამხედრო ძალამ სრულიად თავდაყირა დააყენა არსებული რომაულ-გერმანული პოლიტიკური ძალთა ბალანსი. ჰუნები – ნომადები – გერმანული ტომებისგან განსხვავებული სამხედრო კულტურის მატარებელნი იყვნენ. ბრძოლებში ცხენისა და ე. წ. „შედგენილი“ მშვილდის გამოყენებით ჰუნებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს გუთებთან ბრძოლაში და 376 წლისთვის მოახერხეს მათი ძირითადი ძალების დამარცხება (ჰევერი, 2006: 145-158), რაც კარგად არის ასახული ამიანე მარცელინეს მონათხრობში გუთების მცდელობის შესახებ, 376 წელს, მდინარე დუნაი გადაელახათ და იმპერიის ბალკანურ პროვინციებში დასახლებულიყვნენ (ჰევერი, 2006: 158-167). შესაბამისად, IV საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ რომის იმპერია მნიშვნელოვანი სტრატეგიული დილემის წინაშე დადგა. ჰუნების განსხვავებული სამხედრო ტაქტიკის გარდა, რომაელთა პრობლემას ისიც ამძიმებდა, რომ ჰუნებმა მოახერხეს დუნაისპირეთის, შავი ზღვისა და კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე დარჩენილი გუთების, სკირებისა და სხვა გერმანული ტომების გაერთიანება, ერთგვარი კონფედერაციის შექმნა და ბიზანტიისთვის, როგორც შავი ზღვის დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ მხრიდან სამხედრო საფრთხის შექმნა (ჰევერი, 2009: 227-238).

III საუკუნის ბოლოსა და IV-ის დასაწყისში, მიუხედავად დიოკლეტინესა და მაქსიმიანესგან განცდილი მარცხებისა, სასანიანთა იმპერიას უარი არ უთქვამს თავის ამბიციებზე (ყოველ შემთხვევაში რიტორიკულად) რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების მიმართ. 299 წლის ნიზიბინის ზავის შემდეგაც, სასანიანები აგრძელებდნენ შეტევებს ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთზე (დიგნასი, 2007: 84-88). სასანიანები, აგრეთვე, გავლენას ავრცელებენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზეც – პოლიტიკური თუ რელიგიური წნეხი ქართლსა და ალბანეთზე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პართიის იმპერიის არსებობის პერიოდში.

მართალია, რომის იმპერიისთვის პალესტინის საღზვარი, სხვა საზღვრებთან შედარებით, ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა, როგორც ნაჩვენები იყო ბიზანტიასა და არაბ ტომებს შორის არსებული ურთიერთობების განვითარებით, V საუკუნის ბოლოსა და VI-ის დასაწყისში, ვითარება

პალესტინის საზღვარზე იმპერიის საწინააღმდეგოდ იცვლება (ფიშერი, 2011: 35-49). სასანიანების მოკავშირე არაბი ტომები – ნასრიდები – მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს აყენებებდნენ რომის აღმოსავლურ პროვინციებს და, უფრო მეტიც, მარტივად შეეძლოთ ჩაეჭრათ იუსტინეს, ანასტასიუსისა და იუსტინიანეს მიერ განახლებული სავაჭრო გზები წითელი ზღვით ინდოეთამდე (ფიშერი, 2011: 144-153).

ასეთი რკალი იკვრება გვიანი ბიზანტიის საზღვრების გასწვრივ IV საუკუნის განმავლობაში. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა სამხედრო სტრატეგიებს მიმართავდნენ რომალები/ბიზანტიელები იმპერიის საზღვრისპირა პროვინციების დასაცავად. აგრეთვე, ყურადღება გავამახვილეთ იმპერიული პრესტიჟის (წოდებები, ფული) გამოყენებაზე არაბ ტომებთან, თუ დუნაის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსებთან მიმართებაში. თუმცა, არაფერი გვითქვამს იმაზე, თუ რა როლს ასრულებდა ქრისტიანობა რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. შეგვიძლია თუ არა, დავინახოთ იმპერიის მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება, როგორც გამიზნული საგარეო პოლიტიკური კურსი არსებული რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ბევრი მაგალითი გაგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ბიზანტიელმა იმპერატორებმა ქრისტიანობის გავრცელებაში საკუთარი იმპერიის საზღვრების დაცვის ერთერთი საშუალება დაინახეს. სხვა სიტყვებით, IV საუკუნეში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იმპერიის შიგნით ქრისტიანობის გამარჯვება სულაც არ იყო გარანტირებული, ხოლო ტახტზე რამოდენიმე წლის განმავლობაში წარმართული რელიგიის მიმდევარი იულიანე განდეგილიც (361-363 წწ.) კი იჯდა, იმპერიის მმართველები გამიზნულად აწარმოებდნენ ახალი რელიგიის მეზობელ ხალხებში გავრცელებას. ამავდროულად, ქრისტიანობის გავრცელება, ძირითადად, იწარმოებოდა იმ მიმართულებებით, რომელიც ბიზანტიის იმპერიისთვის სამხედრო, თუ ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდა. ამ მხრივ, საინტერესო მაგალითებია ეთიოპიის (აქსუმის სამეფოს სახელით ცნობილი) და ჰიმიარის სამეფოს (იემენი) ურთიერთობები ბიზანტიის იმპერიასთან.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ბიზანტიის გვიან ანტიკურობაში, თანამედროვე ეთიოპიისა და ერიტრეის ტერიტორიაზე არსებული, აქსუმის

სამეფოს გაქრისტიანების ისტორია. აქსუმის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეთიოპიელები ჭრიდნენ ოქროს მონეტებს, რითაც გვიანი ანტიკურობაში, მსგავსი წარმატების მქონე, ოთხ იმპერიათა შორის ერთერთს წარმოადგენდნენ (ჰაასი, 2008: 102). ქვეყნის მმართველი მეფეთა მეფედ – ეთიოპურად „ნეგუსა ნაგასტ“ – იწოდებოდა. IV საუკუნის დასაწყისში აქსუმში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომელიც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში სამეფოს კულტურულ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საგარეო პოლიტიკურ ორიენტირზე ფუნდამენტური გავლენა მოახდინა.

დაახლოებით იმავე წელს, როდესაც კონსტანტინემ ლიცინიუსზე გამარჯვება მოიპოვა, ეთიოპიის მეფე ეზანა I მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა საკუთარ მონეტებზე. თუ აქამდე, ეთიოპიელი მეფეები მონეტებზე გამოისახებოდნენ დიადემაში მთვარისა და მზის ელემენტებთად ერთად,[82] ეზანამ ეს ჩაანაცვლა ტრადიციული ქრისტიანული იკონოგრაფიით – ჯვრით. მონეტებზე ჯვრის გამოსახვა წინ უსწრებდა რომის იმპერიაში მსგავსი ტრადიციის ჩამოყალიბებას და ეთიოპიაში VII საუკუნემდე გვხვდება.[83] ყველაფერი კი, ქალაქ ტივროსიდან წამოსული და ეთიოპიის ნაპირებთან, საზღვაო უბედური შემთხვევის შედეგად, ორი ახალგაზრდა ქრისტიანის ედესიუსისა და ფრუმენტიუსის მოღვაწეობით დაიწყო (ჰაასი, 2008: 102). თავდაპირველად, ისინი ტყვედ ჩავარდნენ შემდეგ კი, მონებად გაყიდეს, თუმცა მათმა განათლებულობამ და ბერძნული ენის ცოდნამ აქსუმის მეფის (სავარაუდოდ, ელა ამიდა) ყურადღება მიიპყრო. ორ ახალგაზრდას უფლება მიეცა ქრისტიანობა გაევრცელებინათ მთელი სამეფოს მასშტაბით, ხოლო ბიზანტიელ ვაჭრებს კი, თავისუფლად ევაჭრათ ეთიოპიის წითელი ზღვის პორტებში. რადგან ედესიუსი და ფრუმენტიუსი ახლოს იყვნენ ალექსანდრიის მღვდელ ათანასიუსთან, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მათი მოღვაწეობა ირიბათ ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა.

შაინტერესოა, თუ რითი იყო განპირობებული აქსუმის სამეფოსა და ბიზანტიას შორის არსებული ახლო კონტაქტები. ამის გასარკვევათ საჭიროა IV საუკუნიდან VI საუკუნის დასაწყისში გადავიდეთ, სადაც კარგად ჩანს, თუ

[82] ხშირად, მთვარისა და მზის ნაცვლად მონეტებზე დატანილი იყო მებრძოლი ღმერთი მაჰრემი, რომელსაც ეთიოპიელი მეფეები თავის დამცველად აღიქვამდნენ.
[83] ეზანას მემკვიდრეებმა, IV საუკუნის მოგვიანო პერიოდში, მონეტებზე გამოსახული ჯვარი უფრო გაადიდეს, რამაც მონეტების ზურგის მთელი ნაწილი დაიკავა.

როგორ ცდილობდა კონსტანტინოპოლი ქრისტიანობის გამოყენებას საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. VI საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს მმართველობაში, ეთიოპიასა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობამ სტრატეგიულ დონეს მიაღწია. იუსტინიანეს დროს ეთიოპია ბიზანტიური ქრისტიანული „სამეგობროს“ წევრი გახდა. თანამედროვე რუკების არარსებობის გამო, იუსტინიანეს სჯეროდა, რომ ეთიოპია უშუალოდ ინდოეთს ემეზობლებოდა, რაც ამ უკანასკნელთან პირდაპირი სავაჭრო გზის შექმნას გაადვილებდა სასანური ირანის სახმელეთო, თუ საზღვაო პუნქტების გვერდის ავლისთვის. ფაქტი, რომ ეთიოპიაში მონოფიზიტობა (რომელიც სასტიკად იდევნებოდა იუსტინიანეს ხელისუფლების მიერ) იყო გავრცელებული, ხელს არ უშლიდა კონსტანტინოპოლს აქტიური მოლაპარაკებები ეწარმოებინა აქსუმთან და ეს უკანასკნელი ახლო მოკავშირეებში შეეყვანა. ბიზანტიელებმა ეთიოპიის გაქრისტიანება ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში, კონსტანტინე დიდის მემკვიდრის კონსტანციუსის დროს მოახერეს. თუ კონსტანტინოპოლის პოზიცია აქსუმთან ალიანსის შესახებ გასაგები იყო, მონოფიზიტი ეთიოპიელების ლტოლვა თავის „მთავარ რელიგიურ მტერთან“ დიოფიზიტ იმპერატორთან შეეკრათ პოლიტიკური კავშირი თავდაპირველად გაკვირვებას იწვევს. თუმცა, აქსუმელებისთვის, ისევე როგორც ბიზანტიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ სხვა მონოფიზიტ ხალხებისთვის, კონსტანტინოპოლში მჯდომი იმპერატორი ღვთის მიერ დანიშნულ ერთადერთ მმართველს წარმოადგენდა. ეთიოპიელებს კარგად ესმოდათ ისიც, რომ ბიზანტიელების სამხედრო მხარდაჭერის გარეშე, სამხრეთ არაბეთზე კონტროლის დამყარება ვერ მოხერხდებოდა.[84] გარდა ამისა, აქსუმელებს კარგად ესმოდაც ისიც, რომ ერთის მხრივ, სამხრეთ არაბეთსა და მათ შორის, ხოლო მეორეს მხრივ კი ბიზანტიელების და ინდოელების ვაჭრობის შეზღუდვაზე აგრეთვე სასანიანებიც ფიქრობდნენ. შესაბამისად, ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობის მიუხედავად ბიზანტიელები და ეთიოპიელები თავისი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს უფრო მაღალ დონეზე აყენებდნენ.

384-502 წლებში, წინა საუკუნეებისგან მკვეთრი განსხვავებით, მახლობელ აღმოსავლეთში, კავკასიონიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე სიმშვიდემ

[84] ეს ყოველივე მიუხედავად იმისა, რომ IV-V საუკუნეებში ეთიოპია უკვე წარმატებით აწარმოებდა ვაჭრობას ინდოეთის პორტებთან.

დაისადგურა. ომი რომსა და ირანს შორის ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა, გარდა ორი მოკლე კონფლიქტისა (421-422 და 440 წწ.). იმპერიები ძირითადად ჩრდილოეთიდან მომდინარე ნომადური საფრთხის მოგერიებით იყვნენ დაკავებულები (ბლოკლი, 1992: 58-88). ვაჭრობა ბიზანტიასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის, ძირითადად, სასანური ირანის ტერიტორიის, კერძოდ კი მესოპოტამიის მდინარეების მეშვეობით მიმდინრეობდა. ამრიგად, ტვირთი ამ სავაჭრო გზაზე გავლისას, უმეტეს ნაწილს წყალზე გადიოდა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა ტრანსპორტირებას. ბიზანტიელები აგრეთვე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სტეპებში მცხოვრებ ნომად ხალხებთან ჩრდილოეთ სავაჭრო გზის გააქტიურებასთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტვირთის ბრუნვის მასშტაბებიდან გამომდინარე, სამხრეთის სავაჭრო გზა VI საუკუნეში უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ყველაფერი შეიცვალა 502 წელს შაჰანშაჰ კავადის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებით და ბიზანტია-ინდოეთს შორის სავაჭრო გზის გამიზნული ბლოკირებითა, თუ მასზე დამატებითი გადასახადების დაწესებით. ვითარება განსაკუთრებულად გაუარესდა 531 წელს ტახტზე ხოსრო ანუშირვანის ასვლის შემდეგ. 525 წელს ბიზანტიელებმა დაიბრუნეს იოტაბეს კუნძული – პირველი პუნქტი წითელი ზღვის გასაკონტროლებლად. შემდეგი ნაბიჯი იყო ქრისტიან ეთიოპიელებთან დაკავშირება და მათი მეშვეობით სამხრეთ არაბეთის დაკავებაც, რათა მომავალში ირანს ვერ მოეხერხებინა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის ხელში ჩაგდება (იხ. ამ ნაშრომის ნაწილი ბიზანტია-არაბების ურთიერთობებზე).

ბიზანტიელებმა ოსტატურად გამოიყენეს საერთო ქრისტიანული მრწამსი და ეთიოპიელები იემენზე გასალაშქრებლად წააქეზეს. ეთიოპიელებმა იემენზე პირველი თავდასხმა 507 წელს განახორციელეს. თავდაპირველი წარმატებების მიუხედავად – რაც აისახა კიდეც რეგიონში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაში – აქსუმელების პირდაპირი მმართველობა იემენზე არ იყო ხანგრძლივი. დაახლოებით 524 წელს, ვინმე იუსუფი, ეროვნებიით ებრაელი, აუჯანყდა ეთიოპიელების მიერ დანიშნულ მეფეს და თავი იემენის მბრძანელბლად გამოაცხადა. ამის შემდეგ, იუსუფმა დაიწყო ქრისტიანების დევნა სანამ მათ იუდეველობაზე მოაქცევდა. იუსუფმა გაანადგურა ეთიოპიელების სამხედრო შემადგენლობა, რომელიც ქალაქ ზაფარში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ კი, ჩრდილოეთით, ქალაქ ნაჟრანში მასობრივად გაჟლიტა ქრისტინები. დაახლოებით

2,000 ქრისტიანი ცოცხლად დაწვეს ერთერთ ეკლესიაში.

ამის საპასუხოდ, იმდროინდელი ეთიოპიის მეფე კალები დაუკავშირდა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინე I მისთვის სამხედრო დახმარების თხოვნით. კონსტანტინოპოლმა თანხმობა განაცხადა და 524-525 წლების ზამთარში ბიზანტიელ ვაჭართა ფლოტმა თავი მოიყარა ეთიოპიის უმთავრეს საპორტო ქალაქ ადულისში, საიდანაც ორი სამხედრო კამპანიის მოწყობით მოხერხდა იუსუფის დამხობა. კალები შეუდგა დაკარგული ძალაუფლების გაძლიერებას, პირველ რიგში, ქრისტიანობის აღდგენით. თუმცა, საბოლოოდ, მის ჯარებს იემენში ერთერთი ყოფილი ეთიოპიელი ვაჭარი სახელად აბრაჰა აუჯანყდა. მიუხედავად აბრაჰას აჯანყების წარმატებისა, იემენი დარჩა ეთიოპიელ მმართველთა გავლენის ქვეშ, ხოლო აბრაჰაზე ვიცით, რომ ხარკსაც უხდიდა აქსუმს. ვითარება არ შეცვლილა 570-იანი წლების ბოლომდე, როდესაც სამხრეთ არაბეთი ხოსრო ანუშირვანის ჯარებმა დაიკავეს.

ქრისტიანობის ბიზანტიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში გავრცელების მეორე საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ამბავი ულფილაზე[85] და მის მოღვაწეობაზე გუთებში. ულფილა დაიბადა III საუკუნის დასაწყისში დუნაის ჩრდილოეთში და წარმოშობით იყო იმ რომაელთა ტყვეების შვილი, რომელიც გუთებმა მცირე აზიიდან[86] III საუკუნის ბოლო მეთოხედში განხორციელებული ლაშქრობებისას აიყვანეს. ულფილას გუთური სახელი მეტყველებს იმაზე, რომ გუთებში მცხოვრები რომაელები მინიმუმ ლინგვისტურად მიესადაგნენ ახალ გარემოს, რომელშიც ტყვეობის შემდეგ მოუწიათ ცხოვრება. შესაბამისად, როგორც ტყვეობაში მყოფი მეორე თაობის რომაელი, ულფილა თავისუფლად საუბრობდა ლათინურად, ბერძნულად და გუთურად. დიდი ალბათობით, გუთებში მცხოვრები რომაელი ტყვეები IV საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ქრისტიანები იყვნენ, რადგან რელიგია იყო ერთერთი საშუალება საკუთარი თავი გუთებისაგან ეთნიკურად გაემიჯნათ. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ ულფილამ უკვე ახალგაზრდობაში დაიწყო ეკლესიაში მოღვაწეობა, რომელიც მეორე თაობის რომაელი ტყვეების მიერ იყო აგებული. ულფილა გააგრძელებდა თავის მოღვაწეობას დუნაის ჩრდილოეთით და არ იქნებოდა ისეთი ცნობილი, როგორიც გახდა შემდგომში მისი პერსონით კონსტანტინოპოლის დაინტერესების გამო.

---

[85] მისი სახელი გუთურად „პატარა მგელს“ ნიშნავს.

[86] ულფილას ოჯახი ტყვეთ ჩავარდნამდე ცხოვრობდა მცირე აზიის ქალაქ ფარნასოსში (კაპადოკია).

340 წლების დასაწყისში კონსტანტინე დიდის მემკვიდრემ, ღრმად მორწმუნე იმპერატორმა კონსტანციუს II (337-361 წწ.), გადაწყვიტა, რომ კონტანტინე დიდის დროს გუთებზე მოპოვებული პოლიტიკური გავლენა საკმარისი არ იყო დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრები მძლავრი გუთური სახელწიფოებრივი ერთეულის შეკავებისათვის. გუთებში მცხოვრები ქრისტიანი რომაელი ტყვეების მხარდასაჭერად მან 341 წელს ულფილა კონსტანტინოპოლში მოიპატიჟა და გუთებში „ქრისტიანების ბერად“ დანიშნა. ამის შემდეგ ულფილა გაგზავნეს გუთებში სადაც, როგორც ჩანს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში წარმატებით ახორციელებდა ქრისტიანობის გავრცელებას არა მარტო რომაელ ტყვეებში, არამედ უშუალოდ გუთებში. სავარაუდოდ, ზუსტად ამან გამოიწვია გუთების უკმაყოფილება, რადგან ქრისტიანობის გავრცელებით რომს სამხედრო საშუალების გარდა კიდევ ერთი არანაკლებ ძლიერი ხერხი გამოუჩნდებოდა დუნაის გაღმა საკუთარი გავლენის გასავრცელებლად. შედეგად, 347 წელს გუთებმა ულფილა, თავის ქრისტიან მომხრეებთან ერთად, აიძულეს დაეტოვებინა ქვეყანა. იმაზე, თუ როგორი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო გუთების გაქრისტიანება, მეტყველებს ისიც, რომ კონსტანციუსი თვითონ ჩავიდა დუნაისთან ულფილას დასახვედრათ და მას „ახალი მოსეც“ კი უწოდა.

ულფილას განდევნით, თითქოსდა, ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ იმპერიის მესვეურებს ხელი არ აუღიათ გუთებში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე. ულფილა და მისი მომხრეები ქალაქ ნიკოპოლისში დუნაისთან ახლოს დაასახლეს ისე, რომ მას კავშირი მთლიანად არ გაეწყვიტა მდინარის ჩრდილოეთით დარჩენილ ქრისტიანებთან. ზუსტად ნიკოპოლისში ცხოვრებისას, ულფილამ მოახდინა ბიბლიის თარგმნა გუთურ ენაზე, რაც რომელიმე გერმანიკულ ენაზე შესრულებულ პირველ წერილობით წყაროს წარმოადგენს.

გადავინაცვლოთ ბიზანტიის სირია-პალესტინის საზღვარზე. გეოგრაფიულად ბიზანტიის ეს საზღვარი დაუცველი იყო რადგან სირია-მესოპოტამიის უდაბნოსა და პალესტინას დასახლებულ პუნქტებს შორის რეალურად არ არსებობდა გეოგრაფიული ბარიერი. სხვა სიტყვებით, საზღვრის ეს მონაკვეთი დაუცველი იყო არაბი მოლაშქრეებისაგან. 224 წელს სასანიური ირანის ჩამოყალიბებამ და ამით მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გამოწვეულმა ძალთა ბალანსის შეცვლამ თავისი კვალი დატოვა არაბებთან ურთიერთობაზეც. თავდაპირველად ბიზანტიელები ცდილობდნენ სამხედრო გზით მოეპოვებინათ

უპირატესობა, რაც კარგად აისახა III საუკუნის დასასრულს იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ უდაბნოს მხრიდან სირიის დასაცავად ე. წ. *strata Diocletiana*-ს აგებით. მაგრამ, III საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელებით, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს, უკვე ქრისტიანობისთვის ლეგალური ბაზის შექმნით, ბიზანტიელებსა და არაბებს შორის არსებულ ურთიერთობებში ახალი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩნდება – რელიგია. ამრიგად, IV საუკუნის ბოლოდან კონსტანტინოპოლი სულ უფრო მეტად ცდილობს გავლენა მოახდინოს არაბ ტომებზე, არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ტიტულების, თუ ფულის დარიგებით, არამედ მათი გაქრისტიანებით.

არაბებში ქრისტიანობა ვრცელდებოდა პალესტინა-სირიის ტერიტორიაზე არსებული ბერ-მონაზონთა მრავალ ცენტრში მცხოვრებ რელიგიური პირების მიერ. რადგან საფრთხე საზღვრის ამ მონაკვეთიდან არ იყო იმავე დონის, როგორც დუნაისპირეთიდან, ხოლო კონსტანტინოპოლი არაბების მეშვეობით არ გეგმავდა სხვა ხალხების გაკონტროლებას ისე, როგორც ეს ეთიოპიელების შემთხვევაში იქნა განხორციელებული. ბიზანტია მიზნად არ ისახავდა არაბების სწრაფ გაქრისტიანებას. პროცესი შედარებით ნელი ნაბიჯებით მიმდინარეობდა. V საუკუნეში მცხოვრები სასულიერო პირის კირილე სკითოპოლისელის ნაშრომში წმინდა ევთიმეს შესახებ, მრავლად მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მოდიოდნენ ევთიმესთან არაბი ბედუინები უდაბნოდან ქრისტიანობის მისაღებათ. ევთიმეს მაგალითი მხოლოდ ერთერთია. მაგალითად, ისტორიკოს სოზომენთან გვხვდება ცნობები ერთერთი არაბი დაჯგუფების ლიდერის ზოკომოსის გაქრისტიანების შესახებ მის მომხრეებთან ერთად (ფიშერი, 2011: 75-99).

გაქრისტიანებით არაბებს საშუალება ეძლეოდათ უფრო მეტი სარგებელი ენახათ იმ სიმდიდრეში, რომელიც იმპერიიდან მომდინარეობდა. კონსტან-ტინოპოლელ იმპერატორებს უფრო მარტივად შეეძლოთ გაქრისტიანებული არა-ბების საიმპერიო სტრუქტურებში (ადმინისტრაციაში თუ ჯარში) ჩაბმა, რაც უფრო მეტად სარგებლიანი იყო არაბი დაჯგუფებისათვის.

ისტორიული სომხეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიად მას შემდეგ გადააქცია, რაც მახლობელი აღმოსავლეთში ძვ. წ. II საუკუნეში რომი და პართია გამოვიდნენ, ხოლო ახ. წ. 224 წლიდან კი პართიის იმპერია სასანურმა ირანმა ჩაანაცვლა.

სომხეთი, რომლის ჩრდილოეთიდაც კოლხეთი და იბერია, ხოლო აღმოსავლეთით ალბანეთი მდებარეობდნენ, წნეხს სასანური ირანის და ბიზანტიისგან განიცდიდა. სამხრეთით სომხეთი უშუალოდ ჩრდილოეთ მესოპოტამიას ესაზღვრებოდა და გადასვლა ერთი ტერიტორიიდან მეორეში და პირიქით შეზღუდული არ იყო რომელიმე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბარიერით. ხოლო ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მოხვედრისას ამ რეგიონის ლანდშაფტი ძალიან კარგ შესაძლებლობებს იძლეოდა, ჯარებისთვის თუ სავაჭრო ქარავნებისთვის, მარტივად გამოეყენებინათ მდინარეები და სამხრეთის მიმართულებით გაეგრძელებინათ სვლა. ისევე როგორც პართელებს, არდაშირ I 224 წელს ახლადჩამოყალიბებული იმპერიის დედაქალაქად ისევ ქტესიფონი აირჩია. შესაბამისად, სასანიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო რომაელები/ბიზანტიელები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში არ შეეშვათ. მაგრამ, როგორც ვთქვით, რადგან ჩრდილოეთ მესოპოტამია ორგანულად იყო დაკავშირებული სომხეთის სამხრეთ ნაწილთან, პირველი სასანიანი შაჰების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი ამ რეგიონის რომაელებისაგან გაწმენდა იყო. არდაშირის და მისი მემკვიდრის შაბურ I-ის ომები ამის ნათელი მაგალითებია.

ბიზანტიის იმპერიასა და სომხეთს შორის მდებარეობდა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბარიერი – ტავრის მთები, რომელშიც იყო სამი საკვანძო გადასასვლელი. იმ შემთხვევაში თუ ირანელები მოახერხებდნენ ამ გადასასვლელების ხელში ჩაგდებას ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების სირია-პალესტინისა და მცირე აზიის უსაფრთხოებას საფრთხე დაუმოქრებოდა. რა თქმა უნდა, სომხეთი არ იყო ერთადერთი ტერიტორია საიდანაც ხორციელდებოდა ჯარების გადაყვანა ირანიდან სირიაში, ან პირიქით. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ირანელები, ან მათი არაბი მოკავშირეები მდინარე ევფრატის გასწვრივ გადადიოდნენ სირიასა და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში.

სომხეთის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრებოდა, რომ ამ ტერიტორიის დაკავებით კავშირი იბმეოდა ჩრდილოეთით მდებარე იბერიასთან, აღმოსავლეთით ალბანეთთან. გარდა ამისა სომხეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები ცენტრალური აზიიდან მცირე აზიისა და სირია-პალესტინის მიმართულებით. ზემომოყვანილი გეოგრაფიული ანალიზი არ ნიშნავს იმას, რომ ბიზანტიელები ან სასანიანები სომხეთის ტერიტორიის უშუალოდ დაკავებაზე ფიქრობდნენ (დიგნასი, 2007: 173-188). ხშირი იყო ჯარების შეყვანა ორივე

იმპერიის მიერ, მაგრამ ორივე მოწინააღმდეგეს ერჩივნა საკვანძო გადასასვლელების და ციხე-სიმაგრეების დაკავება და ირიბათ ჩარეულიყვნენ სომხეთის შიდა საქმეებში. ამ გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განაპირობა სომხეთის სტრატეგიული მნიშვნელობა და ამავდროულად სისუსტეც ორი იმპერისთვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიის სამეზობლოში სულაც არ იყო შემთხვევითი, ხოლო ქართლის და შემდეგ ლაზიკის გაქრისტიანება კი, იმ საერთო რელიგიური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც კონსტანტინოპოლი ატარებდა საკუთარი საზღვრების დასაცავად. წმინდა ნინოს მოღვაწეობის დეტალების უმრავლესობა უცნობია, თუმცა ცალსახაა, რომ მისი ქართლში ჩამოსვლა არ იყო კონსტანტინოპოლიდან ინსპირირებული. გუთ ულფილასგან განსხვავებით, წმინდა ნინოს იმპერიული სანქცია არ გააჩნდა. თუმცა, მხარდაჭერა რომელიც მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან, თუნდაც მეფე მირიანის გაქრისტინებისთანავე საეკლესიო პირების გამოგზავნით, პირდაპირ მეტყველებს იმაზე, თუ რა სწრაფად გაიაზრეს კონსტანტინოპოლში ამ მოვლენის მნიშვნელობა რეგიონული პოლიტიკისთვის.

ქართლისა და ლაზიკის მნიშვნელობა იმპერიისთვის პირველ რიგში გამოწვეული იყო სამხედრო მიზეზებით. კავკასიონის გადასასვლელებისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გაკონტროლება აბსოლუტურად მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიელებისთვის საკუთარი იმპერიული დედაქალაქის დასაცავად. პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ლაზების ელჩობა ირანში ხოსროს კარზე ერთერთი ნათელი მაგალითია იმისა თუ რაოდენ დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლი ლაზიკასა და ქართლს (პროკოპი კესარიელი, 1914-1940: *BP*. II.15). შესაბამისად, ისტორიული საქართველო იმ ტერიტორიულ რკალში ხვდებოდა, რომლითაც კონსტანტინოპოლი ცდილობდა საკუთარი საზღვრები დაეცვა მოწინააღმდეგე სასანური იმპერიისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის პერიფერიაზე მცხოვრებ ხალხებში უმეტესწილად ქრისტიანობის „არაორთოდოქსალური“ ვარიანტის გავრცელება ხელს არ უშლიდა კონსტანტინოპოლს პირდაპირი დიპლომატიური და ზოგ შემთხვევაში სტრატეგიული ურთიერთობა ჰქონოდა ამ ხალხებთან. ბიზანტიელ იმპერატორებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო იმპერიის პერიფერიის

ნებისმიერი ფორმით გაქრისტიანება, რადგან ამით ხერხდებოდა საკვანძო ტერიტორიულ ერთეულებზე ირიბი პოლიტიკური გავლენის მოპოვება. ასე, მაგალითად, იუსტინიანეს არ ანაღვლებდა აქსუმელები, თუ ნუმიდიელები როგორ ქრისტიანულ მიმდევრობას მისდევდნენ. უფრო მნიშვნელვანი იყო მათი ბიზანტიურ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცევა, რითაც მოხერხდებოდა სასანური ირანის გავლენის შემცირება. იმავე იუსტინიანეს მაგალითი, რომ მოვიყვანოთ, მონოფიზიტ, მაგრამ ქრისტიან ეთიოპიელების მეშვეობით იმპერატორი წარმატებით (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროის მანძილზე) ახერხებდა სამხრეთ არაბეთის დაცვას ინდოეთთან ვაჭრობისთვის და რეგიონში სასანიანების გავლენის შესაჩერებლად (პიგულევსკაია, 1964: 57-81; 156-161).

დასკვნა

როგორც შესავალში იყო ნახსენები, ქართული ისტორიოგრაფია მდიდარია გვიანი ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევებით. ქრისტიანობის გავრცელება, დიდი ომიანობა ეგრისში (542-562 წწ.), კავკასიონის გადასასვლელების მნიშვნელობა და ბევრი სხვა, ეს არის შესწავლილი საკითხების მხოლოდ მოკლე სია. თუმცა, ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო ნაკლები ყურადღების მიქცევა გვიანი ანტიკური პერიოდის (IV-VII სს.) ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, როგორებიცაა ირანისა და ბიზანტიის იმპერიების სამხედრო, თუ დიპლომატიური ურთიერთობები, ნომადი ხალხების მიერ ევრაზიულ სტეპებში შექმნილი იმპერიები, ბიზანტიისა და სასანური ირანის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, ორი იმპერიის მმართველი კლასის განსხვავებული ხედვები მსოფლიოს მოწყობის თაობაზე. ამასთან ერთად, ფაქტობრივად, შეუსწავლელია ბიზანტიელებისა და სასანიანების მიერ მათზე დამოკიდებული პატარა ხალხების[87] მართვის სტრატეგიები და მათი ხედვები, თუ როგორ დაეცვათ საკუთარი იმპერიების საზღვრები.

ნაშრომში, „რომი და ბიზანტია ბარბაროსთა მიგრაციის წინააღმდეგ: დუნაის და პონტოს საზღვრების შედარებითი ანალიზი (IV-VII სს.)“, შევეცადე სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორება. სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ზუსტად, რომ უნდა განხილულ იქნას იმ საერთო პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და რელიგიურ კონტექსტში, რომელიც IV-VII საუკუნეების განმავლობაში, ბიზანტიასა და სასანურ ირანს შორის არსებობდა. ამავდროულად, ერთმანეთს შევადარე ბიზანტიის რამოდენიმე საზღვარი, რითაც, პირველ რიგში, მინდოდა დამენახა რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული მეზობელი კონსტანტინოპოლის საგარეო პოლიტიკაში.

[87] კლიენტების.

ყველა ეს არგუმენტი მნიშვნელოვანია და როგორც დასაწყისში ვთქვი, რელევანტურია ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რადგან მკითხველს დაეხმარება შეუქმნას იმ გეოპოლიტიკური თამაშის სურათი, რომლის ერთერთი ნაწილი სამხრეთ კავკასია იყო. თუმცა, მე აგრეთვე შევეცადე, რომ ქართული ისტორიოგრაფიის გარდა ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი ყოფილიყო დასავლეთში გვიანი ანტიკური პერიოდის შესწავლის სხვადასვა მიმდინარეობებისთვის.

დასავლეთში ბიზანტიის ისტორიის ადრეული პერიოდის (IV-VII სს.) მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონსტანტინოპოლში მსხდომ იმპერატორებს არ შეეძლოთ საკუთარი სამეზობლოს მიმართ გრძელვადიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება. სხვა სიტყვებით, ბიზანტიელებს არ გააჩნდათ როგორც რამე სახის „დიდი სტრატეგია“ იმპერიის სამართავად, ასევე იმპერიაზე ერთდროულად რამოდენიმე ფრონტიდან მომდინარე საფრთხის მოგერიების გეგმა (ისააკი, 1990: 19-53, 372-418). არგუმენტები, რომელსაც იყენებს მკვლევართა უმრავლეოსობა, არის ამ პერიოდის ბიზანტიაში, რეალობასთან მიახლოებული გეოგრაფიული რუკების არარსებობა და რომ რომაელების მსგავსად, ბიზანტიელებმა არ იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა იმპერიის საზღვრები და იწყებოდა ბარბაროსთა ტერიტორია (ვიტაკერი, 2004: 28-49, 63-87). ნაშრომში ბიზანტიისა და მის ძირითად მეზობლებს შორის ურთიერთობების განხილვისას, უამრავი მაგალითი იყო მოყვანილი, თუ როგორ ზრუნავდა კონსტანტინოპოლი იმპერიის თითოეულ მიმართულებაზე კარგად გამოკვეთილი ხელოვნური, თუ ფიზიკური საზღვარი ჰქონოდა. ვიტაკერის მტკიცებების საწინააღმდეგოდ, ბიზანტიელები საკუთარი იმპერიის საზღვრის გასატარებლად ხშირად გეოგრაფიულ ბარიერებს იყენებდნენ. ამ მხრივ, ყველაზე კარგ მაგალითს წარმოადგენდა მდინარე დუნაი. გუთებთან ვალენსის პირველი ომი (367-369 წწ.) და მისი შედეგები ნათლად მიუნიშნებს იმაზე, რომ იმპერატორისთვის ისევე, როგორც გუთებისთვის, მდინარე დუნაი ორ მხარეს შორის საზღვარს წარმოადგენდა. თემისტიუსის და ამიანე მარცელინეს მიერ მოყვანილი ცნობები ომზე პირდაპირ ამაზე მეტყველებს. ზავზე ხელის მოწერის ცერემონიალიც კი – შუა დუნაიში – ამტკიცებდა, რომ ეს მდინარე არა მარტო ბუნაბრივ და ფსიქოლოგიურ ბარიერს წარმოადგენდა, არამედ რეალურ პოლიტიკურ საზღვარს იმპერიასა და ბარბაროსებს შორის.

მსგავსი ვითარება იმპერიის სხვა საზღვრებზეც გვხვდება. ასე, აღმოსავლეთში, ბიზანტიასა და სასანურ ირანს შორის საზღვარი ჩრდილოეთ

მესოპოტამიაში დიდი ხნის განმავლობაში მდინარე ევფრატზე გადიოდა. ორ იმპერიას შორის დადებული თითქმის ყველა საზავო ხელშეკრულება არა მხოლოდ დიდი ტერიტორიების ერთმანეთისთვის გადაცემას ეხებოდა, არამედ სახელმწიფოებს შორის ახალი სადემარკაციო ხაზის გატარებებსაც. მაგალითად, 298 წლის ნიზიბისის ზავის მიხედვით, იმპერიებს შორის საზღვარი ვაჭრობისთვის მთლიანად ჩაიკეტა, გარდა რამოდენიმე ქალაქისა. 387 წელს, სომხეთის დანაწილებისას, საზავო მოლაპარაკების დროს, იმპერიების მესვეურები საუბრობდნენ ცალკე ხაზების გატარებაზე იმისათვის, რომ სცოდნოდათ სად მთავრდებოდა და იწყებოდა მათი ტერიტორიები (გრეიტრექსი, 2006: 103-151). ასევე, გაგვაჩნია მრავალი ცნობა, როდესაც ადამიანებს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სურდათ თავისუფლად გადასულიყვნენ ერთი იმპერიიდან მეორეში[88] და როგორ ხდებოდა მათი დაკავება საზღვარზე ბიზანტიელების, თუ სასანიანი გარნიზონების მიერ. წინაისლამური ხანის არაბებთან ურთიერთობაშიც კარგად ჩანს, როგორ ანიჭებენ ბიზანტიელები არაბ ნომადებს სირია-პალესტინის პროვინციების საზღვრების დაცვას. აქაც, ორივე მხარემ კარგად იცოდა, თუ სად მთავრდებოდა იმპერიის *ადმინისტრაციული* საზღვრები. ეს მხოლოდ მაგალითების პატარა ჩამონათვალია, მაგრამ თითოეული კარგად აჩვენებს ერთ რამეს – ბიზანტიელებს აწუხებდათ კითხვა: სად გადის მათი იმპერიის საზღვარი? ამან, თავის მხრივ, მიგვიყვანა ამ ნაშრომის მეორე საკვანძო საკითხამდე. თუ იმპერიას გააჩნდა კარგად გაწერილი საზღვრები, ამ შემთხვევაში იმპერატორები პერმანენტული დილემის წინაშე იდგნენ: როგორ დაეცვათ ეს საზღვრები ერთდროულად რამოდენიმე მტრისგან?

სამხედრო ინფრასტრუქტურის (თავდაცვითი კედლების, ციხესიმაგრეების და სხვა) აგება დუნაისპირეთში, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, რომ ბიზანტიელები, რომაელების მსგავსად, ზრუნავდნენ იმპერიის საზღვრების უსაფრთხოებაზე. მაგრამ, მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურა გამოსავალს არ წარმოადგენდა ერთდროულად რამოდენიმე ფრონტიდან არსებული საფრთხის განეიტრალებისთვის. მართლაც, 395 წელს, იმპერიის დაყოფამ ორ ნაწილად რთულ სტრატეგიულ მდგომარეობაში ჩააყენა აღმოსავლეთ რომის იმპერია. ამიერიდან, კონსტანტინოპოლის მიერ ერთიანი იმპერიის დროს არსებული სამხედრო და ეკონომიკური რესურსების გამოყენება

[88] ესენი, ხშირ შემთხვევაში, პილიგრიმები იყვნენ.

უკვე შეუძლებელი იყო. ეს ყველაფერი ხდებოდა იმ გაუარესებულ საგარეო პოლიტიკურ ფონზე, რომელიც იმპერიის გარშემო იქმნებოდა IV საუკუნის მეორე ნახევარში. 370-იან წლებში, შავი ზღვის ჩრდილოეთით ჰუნების გამოჩენამ „ხალხთა დიდ გადასახლებას“ დაუდო საფუძველი, რის შედეგადაც, ბიზანტიას ორ საზღვარზე დუნაისპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში ნომადები დაუმეზობლდნენ. ამის პარალელურად, აღმოსავლეთში, სასანური ირანი კონსტანტინოპოლს წარმატებით უწევდა სამხედრო და პოლიტიკურ კონკურენციას სამხრეთ კავკასიიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე არსებულ საზღვარზე. ბიზანტიას, აგრეთვე, პრობლემები გააჩნდა სირია-პალესტინის პროვინციებში, სადაც არაკონტროლირებადი არაბი ნომადები თავს ესხმოდნენ იმპერიის პალესტინის პროვინციას. ამ სამ მთავარ საფრთხეს იმპერიისთვის არასტანდარტული საფრთხეც უნდა დაემატოს – ვანდალების სამხედრო ფლოტი, რომელმაც V საუკუნის მეორე ნახევარში, რამოდენიმეჯერ საფრთხე შეუქმნა ბალკანეთის ნახევარკუნძულს.

გაუარესებულ სამხედრო მდგომარეობას უნდა დაემატოს აღმოსავლეთ რომის იმპერიის არასახარბიელო გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც. იმპერიის საზღვრები არ იყო დაცული მძლავრი გეოგრაფიული ბარიერებით. მდინარე დუნაიც კი, არ წარმოადგენდა გადაულახავ ზღუდეს.[89] ჩრდილოეთ აფრიკაში საზღვარი უდაბნოში გადიოდა, სადაც გრძელი საფორტიფიკაციო ნაგებობის აღმართვა თითქმის შეუძლებელი იყო. მართალია აღმოსავლეთში, საზღვარი სასანურ ირანთან გაუვალ მთიან სომხეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გადიოდა, ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან ირანელებს შედარებით მარტივად შეეძლოთ სირიის ქალაქები დაეპყროთ, ბიზანტიის ტერიტორიის მცირე გეოგრაფიული სიღრმის გამო. ერთადერთი, შედარებით დაცული პროვინცია ტერიტორიული სიღრმის მხრივ, მცირე აზია იყო.

შესაბამისად, ბიზანტიის მესვეურებს, 395 წლიდან მოყოლებული, უნდა ეფიქრათ, თუ როგორ დაეცვათ იმპერია საგრძნობლად შემცირებული სამხედრო და ეკონომიკური რესურსების და გაუარესებული საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე. ბიზანტიელებმა იმპერიის დაცვის საკუთარი სტრატეგია შეიმუშავეს. ვაჭრობა, მცირე, მაგრამ ეფექტიანი საჯარისო შენაერთები, მოქნილი დიპლომატია, ძლიერი სადაზვერვო აპარატი, ქრისტიანობის გავ-

[89] V საუკუნის პირველ ნახევარში ჰუნების და შემდეგ, VII საუკუნის დასაწყისში, ავარების წარმატებული ლაშქრობები ამის ნათელი მაგალითებია.

რცელება, ტიტულებისა და მიწების დარიგება და სხვა, ეს იყო ბიზანტიელი იმპერატორების მთავარი ხერხები საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მაგრამ, თუ ბიზანტიელებამდე და მათ შემდეგაც, ეს ელემენტები ხშირად თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს ამა თუ იმ იმპერიების საგარეო პოლიტიკაში, ბიზანტიელებმა მოახერხეს ამ ყველა კომპონენტის შერწყმა და ეფექტიანად გამოყენება მაშინ, როდესაც გეოგრაფიული, ეკონომიკური და სამხედრო სტატისტიკა მათ საპირისპიროდ იყო. ბიზანტიელებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ თითოეულ მეზობელთან, რა იყო მათი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამას მოწმობს ბიზანტიაში არსებული სამხედრო ტრაქტატების მდიდარი ტრადიცია. ბიზანტიის „სტრატეგიაზე“ მეტყველებს ისიც, რომ V საუკუნეში დიდი სტრუქტურული ცვლილებები დაიწყო იმპერიის ჯარში, რათა იმპერიას ეფექტიანად მოეგერიებინა ნომადებისა და სასანიანების ერთობლივი საფრთხე.

გარდა ამისა, შევეცადე მეჩვენებინა რამდენად პოლიტიზირებული იყო ქრისტიანობის გავრცელება იმპერიის სამეზობლოში IV-V საუკუნეებში. მართლაც, ბიზანტიის სამეზობლოში ახალი რელიგიის იმპერიული სანქციით გავრცელების რამოდენიმე ცნობა არსებობს. თუ გავითვალისწინებთ ქრისტიანობის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს, დავინახავთ, რომ კონსტანტინოპოლი, განსაკუთრებულად, ცდილობდა იმპერიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების „მოქცევას“: ქართველების, გუთების, სომხების, ეთიოპიელების, არაბების და ა.შ.

აგრეთვე, შევეცადე დამენახა, თუ როგორ აზროვნებდნენ ბიზანტიელი იმპერატორები თანამდეროვე რუკების არარსებობისას და როგორ იღებდნენ სტრატეგიული მნიშვნლეობის მქონე გადაწყვეტილებებს. იუსტინიანეს მაგალითმა ნათლად დაგვანახა, რომ ბიზანტიელი მმართველი გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებლად ითვალისწინებდა ეკონომიკურ, სამხედრო, ზოგად პოლიტიკურ და რელიგიურ ფაქტორებს. პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი სცენა ვანდალებზე ომის გამოცხადებამდე, გვიჩვენებს, რომ რაოდენ ავტორკატული არ უნდა ყოფილიყო იუსტინიანეს რეჟიმი, იმპერატორი იძულებული იყო გაეთვალისწინებინა იოანე კაპადოკიელის კრიტიკა სამხედრო კამპანიის ეკონომიკურ მხარესთან მიმართებაში და თუ რა ზარალს მოუტანდა ეს იმპერიის ბიუჯეტს.

შესაბამისად, გვიანი ანტიკური პერიოდის ბიზანტიაზე საუბრისას, ჩვენ წინ არის იმპერია, რომელიც მიესადაგა იმ რთულ ეკონომიკურ, სამხედრო და გეოგრაფიულ მდგომარეობას, რომელშიც ის აღმოჩნდა, 395 წელს, იმპერიის დაშლის შემდეგ.

არაბებთან მიმართებაში, ნაჩვენები, თუ როგორ მუშაობდა ბიზანტიური დიპლომატია ლოკალურ დონეზე. როგორ ხდებოდა არაბი მეთაურების გადმობირება, მათი დაფინანსება და შემდეგ გამოყენება სასანური ირანის და სირია-პალესტინის საზღვარზე ბიზანტიის მიერ სხვა არაკონტროლირებადი არაბი ტომების წინააღმდეგ. მეორე მიგნება იყო არაბი მოკავშირეების გამოყენება არა მარტო სასანიანებისა და მათი მოკავშირე არაბების წინააღმდეგ, არამედ სირია-მესოპოტამიის და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით არსებული ბიზანტიური სავაჭრო გზების დაცვისთვის. ეს კი ჯდებოდა იუსტინიანეს დროს წითელი ზღვით ინდოეთისკენ მიმავალ სავაჭრო გზის აღორძინების გეგმას. გზის დასაცავად იმპერატორმა სცადა მის გასწვრივ მოკავშირეები მოეპოვებინა. იმპერატორის ხედვით, არაბებს სირია-პალესტინის და სინაის ნახევარკუნძულის, ხოლო ეთიოპიელებს კი, თანამდეროვე ბაბ-ელ-მანდების სრუტის დაცვა დაევალა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მიმართული იყო სასანური ირანის წინააღმდეგ.

სასანური ირანი ბიზანტიის სამეზობლოში გამონაკლის წარმოადგენდა. ის, გვიან ანტიკურობაში, ბიზანტიასთან თანაბარი ძალის მქონე ერთადერთი სახელმწიფო იყო. მიუხედავად ამისა, ამ იმპერიის შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობა დასავლეთში და, სამწუხაროდ, საერთოდ არ არის შესწავლილი საქართველოში. ამ კვლევის ერთერთი ცენტრალური საკითხი იყო სასანური ირანის ძალის ხელახალი შეფასება. თუ აქამდე ისტორიკოსთა უმრავლესობა თვლიდა, რომ რომის და შემდეგ ბიზანტიის იმპერია სასანურ ირანზე ძლიერი სახელმწიფო იყო, მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ ორ იმპერიას შორის ოთხსაუკუნოვანი ურთიერთობების მანძილზე, სასანური ირანი ბიზანტიის არა მარტო თანაბარ ძალას წარმოადგენდა, არამედ, ბევრ კომპონენტში, მასზე მაღლაც იდგა. შესაბამისად, ამ დებულებას მივყავართ ლოგიკურ კითვამდე: თუ ბიზანტიას შეეძლო თავისი სამეზობლოს სამართავად საკუთარი „დიდი სტრატეგია“ შეემუშავებინა, შეეძლო თუ არა იგივეს გაკეთება სასანურ ირანს?

თავდაპირველად, საჭირო იყო შაჰანშაჰების სამხედრო პოტენციალის განსაზღვრა. თუმცა, რომაულ/ბიზანტიურ სამყაროსგან განსხვავებით, სასანიანი ისტორიკოსების ნაშრომები ჩვენამდე არ მოღწეულა. ყველა ცნობა, რომელიც გაგვაჩნია, უშუალოდ ირანის მოწინააღმდეგე ბერძნულ-რომაული, ქართული და სომხური ისტორიკოსების წყაროებიდან მოდის. შესაბამისად, სასანური ჯარების ყველა რაოდენობა, ნახსენები იქნება ეს პროკოპი კესარიელთან, თუ ამიანე მარცელინესთან, საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რადგან ისტორიკოსებს მარტივად შეეძლოთ გამიზნულად გაედიდებინათ, ან შეემცირებინათ მტრის რიცხვი. მაგრამ, ჩვენ ნაწილობრივ გვეხმარება არქელოგია და ის უზარმაზარი საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომელიც ბოლო წლებში გათხრების შედეგად აღმოჩნდა. ფორპოსტებისა და ციხესიმაგრეების სიდიდის მიხედვით, მე ვივარაუდე, სასანიან შაჰებს (ყოველ შემთხვევაში, ხოსრო ანუშირვანის მმართველობიდან მოყოლებული) ჯამში ჰყავდათ 300,000-იანი ჯარი, საიდანაც, დაახლოებით, ნახევარი პერმანენტულად იყო განაწილებული იმპერიის საზღვრების გასწვრივ. თუმცა, მხოლოდ ძლიერი ჯარის ყოლა არ ნიშნავდა იმპერიული სტრატეგიის არსებობას. როგორც ბიზანტიელებზე საუბრისას იყო ნათქვამი, ჯარის გარდა მრავალი სხვა არგუმენტი უნდა არსებულიყო.

ერთერთი მათგანი იყო უზარმაზარი კედლების აშენება იმპერიის საზ-ღვრების გარშემო. ბიზანტიელების მსგავსად სასანიანი მმართველები ხედავდნენ, რომ იმპერიას არასახარბიელო გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გააჩნდა. უფრო მეტიც, ბიზანტიასთან შედარებით სასანური ირანის საზღვრების 4/5 დაუცველი იყო[90] რამე სახის გეოგრაფიული ბარიერით. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ იმპერიას დასავლეთიდან ძლიერი რომის/ბიზანტიის იმპერია ემეზობლებოდა და პრეტენზიას აცხადებდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე, სომხეთზე, სამხრეთ კავკასიასა და სირია-პალესტინის უდაბნოზე. მაგრამ, თუ ბიზანტია ნომადურ საფრთხეს მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს შეეჯახა, ირანის ადგილმდებარეობა სასანიანებს ნომადების პირველ სამიზნედ აქცევდა, ერთდროულად, თანამედროვე ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებებიდან. ამას დაემატება ისიც, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში და სირია-მესოპოტამიის უდაბნოში, სასანიანებს პრობლემებს უქმნიდნენ წინაისლამური ხანის არაბი ტომები.[91]

---

[90] ერთადერთი დაცული საზღვარი იყო სამხრეთით, სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ.

[91] თუმცა, ბიზანტიისა და ნომადი ტომებისგან განსხვავებით, არაბებისაგან მომდინარე

სხვა სიტყვებით, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ იმპერია მუდამ ეგზისტენციალური საფრთხის ქვეშ იყო. მიუხედავად ამისა, 224-226 წლებში, პართიის სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი იმპერიის მმართველებმა მოახერხეს სახელმწიფოს არა მარტო შენარჩუნება, არამედ ტერიტორიის საგრძნობლად გაზრდა. შედეგად, იმპერიამ ოთხ ასწლეულზე მეტ ხანს, VII საუკუნის 40-იან წლებამდე გასტანა.

ბიზანტიელების მსგავსად, სასანიანების მიერ ამდენი საუკუნის განმავლობაში იმპერიის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა საკუთარი „დიდი თავდაცვითი გეგმის“ ჩამოყალიბება. პირველი ნაბიჯი იყო რომაული და შემდგომ ბიზანტიური ჯარებისგან ჩრდილოეთ მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეების გათავისუფლება, რათა მტერს, ომის შემთხვევაში, ვერ მოეხერხებინა ევფრატის და ტიგროსით გასწვრივ სასანიანთა დედაქალაქ ქტესიფონამდე მიღწევა. მეორე ნაბიჯი იყო არასახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობის ნაწილობრივ გამოსწორება. იმპერიის მთლიანად, ან ნაწილობრივ დაუცველ საზღვრებზე აშენდა სამხედრო ინფრასტრუქტურა, კედლებისა და ციხესიმაგრეების სახით. კასპიის ზღვის აღმოსავლეთით აშენდა ორი დიდი, ერთმანეთის პარალელური, გურგანის და თამიშენის კედლები; დასავლეთით – დარუბანდის ციხესიმაგრე და რამოდენიმე კედელი მის ჩრდილოეთსა და სამხრეთით. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, შენდებოდა უამრავი ციხესიმაგრე, ხოლო ევფრატის ქვემო წელზე კი – წყლის არხები.[92] მცირე ზომების კედლები აშენდა მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში, სპარსეთის ყურესთან ახლოს, არაბი ნომადების შესაკავებლად. კედლებისა და ციხესიმაგრეების ადგილმდებარეობა,[93] მეტყველებდა სასანიანებში მაღალი სამხედრო არქიტექტურული ტრადიციის არსებობაზე. თითოეული ნაგებობა მიესადაგებოდა ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს და ერგებოდა იმპერიის სხვადასხვა მოწინააღმდეგის სამხედრო ხელოვნებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ირანელების მიერ აგებული კედლები, თუ

საფრთხეს სასანიანები საკმაოდ მარტივად უმკლავდებოდნენ. პრობლემა იქმნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასანიანებს, ერთდროულად, რამოდენიმე ფრონტზე უწევდათ ომის წარმოება.

[92] წყლის არხების გამოყენება საკმაოდ ეფექტიანი იყო. ასე, მაგალითად, იულიანე განდეგილის ირანული ლაშქრობის წარუმატებლობის ერთერთი მიზეზი ქტესიფონის გარშემო არსებული წყლის არხები იყო.

[93] ზოგ შემთხვევაში, აშენებისთვის საკმაოდ მიუდგომელ ტერიტორიაზე: მაგალითად დარუბანდის დასავლეთით, კედელი რამოდენიმე კილომეტრით პირდაპირ კავკასიონის ქედზე გადიოდა.

ციხესიმაგრეები მრავალჯერ აღემატებოდა ზომებით რომაულ/ბიზანტიურ კონსტრუქციებს დუნაისა და რაინისპირეთში.

ბიზანტიელების მსგავსად, სასანიანებს ასევე ესმოდათ, რომ საზღვრების გასწვრივ პერმანენტული საჯარისო ერთეულების განლაგებით იმპერიის უსაფრთხოების სრულად უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა. აქტიური დიპლომატია, ფულის და ტიტულების დარიგება, რელიგია, ვაჭრობა და მძლავრი სამხედრო კოალიციების შექმნა ბიზანტიის საწინააღმდეგოთ – ეს არის სასანიანთა საგარეო პოლიტიკის მოკლე შინაარსი. პრაქტიკული ნაბიჯების გარდა, სასანიანები რომაელების/ბიზანტიელების *imperium sine fine*-ს იდეოლოგიას დაუპირისპირეს მახლობელი აღმოსავლეთის საკუთარი ხედვა – აქემენიანთა იმპერიის ტერიტორიებზე პრეტენზიების გამოცხადება. სასანიანთა „სტრატეგიის“ რამოდენიმე მაგალითი ნათლად გვიჩვენებს როგორ მუშაობდა სახელმწიფო აპარატი და როგორ განიხილავდნენ შაჰანშაჰები იმპერიის საზღვრებს. იმპერიის სტრატეგიაზე მეტყველებს წინაისლამური ხანის არაბებთან სამხედრო კავშირის შექმნის დეტალები, იმპერიაში ბარბაროსთა განსახლების სისტემა[94] და მძლავრი ანტიბიზანტიური პროპაგანდის გამოყენება.

შესაბამისად, ნაჩვენები იყო ყველა ის კომპონენტი, რომელიც სასანიანებს ესაჭიროებოდათ მძლავრი „სისტემური“ საგარეო პოლიტიკის გასატარებლად. ბიზანტიელების მსგავსად, სასანურ იმპერიასაც გააჩნდა საკუთარი „სტრატეგია“, რომელიც პირველი შაჰანშაჰების დროს ჯერ კიდევ არ იყო კარგად ჩამოყალიბებული. მისი „აღმოჩენა“ უფრო IV საუკუნის ბოლოს იმპერიის გაუარესებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როდესაც, ევრაზიულ სტეპებში ხალხთა დიდი გადასახლების მიმდინარეობისას, იმპერია შეეჯახა სულ უფრო მძლავრ ნომადურ დაჯგუფებებს. კედლები, დიპლომატია, იდეოლოგია, რელიგია და მრავალი სხვა ხერხის ეფექტიანმა გამოყენებამ უზრუნველყო იმპერიის არსებობა ოთხზე მეტი საუკუნის განმავლობაში.

---

[94] რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის და ჩინეთის იმპერიებში არსებულ პრაქტიკას: ბარბაროსების შეშვება, მათი განსახლება და იმის უზრუნველყოა, რომ არ მომხდარიყო ლოკალური აჯანყებები. ლოჯისტიკურად ამის გაკეთება საკმაოდ რთული იყო, რადგან იმპერიულ ხელისუფლებას ყველაფრის გათვალისწინება უწევდა: არსებული მიწის პოტენციალი ბარბაროსთა გამოსაკვებად; ადგილობრივი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა; პერმანენტული სამხედრო კონტროლი ახლადდასახლებულებზე და ა. შ. ერთერთი კომპონენტის დარღვევას, სახელმწიფო შეეძლო მძიმე შედეგებამდე მიეყვანა..

შემდგომი საკითხი არის ბიზანტიის ჩრდილოეთ საზღვარი. დუნასიპირეთში, ისევე, როგორც იმპერიის სხვა საზღვრებზე, კარგად გამოჩნდა კონსტანტინოპოლის რთული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც რამოდენიმე ელემენტის ურთიერთშეხამებას წარმოადგენდა. ისტორიულად, რომაელებს და შემდეგ ბიზანტიელებს, არ უჭირდათ გერმანული ტომების შეკავება. მარცხები იყო და არა ერთი, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ტევტონბურგის ტყეში, თუ ადრიანოპოლთან ბრძოლებს არაფერი შეუცვლიათ. ეს უფრო ბარბაროსების მიერ ლოგიკიდან ამოვარდნილ წარმატებას წააგავდა. იმპერიული ხანის ლეგიონი, თუ გვიანი ანტიკური ხანის *comitatenses*-ი ეფექტიან იარაღს წარმოადგენდა ბარბაროსული ქაოსის შესაჩერებლად. ამიტომაც, ვეცადე მეჩვენებინა, რომ ურთიერთობების სამხედრო კომპონენტის გარდა, კიდევ არსებობდა ურთიერთობების სავაჭრო და რელიგიური კომპონენტები. იმპერატორ ვალენსის პირველი გუთური ომი (367-369 წწ.) შეიძლება არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული კუთხით, მაგრამ ჩვენთვის ძალიან საინტერესო საკითხს წარმოადგენს წყაროების სიუხვის გამო. იმპერატორის მიერ ეკონომიკური, სამხედრო, რელიგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინება მეტყველებს იმაზე, თუ როგორ მუშაობდა იმპერიული დიპლომატია მეზობლების მიმართ. მეორეს მხრივ, მიღებული აზრის საწინააღმდეგოთ, ამ ომის მაგალითზე ნაჩვენები იყო, რომ ბარბაროსები არ იყვნენ ყოველთვის ომის ინიციატორები. პირიქით, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ამას იმპერიული ჯარები აკეთებდნენ.

ბიზანტიის ჩრდილოელ მეზობლებზე საუბრისას, შეუძლებელი იყო არაფერი გვეთქვა ნომადებზე (ჰუნები, ავარები და ა. შ.). მაგრამ, ამ ხალხების დუნაისპრეთში გამოჩენის ისედაც კარგად შესწავლილი ისტორიის მოყოლის ნაცვლად, ვეცადე მეპასუხა კითხვაზე: რა იწვევდა ნომადების მოძრაობას ევრაზიულ სტეპებში? რატომ იყო მათვის დუნაისპირეთი მოძრაობის ბოლო პუნქტი? რა სახის ურთიერთობები იყო იმპერიასა და ნომადებს შორის და რა სამხედრო გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელმა ბიზანტიურ სამხედრო აზროვნებაზე? მკვლევარების უმრავლესობა, ან მხოლოდ ბიზანტია-ნომადების ურთიერთობების ისტორიას იკვლევს, ან არ ცდილობს ახსნას, თუ რატომ ხდებოდა შემოსევები იმპერიის ჩრდილეოთ საზღვარზე. შემოსევების მიზეზების ასახსნელად გამოვიყენე გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები. მართლაც, ნაჩვენები იყო, რომ ევრაზიის შიდა რეგიონის – შიდა აზიის – გეოგრაფიული

მახასიათებლები ნომადებისთვის სახარბიელო პირობებს ქმნიდა ემოძრავათ მანჯურიიდან[95] თანამდეროვე უნგრეთამდე. სხვა სიტყვებით, გეოგრაფიული ბარიერების ნაკლებობა ხელს უწყობდა ხალხების შეუზღუდავ მოძრაობას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბიზანტიისა და სასანური იმპერიების ეკონომიკური პოტენციალი და რამდენად იყო შესაძლებელი მათი სიმდიდრე ყოფილიყო ნომადების შემოსვების გამომწვევი მიზეზი.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ ბიზანტიისა და სასანური ირანის სამეზობლო პოლიტიკის შესწავლა იმ კომპონენტების მიხედვით, რომელიც ამ ნაშრომში განვიხილე, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართულ, დასავლურსა და რუსულ ისტორიოგრაფიებში გვიანი ანტიკური პერიოდის უკეთ შესწავლისთვის.

[95] თანამდეროვე ჩრდილოეთ ჩინეთი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აგათია, 1975; Agathias, trans. J. D. Frendo, 1975.
2. ალიევი, გაჯიევი, 2002; A. Aliev, M. Gadjiev, The Ghilghichay Defensive Long Wall: New Investigations, 2002.
3. ამიანე მარცელინე, 1935; Ammianus Marcellinus, Res Gestae, ed. and trans. J. C. Rolfe, Cambridge (Massachusetts), 1935-39.
4. ბარნსი, 1985; T. D. Barnes, Constantine and the Christians of Persia, The Journal of Roman Studies, Vol., 75, 1985, გვ. 126-130;
5. ბერგი, 1950; L. Berg, Natural Regions of the USSR, trans. from the Russian by Olga Titelbaum and ed. John A. Morrison, New York, 1950.
6. ბერი, 1928; J. B. Bury, The Invasion of Europe by the Barbarians, London, 1928.
7. ბერნსი, 1994; T. S. Burns, Barbarians within the Gates of Rome: A Study of Roman Military Policy and the Barbarians, ca. 375-425 A.D., Bloomington, 1994.
8. ბივარი, 1983; A. H. D. Bivar, The History of Eastern Iran, 1983.
9. ბლოკლი, 1992; R. C. Blockley, East Roman Foreign Policy: Formation and Conduct from Diocletian to Anastaius, Leeds, 1992.
10. ბოვერსოკი, 1978; G. W. Bowersock, Julian the Apostate, London, 1978.
11. ბოზუ, 1985; T. Bauzou, Les voies de communication dans le Hauran a l'epoque Romaine, Hauran, I: Recheurches Archeologiques sur la Syrie du sud a l'epoque hellenistique et Romaine, Paris, 1985.
12. ბოისი, 1975; M. Boyce, A History of Zoroastrianism, Vol., I, Leiden, 1975.
13. ბოსვორტი, 1983; C. E. Bosworth, Iran and the Arabs before Islam, 1983.

14. ბრაუნი, 1971; P. R. L. Brown, The World of Late Antiquity, London, 1971.
15. ბრაუნინგი, 1975; R. Browning, The Emperor Julian, London, 1975.
16. გაჟდა, 2009; I. Gajda, Le royaume de Himyar à l'époque monothéiste: L'histoire de l'Arabie du sud ancienne de la fin du IVe siècle, Paris, 2009.
17. გაჯიევი, 2008; M. Gadjiev, On the Construction Date of the Derbent Fortification Comlex, in Iran and the Caucasus, Leiden, 2007.
18. გიბონი, 1998; E. Gibbon, The Decline and Fall of the Roman Empire, Heartfordshire, 1998.
19. გოფვარტი, 1980; W. Goffart, Barbarians and Romans AD 418-584: The Techniques of Accomodation, Princeton, 1980.
20. გოფვარტი, 1988; W. Goffart, The Narrators of Barbarian History: Jordanes, Gregory of Tours, Bede, Princeton, 1988.
21. გრაფი, 1997; D. F. Graf, Rome and the Arabian Frontier: From Nabataeans to the Saracens, Aldershot, 1997.
22. გრეიტრექსი, 1998; G. Greatrex, Rome and Persia at War, 502-532, Leeds, 1998.
23. გრეიტრექსი, 2000; G. Greatrex, The Background and Aftermath of the Partition of Armenia in A.D. 387, AHB 14.1-2, 2000, გვ. 35-48,
24. გრეიტრექსი, 2002; G. Greatrex, S. Lieu, The Roman Eastern Frontier and the Persian Wars, London, 2002.
25. გრეიტრექსი, 2006; G. Greatrex, Roman Frontiers and Foreign Policy in the East, Studia Antiqua Australiensia, Vol., III, Sydney, 2006.
26. გრეიტრექსი, 2007; G. Greatrex, Early Years if Justin I's Reign in the Sources, Spectrum, Vol., 12, Krakow, 2007, გვ. 9-113.
27. დაგრონი, 1968; G. Dagron, L'empire romain d'Orient au IVe siècle et les traditions politiques de l'hellénisme: le témoignage de Thémistios, Travaux et Mémoires, Vol., 3, Paris, 1968.
28. დაგრონი, 1974; G. Dagron, Naissance d'une capitale: Constantinople et ses institutions de 330 à 451, Paris, 1974.
29. დარიაე, 2006; T. Daryaee, Sasanians and Their Ancestors, Ravenna, 2006.

30. დარიაე, 2010; T. Daryaee, Ardashir and the Sasanians's Rise to Power, Studia Classica et Orientalia, 2010, გვ. 236-255.
31. დეივისი, 1996; N. Davies, Europe: A History, London, 1996.
32. დიგნასი, ვინტერი, 2007; B. Dignas, E. Winter, Rome and Persia in Late Antiquity, Cambridge, 2007.
33. დონერი, 1981; F. M. Donner, The Early Islamic Conquests, Princeton, 1981.
34. დრივერსი, 2008; J. W. Drijvers, Rome and the Sasanid Empire: Confrontation and Coexistance, Companion to Late Antiquity, 2008, გვ. 441-454.
35. ედველი, 2008; P. M. Edwell, Between Rome and Persia: The Middle Euphrates, Mesopotamia and Palmyra under Roman control, 2008.
36. ევანსი, 2001; J. A. S. Evans, The Age of Justinian. The Circumstances of Imperial Power, New York, 2001.
37. ევსევი კესარიელი, 1975; Eusebius, Vita Constantini: Eusebius Werke, 1.1 ed. Uber das Leben des Kaisers Konstantin, ed. F. Winkelmann, Berlin, 1975.
38. ვანდერსპოელი, 1995; J. Vanderspoel, Themistius and the Imperial Court: Oratory, Civic Duty, and Paideia from Constanius to Theodosius, Michigan, 1995.
39. ვასილიევი, 1925; А. Васильев. История Византийской империи, Москва, 1925.
40. ვატი, 1978; W. M. Watt, Al-Iskandar, *EI²* IV, 1978, გვ. 127.
41. ვატი, 2000; J. W. Watt, F. R. Trombley, The Chronicle of Pseudo-Joshua the Stylite, Liverpool, 2000.
42. ვეისი, 1986; H. Weiss, The origins of Tell Leilan and the conquest of space in 3rd millennium Mesopotamia, The origins of cities in dry-farming Syria, 1986, გვ. 71–108.
43. ველფარი, 1995; H. Welfare, V. Swan, Roman Camps in England, London, 1995.
44. ვიზჰოფერი, 2001; J. Wisehofer, Ancient Persia. From 550 BC to 650 AD., New York, 2001.
45. ვილნოვი, 1985; F. Villeneuve, L'economie rurale et la vie des campagnes dans le Hauran antique (Ier siècle avant J.-C. – VIe siècle après J.-C.), Hauran,

Recherches Archeologiques sur la Syrie du sud a l'epoque hellenistique et Romaine, Vol., I, Paris, 1985, გვ. 63-136.

46. ვიტაკერი, 2004; C. R. Whittaker, Rome and Its Frontiers: The Dynamics of Empire, London, 2004.
47. ვიტბი, 1992; M. Whitby, Greek historical writing after Procopius', The Byzantine and Early Islamic Near East, Vol., I, Princeton, 1992, გვ. 25-80.
48. ვიტბი, 1995; M. Whitby, Recruitment in Roman Armies from Justinian to Heraclius (ca. 565-615), 1995.
49. ვიტბი, 2000; M. Whitby, The Successors of Justinian, 2000.
50. ვიტბი, 2002; M. Whitby, Rome at War AD 293-696, Oxford, 2002.
51. ვიტბი, 2007; M. Whitby, Army and Society in the Late Roman World: A Context for Decline. 2007.
52. ვიტბი, 2008; M. Whitby, The Army, 420-602, The Cambridge Ancient History, Vol., XIV, 2008, გვ. 288-311.
53. ვიტოუ, 1999; M. Whittow, Rome and the Jafnids: Writing the history of a Sixth-Century Tribal Dynasty, The Roman and Byzantine Near East, ii: Some Recent Archaeological Research, JRA Suppl. Ser. 37, 1999, გვ. 207-24.
54. ვოლფრამი, 1988; H. Wolfram, History of the Goths, tr. T. Dunlap, Berkeley, 1988.
55. ვოლფრამი, 2005; H. Wolfram, The Roman Empire and Its Germanic Peoples, trans. T. Dunlap, Berkeley, 2005.
56. ზაუერი, 2013; Eb. W. Sauer, Persia's Imperial Power in Late Antiquity. The Great Wall of Gorgan and Frontier Landscapes of Sasanian Iran, Oxford, 2013.
57. ზოსიმე, 1982; Zosimus, History, ed. F. Paschoud, trans. R. T. Ridley, 1982.
58. თემისტიუსი, 2001; Themistius, Orationes, trans. P. Heather and D. Moncour, 2001.
59. თეოდოსიუსის კოდექსი, 1952; Codex Theodosianus, ed. T. Mommsen (1905); trans. C. Pharr, Princeton, 1952.
60. თეოდორეტი, 1843; Theodoret, Ecclesiastical History, trans. E. Walford, London, 1843.

61. თეოფანე ბიზანტიელი, 1997; The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and თომფსონი, 1979; E. A. Thompson, W. C. Hassall, De Rebus Bellicis, 1979.

62. თომფსონი, 1982; E. A. Thompson, Romans and Barbarians: The Decline of the Western Empire, Wisconsin, 1982.

63. იარშატერი, 1971; E. Yarshater, Were the Sasanians Heirs to the Achaemenids?, La Persia nel Medioevo, Milan, 1971, გვ. 517-539.

64. იბნ მისკვაიჰი, 1976; Ibn Miskawaykh, Tajarib al-umam, ed. L. Caetani, GMS VII-1; Grignaschi, *Litterature*, 23-24 (episode IX), 1976, გვ. 199-201.

65. იერონიმე, 1996; Jerome (Hieronymus). *Epp.*, ed. I. Hilberg, *CSEL* LIV-VI, 1996.

66. იოანე ლიდიელი, 1898; John Lydus, On the Months, tran. R. Wuensch, 1898.

67. იოანე მალალასი, 1986; The Chronicle of John Malalas, trans. E. Jeffreys, M. Jeffreys, R. Scott, with B. Croke, Melbourne, 1986.

68. იორდანე, 1915; Jordanes, Getica, ed. T. Mommsen, trans. C. Mierow, 1915.

69. ისააკი, 1990; B. Isaac, The Limits of Empire. The Roman Army in the East, Oxford, 1990.

70. ისტორია, 2013; Histoire, Le Figaro, Comment le Monde est devenu Chrétien, Numéro 8, 2013, გვ. 45-65.

71. იუსტინიანეს კოდექსი, 1954; Codex Iustinianus. Corpus iuris civilis, ed. P. Krueger, Berlin, 1954.

72. კაზანსკი, 2003; M. Kazanski, A. Mastykova, Les Peuples du Caucase du Nord, Paris, 2003.

73. კანეპა, 2009; M. Canepa, The Two Eyes of the Earth. Art and Ritual of Kingship Between Rome and Sasanian Empire, Berkeley, 2009.

74. კაპლანი, 2013; R. D. Kaplan, The Revenge of Geography, 2013.

75. კაციტაძე, 2001; დ. კაციტაძე, ირანის ისტორია III-XVIII სს., თბ., 2001.

76. კემბრიჯის ირანის..., 1968; The Cambridge Histoy of Iran, Vol., I, Cambridge, 1968.

77. კემბრიჯის შიდა..., 1990; The Cambridge History of Early Inner Asia. ed. D. Sinor, Cambridge, 1990.

78. კემბრიჯის ანტიკური..., 2006; The Cambridge History of Ancient World. Vol. I-XII, Cambridge, 2006.
79. კემერონი, 1985; A. Cameron, Procopius and the Sixth Century, London, 1985.
80. კემერონი, 1993; A. Cameron, The Meditarranean World in Late Antiquity, London, 1993.
81. კირილე სკიფოპოლისელი, 1991; Cyril de Scythopolis, Lives of the Monks of Palestine, trans. R. M. Price, ed. J. Binns, Michigan, 1991.
82. კლუჩევსკი, 2006; В. О. Ключевский, Русская История, Москва, 2006.
83. კულიკოვსკი, 2007; M. Kulikowski, Rome's Gothic Wars: From the Third century to Alaric, Cambridge, 2007.
84. კუჩმა, 2001; В. Кучма, Военная организация Византийской империи, Санкт-Петербург, 2001.
85. კრაუტჰაიმერი, 1983; R. Krautheimer, Three Christian Capitals, Berkeley and Los Angeles, 1983.
86. ლატიმორი, 1938; O. Lattimore, The Geographical Factor in Mongol History, The Geographical Journal 91, reprinted in Owen Lattimore, Studies in Frontier History, Collected Papers 1928-1958, Oxford, 1962.
87. ლატიმორი, 1940: O. Lattimore, Inner Asian Frontiers of China, American Geographical Society Research Series, No., 21, New York, 1940.
88. ლენსკი, 2002; N. Lenski, Failure of the Empire, Valens and the Roman State in the Fourth Century A.D., 2002.
89. ლეტციოს, 1987; D. G. Letsios, The case of Amorkesos and the question of the Roman *foederati* in Arabia in the fifth century, L'Arabie preislamique et son environnment historique et culturel, Strasbourg, 1987, გვ. 525-35.
90. ლი, 1993; A. D. Lee, Information and Frontiers: Roman foreign relations in Late Antiquity, Cambridge, 1993.
91. ლი, 2008; A. D. Lee, The Eastern Empire: Theodoius to Anastasius, The Cambridge Ancient History, Vol., XIV, 2008, გვ. 33-62.
92. ლი, 2006; A. D. Lee, The Empire at War, The Cambridge Companion to the Age of

Justinian, Cambridge, 2006, გვ. 113-133.

93. ლიდელ ჰარტი, 2014; B. H. Lidell, Hart, A History of the Second World War, London, 2014.

94. ლოზუნსკი, 1986; С. Г. Лозунский, История папства, Москва, 1986.

95. ლუკონინი, 1987; В. Г. Луконин, Древний и средневековый Иран. Очерки истории культуры, Москва, 1987.

96. ლუტვაკი, 1976; Ed. N. Luttwak, The Grand Strategy of the Roman Empire. From the First Century A.D. to the Third, Baltimore, 1976.

97. ლუტვაკი, 2009; Ed. N. Luttwak, The Grand Strategy of the Byzantine Empire, Harvard, 2009.

98. მავრიკე, 2004; Маврикий, Стратегикон. Изд. подг. В. В. Кучма, Москва, 2004.

99. მაკინდერი, 1942; H. J. Mackinder, Democratic Ideals and Reality. A Study in the Politics of Reconstruction, London, 1942.

100. მაკორმაკი, 1986; M. McCormick, Eternal victory: Triumphal rulership in late antiquity, Byzantium, and the early medieval West, Cambridge, 1986.

101. მანგო, 1995; C. Mango, G. Dagron, Constantinople and its Hinterland, Aldershot, 1995.

102. მანგო, 1997; C. Mango, R. Scott, The Chronicle of Theophanes Confessor, Oxford, 1997.

103. მეთიუსი, 1989; J. Matthews, The Roman Empire of Ammianus, London, 1989.

104. მილარი, 1982; F. Millar, Emperors, Frontiers and Foreign Relations, 31 B.C. to A. D. 378, Britannia, Vol., 13, 1982, გვ. 1-23.

105. მილარი, 1993; F. Millar, The Roman Near East, 31 BC-AD 337, Harvard, 1993.

106. მილარი, 2009; F. Millar, Christian monasticism in Roman Arabia at the Birth of Mahomet, Semitica et Classica, Vol., II, 2009, გვ. 97-115.

107. მომზენი, 1992; T. Mommsen, A History of Rome under the Emperors, London, 1992.

108. მორავჩიკი, 1967; Gy. Moravcsik, J. R. H. Jenkins, Constantine

Porphyrogenitus. De administrando imperio, Dumbarton Oaks, 1967.

109. მსოფლიო ატლასი, 1999; Атлас Мира. Страны мира в картах и цифрах, Москва, 1999.

110. მუსე, 1965; L. Musset, Les invasions: Les vagues germaniques, Paris, 1965.

111. ნოტიცია დიგნიტატუმი, 1962; Notitia Dignitatum, ed. O. Seeck, 1962.

112. ოსტროგორსკი, 2011; Г. Острогорский, История византийского государства, Москва, 2011.

113. ოფლინი, 1983; J. M. O'Flynn, Generalissimos of the Western Roman Empire, Edmonton, 1983.

114. პარკერი, 2006; S. T. Parker, The Roman Frontier in Central Jordan: Final Report on the Limes Arabicus Project, 1980-1989, Vol., II, Washington, 2006.

115. პაპომოვი, 1933; Е. А. Пахомов, Крупнейшие памятники сасанидского строительства в Закавказье. Проблемы истории материальной культуры. № 9-10. Москва, 1933.

116. პეტროვიჩი, 1996; P. Petrovic, Roman Limes on the Middle and Lower Danube, Belgrad, 1996.

117. პიგულევსკაია, 1964; Н. Пигулевская, Арабы у границ Византии и Ирана в IV-VI вв., Москва-Ленинград, 1964.

118. პიგულევსკაია, 1951; Н. Пигулевская, Византия на путях в Индию, Москва-Ленинград, 1951.

119. პიგულევსკაია, 1963; N. Piguelevskaja, Les Villes de l'état iranien aux époques parthe et sassanide, Paris, 1963.

120. პლუტარქე, 1975; რჩეული ბიოგრაფიები. თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბ., 1975.

121. პოიდბარი, 1934; A. Poidebard, La Trace de Rome dans le désert de Syrie. Le Limes de Trajan à la conquête Arabe. Recherches aériennes (1925-1932), Paris, 1934.

122. პოლი, 2006; W. Pohl, Justinian and the Barbarian Kingdoms, The Cambridge Companion of the Age of Justinian, Cambridge, 2006, გვ. 448-477.

123. პოტსი, 1997; D. T. Potts, Late Sasanian Armament from southern Arabia, 1997.

124. პოტსი, 2008; D. T. Potts, The Sasanian relationship with South Arabia: Literary, epigraphic and historical perspectives, 2008.

125. პროკოპი კესარიელი, 1914-40; Procopius, Works, ed. and trans. H. B. Dewing, Cambridge (Massachusetts), 1914-40.

126. პროკოპი კესარიელი, 1939; Прокопий Кесарийский, О постройках, Пер. С. П. Кондратьева, ВДИ, 1939.

127. რაველი, 2013; I. Ramelli, Constantine: the Legal Recognition of Christianity and its Antecedents, Annuario De Historia De La Iglesia, Vol., 22, Milan, 2013, გვ. 65-82.

128. რავენი, 1993; S. Raven, Rome in Africa, London, 1993.

129. რაპინი, 2007; C. Rapin, Nomads and the shaping of Central Asia: from the Early Iron Age to the Kushan Period, 2007.

130. რობენი, 1996; C. Robin, Le royaume Hujride, dit "royaume de Kinda", entre Himyar et Byzance, Comptes Rendues de l'Academie des Inscriptions et Belles Lettres, 1996, გვ. 665-714.

131. რობენი, 2008; C. Robin, Les Arabes de Himyar, des Romains et des Perses (III-VI siècles de l'ère chrétienne), Semitica et Classica, Vol., I, 2008, გვ. 167-208.

132. რუბინი, 1989; Z. Rubin, Byzantium and Southern Arabia – the policy of Anastasius', The Eastern Frontier of the Roman Empire, Vol., II, Oxford, 1989, გვ. 383-420.

133. რუბინი, 1995; Z. Rubin, The Reforms of Khusro Anushirwan, 1995.

134. რუბინი, 2008; Z. Rubin, Eastern Neighbours: Persia and the Sasanian Monarchy (224-651), The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500-1492, Cambridge, გვ. 130-155.

135. საიდბოთამი, 2009; S. Sidebotham, Northern Red Sea ports and their networks in the late Roman/Byzantine period, Byzantine trade, 4th-12th centuries: the archaeology of local, regional and international exchange: papers of the thirty-eighth Spring Symposium of Byzantine Studies, Oxford, 2009, გვ. 329-52.

136. სინორი, 1975; D. Sinor, Horse and Pasture in Inner Asian History, Oriens

Extremus, Vol., 19, 1975. გვ. 171-183.

137. საინორი, 1978; D. Sinor, The Greed of the Northern Barbarian, Aspects of Altaic Civilization, Vol., II, Indiana University, 1978, გვ. 171-182.

138. სალვიანე მარსელიელი, 1930; Salvian of Marseille, De Gubernatione Dei, Tran. E. M. Sanford, On the Government of God, New York, 1930.

139. სარტრი, 1982; M. Sartre, Trois etudes sur l'Arabie romaine et byzantine, Brussels, 1982.

140. სარტრი, 1985; M. Sartre, Bostra: Des origins a l'Islam, Paris, 1985.

141. სვენციცკაია, 1987; И. С. Свенцицкая, Раннее христианство: страницы истории, Москва, 1987.

142. სკორპანი, 1980; C. Scorpan, Limes Scythiae: Topographical and Stratigraphical Research on the Late Roman Fortifications on the Lower Danube, Oxford, 1980.

143. სონიო, 2006; C. Sogno, Q. Aurelius Symmachus: A Political Biography, Michigan, 2006.

144. ტაციტუსი, 2009; Tacitus, Germania, ed. R. L. Fox, trans. A. J. Church, W. J. Brodribb, 2009.

145. ტოდი, 1992; M. Todd, The Early Germans, Oxford, 1992.

146. ტრედგოლდი, 1995; W. Treadgold, Byzantium and Its Army, 284-1081, Stanford, 1995.

147. უსპენსკი, 1929; Ф. Успенский, История Византийской Империи, Москва, 1929.

148. ფიემა, 2002; Z. Fiema, Late-antique Petra and its hinterland: recent research and new interpretations, The Roman and Byzantine Near East, Vol., III, Late-Antique Petra, Nile Festival Building at Sepphoris, Deir Qal'a Monastery, Khirbet Qana Village and Pilgrim Site, 'Ain-'Arrub Hiding Complex, and Other Studies. JRA Suppl. Ser. 41, 2002, გვ. 191-242.

149. ფიშერი, 2011; G. Fisher, Between Empires: Arabs, Romans and Sasanians in Late Antiquity, Oxford, 2011.

150. ფლეტჩერი, 1997; R. Fletcher, The Barbarian Conversion, New York, 1997.

151. ფოუდენი, 1993, G. Fowden, Empire to Commonwealth, Princeton, 1993.

152. ფოუდენი, 1999; E. K. Fowden, The Barbarian Plain, Berkeley, 1999.

153. ქრისტენსენი, 1944; A. Christensen, L'Iran sous les Sassanides, Copenhagen, 1944.

154. შაჰიდი, 1984; I. Shahid, Rome and the Arabs: A Prolegomenon to the Study of Byzantium and the Arabs, Washington, 1984.

155. შაჰიდი, 1995; I. Shahid, Byzantium and the Arabs in the Sixth century, Washington, 1995.

156. შეპარდი, 1992; J. Shepard and S. Franklin, Byzantine Diplomacy, Aldershot, 1992.

157. შოვო, 1998; A. Chauvot, Opinions Romaines face aux Barbares au IVe siècle ap. J.-C., 1998.

158. შტიკლერი, 2007; T. Stickler, The Foederati, A Companion of Roman Army, 495-514, Oxford, 2007.

159. ჩარლზვორთი, 1937; M. P. Charlesworth, The Virtues of a Roman Emperor: Propaganda and the Creation of Belief, 1937.

160. ხაზანოვი, 1994: A. M. Khazanov, Nomads and the Outside World, Wisconsin, 1994.

161. ჯაგჩიდი, 1970; S. Jagchid, Trade, Peace and War Between the Nomadic Altaics and the Agricultural Chinese, Bulletin of the Institute of China Border Studies, Vol., I, Taiwan, 1970, გვ. 35-80.

162. ჯოუნსი, 1964; A.H.M. Jones, The Later Roman Empire, 284-602, Vol., I, Oxford, 1964.

163. ჰაარერი, 2006; F. K. Haarer, Anastasius I: Politics and Empire in the Late Roman World, Cambridge, 2006.

164. ჰაასი, 2008; C. Haas, Mountain Constantines: The Christianization of Aksum annd Iberia, Journal of Late Antiquity 1.1, Baltimore, 2008, გვ. 101–126.

165. ჰალდონი, 2006; J. F. Haldon, Economy and Administration: How Did the Empire Work?, Cambridge, 2006, გვ. 28-59.

166. ჰალსალი, 2007; G. Halsall, Barbarian Migrations and the Roman West, Cambridge, 2007.

167. ჰეგერი, 1991; P. Heather, Goths and Romans (332-489), Oxford, 1991.

168. ჰეგერი, 1991; P. Heather, J. Matthews, The Goths in the Fourth Century, Liverpool, 1991.

169. ჰეგერი, 1996; P. Heather, D. Moncour, Politics, Philosophy, and Empire in the Fourth Century: Select Orations of Themistius, Liverpool, 2001.

170. ჰეგერი, 2006; P. Heather, The Fall of the Roman Empire: A new History of Rome and the Barbarians, Oxford, 2006.

171. ჰეგერი, 2009; P. Heather, Empires and Barbarians. Migration, Development, and the Birth of Europe, London, 2009.

172. ჰეროდიანე, 1991; M. H. Dodgeon, S. N. C. Lieu, The Roman Eastern Frontier and the Persian Wars, AD 226-363, London, 1991.

173. ჰეროდოტე, 1975; ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1975.

174. ჰოვარდ-ჯონსტონი, 1995; J. Howard-Johnston, The two Great Powers in Late Antiquity: a comparison, The Byzantine and Islamic East: States, Resources and Armies, Vol., III, Princeton, 1995, გვ. 157-226.

175. ჰოვარდ-ჯონსტონი, 2009; J. Howard-Johnston, Witnesses to a World Crisis: Historians and Histories of the Middle East in the Seventh Century, Oxford, 2009.

176. ჰოვარდ-ჯონსტონი, 2012; J. Howard-Johnston, The Two Empires in Late Antiquity, Late Antiquity: Eastern Perspectives, Oxford, 2012, 87-127.

177. ჰოილანდი, 2009; R. Hoyland, Late Roman Provincia Arabia, Monophysite Monks and Arab Tribes: a Problem of Centre and Periphery, Semitica et Classica, Vol., II, 2009, გვ. 117-39.

178. ჰორდენი, 2006; P. Horden, Mediterranean Plague in the Age of Justinian, The Cambridge Companion of the Age of Justinian, Cambridge, 2006, გვ. 134-160.

დანართი

რუკა 1

რუკა 2


ევიან ანტიკური მსოფლიო VI საუკუნეში
ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲓᲘᲡ ᲘᲠᲐᲜᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲔᲡᲝᲞᲝᲢᲐᲛᲘᲐ
ᲡᲘᲠᲘᲐ
ᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

რუკა 3

ირანული ციხე-სიმაგრე VI საუკუნეში
დარიალი
1
2
დარუბანდი
3
კავკასიონი
4
5
კასპიის კარი
ნისიბინი
6
ტესიფონი
ნასრიდები
მერვი
ჰეფთალიტები
სასანური ირანი
ციხე
გამაგრებული ფორპოსტი
1 დარუბანდის ციხე-სიმაგრე
2 დარუბანდის ციხე
3 გილგიჩაის ციხე
4 გურგანის ციხე
5 თამიშვანის ციხე
6 მიდიის ციხე

რუკა 4


ზომიერი კლიმატი
ტუნდრა
ტ ა ი გ ა
სტეპები
უდაბნო და მთიანი რელიეფი
ტყიანი სანაპიროს ზოლი
ტროპიკული ტყეები
შიდა აზიის
გეოგრაფიული ლანდშაფტი